

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საპატრიარქო
იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო ცენტრი


იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს
კათალიკოს - პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის
ლოცვა - კურთხევით

თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა

სამეცნიერო კონფერენციის
მასალათა კრებული

The Chair of Theology is 5 Years Old

Кафедре теологии 5 лет



2007

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა

საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის
მასალათა კრებული

2007
თბილისი

იბეჭდება უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია
მეორის ლოცვა-კურთხევით

Technical University of Georgia
Patriarchate of Georgia
Iberian-Caucasian International Scientific-Educational Centre
The book is published with the blessing of his holiness and beatitude Iliia II,
catholicos – patriarch of all Georgia

The book is published with the blessing of his holiness and beatitude
Iliia II, catholicos-patriarch of all Georgia

The Chair of Theology
of the Technical University of Georgia
is 5 Years Old

Печатается по благославлению Католикоса-Патриарха Всея Грузии
Святейшего и Блаженнейшего Ильи II

Materials of
the Anniversary Scientific Conference

© გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007

ISBN-99940-57-63-4

2007

Tbilisi

Грузинский Технический университет

Грузинская патриархия

Иберийско-кавказский международный научно-учебный центр

Печатается по благославлению Католикоса – Патриарха Всея Грузии
Святейшего и Блаженнейшего Илья II

Грузинский Технический университет

Кафедре теологии 5 лет

Сборник материалов

юбилейной научной конференции

2007

Тбилиси

- 5 -

ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. საუკუნეების მანძილზე (ვიღრე ჩვენს ქვეყანას საბჭოთა იმპერია დაიპყრობდა), ქართული კულტურისა და განათლების უმთავრეს ვექტორს მართლმადიდებლური რწმენა განსაზღვრავდა, შესაბამისად, პოსტკომუნისტურ საქართველოს ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ფაქტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაარსება და წარმატებული ფუნქციონირება.

პატივცემულ მკითხველო, წარმოდგენილ სამეცნიერო კრებულში გაეცნობით: საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის ილია მეორის დალოცვას და სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს; ცნობებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრისა და მისი დამაარსებლის, პროფესორის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის შესახებ; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული საიუბილეო კონფერენციის მასალებს. კრებულს თან ერთვის დანართი, სადაც ქვეყნდება: პროფ. ზაზა აბაშიძის, პროფ. გიული ალასანიას და პროფ. ბონდო არველაძის რეცენზიები პროფესორ ანანია ჯაფარიძის ნაშრომების შესახებ, აგრეთვე, პროფ. ა.ჯაფარიძის შრომათა ანოტირებული ბიბლიოგრაფია და მისი ბოლოდროინდელი რამდენიმე საყურადღებო პუბლიკაცია.

რედაქტორთა საბჭო:

პროფ. არჩილ მოწონელიძე, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი,
პროფ. ივანე გორგიძე, პროფ. შალვა ნაჭყებია, პროფ. ზურაბ
გასიტაშვილი, პროფ. გურამ ჯავახაძე
პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე, პროფ. მანანა ტაბიძე,
პროფ. ტარიელ ფუტყარაძე

- 6 -

The Georgian Apostolic Church occupies a special place in the history of the Georgian nation. Over the centuries (before the occupation of our country by the Soviet empire), the Orthodox faith defined the main vector of Georgian culture and education. Accordingly, the foundation of the Chair of Theology and its successful functioning at the Technical University of Georgia must be regarded as a noteworthy fact in post-communist Georgia.

In the present scientific publication readers will find: the blessing of Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia, and his address at the opening of the Chair of Theology, information on the Chair of Theology of the Technical University of Georgia and its founder Metropolitan Anania Japaridze, Professor, well-known researcher of the history of the Georgian Church; materials of the Anniversary Scientific Conference held at the Technical University of Georgia. The appendix to the collected papers includes: reviews of Prof. Zaza abashidze, Prof. Giuli Alasania, and Prof. Bondo Arveladze concerning Prof. Anania Japaridze's studies, as well as the annotated bibliography of Prof. A.Japaridze's papers and his several recent noteworthy publications.

Editorial Board:

Archil Motsonelidze, Archil Prangishvili,
Ivane Gorgidze, Shalva Nachkebia, Zurab Gasitashvili,
Guram Javaxadze, Teimuraz Gvantseladze, Manana Tabidze,
Tariel Putkaradze

В истории грузинского народа особое место занимает Грузинская Апостольская Церковь. В течение веков (до порабощения нашей страны советской империей) основной вектор грузинской культуры и образования определялся православной верой, соответственно, одним из знаменательных фактов посткоммунистической Грузии можно считать основание и успешное функционирование кафедры теологии в Грузинском Техническом Университете.

Уважаемый читатель, в представленном научном сборнике Вы ознакомитесь: с Благословением и Словом Католикоса-патриарха Всея Грузии, произнесённым им при основании кафедры теологии, сведениями о кафедре теологии Грузинского Технического университета и его основателе, профессоре, известном исследователе истории Грузинской Церкви, Митрополите Анании Джапаридзе; материалами проведенной в Грузинском Техническом Университете юбилейной конференции. К сборнику прилагаются: рецензии проф. Заза Абашидзе, проф. Гиули Аласания и проф. Бондо Арвеладзе о трудах профессора Анании Джапаридзе, а также аннотированная библиография трудов проф. А.Джапаридзе и несколько его последних значительных публикаций.

Редакционная коллегия:

**А. Моцонелидзе, А. Прангшвили, И. Горгидзе,
Ш. Начкебия, З. Гаситашвили, Г. Джавахадзе,
Т. Гванцеладзе, М. Табидзе, Т.Путкарадзе,**

თქვენო უწმიდესობაგ!

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს 28.09.2001 წ. ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში დაფუძნდა თეოლოგიის კათედრა. გთხოვთ თეოლოგიის კათედრის წინამძღოლად მოავლინოთ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის წევრი მეუფე ანანია.

თქვენო უწმიდესობაგ!

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა უმორჩილესად ითხოვს თქვენგან ლოცვა-კურთხევას.

ულრმესი პატივისცემით რ. ხუროძე
29.09.2001

თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

თანათავმჯდომარეები:

**მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)
პროფ. არჩილ მოწონელიძე**

წევრები: ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), დეკანოზი გიორგი (ზვიადაძე) (თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი), პროფ. ა. ფრანგიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი), პროფ. ზ. გასიტაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. ი. გორგიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. დ. გორგიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. გ. გუგუშვილი (თბილისის სასულიერო აკადემია), პროფ. ს. ესაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ნ. ვანიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. შ. ნაჭყებია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. ტ. ფუტყარაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. ა. შავგულიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. რ. ჩიქოვანი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), პროფ. გ. ჯავახაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

სარჩევი

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II - “მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა”..... 15

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა..... 23

ი.გორგიძე, გ.გუგუშვილი, გ.ჯავახაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა - სასულიერო და საერო სამეცნიერო ცენტრი.....45

შალვა ნაჭყებია - თეოლოგიის კათედრის დაფუძნება 48

გ.გუგუშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის ისტორია 51

ნ. ვანიშვილი - ჩვენი სტუდენტობა - ერის სიამაყე, თეოლოგიის კათედრა - ჩვენი მონაპოვარი..... 59

ნ. ბართაია - ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობებიდან (ქაქუცა, ქურა, გარნა) 62

თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, მ. ნაჭყებია - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი.....66

ვ. გურული - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა 86

რ. გუჯეჯანი - “ერთობილნი სვანნი“ საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. 1. დეკანოზი იოანე მარგიანი..... 104

გ. პაპუაშვილი - კულტურის ცნების პროვიდენციური გააზრებისათვის....114

ლ. მათეშვილი - რწმენის, წარმართული განათლებისა და ელინისტური ფილოსოფიის მიმართებისათვის 120

ტ. ფუტყარაძე - ასომთავრული ანბანისა და ქართული სამწიგნობრო ენის სათავე - ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა... 127

მ. ჩუხუა - ზოგი ქართული სამწერლო ტერმინის ისტორიისათვის.....	158
მ. ჭაბაშვილი - ქალის დანიშნულება გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში	162
დანართი.....	169-232
ზ. აბაშიძე - სამაგიდო წიგნი ეკლესიის ისტორიაში.....	170
გ. ალასანია - მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის “საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII-XVIII სს)”	172
ბ. არველაძე - მიტროპოლიტის, პროფ. ანანია ჯაფარიძის “საქართველოს საეკლესიო კრებები“ (ტ. I, ტ. II, ტ. III, თბ, 2003) და ქართული ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.....	177
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - ხელმწიფე ივერიისა - ლევან II დადიანი.....	198
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით.....	206
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე): “მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაყონ, ერი დაანაწევრონ...”	211
მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძე) ძირითად შრომათა ანოტირებული ბიბლიოგრაფია	217

CONTENTS

Ilia II, Catholicos, Patriarch of All Georgia - "A Faithful Person is a Servant of God, and a Faithful Educated Person is a Friend of God"	16
Metropolitan Anania (Japaridze) - The Dominant View in Soviet Historiography on Proselytism of the Georgian Church and its Criticism.....	39
I.Gorgidze, G.Gugushvili, G.Javakhadze -The Chair of Theology of the Technical University of Georgia-A Spiritual and Secular Scientific Research Centre.....	42
Sh. Nachkebia – Foundation of The Chair of Theology.....	45
G.Gugushvili - History of the Chair of Theology of the Technical University of Georgia	48
N.Bartaia - From Georgian-Iranian Linguistic Relations (Kakutsa, kura, Garna).....	59
T.Gvantseladze, M.Tabidze, M.Nachqebia - Bishop Grigol Dadiani of Guria and Samegrelo (The Struggle for the Mother Tongue in the Second Half of the 19th Century).....	77
V.Guruli - National and State Consciousness: the Past and the Present Day.....	96
R.Gujejani - "Ertobilni Svanni" (All Svans) against the Russification Policy in Georgia.....	106
G.Papuashvili -On the Providential Interpretation of the Concept of Culture...113	
L.Mateshvili - On Interrelation of Faith, Pagan Education and Hellenistic Philosophy.....	120
T.Putkaradze - The Source of the Asomtavruli Alphabet and the Georgian Literary Language - the Common Kartvelian Language Existing in the 2nd-1st Millennia BC.....	148
M.Chukhua - On the History of Some Georgian Literary Terms	154

M.Chabashvili - The Role of Woman in Sermons of Bishop Gabriel	160
Appendix	163-225
Z.Abashidze - Handbook in Church History	164
G.Alasania - "History of the Georgian Church in the Middle Ages (the 12th-18th cc.)" by Archbishop Anania Japaridze	166
B.Arveladze - "Church Councils of Georgia" (volumes I, II, III, Tb., 2003) by Metropolitan Prof. Anania Japaridze and Some Questions of the Georgian Church History.....	171
N.Vanishvili - Our Students - Pride of the Nation, the Chair of Theology - our Achievement	192
Metropolitan Anania (Japaridze) - Levan II Dadiani, King of Iveria	195
Metropolitan Anania (Japaridze) - The Church Jurisdiction of Western Georgia according to the Life of St. Maximus the Confessor	203
Metropolitan Anania (Japaridze): "They are not Interested in the Georgian Church Language or in the Translation of the Bible, in Fact, they Intend to Divide the Nation by Similar Methods..."	208
Annotated Bibliography of Metropolitan Anania Japaridze 'e Papers ...	214

Оглавление

Католикос-патриарх Всея Грузии Илья II – «Верующий – человек – раб Божий, а верующий образованный человек – друг Божий»	18
Митрополит Анания (Джапаридзе) – Господствовавший в советской историографии взгляд о прозелитизме Грузинской Церкви и его критика	40
И.Горгодзе, Г.Гугушвили, Т.Джавахадзе – Кафедра теологии Грузинского Технического университета – духовный и общественный научно-исследовательский центр.	42
III. Начкебия – Основать кафедры теологии.....	45
Г.Гугушвили – История кафедры теологии Грузинского Технического университета.....	48
Н.Бартая – О грузино-иранских языковых взаимоотношениях (Какуца, кура, гарна).....	59
Т.Гванцеладзе, М.Табидзе, М.Начкебия – Гурийско-мегрельский епископ Григорий Дадвани (борьба за «Родной язык» во второй половине XIX века)... ..	78
В.Гурули – Национально-государственное миропонимание – прошлое и современность.....	97
Р.Гуджеджиани – «Все сваны» против руссификаторской политики 1. Протоиерей Иоан Маргиани	107
Р.Папуашвили – о провиденциальном осмыслении понятия “культура”... ..	113
Л.Матешвили – Вера, языческое образование и эллинистическая философия.....	120
Т.Путкардзе – Истоки письменности «асомтаврული» и грузинского письменного языка – существующий во II-I тысячелетиях до н.э. общегрузинский язык.	150
М.Чухуа – Об истории некоторых грузинских письменных терминов.....	155

М.Чабашвили–Назначение женщины в проповедях епископа Гавриила...	161
Приложение.....	163-225
З.Абашидзе – Настольная книга по истории церкви.....	164
Г.Аласания – «История Грузинской Церкви в средние века (XII-XVIII вв.)» Архиепископа Анания Джапаридзе.....	166
Б.Арвеладзе – «Грузинские церковные соборы» Митрополита проф. Анания Джапаридзе (т.І, т.ІІ, т.ІІІ, Тб. 2003) и некоторые вопросы истории Грузинской Церкви.....	171
Н.Ванишвили – Наше студенчество – гордость нации, кафедра теологии – наше достояние.	192
Митрополит Анания (Джапаридзе) – «Царь Иверии» – Леван II Дадияни.....	195
Митрополит Анания (Джапаридзе) – Церковная юрисдикция Западной Грузии по жизни Св. Максима Исповедника	203
Митрополит Анания (Джапаридзе): «Их вовсе не интересует грузинский церковный язык, ни перевод Библии, в действительности они стараются такими средствами разделить народ, раздробить нацию...»	208
Аннотированная библиография трудов Митрополита Анания Джапаридзе.....	214

ილია II - სრულიად საქართველოს კათალიკოს- პატრიარქი

“მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა“

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს 2001 წლის
19 ოქტომბრის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა).


თქვენო აღმატებულებავ, ბატონო რექტორო, პროფესორო მასწავლებლებო, სტუდენტებო, ქალბატონებო და ბატონებო! მე მოხარული ვარ, რომ დღეს ვიმყოფები თქვენთან ერთად. მე მინდა ვთქვა, რომ ეს არის ისტორიული დღე, როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუძნდება თეოლოგიის კათედრა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რამდენად რთულია ეს დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები მეცნიერებაში და ტექნიკაში წინ, მაგრამ, ამავ დროს გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები უკან რწმენაში და სულიერ საქმეში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მეცნიერება და ტექნიკა ეს არის ღვთის დიდი მადლი. მაგრამ ძალიან საშიშია მეცნიერება და ტექნიკა არასულიერი ადამიანის, ურწმუნო ადამიანის ხელში... აი, ამიტომ მიმაჩნია მე, რომ ღვთისმეტყველების კათედრის დაფუძნება ტექნიკურ უნივერსიტეტში დროული და აუცილებელია. მართლაც, დღეს სულიერების, სიყვარულის საოცარი დეფიციტია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღდგეს ეს ჰარმონია სულსა და მატერიას შორის.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია რწმენა და ცოდნა. ამას შეეხო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი. მან თქვა, რომ პირველადი არის რწმენა და ცოდნა რწმენაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, აგრეთვე, რომ არ არის საკმარისი ადამიანი იყოს მორწმუნე, მას აუცილებლად ცოდნა უნდა ახლდესო და ის ასეთ დასკვნას აკეთებს: “მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა“.

თქვენ გახსოვთ, რომ ეს სახარებიდან ამოღებული სიტყვებია, აზრია, თქვენ გახსოვთ, როცა ჯვარცმის წინ, უფალი ჩვენი, იესო ქრისტე ეუბნება მოციქულებს: “მეგობარო ჩემო“.

ამიტომ ჩვენ საპატრიარქოში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ღვთისმეტყველების კათედრამ იმუშაოს, რომ თქვენ ცოდნა მიიღოთ, მაგრამ ამავე დროს, ვისაც სურს, რომ ღრმა ღვთისმეტყველი იყოს, ღრმად ჩასწავდეს ღვთისმეტყველებას, აუცილებლად საჭიროა ცოდნა, აუცილებლად საჭიროა ღრმა მეტყველება, ფილოსოფიური აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება.



თქვენ გახსოვთ დიდი ღვთისმეტყველები: ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი.... უპირველეს ყოვლისა, მათ შეისწავლეს ანტიკური ფილოსოფია და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფილოსოფია გამხდარიყო საფუძველი თუ მსახური ღვთისმეტყველებისა. ასეთი გამოთქმაც არსებობს: ფილოსოფია არის მსახური ღვთისმეტყველებისაო. ამიტომ ცოდნა საჭიროა, ღრმა აზროვნება საჭიროა და მე მოგიწოდებთ ჩვენს ახალგაზრდებს, სტუდენტებს, რომ ყოველდღიურად თქვენი განუყოფელი მეგობარი და თანამგზავრი იყოს წიგნი. მე არა ერთხელ შევეხე ამ საკითხს და ვფიქრობ, რომ სასკოლო პროგრამაში აუცილებლად უნდა შევიდეს

ღრმა აზროვნება. ჩვენ ბავშვებს პირველი კლასიდან უნდა ვასწავლოთ ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნება და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღებთ მოაზროვნე ახალგაზრდობას. მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს.

მე ასე წარმომიდგენია ღვთისმეტყველების კათედრის მუშაობა: აქ არის ზღვა მასალა. ადამიანმა შეიძლება ყველაფერი იცოდეს ზერელედ, ზედპირულად და ზოგადად. რა თქმა უნდა ყოველმა ჩვენგანმა უნდა ისწავლოს, მაგრამ ეს სწავლა მე ასე წარმომიდგენია: ყოველმა ჩვენგანმა, ყოველმა თქვენგანმა რომელიმე წმინდა მამა უნდა აირჩიოს, დავუშვათ, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნეტარი ავგუსტინე და მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეთ ამ წმინდა შრომებს, თუ რა არის და არ არის თარგმნილი ქართულად, რა არის რუსულად, რა მოიპოვება ბერძნულ ენაზე და თქვენ ამა თუ იმ წმინდა მამის სპეციალისტი იქნებით.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველი იმავე დროს პოეტი იყო. გრიგოლ ღვთისმეტყველს ზედმეტსახელად “გონება“, განუსაზღვრელი გონება“ დაარქვეს.

აი, ასე წარმომიდგენია მე აქ თეოლოგიის კათედრის მუშაობა. ეს არ უნდა იყოს მარტო რაღაც პატარა ჯგუფი, თუ წრე. ამ ღვთისმეტყველების კათედრამ მარტო თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა კი არ უნდა მოიცვას, არამედ საერთოდ ჩვენს ეკლესიაში და ჩვენს საქართველოში უნდა დანერგოს, რომ ყოველი თქვენგანი ამა თუ იმ წმინდა მამის სპეციალისტი იყოს. ასე რომ ახლავე იფიქრეთ, თუ რომელ წმინდა მამას აირჩევთ.

მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმინდა სინოდში თავისი ერთდღიითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება და უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბატონი რექტორის დამსახურება და მადლობას ვწირავ მას.

Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia - "A Faithful Person is a Servant of God, and a Faithful Educated Person is a Friend of God"

(address at the session of the Great Council of the Technical University of Georgia on October 19, 2001)

Mr. Rector, Professors and Teachers, Students, Ladies and Gentlemen!

I am glad to be here with you today. I would like to say that this is a historic day, when the Chair of Theology is being set up at the Technical University. You are well aware at how difficult time we live. Gigantic steps have been made forward in science and technology, however, at the same time gigantic steps have been made backwards in faith and the spiritual sphere. You know very well that science and technology are great grace given by God. But science and technology are very dangerous in the hands of an unspiritual man, an unfaithful person... Therefore, I think that the establishment of the Chair of Theology at the Technical University is timely and necessary. There is an amazing lack of spirituality, love today indeed and we must do our best to restore this harmony between spirit and matter.

As you know, the interrelation of faith and knowledge was the object of consideration already in the first centuries. Great scholar Clement of Alexandria expressed his view in this regard. He noted that faith is primary and knowledge should be based on it.

Clement of Alexandria also notes that it is not sufficient for a person to be a believer, and that it must be accompanied by knowledge. He concludes: a person who is only faithful is a servant of God, and an educated faithful person is a friend of God".

As you remember, these words and idea are taken from the Gospel. Before the Crucifixion Our Lord Jesus Christ addresses His Disciples as "my friends".

That is why at the Patriarchate we do everything to enable the Chair of Theology to function properly, to allow you to receive education. At the same time, those who wish to be profound theologians, to gain an insight into theology, require knowledge; philosophical thought, and analytical thinking are absolutely necessary.

You remember great theologians: Basil the Great, Gregory the Theologian, John Chrysostom...First of all, they studied ancient philosophy and did their best to turn philosophy into the basis or servant of theology. There is even a saying: Philosophy is a servant of theology. Therefore, knowledge and profound thinking are necessary and I call upon you - our youth, students - to make friends with books. I have repeatedly touched upon this

question and I believe that profound thinking must be entered in the curriculum of schools. We must teach children from the first form to think analytically, logically and when they finish the secondary school, they will be intellectual young persons, capable of thinking. I congratulate you on this happy day.

I view the work of the Chair of Theology in the following way: there is a tremendous amount of material here. One may know everything superficially and generally. Each of us should of course study, but this is how I imagine this study: each of you should choose one saint father, e.g. Basil the Great, Gregory the Theologian, St. Augustine, and study these sacred works during your lifetime, find out what is translated into Georgian, Russian, what is available in the Greek language, and thus you will specialize in one or another saint father.

I would like to remind you that e.g. Gregory the Theologian was a poet at the same time. His nickname was "reason", "infinite reason".

I think that the Chair of Theology must not be a certain small group or circle. This Chair of Theology must not cover only the students of your university, but it should introduce this principle in our Church and entire Georgia, to allow each of you to be a specialist on one or another saint father. So already consider which saint father you will choose.

I would like to congratulate you once again on this happy day and tell you that Archbishop Anania is elected the Head of the Chair, who is distinguished in the Holy Synod for his erudition and profound thinking, therefore, I believe that this is a very good choice. This is due to your great services, and primarily to the service of Mr. Rector, for which I am very grateful to him".

Илья II – Католикос - патриарх Всея Грузии: «Верующий человек – раб Божий, а верующий образованный человек – друг Божий»

(Слово, произнесённое на Расширенном Совете Грузинского Технического университета 19 октября 2001 года).

Ваше Превосходительство, господин ректор, профессора, учителя, студенты, дамы и господа. Я рад находиться сегодня вместе с вами. Хочу сказать, что это исторический день, когда в Техническом университете создаётся кафедра теологии. Вам известно, в какое тяжёлое время мы живём. В науке и технике сделаны большие шаги вперёд, но в то же время в вере и духовности сделаны большие шаги назад. Вам известно, что наука и техника – дар Божий. Но для неверующего человека они представляют опасность. Поэтому считаю, что основание кафедры Богословия в Техническом университете своевременно и обязательно. Действительно, сегодня огромный дефицит духовности и любви. Мы должны сделать всё для восстановления гармонии между Духом и Материей.

Известно, что уже в первые века размышляли о том, каковы взаимоотношения между Верой и Знаниями. Об этом говорил и такой великий учёный, как Климентий Александрийский. Он говорил, что первичной является вера и на неё должны опираться знания.

Климентий Александрийский также говорит, что человеку вместе с верой необходимы и знания. Он делает такое заключение: верующий человек является рабом Божьим, но верующий образованный человек – друг Божий.

Вы помните, что это слова из Евангелия, когда перед Распятием Господь наш Иисус Христос говорит апостолам: «Друзья мои».

В Патриархии мы всячески содействуем работе кафедры Богословия, чтобы все желающие получили знания, постигли глубины Богословия, научились правильно говорить, философски и аналитически мыслить.

Напомню имена великих Богословов: Василия Великого, Григория Богослова, Иоана Златоуста... . В первую очередь они изучили античную философию и способствовали тому, чтобы философия стала основой и опорой Богословия. Есть такое высказывание: Философия-служанка Богословия. Необходимы знания, глубина мысли. Призываю нашу молодёжь, студентов, чтобы их ежедневным и неразлучным другом была бы книга. Я не раз касался этого вопроса и считаю, что в школьной программе должно быть

предусмотрено развитие навыков глубокого мышления. С первого класса мы должны учить наших детей аналитически, логически мыслить, чтобы после школы наша молодёжь была бы мыслящей. Поздравляю Вас с этим счастливым днём.



Работу кафедры Богословия я представляю так: тут огромный материал. Человек может иметь обо всём поверхностное и общее представление. Конечно, каждый из нас должен учиться, эту учёбу я представляю так; каждый из нас, каждый из вас должен выбрать какого-нибудь Святого Отца, например, Василия Великого, Григория Богослова, Блаженного Августина и в течение всей жизни изучать их святые труды; некоторые переводы есть, других нет на грузинском, одни есть на русском или греческом... . Вы должны стать специалистом по учению того или иного Святого Отца.

Напомню вам, что, например, Григорий Богослов был ещё и поэтом. Григория Богослова называли «Разумом, неопределённым Разумом». Именно так я представляю работу кафедры теологии. Это не должна быть маленькая группа или кружок. Кафедра Богословия не должна объединять лишь студентов вашего университета, она должна утвердиться в нашей Церкви, в Грузии, способствовать тому, чтобы

каждый из вас стал бы специалистом по учению того или иного Святого Отца. Решайте, какого Святого Отца будете изучать.

Поздравляю с этим счастливым днём и заявляю, что заведующим кафедрой назначен Архиепископ Владыко Анания, известный в Святом Синоде своей эрудицией и глубокомыслием. Считаю, что это очень хороший выбор. Это заслуга всех вас и, в первую очередь, заслуга господина ректора, за что выражаю ему благодарность».

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის გამგე

საბჭოთურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა

საგნობრივ ჯგუფში, რომელსაც ასწავლიან თეოლოგიის კათედრაზე, შედის: მსოფლიო რელიგიები, რელიგიები და საზოგადოება, რელიგიები საქართველოში, რელიგიების ისტორია ევროპაში, მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში (საქართველოში).

თეოლოგიის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი, ვითარცა საქართველოს მოქალაქეს, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში ისტორიული, რელიგიური და კულტურული რეალობების გათვალისწინებით, მიაწოდოს მას ცოდნა და ინფორმაცია, ამასთანავე დაენმაროს, რათა გამოიმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მოამზადებს მას (სტუდენტს) აქტიური მოქალაქეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს წინაშე, რათა შეიცნოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, გამოიმუშავოს პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი და სხვა კულტურების (მათი წარმომადგენლების) მიმართ, ამასთანავე, განუვითარდეს, გაუღრმავდეს ისეთი ღირებულებები, როგორცაა ღირსება და სამართლიანობა. თეოლოგიის დარგთან უძველესი ხანიდანვე საქართველოში გამორჩეულად შეისწავლებოდა საისტორიო ღვთისმეტყველება, თუმცა არც მისი ეგზეგეტიკური, სისტემატური და პრაქტიკული ნაწილები იყო უყურადღებოდ დატოვებული.

საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია, სწავლობდა საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების - პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ვითარცა საისტორიო საღვთისმეტყველო ნაწილის შესწავლის ძირითადი მიზანია შეცნობა ჭეშმარიტებისა, ვითარცა თავისუფლების (პიროვნული, ეროვნული, საეკლესიო და სხვა) საფუძვლისა.

მაცხოვარი ბრძანებს: “სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე, 8, 32).

წმინდა მამები კი აღნიშნავენ - “თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებლმან ყოველთა კაცთამან“ (III მსოფლიო კრების მერვე კანონი, “დიდი სჯულის კანონი“, 1975, გვ.267).

ღვთის დიდი შიშითა და კრძალვით ჭეშმარიტებით ძიება სიმათლისა მიზანი იყო საქართველოს ისტორიის სასულიერო მწერლებისა, უძველესი საისტორიო წყაროების - “მოქცევაი ქართლისაჲსა“ და “ქართლის ცხოვრების“ ავტორებისა და შემკრებლებისა.

ამის საპირისპიროდ, XX ს-ში, ათეისტურ-ბოლშევიკური რეპრესიების შემდეგ ისტორიულ მეცნიერებაში ჭეშმარიტების ძიება წახალისებული არ ყოფილა, უფრო მეტიც, მოითხოვებოდა წყაროების გაყალბება ან მათი ინტერპრეტირება ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ჩაყენება მარქსისტული იდეოლოგიის სამსახურში.

ჭეშმარიტებით შექმნილი ჩვენი ხალხის ძველი ისტორია “რეაქციულ თეორიად“ გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ “გადამწყვეტი ბრძოლა“ (“აუცილებელია დრომოჭმული რეაქციული თეორიების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა“ - გაზეთი “პრავდა“ 18. 2. 1949).

უფრო ადრე XX ს-ის 30-იან წლებში საქართველოს ძველ ისტორიოგრაფიას “ციხე-სიმაგრე“ უწოდეს, რომელიც უთუოდ უნდა დაენგრიათ, სახელმწიფოს დიდმოხელე აცხადებდა - “ჩვენ წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად“ (“ივ. ჯავახიშვილი ტირანიის წინააღმდეგ“, თბ. 2004, გვ.172).

XX ს-ის 20-იან-30-იან წლებშივე ჩაეყარა საფუძველი “ქართიზაციის თეორიას“.

ეს თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც. ამჟამად “ქართიზაციის“ თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XXს. და XXI ს-ის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და, ასევე, ფილოლოგიაში.

მართალია, ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ადგილი ახალმა დაიჭირა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ამჟამინდელი რეალური ფაქტები აჩვენებს, მან ვერ შეძლო ქართველი ერის ინტერესების დაცვა და ისტორიული სიმათლის წარმოჩენა სეპარატისტების მიერ

გაჩაღებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების დროს. ოკუპანტების მიერ აფხაზეთის დაჭერის წინ ე.წ. “იდეოლოგიურ ომში“ ქართველთა დამარცხება უნდა აიხსნას ახალი ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტითაც, რომელიც იქამდე ათეული წლების მანძილზე აცხადებდა, რომ თავდაპირველად, უძველეს ხანაშივე, კოლხეთის სამეფოს ეპოქაშივე, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღეური ტომებით და შემდგომ დროს მათ ადგილზე ჩასახლდნენ ქართველური ტომები. არა მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს მხოლოდ ენთუზიასტი ისტორიკოსები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა “ქართიზაციის“ თეორიით ხელშეკრულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო სიმათლის წარმოჩენა. მართლაც, მას გაუჭირდა ქართველთა სამართლიანობის წარმოჩენა, რადგანაც იქამდე მეცნიერულად ამტკიცებდა “ქართიზაციის“ თეორიის შესაბამისად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, მათ შორის, სამაჩაბლოში ისტორიულად მცხოვრები დვალელები იყვნენ არა ქართველები, არამედ - არაქართველები, რომელთა “ქართიზაცია - გაქართველება“ მოხდა გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. თითქოსდა არამართო დვალელები და სხვა მთიულები — გაქართველებული “ქართიზებული“ ხალხი ყოფილან ჰერ-კახები, ქვემო ქართლები, ტაო-კლარჯელები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თანაც თურმე მათი ასიმილაციის პროცესში საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღოდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სტატიაში “ქართველები“ ასეთი ტერმინოლოგიით არის აღწერილი ეს პროცესი: “ქართის ტომმა“ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები “არაქართულ და არაქართველურ“ ტომებში შეღწევა - ინფილტრაცია და მათი ასიმილაციის შემდეგ IX-X სს-ში ჩამოყალიბდა “აღმოსავლურ-ქართული ეროვნება“ (ქსე, ტომი 10, 1986წ. სტატია “ქართველები“ გვ.459). ამ სტატიის მიხედვით, ქართის ტომმა შეძლო “პერულ-ალბანური მოსახლეობის ქართიზაცია“ (ქსე, 10, გვ.460). მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, ჰერები და ალბანელები ერთი ხალხია ანდა პერულ-ალბანური მოსახლეობა ერთი ეთნოსია, რომელიც შემდგომ ქართიზებული იქნა და შეემატა “აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას“. აქედანაც ჩანს, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იყო დრო როდესაც ჰერები ქართველები არ იყვნენ. “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ მიხედვით კი, თავდაპირველად ისინი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში იყვნენ. საინტერესოა, რომ მიუხედავად ამ ოფიციალური მოსაზრების არსებობისა, თბილისიდან ამჟამად დაბეჭივით უნერგავენ საინგილოს მოსახლეობას თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან.

თუმცა იქამდე ინგილოებმა თავიანთი ჰერობის შესახებ არაფერი იცოდნენ და ისინი თავიანთ თავს აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. ამჟამად კი თვალსაზრისი, რომ ინგილოები ჰერები არიან, ძალზე გავრცელდა, ამის პარალელურად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰერები და ალბანელები ერთი ხალხი იყო და, ამასთანავე, ალბანელები აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები იყვნენ, შესაბამისად, ალბანური კულტურა აზერბაიჯანული კულტურის საკუთრებაა და შემდგომ ქართულმა ეკლესიამ ის მისაკუთრა. მაშასადამე, ინგილოები თუ ჰერები არიან, ისინი ამის გამო აზერბაიჯანულ ტომად მოიაზრება.

ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, როგორც ვთქვით, IX-X სს-ში ჩამოყალიბებულა აღმოსავლურ-ქართული ეროვნება და მისი სახელი ყოფილა - "ქართველები".

რა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოში? დასავლეთ საქართველოში თურმე ჩამოყალიბებულა სხვა დასავლურ-ქართული ეროვნება და ასეთი პროცესები განვითარებულა: ჩვენი ენციკლოპედიის თანახმად, დაიწყო დასავლეთ საქართველოს "ქართიზაცია" ეკლესიის მეოხებით - "IXს-დან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა", რის შედეგადაც ტერმინმა "ქართველი" კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა (ქსე, 10, გვ.460).

მეორე ავტორის აზრით, და ესაა საყოველთაო ოფიციალური თვალსაზრისი - "ეთნიკური არაქართველი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა, ქართველად ითვლებოდა" (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ.15). ამ ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში იქამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო მაღალი კლასის საფეხურის კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი "ქართიზაცია" (იქვე, გვ.5, გვ.7, გვ.83). როგორც ვთქვით, ეს პროცესი ქართული ეკლესიის მეოხებით ხორციელდებოდა, რომელიც იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მათ მრევლს ითვისებდა. ცხადია, ესაა დადანიშნულება პროზელიტიზმში. იყო თუ არა ქართული ეკლესია პროზელიტური? პროზელიტიზმი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და პროზელიტიზმი ანუ სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისთვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. ქართული ეკლესიისათვის ასეთი ეპითეტი სასიამოვნო არ არის. ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის წარმოჩენა სურთ:

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით, "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში", სადაც ბრძანა: "**ქართული ეკლესიის** კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის". (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, ქვემოთ განვიხილავთ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სტატიებს) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვს ამ კუთხეებზე.

ჩვენ კი ვაცხადებთ: შეუძლებელია, საქართველოს წმინდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო, რატომ? ისტორიულად სიტყვა "პროზელიტი" ერქვა იუდაურ სარწმუნოებაზე მიქცეულ წარმართს, მაგრამ ამჟამად "პროზელიტური" ეკლესია ისეთს ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: "ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება უნდა განიკვეთოს ისიც და მის მის მიერ ხელდასხმულებიც" ("დიდი სჯულის კანონი", საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ.166).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: "ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არცერთ ეპისკოპოსს აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის" ("დიდი სჯულის კანონი", კალენდარი, 1987, გვ.210).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჭიბებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო: - “ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები“, (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, დასახ. ნაშრ. გვ.212).

იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდა მამები? რომლის შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, “რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ“, სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით?

ქართული ეკლესია კი თურმე არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - “დასავლეთ საქართველოში **გაბატონდა** ქართული ეკლესია და მღვდელთმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში “ქართიზაციის“ პროცესს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტომი “საქ. სსრ“, 1981წ. გვ.61).

ქართული ეკლესიის “გაბატონებამდე“ დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს “გაბატონების“ შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. ოფიციალური ისტორიკოსი წერს: “ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც

კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს. ბოლო ან IX ს. დასაწყისი); შემდეგ IX ს. მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინოპოლს და მცხეთის ტახტს უერთიანდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება, ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება (ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ.427). თუ როგორი რეაქციული იყო ქართული ეკლესიის ეს “პროზელიტიზმი“ ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: “ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ “მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი **ორგანიზაციული გაბატონების** დასასაფუძვლებლად - “ქართლია“ იქ, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე (მხოლოდ “კვირიელისონი“ შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა “ქართლს“ განეწესება. მამ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ, ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე **ორგანიზაციულად გაბატონების** მიზნით (თ. პაპუაშვილი, 1973, გვ. 586). ამ მოსაზრების საპირისპიროდ XX ს. ბოლოს ქართულმა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ სულ სხვაგვარად ახსნა ის პროცესები, რომელნიც მიმდინარეობდნენ VIII-IX სს-ში ჰერეთში, ტაო-კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (იხ. ა. ჯაფარიძე, 1996-1999).

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX ს. ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა საისტორიო თეორიას ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და “მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ“ (საბჭოური სიტყვებია). ცნობილი ბერძენი

კანონისტი - მიტროპოლიტ მაქსიმეს წიგნი “საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“, არ ფლობს ცნობებს ამასთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ანუ უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა ცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ, ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედა ეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმინდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო.

მრავალჯერ აღინიშნა, რომ უცხოეთში ეს თეორია ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა “პრავოსლავანია ენციკლოპედიაში“. არასოდეს არცერთ საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ანდა შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობის დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომელიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპეზონის ოლქი ეწოდა, იქამდე კი მას ერქვა “ქალდეა“, “სოფელი მეგრელთა“. იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზივანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყალამდე (ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმინდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ასე რომ, ჩვენი ძველი საეკლესიო მატრიანების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში იმთავითვე ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა “რუის-ურბნისის“

საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - “ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ (“დიდი სჯულის კანონი“, 1975, გვ.545), ხოლო წმინდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია “ყოველი სავსება ყოველისა ქართველთა ნათესავისა“ (იქვე, გვ.546).

ამ კრების წმინდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოაქცია წმინდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად როდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს - გიორგი II-ს X ს-ის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში “ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ“, ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის განცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957), (იხ., მისი წერილები გიორგი II-ისადმი გეორგიკა, IV, ნარკვ. II); ერთი სიტყვით, **წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.**

აღმოსავლეთში, ბატონ დავით მუსხელიშვილის თვალსაზრისით, თვით წმინდა ნინოს “საქმიანობა“ თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (ალბანელები) გაექართველებინა. ჩემი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმინდა ნინოსი ძალზე უცნაურია. დ. მუსხელიშვილი წერს: ბოდბე სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აქ “ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო“ (დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ. 38). “ჩანს, მირიან მეფის და წმინდა ნინოს ინტენსიური კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა, არა მხოლოდ ალვანელთაგან, არამედ სომხებისგანაც“ (იქვე, გვ. 38). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა ნინო “აქართველებდა“ არა მარტო ჰერ-ალვანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერების ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა “კლარჯეთიდან მასქუთებამდე“ (ანუ

კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმინდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული მოვსეს ხორენაცი წერს: “სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა (!) ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე. მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მ. ხორენაცი, 1984, გვ. 172).

წმინდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (იგივე ჰერები, დ. მუსხელიშვილის აზრით) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე), ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმინდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალელები გაქართველებული ვაინახები არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ - არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ წმინდა ნინოს “პროზელიტიზმის სიმბოლო” აღუმართავს ახლად შემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოდბეში) და წერს - “მგონია ასე უნდა გავიგოთ წმინდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით “აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ“ (დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ. 39).

ასე იქცა დავით მუსხელიშვილის სიტყვით, “ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად“ (იქვე, გვ. 41). აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმინდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, ქართულ ეკლესიას ჯვარი პროზელიტიზმი მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს,

არაქართული ტომების “ასიმილაცია - გაქართველების“ მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

“ქართიზაციის თეორიის“ გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა “იმპერიალიზმის“ შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა “ერები“ ჰყავთ დაპყრობილი; ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი/ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართულის - “აღზევებით“ იჩაგრება სხვა ქართველური “ენები“; ეს ყოველივე კი მაგანთათვის საფუძველს ქმნის არაქართველებად გამოაცხადონ ქართველთა ერთი ნაწილი, შესაბამისად, არაქართულად მიიჩნიონ მათი მეტყველება (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისთვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 42-77); მაგ., ნ. ქუთელია ამასთან დაკავშირებით წერს: “ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა - მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ “ოკუპანტებს დაუპყრიათ“ და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. არსებობს “დოქტრინა“ - არ არსებობს ქართველი ერი, არსებობს ცალკეულ ტომთა კონგლომერატი“ (ნ. ქუთელია, 2005, გვ. 273).

არათუ უცხოელები, თვით ქართველები ე.წ. ქართიზაციის “თეორიის“ გაცნობის შემდეგ ივიწყებენ ნაციონალურ ინტერესებს და კუთხურობის აპოლოგეტები ხდებიან, ამის ერთი კარგი მაგალითია ა. ლიპარტელიანი, რომელმაც 1994 წელს გამოსცა წიგნი “სვანურ - ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო“. ა. ლიპარტელიანი თავისი წიგნის შესავალში წერს: “აღმოსავლეთ საქართველოში იბერების მოქმედებით განადგურდა სვანური მოსახლეობა“ (ა. ლიპარტელიანი, 1994, გვ. X). უდრ., სხვა მსგავსი ციტატები მისი წიგნიდან: “მირიანმა სასტიკად დასაჯა ეს ჰენიონი ჰერი - წანარი - სვანები, ვინც ჟღერტას გადაურჩა, აყარა და დაასახლა ახლანდელ ტერიტორიაზე, რბევას გადაარჩა ალბანეთის მოსაზღვრე ტერიტორია“ (იქვე, გვ. XI). აი, ამონარიდები მისი წიგნიდან:

“ჰერების კულტურულ - ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ჰერების ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. II-I სს. მიჯნაზე“ (საქ. ისტ. ნარკ. ტ. II, გვ. 402).

“აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის იბერიზაციამდე სვანური მოსახლეობა იყო“ (ა. ლიპარტელიანი, ლექსიკონი, გვ. XIII). “ქართველ გლეხთა პოლიტიკური მომძლავრების შემდეგ მოხდა სვანური ეთნიკური შტოს განადგურება. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეს მომხდარა არა ერთბაშად, მაგრამ ძალდატანებით. ამას ამტკიცებს ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა მირიან მეფის მიერ სვანების აყრის შესახებ და ბავრატ მეფის მიერ მონღოლთა

ჯარის მომველიება და სვანების გაწყვეტა. ამასვე ამტკიცებს ბ. ეგნატაშვილი “მეფე ბაგრატ მიმართა ლანგ - თემურს: მომეც სიმრავლენი სპათა თქვენთანი, წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, მოვხადო კაცთა მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველთა მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ რჯულსა თქვენსა“ (იქვე, გვ. XVII).

ა.ლიპარტელიანს არ ესმის სიტყვა “მოვხადოს“ მნიშვნელობა. მეფე ბაგრატი ამბობს “მოვხადო“ ე.ი. “მოვიხმობ მთიელებს ჩემთან და მათ ვუქადაგებ მაჰმადიანობას“, ა. ლიპარტელიანს კი ჰგონია, თითქოსდა მათ დახოცვას აპირებს მეფე მონღოლთა დახმარებით და ასკვნის: “ბაგრატ IV-მ მოიხმო მონღოლები და გაჟლიტა სვანები“ (იქვე, გვ. XVIII), თუმცა კი მონღოლები არა ბაგრატ IV-ის, არამედ ბაგრატ V-ს დროს იყვნენ საქართველოში.

ა. ლიპარტელიანი თავის წიგნშივე უთითებს მისი აზრების წყაროს - ესაა ნიკო მარი და იმომბებს ნ. მარის სიტყვებს: “თუბალ - კაინებსა (დასავლეთით) და ქართვეს (აღმოსავლეთით) შორის ე.ი. მოსხების სამოსახლოს საზღვრებში თავდაპირველად ცხოვრობდნენ სვანურ ენაზე მოლაპარაკე ტომები... სომეხიაში ე.ი. ისტორიულ სომხეთში V-VI საუკუნეებში ჯერ კიდევ სვანები ცხოვრობდნენ. აქ შეიქმნა პირველი ქრისტიანული მწერლობა, აქედან აითვისეს ქართველებმა თავიანთი ქრისტიანული ლიტერატურის პირველი ძეგლები“ (იქვე, გვ. XVIII).

ა. ლიპარტელიანი იმომბებს ნიკო მარის რუსულენოვან წიგნებს - ნიკო მარი, “მოგზაურობა სვანეთში“ (1911-1912) და ნ. მარი, “ხე - მცენარეულობის იაფეტური სახელები“ (1913).

ქართიზაციის “თეორია“, როგორც ცნობილია, XX საუკუნეში დაეფუძნა ქ.პატკანოვისა და ნ.მარის მოსაზრებებს. პატკანოვ-მარის “თეორიის“ საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ დიდი ილია მართალი ბრძანებდა და, სხვათა შორის, ამასვე მიუთითებდნენ ივანე ჯავახიშვილს მისი მშობლები წერილებში, რომელსაც წერდნენ ახალგაზრდა ვაჟიშვილს (წერილები გამოქვეყნებულია). თითქოს ჩვენს თემას ეხმიანება დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის ცნობილ წერილში: “ტროასეული ცხენი“ (აკად. ნიკო მარის წერილის გამო) წერს - “არსად ისეთი ფელდეფელური მორჩილებით არ იხრის ქედს საზოგადოებრივი აზრი ავტორიტეტთან “უნდევრსიტეტის პროფესორების“ წინაშე, როგორც ჩვენში, რადგან ყველაზე ნაკლებად ჩვენში შეუგნიათ უცილო ჭეშმარიტება გოეთეს დიდი სიტყვებისა: “ხშირად დიდი ადამიანი დიდ გემსავით შეცდომების დიდ ზოლებს ტოვებს თავის სარბიელზე“ (კ. გამსახურდია, “ტროასეული ცხენი“, თხზ. ტ. VIII, 1967, გვ. 140).

ჩვენ, ცხადია, ქედს ვიხრით იმ დიდი ადამიანების წინაშე, რომელთაც შევეხეთ ჩვენს წერილში, მაგრამ მხოლოდ იმ გულსტკივილით, რომ არ დაიშალოს ჩვენი ეროვნული სახლი, რადგანაც წმიდა წერილში ნაბრძანებია: “თუ სამეფო თვისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ველარ გაძლებს“ (მარკოზი, 3, 24).

თუ ჩვენი დიდი ადამიანები ყველა ქართულ თემსა და ტომს საკუთარ წინაპარს გამოუძებნიან - მაგალითად, ინგილოებსა და კახელებს - ჰერ-ალბანელებს, ფშავ-ხევსურებს - ვაინახებს (ზ.დიდებულიძე, 1983, გვ. 33-34), ქვემო ქართლებს - სომხებს, დასავლელ ქართველებს - ადიღე-ჩერქეზებს და ა.შ. თუ განაცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ “ქართიზებულ“ იქნა - ერი - სახელმწიფო დაიყოფა. მით უმეტეს, რომ წყაროები, თუ მათ კარგად და სწორად წავიკითხავთ, მიკერძოების გარეშე, არ იძლევა ამის უფლებას, პირიქით, ჩვენი წყაროები: “მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თუ “ქართლის ცხოვრება“ ლაღადებენ, რომ ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს - “ქართლის სამეფოს“ მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი და ამ სახელმწიფოს ჩრდილო - დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადიოდა აზონისა და ფარნავაზის დროს; თუ რას ნიშნავს წყაროს ეს მითითება, გვიხსნის წმინდა ამბროსი ხელაია: “ჯერ კიდევ არაქრისტიანი ქართული ტომის მოდგმებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა“ (ა. ხელაია, 1990).

მაშასადამე, კათალიკოს-პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას, ზოგადად საქართველოს წმინდა ეკლესიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე I-IV საუკუნეებამდე ქართველთა მოდგმამ შექმნა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო, მატარებელი შესაბამისი ერთიანი კულტურისა.

საბჭოთა იმპერიას ჩვენი დიდი ადამიანებისათვის თავისუფალი მუშაობის საშუალება რომ მიეცა, საჭირო არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა და არც წმინდა ეკლესია განაჩენდა შემდეგს: “დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას“ (წმ. სინოდის სხდომის ოქმი, 23, 2005, საპატრიარქოს უწყებანი, №45, გვ. 7).

ამჟამად, გარკვეული ქართული წრეები ისე წარმოადგენენ საქმეს, თითქოსდა “პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში” მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ეთნიკური და კულტურული სახე იყოს დამახინჯებული, სინამდვილეში აქ საქართველოს ყოველი კუთხის და საერთოდ ქართველი ერის ისტორია გაყალბებულია, როგორც თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალადან ჩანს, სტატიების ავტორები ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდნენ. “პრავოსლავნაია ენციკლოპედია” მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კახეთის და მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მხარეები ისტორიული ალბანეთის მიწა-წყალადაა გამოცხადებული, ალბანელები კი აზერბაიჯანელი ერის წინაპრებად მიიჩნევა, ჰერები - ალბანელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და მახლობელი მხარეები - ალბანელების ანუ აზერბაიჯანელების წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად მოიაზრება. საქმე ისაა, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკლესიის ისტორიის გაყალბება, წყაროებზე ზეწოლა მისი მონაცემების თვითნებური ინტერპრეტირებით კარდინალური დასკვნების მიღება, ჯერ თვით საქართველოს მეცნიერთა მიერ და შემდგომ მათი დამოწმებით უცხოელ ავტორთა მიერ. კერძოდ, სტატია ალბანეთის საკათალიკოსოს“ რუკის მიხედვით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი (ქვემო კახეთი) - ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევა.

ასევე “პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში” სტატიაში: “ალანის სამიტროპოლიტო” აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ ლენინგორის, ყაზბეგის და მიმდებარე მიწა - წყალი წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ალანის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი და, რაც მთავარია, მიწა-წყალი ალანურ კონსტანტინოპოლურადაა გამოცხადებული.

დასავლეთ საქართველოში ამავე ენციკლოპედიის სტატია “აფხაზეთის საკათალიკოსოს” აზრით, არაბების დროს გადასახლდა აღმოსავლეთ საქარველოს მოსახლეობა და იქ შეიტანა ქართული ენა და კულტურა“. ეს იმის შედეგად მოხდა, რომ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში შეიჭრა მცხეთა და იქ გაბატონდა. აფხაზი სეპარატისტებიც ამ თვალსაზრისს არიან ჩაჭიდებულნი; ახლახან გამოიცა “აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოკლე ნარკვევი“ მღვდელ-მონაზონ დოროთე დბარის ავტორობით, სადაც დამოწმებულია “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ აღნიშნული სტატია - ქართველების დასავლეთ საქართველოში გადასახლების

შესახებ VIII-X სს-ში, ავტორი ეჭვიმუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არამხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა ეს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს (იხ. წიგნში **Иермонах Дорофей (Дбар) „Краткий очерк истории Абхаской Православной Церкви“ Новий Афон, 2005).**

“პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ ტომეულებში, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთი საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი “სომხების“ გაქართველება. “სომხების“ გაქართველების “თვალსაზრისი“ იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, კირიონ I კათალიკოსმა თითქოსდა ქვემო ქართლში “არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება“ (“საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, თბ, 2000. გვ.28). სომეხი ავტორები და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ “გაქართველდა“. თუ გადავშლით აღნიშნული სტატიის ავტორის უამრავ ძველ შრომას და მის წიგნებს, ყველგან საუბარია “სომეხთა“ “გაქართველების“ შესახებ. ესაა თეორია, რომელიც ქართული საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა და მას ავითარებდა ბოლო საუკუნის მანძილზე.

ერთი სიტყვით “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ სხვადასხვა ტომში გამოქვეყნებული სტატიები არის მარცხი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისა. მოსალოდნელი იყო, რომ სამეცნიერო წრეები ამ საკითხის განსახილველად გამართავდნენ სემინარებს და მოხდებოდა სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლა, მაგრამ მოხდა ამ სტატიების იგნორირება.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა “ქართიზაცია - გაქართველების“ თეორიას (რაც თითქოს ეკლესიის წინამძღოლობით ქართის ტომმა VIII-Xსს-ში მოახდინა), არ შეუძლია ამჟამად ამ საკითხის გადაჭრა. ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხის გადაჭრას შეძლებს, თუ ის გაიზიარებს ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა VIII-X სს-ში ეკლესიის მეოხებით მეზობელი ტომების ქართიზაციის შედეგად, არამედ რომ ისტორიაში გამოჩენის

დროს ქართველი ხალხი წარმოადგენდა ეთნიკურ მთლიანობას, ერთ ხალხს, ერთი ენითა და კულტურით, რომლის საცხოვრისი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, რომ იმთავითვე ქართველები იყვნენ არა მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობა, არამედ - ეგრისელები, სვანები, კახელები და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, რომ მათ ჰქონდათ ერთი ენა (სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართული ენა) რომელსაც დაეყრდნო საღვთისმსახურო ლიტურგიკული ენა (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ), რომ მხოლოდ შემდგომ დაიწყო ამ ერთიანი ენის შიგნით დიალექტების წარმოქმნა. ასეთი ვითარება არ არის უმაგალითო (მაგალითად, ერთი სლავი ხალხი, ერთიანი ენით მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაიყო სხვადასხვა დიდ ენობრივ ჯგუფებად).

ფაქტი ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტიანობამდე არსებობის შესახებ დაფიქსირებულია ძველ ქართულ წყაროებში, მაგალითად, როცა “მოქცევაჲ ქართლისაჲ” წერს, რომ აზონი დაადგინეს მეფედ მთელი ისტორიული საქართველოსი, რომ მისი პირველი ერთიანი “ქართლის სამეფოს” დასავლეთ საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ცხადია, გულისხმობს, რომ ეგრისწყალთან მდებარე ეგრისი ქართლია, ქართლის სამეფოს ნაწილია, და მისი მოსახლეობა ქართველი ერის ნაწილია. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები ასეთია: “საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა” (“მოქცევაჲ ქართლისაჲ”, ძეგლ. I, 1964, გვ. 81). ამავე თვალსაზრისს ატარებს “ქართლის ცხოვრება”, მისი ყველა მეფე უკლებლივ, ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე, ფლობს დასავლეთ საქართველოს, მაშასადამე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქართველებია (ჩვენი საეკლესიო წყაროების ცნობით) და ამ მოსახლეობას არ ესაჭიროება არავითარი “ქართიზაცია - გაქართველება” (ა. ჯაფარიძე, 1994, გვ. 62, 65). როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც ანდრია პირველწოდებული მთელი საქართველოს მომაქცევლად, ხოლო წმინდა ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებლად იწოდება.

თუ ამ ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს არ გაიზიარებს ოფიციალური ისტორიოგრაფია, ცხადია, ვერ შეძლებს “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” და ვერც ე.წ. სეპარატისტთა (სინამდვილეში - მეზობელი იმპერიის მესვეურთა) მიზნების ჯეროვან შეფასებას.

ყოველივე ზემოთქმული ასე შეგვიძლია შევაჯამოთ:

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მთლიანობის დარღვევის მიზნით რუსეთის იმპერიის წიაღში შემუშავდა შეხედულება

საქართველოს ეკლესიის პროზელიტურობის შესახებ, კერძოდ, თითქოსდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში არსებულმა საქართველოს ეკლესიამ არაკანონიკურად დაიქვემდებარა (და მოსახლეობაც გააქართველა): კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ მყოფი დასავლეთ საქართველოს მომცველი ფაზისის სამიტროპოლიტოს, სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის), მცხეთის აღმოსავლეთით არსებული, მათი აზრით, აღბანეთის (ჰერეთის) საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი საეპისკოპოსოები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანიის სამიტროპოლიტოს ეკლესიები... ეს თვალსაზრისი კარგად გამოიხატა მოსკოვში 2000-2006 წლებში დასტამბულ “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” სტატიებში, რომელთა ძირითადი საფუძველი არის საბჭოთა ისტორიკოსთა ნაშრომები (ასახული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და სხვა გამოცემებში).

ამგვარ შეხედულებას არავითარი ისტორიული საფუძველი არა აქვს; კერძოდ, ძველი ქართული მატრიანებისა და საეკლესიო ისტორიოგრაფიის მრავალი დოკუმენტით დასტურდება:

ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისთანავე და შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ქართლში/საქართველოში შემავალ ყველა მხარეს: ეგრისს, ისტორიულ ტაო-კლარჯეთს, აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე არსებულ ქართველურ თემთა საცხოვრისებს... კვლევა გვიჩვენებს, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო მდებარეობდა არა ქალაქ ფოთში, არამედ მდინარე ჭოროხის (ფაზისის) მარცხენა სანაპიროზე, რომელიც ტრაპიზონის ოლქში იყო მოქცეული, იქვე მდებარეობდა ფაზისის სამიტროპოლიტოს ოთხივე საეპისკოპოსო და არა - დასავლეთ საქართველოში. მცხეთის აღმოსავლეთით მიწა-წყალი მუდამ საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა ქართული წყაროების მიხედვით, და ამიტომ იქადაგა იქ, როგორც მოვსეს ხორენაცოც წერს, წმ. ნინომ ქართველთა შორის კლარჯეთიდან მასქუთებამდე (შდრ., “დიდი სჯულის კანონის “ძეგლისწერა”, გვ. 545-546: “ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა “ყოველსა ქუეყანასა საქართველოსა”, ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია “ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა”). ასევე, ტაოსა და ნაწილობრივ კლარჯეთის ქართველი მოსახლეობა IX-X სს-ში იყვნენ არა გაქართველებული სომხები, არამედ ეთნიკური ქართველები, რომლებიც იქამდე VI-VII სს-ში დამპყრობელთა იძულებით იმყოფებოდნენ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის

იურისდიქციაში, ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტისთანავე მათ გადაიგდეს სომხურ-ქალკედონური ეკლესიის იურისდიქციის უღელი და დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ-ეროვნულ ქართულ ეკლესიას. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს - ის არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, როგორც ამას წყაროები, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ეკლესიების ნაშთების წარწერები აჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **კ. გამსახურდია, 1967** - კ. გამსახურდია, ტროასეული ცხენი (აკად. ნ.მარის წერილის გამო), თბზ. ტ. VIII, 1967
2. დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1975
3. დიდი სჯულისკანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1987
4. ზ.დიდებულიძე, 1983 - 3. Дидебулидзе, Культурные взаимосвязи, 1983
5. **მ. ვანნაძე, ვ. გურული, 2004** - ივ. ჯავახიშვილი, ტირანის სამსჯავროს წინაშე, თბ., 2004.
6. **რ. თოფჩიშვილი, 2002** - რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია, თბ., 2002.
7. **Иермонах Дорофей (Дбар), 2005** - Иермонах Дорофей (Дбар), Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви, Новый Афон, 2005
8. **ა. ლიპარტელიანი, 1994** - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, (ჩოლორული კილო), თბ., 1994
9. **დ. მუსხელიშვილი, 2003** - დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003
10. **დ. მუსხელიშვილი, 2005** - დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში, საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005.
11. **ნარკვევები, 1973** - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბ., 1973
12. **თ პაპუაშვილი, 1973** - ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბ., 1973
13. **ტ. ფუტყარაძე, 2005** - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005
14. **ნ. ქუთელია, 2005** - ნ. ქუთელია, ქართული ენა, როგორც კულტურულ - ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი, კრებულში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბ., 2005
15. **ა. ხელაია, 1988** - ა. ხელაია, მიმართვა გენუის კონფერენციას, აურნალი მნათობი, 1988

16. **მ. ხორენაცი, 1984** - მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984
17. **ა. ჯაფარიძე, 1994** - ა. ჯაფარიძე, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994
18. **ა. ჯაფარიძე, 1996-1999** - ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I-II, 1996-1999

Metropolitan Anania (Japaridze) - Head of the Chair of Theology of the Technical University of Georgia

The Dominant View in Soviet Historiography on Proselytism of the Georgian Church and its Criticism

Summary

In order to destroy the unity of the Georgian Apostolic Church, Russian imperial circles elaborated the view concerning the proselytism of the Georgian Church, namely, allegedly the Georgian Church existing only in the central part of eastern Georgia uncanonically subordinated (and georgianized the population too): the Metropolitan Diocese of Phasis covering western Georgia being under the jurisdiction of Constantinople, southern Georgia (Tao-Klarjeti), dioceses existing to the east of Mtskheta, being, in their view, under the jurisdiction of the Catholicosate of Albania (Hereti) and churches of the Metropolitan Diocese of Alania of eastern Georgian highland regions being under the jurisdiction of Constantinople... This view was expressed in entries of "Pravoslavnaia entsiklopedia" published in 2000-2006 in Moscow, which are based mainly on works of Soviet historians (found in Georgian Soviet Encyclopaedia and other publications).

The above-mentioned view is devoid of any historical foundation, in particular, old Georgian annals and numerous documents of church historiography confirm that:

The jurisdiction of the Georgian Church immediately after its establishment and in the subsequent period covered all the areas forming part of Kartli/Georgia: Egrisi, historical Tao-Klarjeti, the eastern part of eastern Georgia, homelands of the Kartvelian communities existing on the southern and northern slopes of the Caucasus... The study shows that the Metropolitan Diocese of Phasis was located not in the town of Poti but on the left bank of the river Chorokhi (Phasis), which was within the Trapezus district. All the four dioceses of the Metropolitan Diocese of Phasis were also there, and not in western Georgia. The land to the east of Mtskheta has always been within the Georgian jurisdiction according to Georgian sources, that is why there, as Moses Khorenaci notes as well, St. Nino preached among the

Georgians from Klarjeti to Maskuts (cf. "Accounts of the Great Nomocanon", pp.545-546: Andrew who was first called preached the Gospel "in all the regions of Georgia", and St. Nino converted to Christianity "all communities of the Kartvelian stock"). Similarly, the Georgian population of Tao and partially Klarjeti in the 9th-10th cc. was not georgianized Armenians but ethnic Georgians who had found themselves within the jurisdiction of the Armenian-Chalcedonic Church under the pressure of invaders in the 6th-7th cc. At a suitable moment they freed themselves from the burden of the jurisdiction of the Armenian-Chalcedonic Church and returned to their native and national Georgian Church. As regards the highland region of Georgia, it has never been in the jurisdiction of the Patriarchate of Constantinople, as evidenced by sources as well as inscriptions on ruins of churches in the southern and northern Caucasian mountains.

Митрополит Анания (Джапаридзе) – заведующий кафедрой теологии Грузинского Политехнического университета

Господствовавший в советской историографии взгляд о прозелитизме Грузинской Церкви и его критика Резюме

С целью нарушения единства Грузинской Апостольской Церкви в недрах Российской империи был разработан взгляд о прозелитарности Грузинской Церкви. Сторонники этого взгляда считают, что существующая в центральной части Восточной Грузии Грузинская Церковь незаконно подчинила (и «огрузинила» жителей): охватывающий Западную Грузию, находящийся под юрисдикцией Константинополя Фазисский митрополитат, Южную Грузию (Тао-Кларджети), находящиеся на юге от Мцхета, и, по их мнению, под юрисдикцией Албанского (Эретского) каталикосата епископства, церкви Аланийского митрополитата горной части Восточной Грузии, находящиеся под юрисдикцией Константинополя... Эта точка зрения отчётливо проявилась в статьях «Православной энциклопедии», напечатанной в Москве в 2000-2006 годах, основой которых являются работы советских учёных (вошедшие в «Грузинскую советскую энциклопедию» и других изданиях).

Такие взгляды не имеют никакой исторической основы; в частности: множеством документов грузинских летописей и церковной историографией подтверждается: в период

организационного формирования, а также в последующие периоды в юрисдикцию Грузинской Церкви входили все части Картли/Грузии: Эгриси, территория исторической Тао-Кларджети, восточная часть Восточной Грузии, поселения, населяющие южные и северные части Кавказского хребта... Исследования показывают, что Фазисский митрополитат находился не в Потти, а на левом берегу реки Чорохи (Фазиси), находящейся в Трапезундской области, там же находились все четыре епископства Фазисского митрополитата, а не в Западной Грузии. По грузинским источникам находящиеся восточнее от Мцхета земли всегда находились в юрисдикции Грузии. Поэтому проповедовала там, как пишет об этом и Мовсес Хоренаци, Святая Нино, среди грузин от Кларджети до Маскутов (ср., «Сведения Закона Божьего», стр. 545-546; Андрей Первозванный проповедовал Евангелие «в каждой стране Грузии», а Святая Нино обратила в христианство «всех населяющих сродни всем грузинам»). Грузинское население Тао и в частности Кларджети в IX-X вв. представляло не огрузинившихся армян, а этнических грузин, которые в VI-VII вв. под принуждением поработителей находились в юрисдикции армяно-халкедонской церкви, в подходящий политически благоприятный момент они сбросили с себя ярмо армяно-халкедонской церкви и вернулись к своей родной Грузинской Церкви. Что касается горной части Грузии, она никогда не находилась в юрисдикции Константинопольской патриархии, о чём свидетельствуют источники, а также надписи на развалинах церквей на юге и в горной части Северного Кавказа.

8. XI. 2006.

ივანე გორგიძე - საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი,

გოჩა გუგუშვილი - სასულიერო აკადემიის პროფესორი,

გურამ ჯავახაძე - საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა - სასულიერო და საერო სამეცნიერო ცენტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრას 5 წელი შეუსრულდა. ეს ის წლებია, როდესაც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ძალისხმევით კათედრა დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. შეიქმნა დიდი ავტორიტეტი და დღეს წარმოადგენელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თეოლოგიის კათედრის გარეშე. კათედრა დაარსების დღიდან თანამშრომლობს გამოჩენილ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. კათედრის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ 2001-2006 წლებში მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, მაგრამ ჩვენ ორ კონფერენციას გამოვყოფდით: პირველი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია“, რომელიც ჩატარდა 2005 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე), აკადემიკოსების ივერი ფრანგიშვილის, ვლადიმერ ბურკოვის, ბორის გუსევის, კონსტანტინე ფროლოვის და სხვა გამოჩენილი მეცნიერების მონაწილეობით. საჭიროდ ვთვლით, ჰუმანიტარული დარგის მკითხველს ზოგადად მაინც წარმოვუდგინოთ კონფერენციის მონაწილე ტექნიკური დარგის მეცნიერები, რომლებიც დიდ პატივს სცემენ, როგორც მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძეს), ასევე, თეოლოგიის კათედრის წევრებს.

დაარსების პირველივე დღიდან თეოლოგიის კათედრის წევრებს, მიტროპოლიტ ანანიასა (ჯაფარიძე) და ივერი ფრანგიშვილს შორის დამყარდა საქმიანი მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა.

აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ.ტრაპეზნიკოვის სახ. მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და სხვადასხვა აკადემიების წევრი, გამოჩენილი სპეციალისტი, ოთხასი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 15 მონოგრაფიის, 30

გამოგონების და ერთი აღმოჩენის. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია მეცნიერებისა და რელიგიის კავშირი, საერთო სისტემური კანონზომიერებების თეორიის, პრინციპების შექმნა, მრავალპროცესორიანი გამოთვლითი ტექნიკის შექმნა და სხვ.

აკადემიკოსი ვლადიმერ ბურკოვი - რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის კიბერნეტიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პროექტების მართვის რუსეთის ასოციაციის პრეზიდენტი, კათედრის გამგე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, დიდი სისტემების მართვის თეორიის - აქტიური სისტემების მართვის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ოთხასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

აკადემიკოსი ბორის გუსევი - საერთაშორისო და რუსეთის საინჟინრო აკადემიების პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ოთხასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქვს 100 პატენტი, აღიარებული მეცნიერია ტექნოლოგიურ მექანიკაში, უწყვეტ ტანთა მექანიკაში და სხვადასხვა დარგებში.

აკადემიკოსი კონსტანტინე ფროლოვი - რუსეთის საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ახალი მიმართულების - ბიომექანიკის, ადამიანი - მანქანა - გარემოს ფუძემდებელი; ცნობილი სპეციალისტი მექანიკის სხვადასხვა დარგებში.

მეორე კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნისადმი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა 2006 წლის 6 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა, საქართველოს საპატრიარქოს ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო, საქართველოს საინჟინრო აკადემია, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება. საორგანიზაციო კომიტეტს წარმოადგენდნენ: მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი რ. ხუროძე და კომიტეტის წევრები: ზ. გასიტაშვილი, ი. გორგიძე (პმ/მდივანი), გ. გუგუშვილი, შ. აჭყეაბია, ვ. გურული, რ. ჩიქოვანი, გ. ჯავახაძე. კონფერენცია გახსნა აკადემიკოსმა

რამაზ ხუროძემ. ვრცელი სიტყვით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მოგონებებით გამოვიდნენ მ. სალუქვაძე, მ. ლორთქიფანიძე; გ. აბდუშელიშვილი, რ. ჩიქოვანი, ა. ვეფხვაძე, კ. კამკამიძე.



თბილისი 2005 წელი, საერთაშორისო კონფერენციის "მეცნიერება და რელიგია" მონაწილეები საპატრიარქოში

მოხსენებები წაიკითხეს: ზ. გასიტაშვილმა, ს. ხუციშვილმა - ივერი ფრანგიშვილის მოღვაწეობა; მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) - "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია IV-IX საუკუნეებში"; ტ. ფუტყარაძემ - "ტერმინი, მოვლენა, მოტივაცია, შეფასება"; შ. ნაჭყებამ - "თეოლოგიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში"; მ. ტაბიძემ - "ენობრივი პრობლემები ქართული განათლების სისტემაში"; ნ. ბართაიამ - "ფერეიდნელი ქართველები".

ი. გორგიძემ უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს და მაღალყოვლადუსამღვდელოესს, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) გადასცა საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსების დიპლომები. იმედს გამოვთქვამთ, უფლის ნებით მეორე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2007 წელს.

დასასრულ, სიამაყით აღვნიშნავთ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **თეოლოგიის კათედრა** არის ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სასულიერო-სამეცნიერო სასწავლო ცენტრი. ვუსურვებთ მიტროპოლიტ ანანიასა და კათედრის ყველა წევრს ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

შალვა ნაჭყებია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეოლოგიის კათედრის დაფუძნება

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სულიერების დიდი კერა — თეოლოგიის კათედრა იქნა დაფუძნებული. უნივერსიტეტის ისტორიის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელთან არის დაკავშირებული.

2001 წლის 4 იანვარს სენაკის ფაკულტეტის დეკანთან, დოცენტ კობა გვაზავასთან ერთად მქონდა ბედნიერება საპატრიარქოს რეზიდენციაში ვყოფილიყავი იმათთან ერთად, ვინც გულმხურვალედ ულოცავდა უწმინდესსა და უნეტარეს დაბადების დღეს. ეს იყო ღვთის ზეციური მადლით განათებული დაუვიწყარი დღე. პატრიარქთან შორიახლოს ყოფნისას ვგრძნობდი, რომ საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა. ამ ბედნიერ დღეს მის უწმინდესობას გვერდს უმშვენებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომლის შესახებ ბევრი მსმენოდა. წაკითხული მქონდა მისი ფუნდამენტური შრომები საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ. იმ სადღესასწაულო წუთებში უფლის ნებით საშუალება მოგვეცა მეუფე ანანიასათვის გაგვეზიარებინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ წრეებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში მომწიფებული აზრი უნივერსიტეტის კედლებში თეოლოგიის კათედრის დაფუძნების თაობაზე. მეუფე უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას, რაც უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ რამაზ ხუროძის განსაკუთრებული მხარდაჭერით იყო ნაკარნახევი. მომდევნო დღეებში რექტორთან მეუფე ანანიას შეხვედრის შემდეგ, თეოლოგიის კათედრის დაფუძნების თაობაზე თხოვნით მივმართეთ მის უწმინდესსა და უნეტარეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II.

დაუვიწყარია ის წუთები, როდესაც პატრიარქმა მიგვიღო, მან დიდის ყურადღებით მოისმინა უნივერსიტეტის თხოვნა თეოლოგიის კათედრის გახსნის თაობაზე და დაწვრილებით გამოგვიკითხა თუ როგორ გვქონდა გააზრებული ამ ერთობ საპასუხისმგებლო და უკეთილშობილესი ჩანაფიქრის განხორციელება. მოისმინა რა

ჩვენი მოსაზრებები, უწმინდესმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა ამ დიდი საქმის წამოწყებასთან დაკავშირებით და ბრძანა —“იესო ქრისტე ბეთლემში იშვა, მაგრამ ეს საკმარის არაა, ის უნდა იშვას ყოველი ადამიანის გულში და არა მარტო იშვას, არამედ იმყოფებოდეს მასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის მისაწვდომი ის ზეციური მადლი, რომელიც დედამიწაზე საუკუნეთუწინარესმა ლოგოსმა მოგვიტანა — მშვიდობა მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან.“ უწმინდესმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ახალგაზრდობის სულიერების აღზრდის მნიშვნელობას და ამ უკეთილშობილეს საქმეში თეოლოგიის კათედრის მისიას. უწმინდესსა და უნეტარესს საგანგებოდ ვთხოვეთ, რომ მთელს საქართველოში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი წმინდა სინოდის წევრი, მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია ჩასდგომოდა სათავეში. უწმინდესი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორატის ამ წინადადებას და მოგვცა კურთხევა.

დადგა ნანატრი დღეც. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ევროპისა და მსოფლიო სახელოვან უმაღლეს სასწავლებელთა დარად 2001 წლის 19 ოქტომბერს დაფუძნდა თეოლოგიის კათედრა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომა. სხდომას დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, წმინდა სინოდის წევრები. თავის გამოსვლაში საქართველოს პატრიარქმა ბრძანა: “დიდი მეცნიერი კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ არა არის საკმარისი ადამიანი იყოს მორწმუნე, მას აუცილებლად ცოდნა უნდა ახლდესო და ის ასეთ დასკვნას აკეთებს: “მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა“.

უწმინდესმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: “მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმინდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება და უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბატონი რექტორის დამსახურება და მადლობას ვწირავ მას“.

ამ ბედნიერი დღიდან ხუთმა წელიწადმა განვლო. დროის ამ მცირე მონაკვეთში მეუფე ანანიას ხელმძღვანელობით, რომელიც

დიდი საეკლესიო ღვაწლისათვის მიტროპოლიტის რანგში იქნა აღვლენილი, ბევრი რამ გაკეთდა. რექტორატის შენობაში გაიხსნა წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო. სამლოცველოები გაიხსნა სტუ-ს I და II სასწავლო კორპუსებშიც. კათედრაზე მოღვაწეობენ უმაღლესი იერარქიის ცნობილი მღვდელმსახურები. სტუდენტური რაზმები აქტიურად მონაწილეობენ ეკლესიამონასტრების აღდგენისა და მშენებლობის საქმეში. კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო მუშაობა. კათედრის ხელმძღვანელობით ჩატარებული პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ამის შესანიშნავი დადასტურებაა.

გაწეული ღვაწლის შედეგად კათედრამ საყოველთაო პატივისცემა და აღიარება მოიპოვა. დიდი ილია ბრძანებდა: “ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა. ამ დიდ მსახურებას ეწევა ჩვენი უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა. წინსვლასა და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მას.“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის ისტორია

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2001 წლის 19 ოქტომბერს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და უნივერსიტეტის რექტორის ძალისხმევით საგანგებოდ მოწვეულ ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომაზე დაფუძნდა **თეოლოგიის კათედრა**. კათედრის გახსნას წინ უძღოდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთაგან შექმნილი სპეციალური საინიციატივო ჯგუფის საფუძვლიანი მუშაობა, სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხების განხილვა-შეჭერება, კათედრის გამგის და წევრ-პედაგოგთა კანდიდატურების შერჩევა-დაკომპლექტება, რაც უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ რამაზ ხუროძის უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა. 19 ოქტომბრის დიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მობრძანდა და სამეცნიერო საბჭოს წევრი მეცნიერები დალოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მის უწმინდესობას ახლდნენ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრი მღვდელმთავრები: მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) და ახლად დაფუძნებული კათედრის გამგე, მანგლის-წალკის მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), ასევე სხვა სასულიერო პირები. **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა** დიდი შეფასება მისცა, მსოფლიოს სახელოვან უმაღლეს სასწავლებელთა დარად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის დაფუძნებას (მისი სიტყვა იხ. წარმოდგენილი კრებულის შესავალ ნაწილში).

ახლად დაფუძნებულ კათედრის გამგედ წარდგენილმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მანგლის-წალკის მთავარეპისკოპოსმა ანანიამ ახალი კათედრის გახსნა მიულოცა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ რამაზ ხუროძეს, რექტორატისა და გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს წევრებს; მან აღნიშნა თეოლოგიის კათედრის დიდი მნიშვნელობა და ჩამოაყალიბა სამუშაო პროგრამა:



“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მთელი ქართველი ერისათვის წარმოდგენს მეცნიერების, კულტურისა და განათლების საამაყო კერას, ამიტომაც აქ თეოლოგიის კათედრის დაარსებას და მის კურთხევას უწმინდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პატრიარქის მიერ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. თეოლოგიის კათედრის დაფუძნება ერთი ნაწილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დიდი პროგრამისა, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო ტექნიკური განათლება, ამასთანავე, ჰუმანიტარული განათლების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას, პროფესიონალი ინჟინრის მიერ ეროვნული სულიერი კულტურის გათავისებასა და ეროვნული ფენომენის მატარებელ მოქალაქედ აღზრდას გულისხმობს. თეოლოგიის კათედრას ამ მხრივ დიდი მისია ეკისრება; მის მუშაობას საფუძვლად დაედება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სწავლება რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; კერძოდ: **“საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყო. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც კი მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და**

სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ერთადერთი რაც მას აკლდა, ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგს“.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ მთავარეპისკოპოსმა ანანიამ წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) ცნობილი მოძღვრებაც გაიხსენა: **“ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა“;** შემდეგ მან აღნიშნა:

მეცნიერება და სარწმუნოება შეიძლება ორ მძლავრ ფრთას შევადაროთ, რომელზეც დაყრდნობისას ქართველ ერს შეუძლია კვლავ მოიპოვოს სულიერი და სახელმწიფოებრივი სიძლიერე. ახალი თაობა უთუოდ კვლავ გადებს შემაერთებელ სიბრძნის ხიდს მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის.

ილიას უკვდავი იდეები, ცხადია, საყრდენი იქნება ჩვენი კათედრის მუშაობისა. დაარსება ამ მნიშვნელოვანი კათედრისა, კიდევ უფრო წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს აღმავლობის გზაზეა. ეს მიგვიბრუნებს, რომ ერის ქრისტიანული სული ცოცხალია და ერი იმედით უყურებს მომავალს.

ქართული ეკლესიის აღორძინება საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა; ქართული ეკლესია სულია ქართველი ერისა. როგორც სხეულს არ შეუძლია სიცოცხლე უსულოდ, ისევე ქართველ ერს მისი მაცოცხლებელი სულის გარეშე, და დღეს, როცა ხალხი სულიერ საზრდოს ეწაფება, მისთვის შესაბამისი პირობების მიცემაა საჭირო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა, ძველი ქართული სასწავლებლების, აგრეთვე, უცხოეთის უნივერსიტეტებში არსებული თეოლოგიის ფაკულტეტების პროგრამების შესაბამისად უნდა შეეცადოს, ყურადღება მიაპყროს ბიბლიოლოგიის (ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილის), ღვთისმეტყველების, ქართველოლოგიის, ასევე, კულტუროლოგიური, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ისტორიოგრაფიული და სხვა მიმართულებების პრობლემების კვლევასა და სწავლებას; შესაბამისად, აქ უნდა იღვაწონ საერო და სასულიერო მკვლევარებმა.

დასასრულ, მისი უწმინდესობის ლოცვით, გულითადად ვულოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ საბჭოს, მის ყველა წევრს, რექტორატს, სტუდენტობას, რომელთაც სიხარულით მიიღეს მათთვის უჩვეულო თეოლოგიის კათედრის დაარსება. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს თეოლოგიის ახალი კათედრა“.

ახლადდაფუძნებული კათედრის წევრ-პედაგოგთა შერჩევა და დაკომპლექტება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II-ის რეკომენდაციით და ლოცვა-კურთხევით აღსრულდა. სასწავლო პროცესი 2002 წლის მარტის თვიდან დაიწყო. სწავლის დაწყების წინ მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ საქართველოს საპატრიარქოში პედაგოგებთან შეხვედრისას აღნიშნა თეოლოგიის კათედრის დიდი მნიშვნელობის შესახებ როგორც უნივერსიტეტის, ისე მთელი ქვეყნის წინაშე; კათედრის სრულფასოვანი მუშაობისათვის კი პედაგოგებს მიზნად დაუსახა: უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინება, სტუდენტებთან და სხვა დარგის პედაგოგებთან ურთიერთობისას განსაკუთრებული გულისხმიერების გამომჟღავნება, სალექციო, სემინარული და სამეცნიერო-საკონფერენციო მუშაობის სერიოზული წარმართვა, თითოეული ლექტორისათვის გეგმის შედგენა, კონსპექტ-ჩანაწერების წარმოება და სხვა.

კათედრის პირველი პედაგოგები გახლდნენ საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებლების (ძირითადად, თბილისის სასულიერო აკადემიის) პედაგოგები და ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე პირები, რომელთაც პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ; კერძოდ: პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზები: ზაქარია ძინძიბაძე, გიორგი ჯიბუტი, ამირან ამირანაშვილი, ვახტანგ ასათიანი, მიქაელ ჭაბაშვილი; მღვდლები: ბიძინა გუნია, გიორგი მალხაზიშვილი, კონსტანტინე გიორგაძე, მაქსიმე ჭანტურია, მიქაელ ჭანტურია, მიქაელ მაჭარაძე, გურამ გურამიშვილი, თეოდორე გიგნაძე, გიორგი ღორეული, მიქაელ კაპანაძე, დავით ჭანტურია, მიქაელ ბუკია; არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი); დიაკონი ელიზბარ დიაკონიძე; პედაგოგები: ზურაბ ცხოვრებაძე, ზურაბ ეკალაძე, გიორგი მაისურაძე, სერგო ფარულავა, ლევან ბუკია, ზვიად ბარკალაია, მზია წიკლაური, გოჩა გუგუშვილი. დროთა განმავლობაში პედაგოგთა შემადგენლობა იცვლებოდა და კათედრაზე მუშაობა მოუწიათ: მღვდლებს: ილია წერეთელს, სამოელ ზვიადაურს, ლევან მექოშვილს, გიორგი ბალიაურს, ავთანდილ გულაშვილს; პედაგოგებს: გოჩა ასათიანს, გიორგი წეროძეს, დავით ამაშუკელს და სხვებს.

ახლადდაფუძნებული კათედრის გამგემ და პედაგოგებმა კათედრის პირველსავე სხდომაზე მიზნად დაისახეს, ერთი მხრივ, სტუდენტთა განსწავლა-კატეხიზაცია საღვთისმეტყველო კუთხით, მეორე მხრივ კი საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპების შესწავლა.

ლექტორთა სიმცირის გამო ლექციების ჩატარებისას თითოეულ ნაკადზე ასეულობით სტუდენტის დასწრება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის; თუმცა, ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში, ეს საკითხი ნელ-ნელა მოგვარდება. პირველსავე სხდომაზე კათედრის გამგემ მანგლისისა და წალკის მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მთავარეპისკოპოსმა ანანიაშვილმა გამოიჩინა ხუთკაციანი ჯგუფი - მრჩეველთა საბჭო პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელის ხელმძღვანელობით და პედაგოგებს გააცნო ფუნქციები და უფლებამოსილებები. მღვდელ ბიძინა გუნიას და ამ სტრუქტურის ავტორს დავით სტუდენტების მუშაობის წლიური, სემესტრული და სათვეო გეგმების, ასევე, სასწავლო პროგრამების შედგენა. მე, ასევე, დამევალა, ყოველ სემესტრში სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით ორი და მეტი სამეცნიერო კონფერენციის მომზადება (კათედრის და უნივერსიტეტის მასშტაბით). ამ დღიდან მოყოლებული, კათედრის მიერ მომზადებული კონფერენციები და სემინარები ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებსა და დიდ საეკლესიო დღესასწაულებს; თემატიკაც აღსანიშნავ მოვლენებს ასახავს: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მოციქულთა მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ისტორია, ეკლესიის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ადრე და თანამედროვე ეტაპზე, ეკლესიის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის გაერთიანების საქმეში, მონარქიული მმართველობის ბიბლიური საფუძვლები და საქართველოში სამეფო დინასტიის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები, წმინდა მეფეთა და დედოფალთა: მირიანისა და ნანას, ვახტანგ გორგასლის, არჩილისა და მირის, დავით და კონსტანტინე მხეიძეების, ათონელი მამების, ასურელი მამების, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეფის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების (და სხვათა) ცხოვრება-მოღვაწეობა; აგრეთვე, კონფერენციებზე დამუშავდა თემები: საქართველოს დიდი ომების (დიდგორის, ბახტრიონის, კრწანისის და სხვა), წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის), თერგდალეულების, წმინდა გაბრიელ ქიქოძის, კირიონ საძაგლიშვილის, ალექსანდრე ოქროპირის,

ნაზარი ლეჟავას, ბოლო პერიოდში აფხაზეთსა და შიდა ქართლში მოღვაწე მამულიშვილთა შესახებ...

თეოლოგიის კათედრის ხუთწლიანი ისტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტთა დაინტერესება საღვთისმეტყველო ლიტერატურითა და ეკლესიის ისტორიით. საგანგებოდ გამოსაყოფია ის ფაქტიც, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ბოლო პერიოდის სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობა მრავალრიცხოვანებით გამოიჩინა თეოლოგიის სექცია; ჩვენი კათედრის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მომზადებული სტუდენტების თემები ყველაზე მეტი დიპლომითა და სიგელით ჯილდოვდება; სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის სფეროში მიღწეულ წარმატებათა გამო თეოლოგიის კათედრას ყოველწლიურად გადაეცემა საგანგებოდ შექმნილი ჭედური დაფა.

თეოლოგიის კათედრის წარმატებული მუშაობა დადებითად არის შეფასებული, როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ისე, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის მიერ. კათედრის გამგეს, მანგლისისა და წალკის მმართველს, ანანია ჯაფარიძეს საქართველოს ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის მაღალი სამღვდელმთავრო წოდება - **მიტროპოლიტობა**, ხოლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, **პროფესორის** წოდება მიანიჭა. მეუფე ანანია ასევე არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსად, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის საპატიო წევრად. ერთგული სამსახურისათვის დეკანოზობის წოდება მიენიჭათ მღვდლებს: ბიძინა გუნიას, გიორგი მალხაზიშვილს და სხვებს. მღვდლებად აკურთხეს დიაკვნები: გიორგი ბალიაური, ავთანდილ გულაშვილი და სხვა.

თეოლოგიის კათედრის გამგემ მანგლისისა და წალკის მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა, პროფესორმა ანანიაშვილმა სტუდენტთა საეკლესიო მსახურებასა და ტაძრის აგებულების სტრუქტურაში უკეთ გარკვევის მიზნით, უნივერსიტეტის სამ კორპუსში დააფუნდა და აკურთხა წმინდა გიორგის, წმინდა დავით აღმაშენებლის და წმინდა ნინოს სახელობის სამლოცველოები.

შრომატევადი სასწავლო პროცესის მიუხედავად, თეოლოგიის კათედრის წევრები სერიოზულ სამეცნიერო ღვაწლშიც არიან; კერძოდ, მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში სქელტანიან წიგნებად, ბროშურებად და სამეცნიერო სახით გამოიცა: კათედრის გამგის მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტის, პროფესორ ანანიას ათეულობით წიგნი (იხ კრებულის დანართში წარმოდგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია). პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელის რედაქტორობით და ლოცვა-კურთხევით გამოდის

სამეცნიერო ჟურნალი “რწმენა და ცოდნა“, მისივე ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაზე გადმოაქვს წმინდა წერილის ძველი ქართული რედაქციების წიგნები. დეკანოზ ბიძინა გუნიას მიერ საფუძვლიანად დამუშავდა ეკლესიის ლიტურგიკული მსახურებისთვის აუცილებლად საჭირო ლიტერატურა; აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დეკანოზი ბიძინა სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად არის გაფორმებული ხელნაწერთა ინსტიტუტში. დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (ნაშრომის თემა: “აბიზოს ნეკრესელის ჰომილიები”); გარდა ამისა, დეკანოზ მიქაელს ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი და მ სამეცნიერო წერილი. ამავე პერიოდში ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა და ისტორიის მეცნიერებათა ხარისხი მოიპოვა (საკვალეფიკაციო თემა: “უამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანის საღვთისმეტყველო საფუძვლები“) ამ სტრიქონების ავტორმა; ერთ-ერთი გამოკვლევა შევიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 25 წლისათვისადმი მიძღვნილ სამტომეულში: “ნათელი ქრისტესი საქართველო“; აგრეთვე, ჩვენ მიერ რუსულენოვანი მართლმადიდებლური ენციკლოპედიისთვის მომზადებულია ძალზე ვრცელი მასალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღეისათვის არსებულ და მოქმედ ეპარქიათა (სულ 35) შესახებ.

თეოლოგიის კათედრის წევრები ვთანამშრომლობთ “საეკლესიო კალენდრის“ რედაქციასთან, გაზეთ “საპატრიარქოს უწყებანის“ კოლექტივთან, საპატრიარქოს რადიო “ივერიასთან“ და სხვ. ამ სტრიქონების ავტორი, ასევე, ხელმძღვანელობს ნიკორწმინდის ეპარქიის საინფორმაციო სამსახურს; რედაქტორობს სამეცნიერო ჟურნალს - “ორნატი“ და გაზეთს - “ნიკორწმინდა“.

თეოლოგიის კათედრის ისტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 2005 წლის გაზაფხულზე, 23-25 მაისს, კათედრის აქტიური მონაწილეობით ჩატარებული პირველი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია“; 2006 წ. ივნისის თვეში კი კათედრის თანამონაწილეობით ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

თეოლოგიის კათედრას ასევე სხვა მრავალმხრივ საინტერესო ღონისძიებაში მიუღია მონაწილეობა, რომელთა ჩამოთვლა სხვათათვის მიგვიჩნია...

დასასრულს, აღვნიშნავთ:



პროფესორი ანანია ჯაფარიძე და კათედრის პედაგოგები განვილილ ხუთ წელიწადში აღასრულებენ საქმეებს თვითკმაყოფილების განცდის გარეშე; რამდენიმე ეპიზოდს მხოლოდ შედეგების შეჯამების ოფიციალური მოთხოვნის გამო ვიხსენებთ. დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ საკეთებელი მომავალში კიდევ ბევრია, რომლის აღსრულებასაც კვლავ განვაგრძობთ ყოვლადსახიერი ღმერთის უსაზღვრო შემწეობის იმედით აღვსებულნი, უწმინდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და კათედრის გამგის, მალაყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტის, პროფესორ ანანია ჯაფარიძის წინამძღოლობით.

ნუგზარ ვანიშვილი - სტუ-ის სტუდენტთა, ასპირანტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო განყოფილების უფროსი

**ჩვენი სტუდენტობა - ერის სიამაყე,
თეოლოგიის კათედრა - ჩვენი მონაპოვარი**

მაქვს პატივი და ბედნიერება, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და ფრიადოსანთა სახელით მოგილოცოთ იუბილე, გისურვოთ ფიქრთა, მიზანთა და იმედთა ასრულება, მშვიდობა და დღევრძელობა.

დღემუდამ ერზე და ქვეყანაზე მოფიქრალნი ჩვენი თეოლოგიის კათედრის სასულიერო პირნი და სრულიად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მინდა დავარწმუნო, რომ ათასობით სტუდენტი წარჩინებულია სწავლაში, ზოგად განათლებაში, ცხოვრების წესთა და მიზანთა არჩევაში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-მართლმადიდებლურ ფასეულობათა დაცვასა და სწავლის შემდგომ გავლაშიც.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის გამორჩეული, ლამაზი, ვაჟკაცური და მრავალფეროვანი იყო. დღევანდელი თაობა კი ორმაგად ბედნიერიცაა, ვიდრე ათეული წლების წინ. მათთვის გაცილებით მეტია სასწავლო, სამეცნიერო და შემეცნებითი საშუალებები საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე. ახალგაზრდები თავისუფალნი არიან მრავალ არჩევანში. ძალდატანებით აღარ შედიან კომკავშირში. ვალდებულნი აღარ არიან ისწავლონ ათეიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები. უფრო მეტიც, საბედნიეროდ, ბოლო 5 წლის განმავლობაში სტუდენტებმა პირველივე კურსზე მოისმინეს თეოლოგიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ღვთისმეტყველების ლექციები და სიამაყოა ისიც, რომ ეს ცოდნა მათ მიიღეს პროფესორ-მასწავლებელთაგან, დეკანოზთა და მოძღვართაგან, რომელთა კათედრასაც მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე უდგას სათავეში. ჩვენი აზრით იგი თანამედროვეობის ლეონტი მროველია.

მოგმართავთ თხოვნით: შეიხედოთ თეოლოგიის ლექციის მსვლელობისას აუდიტორიაში. იქ ყოველთვის სრული დასწრება და აკადემიური მოსწრებაა, იქ ყოველთვის ცხოველი ინტერესი, ოლიმპიური სიმშვიდე და ნათელი სახეებია... და აქვეა მწვერვალიც: მის მაღალყოვლადუსამღვდლოესობას, პროფესორ, მიტროპოლიტ ანანიას მოხსენებები მრავალ საერთაშორისო, რესპუბლიკურ,

საუნივერსიტეტო და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე, ხშირ შემთხვევებში და გაფართოებულ ლექციათა კურსებზე.

...სტუ-ის სხვადასხვა კორპუსში არსებულ სამლოცველოთა მიმდებარე დერეფნებში სასიამოვნო საკმევლის სუნი ტრიალებს; ათასობით სტუდენტი პირჯვრის გადაწერით შედის კორპუსებსა და აუდიტორიებში. მრავალი სტუდენტი ლოცვის წამძღვარებით იწყებს მეცადინეობას და გონება უფრო სხარტიაო, მეხსიერება კი ღრმაო, ხმამაღლა აღნიშნავენ ხოლმე.

ეს ყოველივე კი ცოდნის, შემეცნებისა და ჭეშმარიტი ლიბერალიზმის მდინარეა, რომელსაც სწორი და საჭირო რაოდენობით ეწაფება ჩვენი ახალგაზრდობა - ერის ხვალინდელი დღე.

ეს არის მეცნიერებასა და რწმენას შორის გადებული აუცილებელი ხიდი, რომელზედაც სიარული და დგომა საამურია და უსაფრთხო.



სტუდენტობამაც არ გაამტყუნა იმედები: ათობით სტუდენტი მოხსენებებით, ასეულები კი მსმენელად მონაწილეობდა თეოლოგიის კათედრის მოწყობილ უმაღლესი კატეგორიისა და აკადემიური დონის სამეცნიერო ფორუმებში, დღიდან კათედრის დაფუძნებისა 184 სტუდენტმა სამეცნიერო თემით და პედაგოგის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო სტუ-ის ღია, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების თეოლოგიის სექციაში. გამოჩნდა ათობით მაღალი დონის ნაშრომი და ნათელი, ტალანტი გონება. უდიდესია მათი ბედნიერება რექტორისა და მიტროპოლიტის შექებისა და

წახალისებისას. ათასამდე სტუდენტი მონაწილეობდა სტუდენტური კავშირის ორგანიზებულ და მეუფე ანანიას მიერ კურთხეულ აღდგენით და სამშენებლო სამუშაოებზე ეკლესია-მონასტრებში.

ათიათასობით სტუდენტი გაერკვა თეოლოგიურ ჭეშმარიტებაში და გაუძლიერდა რწმენა, მართლმადიდებლობა, შესაბამისად ეროვნულობა.

უდიდესი მონაპოვარი შეიძლება ეწოდოს სტუ-ის თეოლოგიის კათედრის შექმნასა და მუშაობას ამ ათასწლეულების მიჯნაზე, მსოფლიო გლობალიზაციისა და მღელვარების ფონზე, სახელმწიფო და ეროვნული კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესისას.

“მაღალთა შინა ღმერთმა ინება“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის არსებობა; უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ერის სულიერმა მამამ დალოცა და აკურთხა იგი, რექტორატმა და უნივერსიტეტმა მის დასაფუძნებლად იბრძოლა და იშრომა, საქმეს ხელმძღვანელობს და აქ უშურველად იღვწის მიტროპოლიტი ანანია, აქვე მსახურობენ და ლექციებს კითხულობენ სახელოვანი და პატიოსანი პროფესორ-მასწავლებელი და დეკანოზ-მღვდელი; კათედრასთან თანამშრომლობენ და მეგობრობენ ერის უდიდესი მეცნიერები და მეტრები; მათ უსმენენ და ტკბებიან ქართველი ახალგაზრდები. საპასუხოდ, რწმენით გამსჭვალულნი ქართველი სტუდენტები მუდამ იქნებიან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გვერდით.

“დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ამინ!“

თბილისი
05.11.2006

ნომადი ბართაია - ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობებიდან (ქაქუცა, ქურა და კერა გარნა)

1925 წელს ერაყის ტერიტორიაზე, ნუზიში, პროფესორ ედუარდ ჩიერას არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ფირფიტებმა, რომლებსაც დაახლოებით ძვ.წ.ა.XVს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებენ, ახალი ბიძგი მისცა ხურიტულ სახელთა კვლევას.

ქართველმა მეცნიერმა გივი ჟორდანიამ 1956 წელს გამოაქვეყნა წიგნი - “მეხურელნი“, სადაც ცალკე თავი მიუძღვნა, მისი აზრით, ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებულ ხურიტულ სამყაროდან მომდინარე ოცდაცხრა საკუთარ სახელს, ესენია: 1.აკი, 2.ბათუ, 3.ბუდუ, 4.კაკი, 5.გიგა, გიგი, კიკა, კიკო, კიკოლა, 6.კაკო, ქაქუ, 7.**ქაქუცა**, 8.კალე, 9.კუკუ, გუგუ, 10.ზაზა, ჯაჯუ, 11.თედო, თედუა, 12.დადა, დადი, დათა, დათია, 13.დათუ, დათუნა, თადო, თადუნა, 14.დუტუ, 15.შაქრია, შუქრია, 16.კუტუ, ქუთუ, 17.უტა, უტუ, 18.პუკუ, პოკო, 19.პაპა, ფაფა, ფაფალა, ბაბალა/ე, 20.ხუხუ, ხუხა, 21.ნაია, ნაი, 22.ნანა, ნანი, 23.ნინა/ო, ნინია, 24. თამარ, 25.თაკო, 26.მათკა, მატკა, 27.ქუთათი, 28.ფაზი, ფაცია, 29.ფათალა/ი.

წიგნის ავტორი მეცნიერულად ასაბუთებს მათ ხურიტულ წარმომავლობას. ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვექნება მხოლოდ ერთი მათგანის - **ქაქუცას** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, რომელზედაც აი, რას წერს იგი: „ნუზის ტექსტებში დასტურდება ხურიტული სახელი ქაქუზი/კაქუზი/კაქუზი/გაქუზი (**Kakkuzi/ Quakkuzi/ Gokuzi**). ასეთი ყოფილა მაგალითად, მამა ვინმე აქქუა (**Akkua**)-სი და მამა ვინმე ზიგე (**Zige**)-სი. (NPN,78,222). გრ.ლაფანციანი ფიქრობს, რომ სწორედ აქედან არის წარმომობილი ქართული მამაკაცის სახელი ქაქუცი (**Kakusi**) (**Kan**, 226), რაც მომხდარა ზ (**z**)-ს გადასვლით ფშვივნიერ “**ც**“-ში (2,139).

ავტორი უკომენტაროდ ტოვებს გრ. ლაფანციანის ამ მოსაზრებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუ არ იზიარებს, არც უარყოფს მას. ჩვენ კი, ეს მოსაზრება, მხოლოდ ერთ-ერთ ვერსიად შეიძლება მივიჩნიოთ, რისი დაშვების უფლებას, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ირანული ურთიერთობანი გვკარნახობს. შევეცდებით, დავაკონკრეტოთ სათქმელი:

ირანულ მითოლოგიაში არის ქაიანთა დინასტიის მეფეთა მთელი პლეადა, შემდეგი შედგენილი საკუთარი სახელებით: ქაი-ომარსი, ქაი-ხოსროვი, ქაი-გემასფი, ქაი-ყოზადი, **ქაი-ქაუსი...** სადაც კომპოზიციის პირველი წევრი **ქაი** დინასტიის აღმნიშვნელია, რომელსაც მოსდევს ამა თუ იმ მეფის სახელი.

ირანული მითოლოგიის გმირთა სახელები ქართულში, ოდითგანვე, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი გზით შემოდიოდა. ჩვენს წინაპრებს ირანული გმირები გაუთავისებიათ და მათი სახელებიც გაქართულდებულა, მაგალითად: როსტომი (როსთამ), ზურაბი (სოჰრაბ), გივი (გივ), გოდერძი (გოდარზ), მანუჩარი (მანუჩერ), უშანგი (ჰუშანგ), თამაზი (თაჰმასბ), ლუარსაბი (ლოჰრასბ), თეიმურაზი (თაჰმურას), ფრიდონი (ფერიდუნ). ერთ-ერთი ირანულიდან შემოსული ქაი-ანელი მეფის სახელის გაქართულდებული ფორმაა - ქაიხოსრო (ქაი-ხოსროვ).

ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ქაი-ხოსროვთან ერთად, ქაიანთა დინასტიის სხვა მეფის სახელიც შემოსულიყო ქართულში და ასევე გაქართულდებულიყო, მაგალითად - **ქა(ე)ი-ქაუსი**, საიდანაც, ჩვენი აზრით, უნდა მოდიოდეს საკუთარი სახელი **ქაქუცა**.

ქა(ე)ი-ქაუსი-იდან **ქაქუცა** შეიძლება შემდეგი ფონეტიკური გზით მიღებულიყო: **ქა(ე)ი-ქაუსი** → **ქა(ე)-ქაუსი** → **ქ(ე)-ქუსი** → **ქა(ე)-ქუსა** → **ქ(ე)ა-ქუსა** → **ქაქუცა**.

აქვე აღვნიშნავთ, რომ **ქა(ე)ი-ქაუსი**-ი ქართულში გვხვდება **ქე ქაოზ-ის** ფორმითაც.

გფიქრობთ, ხურიტულის გვერდით, **ქაქუცა-ს** ირანულიდან წარმომავლობის ვერსიას არსებობის უფლება უნდა ჰქონდეს.

ქურა

ქართულ ენაში არის ლექსიკური ერთეული **ქურა**, რომლის მნიშვნელობებია: 1. საბერვლიანი სამჭედლო კერა ლითონის გასახურებლად. 2. ღუმელი თიხის ჭურჭლის და მისთ. გამოსაწვავად. 3. ბრძმელის ქვედა ნაწილი. 4. მოწყობილობა ცეცხლის გასაჩაღებლად, ან რაიმე სხვა სახის სიმხურვალის მისაღებად. ელექტრო ქურა გაზის ქურა (5).

ახალ სპარსულში, იდენტური ფონეტიკური ფორმითა და თითქმის ასეთივე სემანტიკური დატვირთვით, არის ლექსიკური ერთეული **كوره (ქურა)**: 1. ღუმელი, კერა; სათბობი საშუალება; 2. კრატერი (ყელი ვულკანისა) (6).

ამკარაა, რომ ქართული ქურა და ახალი სპარსული **كوره (ქურა)** ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულებია.

ქართულში, ქურას პარალელურად, არის ლექსემა **კერა**, რომლის მნიშვნელობებია: 1. ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე... 2. ოჯახი, სახლ-კარი. 3. გადატან. (წიგნ.) ადგილი, სადაც რაიმე წარმოიშობა (5).

კერა შეიძლება მიგვეჩნია ქურადან მიღებულად, მაგრამ გვერდს ვერ ავუღიოთ იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულში არის ლექსემა **კერაკი-კერიას**, ცეცხლის ადგილის მნიშვნელობით (1).

საიდან უნდა მოდიოდეს **კერაკი**?

كوره (ქურა)-ს ფალაური და მანიქური ფორმებია: **koorg** და **kwrg** -სამჭედლო საცეცხლური, თონე, ადგილი, სადაც ავურსა და კირს გამოსწვავენ (7).

ჩვენი აზრით, **კერაკი**-ისა და **koorg** და **kwrg**-ის ბგერობრივ-შინაარსობრივი ურთიერთ სიახლოვე ქართულში საშუალო სპარსულ-ლიდან **კერაკი**-ის შემოსვლას არ გამოირიცხავს.

ამგვარად, **ქურა** და **კერა** ერთი და იგივე ლექსემა ჩანს; ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა იყოს დამკვიდრებული ქართულში: ახალი სპარსულიდან - **ქურა**, საშუალო სპარსულიდან - **კერა** (თუმცა, არ გამოირიცხება, **კერა** ფუძის სხვაგვარი წარმომავლობაც),

როგორც ვნახეთ, **კერას**, ქართულში ოჯახის, სახლ-კარის შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნია. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მნიშვნელობა მას საშუალო სპარსულშიც ჰქონოდა და ის ქართულს შემოენახოს.

გარნა

კავშირი **გარნა** ილია აბულადქეს ძველი ქართული ენის ლექსიკონში ასე აქვს განმარტებული: - თუ არა, გარდა, გარეში; “თვინიერ”: “არავინ იცის ძეი, **გარნა** მამამან, და არცა მამაი ვინ იცის, **გარნა** ღმრთისა მიერ” მთ. 11,27; “არა არის ხელმწიფებაი, **გარნა** ღმრთისა მიერ” ჰრომ. 13,1; “არავინ იხილეს, **გარნა** იესუ ხოლო მათ თანა” მრ. 9,8; “**გარნა** (თვინიერ)... ტყვისა და ბრპენისა“ რიცხვ. M,31,22.

ამას მოჰყვება კიდევ ცალკე ბუდეში მისი ასეთი განმარტება - მხოლოდ, მაგრამ, არამედ:

“**გარნა** თუ ჩვევწარვიდეთ და უყიდოთ... საზრდელი“ ლ. 9,13; “**გარნა** ესემცა უწყით“ ლ. 10,11; “**გარნა** ვერ ძალ-მიც... ყოფაი მ.ცხ. 68 Γ (1).

სპარსულ ენაში არის კავშირი **گرنه (გარნა)**, რომელიც ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტურია ძველი ქართული კავშირისა

გარნა. მისი პარალელური ფორმებია: اكره (აგარნა), ارنه (არნა), اكر (აგარნი), گرن (გარნი) (6).

აღსანიშნავია, რომ ი.აბულაძე **გარნას** პირველსავე განმარტებაში აძლევს შემდეგ სიტყვასიტყვით ახსნას - **თუ არა.** სპარსულშიც ხომ **گرنه** (გარნა) ორწევრიანი კომპოზიტია - **گر** - (გარ) - **თუ** და **نه** (ნა) - **არა.**

როგორც ჩანს, **გარნა** ქართულში სპარსულიდან შემოსულა.

თანამედროვე ქართულში **გარნა**-დან არის მიღებული კითხვის, გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკი **განა.**

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. ჟორდანიას გ., მეხურელნი, თბ., 1956
3. ფირდოუსი აბულ-ყასემ, “შაჰ-ნამე“ (საიუბილეო გამოცემა), თბ., 1934
4. ჭაჭავაძე ო., მეგრულ-ქართული ელქსიკონი, თბ., 1981
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
6. 1371, دكتور محمد معين، فرهنگ فارسی، تهران،
7. 1377، مصطفی پاشنگاء فرهنگ پارسی ریشه یابی واژگان، تهران،

Nomadi BARTAIA - Associate Professor, Ivane Javakhishvili State University

From Georgian-Iranian Linguistic Relations

(Kakutsa, kura, Garna)

Summary

I think, Georgian words: Kakutsa, Kera and kura, Garna must have derived from Persian کی کوس (Kai - Kaus), كوره (kura/e/), گرنه (Garna).

Номади Бартая – О грузино-иранских языковых взаимоотношениях

(Какуца, кура, гарна)

Резюме

Думаю что, слава: Какуца, Кера и Кура, Гарна вошли в грузинский язык с персидского языка.

თეიმურაზ გვანცელაძე - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

მერაბ ნაჭყებია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასოცირებული პროფესორი,

მანანა ტაბიძე - იბერიულ-კავკასიური საერაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

(ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში)

გრიგოლ დადიანი - XIX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ უთვალსაზრისო წარმომადგენელი, ქართული ენისა და კულტურის დიდი მოამაგე, ჩვენი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ უძვირეს პერიოდში, რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის ყაბს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

გრ. დადიანი დაიბადა 1827 წელს სამეგრელოს მთავართა შთამომავლის ელიზბარის ოჯახში. 1849 წელს დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ - თბილისის სასულიერო სემინარია. 1849 წელს ბერად აღიკვეცა. 1862 წელს უკვე არქიმანდრიტია. 1865 წელს მოღვაწეობს ბოლბის მონასტერში. 1875 წელს აირჩიეს საქართველოს სინოდალური კანტორის წევრად. 1886 წელს დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. 1898 წელს პირადად რუსეთის ეპისკოპოსის ბრძანებით მოსკოვის სინოდალური კანტორის წევრად გადაიყვანეს, რასაც გვატყობინებს გაზეთ “ივერია-ს“ 1998 წლის 16 აპრილის (№89) ცნობა, რომელიც, გრიგოლ დადიანის მოღვაწეობას დიდი ყურადღებითა და პატივისცემით აშუქებს სხვა დროსაც (გაზეთ “ივერიაში“ არის ასახული მისი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ხელდასმაც). გრიგოლ დადიანის განსწავლულობასა და ღრმა სულიერებაზე მიუთითებს მისი ნაწერები; ორატორული ოსტატობისა და ქრისტიანული თავმდაბლობის ნიმუშს წარმოადგენს მისი მოსკოვში გადაყვანასთან დაკავშირებით წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა მრევლისადმი. სახასიათოა, რომ დიდი თედო ჟორდანიას გრიგოლ დადიანს “დიდ მამულიშვილს“ უწოდებს. სამწუხაროდ, ჯერ ვერ დავადგინეთ გრიგოლ დადიანის გარდაცვალების თარიღი, ვიცით კი, რომ 1904 წელს იგი ჯერ კიდევ

ცოცხალია, რასაც ადასტურებს იონა მეუნარგიასადმი გაგზავნილი პირადი წერილი, რომელიც ინახება ზუგდიდის მუზეუმში.

ამჯერად ჩვენ გრიგოლ დადიანის ხელმძღვანელობით შედგენილ ერთ დოკუმენტზე გვექნება საუბარი. ესაა გრ. დადიანის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც საყოველღეო ლოცვათა და ათი მცნების მეგრულად **გადატანას** ეხება.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, მეგრული და ლაზური დიალექტების ცნობილმა მკვლევარმა, ქალბატონმა ირინე ასათიანმა ამ ცოტა ხნის წინ გადმოგვცა მეტად საყურადღებო დოკუმენტთა კრებულის ასლი (დედანი ინახება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირად არქივში). დოკუმენტთა კრებული თარიღდება 1895 წლის 15 მარტიდან - 2 ივნისამდე პერიოდით და ასახავს სამეგრელოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა ბრძოლას ქართველი ერის ერთიანობის გადასარჩენად, ღვთისმსახურების სფეროში ქართული ენის გამოყენების შესანარჩუნებლად, საყოველღეო ლოცვათა და ათი მცნების მეგრულად გადაღების საწინააღმდეგოდ. დოკუმენტთა ეს კრებული, ანუ “ყურნალი” შედგენილია რუსულ ენაზე და მოიცავს სტამბური წესით აწყობილ 26 გვერდს.

“ყურნალის” შინაარსის სწორად გაგებისა და მართებული ანალიზისათვის აუცილებელია ზოგი საკითხის წინასწარი გახსენება. კერძოდ:

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე ჩვენში გავრცელებული იყო ერთადერთი შეხედულება იმის შესახებ, რომ **ქართველი ერი ლაპარაკობს ერთ ზოგადქართველურ ენაზე**, ყოველთა ქართველთა დედაენაზე - ქართულად, რომლის ტერიტორიულ ვარიანტებად მოიაზრებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გავრცელებული უკლებლივ ყველა კუთხური სამეტყველო ერთეული: ქართლური და ლაზური, კახური და მეგრული, მესხური და სვანური, იმერული და თუშური, ხევსურული და აჭარული, რაჭული და ჰერული (ინგილოური), ფშაური და გურული, მთიულური და შავშური, იმერხეული და ლეჩხუმური... სწორედ ერთადერთი ზოგადქართველური ენის მქონებლობა იყო ის მტკიცე საფუძველი, რომელიც განსაზღვრავდა ქართველი ერის ერთიანობასაც და ყოველი რეგიონის მცხოვრებთა ქართველური ცნობიერების შენარჩუნებასაც მაშინაც კი, როცა XV საუკუნის შემდგომ დაიშალა ერთიანი ქართული სახელმწიფო და შეიქმნა მცირე “საქართველოები“. ყოველი “მცირე საქართველო“ დანარჩენებს ქართველობაში, დედაენის სიყვარულში, ქართული კულტურის მესვეურებაში ეჯიბრებოდა, სწორედ ამიტომ

იყო, რომ XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, ერთი მხრივ, არამცთუ არ ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს, არამედ საკუთარ თავს ხელმწიფედ მოიხსენიებდა და ამას რუსეთის მეფეც კი აღიარებდა, მეორე მხრივ კი მას ჰქონდა პრეტენზია ქართული კულტურის განვითარებაში ლიდერობისა, რაც იმით გამოიხატა, რომ **გორიდან ზუგდიდში ჩაიყვანა საუკეთესო გადამწერები** და ქართული წიგნები გადააწერინა. ლევან დადიანს ფიქრადაც არ მოსვლია თავი არაქართველად მიეჩნია და წიგნების შექმნა მეგრულად დაეწყებინებინა. იგი ვერც კი იფიქრებდა იმას, თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, ვინაიდან მაშინ არა მარტო მეგრული კილო, არამედ საქართველოს უკლებლივ ყველა სხვა მხარეში გავრცელებული კილოები, როგორც ითქვა, ქართული სამწიგნობრო ენის ტერიტორიულ ვარიანტებად მიიჩნეოდა, რომლებზეც დამწერლობის შექმნა წარმოუდგენელი იყო. მეტიც, არსებობდა მტკიცედ ფეხმოკიდებული შეხედულება იმის შესახებ, რომ **ერთადერთი სწორი, გამართული, ამაღლებული და დახვეწილი ფორმა ენისა სამწიგნობრო ქართული იყო**, კილოები კი იწოდებოდა “დაღვლარჭნილ“, “დამახინჯებულ“, “შერყვნილ“, “ავენოვან“ მეტყველებებად, რომელთაც სხვაგვარად “დამხე“, “მდაბიურ“ თუ “მსოფლიოთა“ (ე.ი. გლეხურ) საუბრად მიიჩნევდნენ. რა თქმა უნდა, ამგვარი ეპითეტებით მარკირებულ დიალექტებზე დამწერლობის შექმნა დედაენის შეურაცხყოფა იქნებოდა, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ძველ საქართველოში **ცუდ ტონად** მიიჩნეოდა უკიდურესად პირადული შინაარსის წერილების წერაც კი დიალექტებზე - წერა და ნორმირებული სამწიგნობრო ენა ერთ დონეზე განიხილებოდა (ეს ტრადიცია დღემდე ძალაში რჩება).

შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართველები ერთადერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური ჯგუფის კილოები ამ ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, ფშაური და სვანური, გავრცელებული იყო უძველესი დროიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები: **სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, რაფიელ ერისთავი, მოსე ჯანაშვილი, სილოვან ხუნდაძე, ვალერიან გუნია, სოსიკო მერკვილაძე, პეტრე ჭარაია, თედო შორდანია, ნოე შორდანია, თედო სახოკია, დუტუ მეგრელი, გერონტი ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა, კონსტანტინე გამსახურდია...**, სასულიერო პირებიდან: **წმ.კირიონი (საძაგლიშვილი), წმ. ამბროსი (ხელაია), წმ. ალექსი (შუშანია),**

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქრობირიძე), კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქრობირიძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), მღვდელი იოანე მარგიანი და მრავალი სხვა.

ამ საყოველთაოდ გაზიარებულ თვალსაზრისს XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დაუპირისპირა მოსაზრება, თითქოს მეგრული, ლაზური და სვანური ზოგადქართული (ქართველური) ენის კილოები კი არა, არამედ დამოუკიდებელი ენები იყოს. ეს ახალი მოსაზრება არავითარ მეცნიერულ საფუძველს არ ეყრდნობოდა და მას წმინდა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, კერძოდ, ქართველი ერის ერთიანობის საბოლოო მოშლა და ქართველთა ნაწილ-ნაწილ გარუსება-გადაჯიშება. ცარიზმის მოხელეები უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში, როცა თითქმის დამთავრდა რუსეთის მიერ კავკასიის უდიდესი ნაწილის დაპყრობა, აღარ სჯერდებოდნენ მხოლოდ იმის განცხადებას, რომ მეგრელები, ლაზები და სვანები ქართველები არ არიან, ხოლო მათი კუთხური მეტყველებანი დამოუკიდებელი ენები. ისინი აშკარა შეტევაზე გადმოვიდნენ და სცადეს მეგრულისა და სვანურის სამწიგნობრო ენებად გადაქცევა:

1860 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი მეგრული ანბანის გამოყენებით მეგრულ დიალექტზე გადაიღეს წმინდა წერილის ცალკეული ადგილები, 1864 წელს კი ასევე რუსული გრაფიკის გამოყენებით გამოსცეს “ლუშნუ ანბან” (“სვანური ანბანი”), რასაც მოჰყვა მეგრული საანბანო სახელმძღვანელოების სამჯერ გამოცემა (ავტორები იყვნენ: თადა აშორდია, ფ. ლევიტსკი და ალექსანდრე გრენი).

ამ ქმედებათა ჭეშმარიტი პროვოკაციული მიზნები დაუფარავადაა განცხადებული 1899 წელს ა.გრენის მიერ გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, სადაც ავტორი აცხადებს:

“ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორც, თუნდაც არაპირდაპირ, გამოემეწვია ეროვნული ბრძოლისათვის მეგრელები, რომლებსაც ფეხქვეშ თელავს უფრო ძლიერი ქართველი ხალხი. ჭეშმარიტად, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა,] რომლითაც მეგრელი ისევე გამოხატავდა თავის აზრებს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი“ (ხუნდაძე, 1940, გვ.104).

საყურადღებოა, რომ იმპერიის მესვეურთა ამ ღონისძიებებს უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა თვით სამეგრელოში. მაგალითად,

პროფ. გივი როგავას ცნობით, 1860 წელს, როცა მეგრულად გადაიღეს წმინდა წერილის ნაწყვეტები და სცადეს სამეგრელოში ღვთისმსახურების შემოღება მეგრულად, ახალ სენაკში გაიმართა სამღვდლოების ყრილობა, რომელზეც ეს მცდელობანი ერთხმად შეფასდა როგორც მწვალებლობა, კუთხურობისა და განკერძოების გაღვივება და წმინდა წერილის გამასხრება (როგავა, 1999, გვ.13-14). ამგვარი გამოხმაურების გამო ცარიზმმა დროებით დაიხია უკან, თუმცა მალე სხვა ხერხს მიმართა: ბრძოლა გადაიტანა ენათმეცნიერების სფეროში, რათა შეექმნა “მყარი მეცნიერული საფუძვლები” და ახალი ძალით მიეტანა იერიში ქართველთა ერთიანობის წინააღმდეგ. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ის ფაქტი, რომ გერმანელ ლინგვისტს გეორგ როზენს 1844-45 წლებში გამოთქმული ჰქონდა **უარგუმენტო თვალსაზრისი**, რომლის მიხედვითაც მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენები ყოფილა და არა ქართველური ენის დიალექტები. რა თქმა უნდა, იმპერიისათვის იდეალური იქნებოდა, თუ გ.როზენის დაუსაბუთებელ თვალსაზრისს გაიმეორებდა რომელიმე ავტორიტეტის ქართველი მეცნიერი. ასეთი კაციც მოიძებნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის სახით, რომელმაც 1872 და 1880 წლებში გამოცემულ ნაშრომებში მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენები უწოდა. თუმცა იმავე ავტორს 1873 წელს მეგრული, ლაზური და სვანური იბერიული ფუძე-ენის დიალექტებად მიაჩნდა და გურულის, თუშურის, ფშაურისა და ხევსურულისაგან მხოლოდ იმით ასხვავებდა, რომ ამ უკანასკნელთ კილოკავებად (**наречие**) აცხადებდა. არა მარტო სამეგრელოში, არამედ სრულიად საქართველოშიც განსაკუთრებით მძაფრად გამოენმაურნენ 1880 წელს გამოცემულ ა.ცაგარლის ორტომეულს «**Мингрельские этюды**». როგორც წმ. ექვთიმე (თაყაიშვილი) და აკად. ივანე ჯავახიშვილი იგონებენ, **ა. ცაგარლის საქციელი ერის ღალატად იქნა შერაცხული დიდი ილიასა და მის თანამებრძოლთა მიერ**, ცარიზმის მოხელეებმა კი (მაგალითად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე იანოვსკიმ, ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, შავრაზმელმა იოანე ვოსტორგოვმა...) ხელზე დაიხვიეს ეს “სამეცნიერო ფაქტი” და ახალი იერიში მიიტანეს ქართველი ერის ერთიანობაზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან (ვრცლად ამის შესახებ იხ.: გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია, 2001; გვანცელაძე, 2003; გვანცელაძე, 2006; ტაბიძე, 2005). ალ. ცაგარელმა ამ რეაქციის გამო საერთოდ შეწყვიტა ენათმეცნიერებაში მუშაობა და სიგელთმცოდნეობაში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, მას სინდისი ქენჯნიდა და ცდილობდა დანაშაულის გამოსყიდვას: როცა 1902 წელს იმპერიამ კიდევ ერთხელ სცადა სამეგრელოს დაწყებით სკოლებში მეგრულის სწავლების

შემოღება, იაკობ გოგებაშვილმა ამ აქციის საწინააღმდეგოდ დაწერა წერილი “მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის,” რომელიც სწორედ ა. ცაგარელს გადაუგზავნა პეტერბურგში და სთხოვა დახმარება მის გამოქვეყნებაში. მეცნიერმა იაკობის თხოვნა გადაჭარბებით შეასრულა - მან იაკობის წერილი გამოაქვეყნებინა ჯერ გაზეთ “პეტერბურგსკიე ვედომოსტის” 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში, შემდეგ კი იგივე წერილი ბროშურადაც გამოსცა იქვე (ორივე პუბლიკაცია დაიბეჭდა “ვარიანელის” ფსევდონიმით). ამით ა.ცაგარელმა დაადასტურა, რომ 1872 და 1880 წლებში იგი აიძულეს მეგრული, ლაზური და სვანური ენებად გამოეცხადებინა, სინამდვილეში კი ეს მეტყველებანი დიალექტებად მიაჩნდა. სხვაგვარად ამ ფაქტების ახსნა ალოგიკურია.

ამ ექსკურსის შემდგომ მიუზბრუნდეთ აკად. არნ.ჩიქობავას არქივში დაცული დოკუმენტების კრებულს, გურია-სამეგრელოს ეპარქიის 1895 წლის “ჟურნალს,” რომელიც მეტად ძვირფასია მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმ მხრივ, რომ მასში თვალნათლივ ჩანს, თუ რა **თავდადებით იბრძოდა გრიგოლ დადიანის მეთაურობით გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოება და სამეგრელოს ინტელიგენცია რუსეთის იმპერიის გამარჯვებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ქართული ენის უფლებების დასაცავად.**

ეპარქიის “ჟურნალიდან” ირკვევა, რომ 1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილე იანოვსკის (იგი ამ პოსტზე მუშაობდა 1878 წლის დეკემბრიდან 1900 წლამდე) სპეციალური მოხსენება გაუგზავნია იმპერიის სახალხო განათლების მინისტრისათვის, რომელშიც მოითხოვდა, რომ საქართველოს სამღვდლოებისათვის ჩამოერთმიათ საეკლესიო-სამრევლო და ე.წ. წერა-კითხვის სკოლების მართვის უფლება, ვინაიდან სამღვდლოთა უმრავლესობა ქართველები არიან და მათმა დიდმა ნაწილმა არ იცის რუსული ენა, თანაც ქართველი სასულიერო პირები დააბრკოლებენ მთავრობის მისწრაფების განხორციელებას განაპირა მხარეების იმპერიასთან შესარწყმელად. კ. იანოვსკი თავის მოხსენებაში სხვადასხვა ხალხებად აცხადებს მეგრელებსა და დანარჩენ ქართველებს. მეგრელებს ქართულისაგან განსხვავებული ენა აქვთ და მეგრულზე აუცილებელია გადავიდოთ საეკლესიო წიგნები და ლოცვათა ტექსტებიო, წერდა იანოვსკი. იანოვსკის ამ მოხსენებაში წამოჭრილი საკითხების განხილვა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის დაუვალეობა საქართველოს ეგზარქოსის პალადისათვის 1892 წლის 24 მაისის №2729 წერილით, ეგზარქოსმა კი იმავე წლის 5 ივნისის № 2646 წერილით საკითხის გამოკვლევა და

დასკვნის წარდგენა მოსთხოვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს (დადიანს). იმავე წლის 12 აგვისტოს №2168 წერილში ეპისკოპოსმა გრიგოლმა გამანადგურებელი პასუხი გასცა კ.იანოვსკის, განსაკუთრებით მის “დებულებებს” მეგრელების არაქართველობისა და მეგრული “ენის” არსებობის შესახებ.

იანოვსკის მეგრელთა არაქართველებად გამოცხადებისა და მეგრული ენის არსებობის “მტკიცებაში” გამოცდილება უკვე ჰქონდა: 1880 წელს ახალსენაკის სკოლაში სტუმრობისას მან განაცხადა, რაკილა მეგრელები ქართველები არ არიან, მათ ქართული ენა არ უნდა ვასწავლოთ და ბავშვებმა განათლება მეგრულად უნდა მიიღონო. ამ განცხადებამ ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ინციდენტს გამოეხმაურა გაზეთი “დროება” (1880 წლის 30 ნოემბერი, № 253), რასაც მოჰყვა საპროტესტო წერილები “დროებასა” და “ივერიაში” **ილია ჭავჭავაძისა, სერგეი მესხისა, დიმიტრი ყიფიანისა, იაკობ გოგებაშვილისა, გერონტი ქიქოძისა, რაფიელ ერისთავისა.** იანოვსკი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, შეტევა განაახლა უმაღლეს სახელისუფლო დონეზე 1892 წელს.

ეპისკოპოს გრიგოლს უკვე ნახსენებ წერილში ეგზარქოსისადმი, რომელიც მთლიანადაა შეტანილი ეპარქიის “ჟურნალში”, მრავალი საბუთი მოაქვს იანოვსკის პროექტის საწინააღმდეგოდ. იგი მიიჩნევს, რომ მეგრულად საეკლესიო წიგნების გადაღება გაუმართლებელია შემდეგ მიზეზთა გამო:

მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა. მეგრული ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას.

რაკი მეგრული მხოლოდ კილოა და არა ენა, შეუძლებელია ღვთაებრივ ჭეშმარიებათა შემცველი საეკლესიო წიგნების გადაღება არასრულყოფილ, მცირესიტყვიან და წერილობითი თხრობისათვის სრულიად გამოუსადეგარ მეტყველებაზე.

პატივი უნდა მიეგოს სამეგრელოში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე (მეგრელთა დედაენაზე) აღსრულების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

მეგრულად საეკლესიო წიგნების გადაღება მწვალებლობაა. საერო სკოლებში ახლახან შემოღებულ მეგრულის სწავლებას მოსახლეობა მოწონებით არ უყურებს.

მეგრულის სწავლება ამუხრუჭებს რუსული ენის შესწავლის საქმეს. ეპარქიაში მოქმედ 89 სამრევლო და ე.წ. წერა-კითხვის სკოლაში სწავლებას უძღვებიან აკადემიური განათლების მქონე პირები.

დასასრულს ეპისკოპოსი გრიგოლი აცხადებს, “...მე არ ვიზიარებ მისი უდიდებულესობის, კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ

მზრუნველის შეხედულებებს და ჩემდამი რწმუნებული სამღვდელოების ამჟამინდელი მდგომარეობა მიმაჩნია სრულიად დამაკმაყოფილებლად თავისი სკოლების დამოუკიდებლად მართვისათვის“-ო.



ეგზარქოსმა პალადიმ მეუფე გრიგოლს მხარი დაუჭირა. მას, რა თქმა უნდა, მეგრელების დარდი სულაც არ ჰქონდა, - სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების იანოვსკის უწყებისათვის დათმობა არ სურდა, - მაგრამ ამით მან თავისდაუნებურად ღროებით შეაჩერა იმპერიის შეტევა ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ. ესეც დიდი საქმე იყო!

მალე ასპარეზზე “დაჩაგრულ” მეგრელთა ახალი “ქომაგები” გამოჩნდნენ თვით რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და ეგზარქოს ვლადიმირის მითითებებით მოქმედი ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის სახით. (კანტორას რუსულად **Грузино-Имеретинская синодальная контора** ერქვა. ამ სახელწოდებიდან ჩანს, რომ ცარიზმი არა მარტო მეგრელებს, არამედ **იმერლებსაც** კი არ მიიჩნევდა ქართველებად!). იმპერატორის ბრძანებულებით მეგრულად გადაიღეს ათი მცნება და საყოველღეო ლოცვების ტექსტი. 1894 წლის 28 იანვარს “ამ თარგმანის” შესახებ დასკვნა დაწერეს ალავერდის ეპისკოპოსმა **ბესარიონმა** (იგივე **ამბროსი ხელაია**), თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა თევდორე (თედო) ჟორდანიამ და მღვდელმა **გიორგი ჩაგუნავამ**. დასკვნის ავტორები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ამ ტექსტთა მეგრულად გადაღებას, ისე პროექტს წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღების შესახებ. მათი დასკვნა (№4) განუხილავს ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორას და არ დასთანხმებია მას. იმავე წლის 9 მარტის №2132 ბრძანებულებით სინოდალურმა კანტორამ დაავალა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს: შეემოწმებინა ტექსტების “თარგმანის” სიზუსტე, დაერთო გაუგებარ სიტყვათა განმარტებანი და კანტორისათვის წარედგინა დასკვნა იმის შესახებ, გამოიწვევდა თუ არა ამ პროექტის დანერგვა უკმაყოფილებას მოსახლეობაში. მეუფე გრიგოლმა 1894 წლის 30 მაისს თავისი თავმჯდომარეობით შექმნა კომისია ამ საკითხზე სამუშაოდ. კომისიაში შევიდნენ ბლალოჩინები: **დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, დეკანოზი გიორგი ბერიძე, მღვდელი ნესტორ ალშიბაია, მღვდელი კაპიტონ გაწერელია, მღვდელი ანტონ კეკელია, აგრეთვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტეფანე ძიმისტარიშვილი**. მეუფე გრიგოლმა დასკვნის წარმოდგენა სთხოვა აგრეთვე თავადებს: **დავით გიორგის ძე დადიანსა** და მწერალსა და მთარგმნელს **ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანს** (ილიას თანამებრძოლს, მწერალ შალვა დადიანის მამას). აზრის გამოთქმა დაევალა აგრეთვე სამეგრელოში არსებული ყველა საბლალოჩინოს ხელმძღვანელს.

კომისიას თავიანთი მოსაზრებანი წარმოუდგინეს როგორც კომისიის წევრებმა, ისე საბლალოჩინოთა ხელმძღვანელებმა: **კ. ბერიძემ, პ. გოშუამ, ნ. თოლორაიამ, ი. გრიგოლიამ, ა. რევიამ, ს. ქავთარაძემ, კ. ჩაჩბაიამ, ა. კეკელიამ, კ. გაწერელიამ, კ. ჭანტურაიამ, მ. მეუნარგიამ (მწერალ იონა მეუნარგიას მამამ), ე. შენგელაიამ, ნ. აღშიბაიამ, გ. ბერიძემ, ა. კალანდარიშვილმა, ა. ქვარცხავამ, თ. ხოშტარიამ, ასევე დ. დადიანმა და ნ. დადიანმა.** ამათგან ყველა, გარდა ბლალოჩინ დეკანოზ თევდორე ხოშტარიასი, წინააღმდეგი იყო “ათი მცნებისა” და საყოველღეო ლოცვების მეგრულად გადაღებისა და წირვა-ლოცვის ამ “ენაზე” აღსრულებისა (დეკანოზი თ.ხოშტარია წერდა, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის შეფასება ჩემს ძალებს აღემატება და არ ძალმიძს თანხმობა ან უარი ვთქვა ასეთი პროექტის შესახებ). ეს დასკვნები გრიგოლ ეპისკოპოსს იმით გაუშვარებია, რომ მოუწვევია სამეგრელოს სამღვდლოების ყრილობა, რომელმაც დაასკვნა, რომ “ათი მცნებისა” და საყოველღეო ლოცვების გადაღება მეგრულად დამლუბველ ზეგავლენას მოახდენდა ხალხის რელიგიურ გრძობებზე.

იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას ზუსტი წარმოდგენა მეუფე გრიგოლის მიერ შექმნილი კომისიის არგუმენტაციის შესახებ, წარმოვადგენთ “ყურნალში” შეტანილი ერთ-ერთი დასკვნის ძირითად დებულებებს. მისი ავტორია ბლალოჩინი მღვდელი **კაპიტონ გაწერელია**, რომელიც კომისიის წევრი ყოფილა. მამა კაპიტონს თავისი არგუმენტები დაყოფილი აქვს 3 პუნქტად:

1. ლოცვებისა და საეკლესიო წიგნების გადაღება მეგრულად შეუძლებელია. ამ დასკვნის საფუძველია შემდეგი გარემოებანი:

ყოველი უმწიგნობრო (არასალიტერატურო) ენა განუვითარებელია, რადგან მათ არა აქვთ აზრის გადმოცემის ის საშუალებები, რაც მოეპოვებათ ხანგრძლივი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ენებს. რაც შეეხება მეგრულს, იგი ენაც კი არ არის - ქართული ენის კილოა და არა აქვს არც რელიგიური შინაარსის გადმოსაცემად სამყოფი ლექსიკა და არც დამწერლობა. რელიგიური წიგნების სათარგმნელად აუცილებელია სიზუსტისა და დოგმატურობის დაცვა, რათა არ დამახინჯდეს მათი ღრმა აზრი. ენა, რომელზეც ასეთი წიგნები უნდა ითარგმნოს, განვითარების მაღალ დონეზე უნდა იდგეს და სათანადოდ იყოს დამუშავებული. მეგრული ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს.

რელიგიური ტექსტების ქართული სამწიგნობრო ენიდან მეგრულ კილოზე გადაღებისას აღმოჩნდება, რომ სამწიგნობრო ქართული სიტყვებისა და ფრაზების ერთ ნაწილს საერთოდ არა აქვს შესატყვისი მეგრულში, მეორე ნაწილი განსხვავებულია შინაარსით

(მნიშვნელობით) და არღვევს ტექსტის სიზუსტეს, მესამე ნაწილი კი იქნება იგივე ქართული სიტყვები, მცირედ სახეცვლილი მეგრულში.

მთარგმნელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება, მაგრამ ეს თვისება მაინც ვერ იქნება თარგმანის სიზუსტის გარანტია ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო. ამიტომ მომავალში აუცილებლად გაჩნდება საჭიროება თარგმანის დაზუსტებისა და შეცვლისა.

განსახილველად წარმოდგენილ თარგმანის ნიმუშებში ხშირია შემთხვევები, როცა მეგრულში შერჩეული სიტყვები მეგრულთათვის სრულიად გაუგებარი, ან ძნელად გასაგებია, ვიდრე სამწიგნობრო ქართულის სიტყვებია, სიტყვათა ერთი ნაწილი კი სულაც არ გამოხატავს იმ აზრს, რაც სინამდვილეში უნდა გადმოიცეს. ავტორს იქვე მოჰყავს 23 ასეთი მაგალითი. მამა კაპიტონი იმასაც აღნიშნავს, თარგმანის ნიმუში ისეთია, რომ ხალხში ან სიცილს იწვევს, ანდა ზიზღს, რაც ყოველად დაუშვებელიაო.

წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა წმინდა საქმეა და უნდა შესრულდეს ღვთაებრივი შთავგონების საფუძველზე, გარდა ამისა, ამ საქმისათვის აუცილებელია ზებუნებრივი ნიჭიც. ჩვენ კი სამეგრელოში ამჟამად არა გვყავს ასეთი ღვთის რჩეულნი და იმის მტკიცება, რომ ასეთნი არსებობენ, მძიმე ცოდვაა.

საეკლესიო წიგნებისა და ლოცვათა ტექსტი, უნდა იყოს ზუსტი, უნდა ახასიათებდეს სიწმინდე და სერიოზულობა, რაც მხოლოდ საეკლესიო ენის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. საეკლესიო ენას უნდა ჰქონდეს თავისი გრამატიკა (იგულისხმება სამწიგნობრო ენის ნორმები - თ.გ., მ.ნ., მ.ტ.). მეგრული არ არის საეკლესიო ენა და არც გრამატიკა (ე.ი. მართლწერის წესები) მოეპოვება. საეკლესიო ენის ჩამოყალიბებას საუკუნეები სჭირდება. ერთდროულად რელიგიური წიგნების თარგმნა და საეკლესიო ენის შექმნა შეუძლებელია.

2. რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად სახიფათოა ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით. ამ დებულებას კ. გაწერელია შემდეგნაირად ასაბუთებს:

საეკლესიო წიგნების გადაღება მეგრულად თავისებური რეფორმაა. მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ რელიგიის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს ხშირად მოსდევს განხეთქილებანი. ასე გაითიშა ერთმანეთისაგან რომის ეკლესია და მართლმადიდებლობა, რომაულ ეკლესიაში გაჩნდა პროტესტანტობა, წარმოიშვა ათასგვარი სექტები და დაჯგუფებანი. განხეთქილება არ ასცდენია არც რუსულ ეკლესიას: საშინელი დაპირისპირება გამოიწვია წმინდა წერილის თარგმანის ტექსტის გადასინჯვა-დაზუტების მცდელობებმა, გაჩნდა “სტარობრიადობა”... იგივე მოხდება სამეგრელოშიც. მეგრულ

თარგმანს უამრავი კრიტიკოსი გაუჩნდება, მრევლში გაჩნდება განხეთქილება, რასაც ხელს ისიც შეუწყობს, რომ მეგრულს არა აქვს სამწიგნობრო ტრადიცია, მყარი სალიტერატურო ნორმები, “და დაიწყება რელიგიური კამათი, დაუნდობელი ბრძოლა დაჯგუფებათა შორის, ჩამოყალიბდება განცალკევებული სექტები და ... სამეგრელო შემდგომში შეიძლება გადაიქცეს განდგომილთა ცემა-ტყუების ადგილად, სხვაგვარად მოფიქრალთა ბუნაგად და თავშესაფრად.”

3. რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად ზედმეტია. ავტორს ამ დასკვნის გამოსატანად ასეთი საბუთები მოაქვს:

ნებისმიერ სფეროში სიანლის დანერგვას აუცილებლობა უნდა განაპირობებდეს. მეგრულად რელიგიური ტექსტების გადაღების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან მეგრულს აქვს დედაენა ქართულის სახით და კარგად ესმის ქართული წიგნებისა და ქართული წირვა-ლოცვის შინაარსი. მეგრული მეტყველება ქართული ენის კილოა და მასზე არასოდეს არსებულა დამწერლობა. ეს იმიტომ, რომ საამისო მოთხოვნილება არასოდეს გაჩენილა. სამეგრელო მუდამ იმართებოდა ქართული ენის გამოყენებით, მეგრელები მხოლოდ ამ ენაზე ისმენდნენ ლოცვებსა და ღვთისმსახურებას, მათ შესანიშნავად ესმით ქართული, კარგად იგებენ ღვთის სიტყვის აზრსა და მნიშვნელობას. ამრიგად, მრევლის ზნეობრივ-რელიგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიზანი დიდი ხანია მიღწეულია, რაც გამოორიცხავს რელიგიური წიგნების მეგრულად გადაღების საჭიროებას. გარდა ამისა, თვით მეგრელებს არც წარსულში და არც ამჟამად არასოდეს მოუთხოვიათ ამგვარი რამ, ვინაიდან “...ლოცვების კითხვა და ღვთისმსახურების აღსრულება საეკლესიო ქართულ ენაზე სრულად ეხმატკბილებოდა მეგრელთა სულიერ წყობასა და რელიგიურ მოთხოვნილებებს; სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეგრელები ლოცვათა თარგმანს სასაცილო და ცოდვიან საქმედაც კი, როგორც მე დავრწმუნდი მათთან ამ საკითხზე გამართული კერძო საუბრისას...” დასახელებული ტექსტების მეგრულად გადაღება ზედმეტია იმიტომაც, რომ ეს იქნება დროისა და სახსრების ამაო ხარჯვა.

მეგრული დიალექტის სამწიგნობრო ენად გადაქცევა არაბუნებრივიც იქნება და ღვთის ნების საწინააღმდეგო საქმეცო, - დასძინს კ. გაწერელია. - თავის დროზე უფალმა ადამიანებს ერთადერთი ენა შეუქმნა, მაგრამ ადამიანები ზედმეტად გათავხედდნენ, რის გამოც ღმერთმა ისინი დასაჯა მრავალი ენის შექმნით. ამ ახალ ენათა შორის მეგრული არ ყოფილა, ახლა კი ცდილობენ არარსებული ენის ხელოვნურად შექმნას, რაც ღვთის საქმეში უხეში ჩარევა და დიდი მკრეხელობაა. ამგვარი მცდელობით ავ

ხსოვნას დაფუტოვებთ სამშობლოსაც და ეკლესიის ისტორიასაცო, აცხადებს მამა კაპიტონი.

აი, ამგვარი არგუმენტების საფუძველზე ეპისკოპოს გრიგოლის თავმჯდომარეობით მომუშავე კომისიამ 1895 წლის 2 ივნისს დაადგინა: “ათი მცნებისა” და საყოველღეო ლოცვების გადაღება მეგრულად შეუძლებელია, ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით მაგნე და ზედმეტია, ვინაიდან მეგრული კილო არის მეგრელი მოსახლეობისათვის გასაგები ქართული ენის დიალექტი.”

გურია-სამეგრელოს ეპარქიის “ჟურნალი” ნათლად გვიჩვენებს, რომ 1892-95 წლებში ცარიზმის პროვოკაციულ პოლიტიკას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სამეგრელოს სამღვდლოებამ, ინტელიგენციამ და მოსახლეობამ. **მათ სანიმუშო მამულიშვილობა და დიდი შეგნება გამოამჟღავნეს.** იმპერია სამეგრელოსა და აფხაზეთ-სამურზაყანოში ხან დროებით იხევდა უკან, ხან კი კვლავ უტევდა საქართველოსა და ქართველი ერის ერთიანობას. მაგალითად, 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ქართლ-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამრევლო სკოლებში აკრძალა ქართული ენის სწავლება, თუმცა იმავე 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ნება დართო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულებისა იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლის უმრავლესობას ქართველები ქმნიდნენ, მაგრამ სოხუმის ეპისკოპოსმა არსენიმ (ზოტოვმა) არ შეასრულა ეს ბრძანებულება, აქაოდა სამურზაყანოელები ქართველები არ არიანო. არსენის ქმედებამ მძაფრი პროტესტი გამოიწვია აფხაზეთის ქართველთა შორის და საქმეში **თედო სახოკიას ხელმძღვანელობით მოქმედი ქართული პარტია** ჩაერთო. “ქართული პარტიის” გააქტიურებას მის მეთაურთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოჰყვა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ საქმე განიხილა კავკასიის მთავარმართებლის საბჭომ ინფანტერიის გენერალ ა. ფრეზეს თამჯდომარეობით, რომელმაც 1904 წლის 1 მაისს “ქართული პარტიის” წევრებს - **თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯუღელს, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭულაძეს, ფარნა დავითიას (აკად. თეოფანე დავითიას მამას), სპირიდონ ნორაკიძეს, აკაკი ჩხენკელს (შემდგომში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს),** რომლებიც საბჭოს განაჩენის თანახმად, “ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის ღონისძიებებს (სოხუმის ოლქის) მოსახლეობის გასარუსებლად,” **მისეჯათ კავკასიაში ცხოვრების უვადოდ აკრძალვა** (ვრცლად იხ.: სილაგაძე, გურული, 1999).

სამეგრელოს, სამურზაყანოსა და აფხაზეთის ქართველობას დედაენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია არც 1900-

1917 წლებისა და არც 1921-36 წლების პერიოდში, როცა ჯერ ცარიზმი, შემდგომ კი მისი მემკვიდრე საბჭოთა რეჟიმი ცდილობდნენ მეგრელთა მოწყვეტას დანარჩენი საქართველოსაგან მეგრული დიალექტის სამწიგნობრო “ენად“ გადაქცევის გზით. მაგრამ ეს უკვე სხვა ნაშრომის განხილვის თემაა და მასზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვით.

მეუფე გრიგოლის (დადიანის) დიდბუნებოვნებას, განსწავლულობასა და ღვაწლს საუკეთესოდ წარმოაჩენს მისი მიმართვა მრევლისადმი, რომელიც წმინდა მოღვაწემ საქართველოდან გამგზავრების წინ დაწერა;¹

საყვარელო სამწყსო!

თორმეტი წელიწადი გამსახურე შენ. აღზრდილი ჰყონდიდის საკათედრო ადგილსა, განსწავლული საქმეთა ღ[მრ]თის მეტყველებისათა, მასვე წმიდასა ადგილსა წიგნთაგან წ[მიდა]თა მამათა საქართველოს ეკლესიისათა, მე ვევედრებოდი ღმერთსა დაუსაბამოსა გულითა, განმსჭვალულითა მხურვალისა სარწმუნოებითა, რათა მან მოგანიჭოს შენ ცხოვრება ბედნიერი ჰქმარიტის ქრისტიანისა, ცხოვრება, აღსავსე ამა სოფლისა დიდებითა, განმშვენებული მაგალითებითა სწავლათა და მცნებათა იესოსთა. სიმდაბლესა შ[ინ]ა ჩემსა მე ვგრძობდი თავსა ჩემსა განმავრძობელად ლოცვათა და ვედრებათა წინაშე ღ[მრ]თისა დედისა მის[ი]სა წილხდომილ საქართველოს, მისსა მლოცველსა საქართველოს ერსა, მრავლად ტანჯულსა; მაგრამ სარწმუნოებასა შ[ინ]ა მტკიცესა და მტერთაგან უძლეველსა მისსავე მფარველობასა ვავედრებდი მხარესა, რომელსა განაშენებდნენ ძეგლნი, მადიდებელნი წარსულთა დროთა საქართველოს ქრისტიანობისა; მარტვილი, ხობი, შემოქმედი და ჯუმათი.

¹ მიმართვის ხელნაწერი ასლი დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ზსიგმ 30. 050, ლ.ა. 1880).

ტექსტი მოგვაწოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქალბატონმა მანანა ბუკიამ, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის ბიოგრაფიის დადგენაში დახმარება გაგვიწიეს ქალბატონებმა მანანა ბუკიამ და მარიამ ჩხარტიშვილმა, ბატონებმა ელდარ ბუბულაშვილმა და აბესალომ ტუღუშმა, რომელთაც ასევე მადლობას მოვახსენებთ.

სამსახური ჩემი წინაშე გურია-სამეგრელოს ეკლესიისა იყო შედეგი აღზრდისა ჩემისა, რომელიცა მივიღე მე მემკვიდრეობით ღირსთა სამეგრელოს ეპისკოპოსთაგან. როგორც ესენი, მეცა ვიყავ თავი მლოცველის ჩემის სამწყსოსა, რომლისა ფიქრი მარადჟამ განუშორებელ იყო დიდება საქართველოს ეკლესიისა, სუფევა ქართულის წიგნისა, ქართულის კითხვისა, ქართული საეკლესიო გალობისა. ძალა ჩემი არ აღემატებოდა ძალასა წინა-მოადგილეთა ჩემთა, მე შორს ვსდევ მათგან, რომელნიცა მაღალის თვისის სწავლითა და სათნოებით მოაქუსთ ამა სოფლად საუკუნო რამ სიკეთე. სიმდაბლე ჩემი ერთგულებდა წარსულთა დროთა და პირთა, რომელთა მეოხებითა დღესაცა ვეგებით ჩვენ მართლმადიდებელ ქრისტიანედ. ამისგან უმთავრესი ზრუნვა ჩემი იყო მიმართული განშვენებისადმი ამა საუკუნოისა ძეგლისა ჩვენის ქვეყნისა, რომელიცა იყო განწმედილ ფერხთაგან პირველწოდებულისა ანდრიასა და რომელიცა შეიქმნა წყაროდ განვრცელებისა ქრისტიანობისა ჩვენს ღ[მრ]თისაგან კურთხეულს საქართველოში. იგივე აზრი ერთგულებისა საუკუნოისა მის ადგილისადმი მითქმიდა მე მიყვანებად მსახურებისადმი გურია-სამეგრელოს ეკლესიისა პირთა, რომელთაცა ისწავლეს საეკლესიო წიგნი და გალობა მონასტერთა და ეკლესიათა შინა ჩვენთა და ეზიარნენ ღ[მრ]თისა შიშსა და სათნოებასა სამღვდელო მსახურთაგან ამა წმიდათა ადგილთა. მსგავსისავე გულსმოდგინებით ვცდილობდი მე წარმატებისათვის სასულიეროთა სასწავლებელთა გურია-სამეგრელოსათა და გამრავლებისათვის სამრევლოთა შკოლათა.

1-დ, დაარსდა ყ[ოვლა]დ მოწყალე ხელმწიფის ნებართვით სასულიერო წოდების ქვირე-ობოლთათვის სამზრუნველო. 2-დ, მარტვილის მონასტერი განვაშენე საარქიერო სახლის აშენებით, სასწავლებლის სახლით, ძმათათვის სახლებით და სხვა საჭირო სახლებით, რომელიც ეღირება უმეტეს 40-ი ათას მანეთამდი. 3-დ, აღშენდა ბათუმში სობორი, რომლის საფუძვლის კურთხევის დროს დაესწრო დიდი ხელმწიფე ჩვენი იმპერატორი ალექსანდრე მესამე და მიიღო მონაწილეობა ქვების ჩაწყობაში თავისის უაღუსტესის ჯელმწიფა იმპერატრიცა მარიამ ფეოდორეს ასულით ერთად უაღუსტესის შეილებითა, და მასთან ბათუმშივე აღშენდნენ თვით ქალაქში ეკლესიები, რომელნიც არიან ჩემნი ნაკურთხნი, ჩემივე თაოსნობით აღშენებულნი. 4-დ, ბათუმის ახალშემოერთებულ ოკრუღში თათრების [მაჰმადიანების- რედ.] სოფლებში აღშენებულ იქმნენ ხუთნი მშვენიერი ქვის ეკლესიები, ბერძენთაგან შეუწყვენლად, ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ქობულეთში, კვირიკეში, დაგვაში, აჭკოვში [უნდა ყოფილიყო: აჭყვაში-რედ.] და ახალშენში, ხუთივე პრიხოდები დაკმაყოფილებულნი არიან

ჯამაგირით. 5-ე, თვით ამ ფოთში დრტვინავდა საზოგადოება სასაფლაოზედ ეკლესიის უქონლობაზედ, რომელიც გულსმოდგინე და მღვიძარე ადგილობრის მღვდლის მეცადინეობით აღშენდა, შესაფერი ეკლესია და განეწყო ყ[ოვე]ლის საჭირო სამკაულით. ამითი მრავალნი სარგებლობენ და დაუკლებლის საღმრთო მსახურების აღსრულებით დიდი წარმატება მიეცა ქრისტიანეთა მცხოვრებთა. ამასთან აღშენდა ორი პრიხოდის შკოლა, რომელთა მოაქუთ დიდი სარგებლობა. 6-ე, სხვადასხვა მხარეში ამავე ეპარხიაში აღაშენეს არა უმცირეს სამოცი ეკლესიები ქვიტკირისა თუ ხისა. 7-ე, აღშენებულ იქმნენ ორი დედათ მონასტერი თავიანთ ეკლესიებით, ერთი სენაკის უეზღში სახარბედიოს თეკლათში და მეორე ოზურგეთის უეზღში, ჭინეთში, ორივეში სცხოვრებენ დანი ნიადაგ ას ორმოცი სულისა და მესამეც ეხლა აპირებს თვით პოთში [ფოთში-რედ.] ზღვით პირათ დაარსებას. 8-ე, განათლების შესახებ: ჩემის შუამდგომლობით გაიხსნა უმაღლესის მთავრობის გარდაწყვეტილებით სამუდამოდ შვიდი ორკლასიანი სასწავლებლები: მარტილში, ბანძაში, კიწიაში, ხეთაში, ქობულეთში, თამაკონში და ეწერში, ყველას ამათ ეძლევათ ხაზინიდან საჭირო ხარჯი, როგორც უჩიტლებს ჯამაგირები, ეგრეთვე სახლის ასაშენებელი და შესანახი, რამდენიმე ათასი მანეთი. ამეებში იზრდება რამდენიმე ასი სული ორივე სქესისა და სარწმუნოებისა. პრიხოდის შკოლა და შკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელია ას სამოცამდე გახსნილი, რომელშიდაც ირიცხვიან 2500 სულზე მეტი ორივე სქესისანი. 9-ე, მართლმადიდებელ ეკლესიას შემოუერთდნენ მახმედიაანი, ურიანი და წარმართნი სამასამდი. ყველა ესეები დაწყობილი და გზაგაკვალული არიან ჩემის თაოსნობით ჩემს დროშივე და მმართველობაში, რომელიც მაიმედებენ, მომავალში თანდათან აღყვავდებიან, გავრცელდებიან, განმტკიცდებიან და მხარე მიიღებს ჯეროანს წარმატებას, რომლისა სმენით მე, სადაც უნდა ვიყო, ყოველგან მომცემს დიდ ნუგეშს, ვ[ითარც]ა ჩემ მიერ დაწყობილი სასულიერო და სამოქალაქო წარმატების მხრით. გარეშე სარწმუნოების განმტკიცებისა და განათლებისა სწავლითა, მხარე ვერ იქმნების კეთილდღეობაში. ამისთვის ვილოცავ წინაშე ღ[მრთ]ისა, რომ მისცეს ამ სამწყსოს წარმატება ყოველს კეთილსა შ[ინ]ა და სიყვარული ღ[მრ]თისა და ჰელმწიფისა, რომელიც ესოდენ მფარველი, გამომზრდელი და მოწყალეა ჩუცნი.

საშვალ ჩემისა ესევითარის სიყვარულისა სამწყსოისა ქვეყნისადმი, ნებითა ღ[მრ]თისათა და ბრძანებითა ყ[ოველ]ად მოწყალე ხელმწიფისათა მე ვიქმენ გარდაყვანილ სატახტოსა ქალაქსა მოსკოვს წევრად უწმინდესის სინოდის კანტორისა და დღეს უკანასკნელად ვსახავ ჯვარსა საყვარელსა ჩემსა სამწყსოსა. მშვიდობით, სულიერნო

შვილნო, მშვიდობით, მამანო და ძმანო, დედანო და ასულნო, მშვიდობით, თანამსახურნო ჩემნო სამღვდელნო და სამონაზვნო პირნო, მშვიდობით, რომელთა ისმინეთ ლოცვა ჩემი და ვერა ისმინეთ, მშვიდობით დაბანო და სოფელნო, მშვიდობით, პატროსანო სამწყსოვ საკათედროსა ქალაქისა ფოთისა! უკუეთუ რაიმე გცოდეთ, მომიტევეთ, რათა თქვენცა მოგიტეოს მამამან ზეცათამან. მე დღეს გშორდებით თქვენ, მაგრამ სულით და გულით თქვენთანა ვარ, როგორც დღემდის, ისე დღეის შემდეგ მე ვილოცავ თქვენის ბედნიერებისათვის. დღემდის მე მუხლმოდრეკით ვევედრებოდი მარტილისა ღ[მრ]თისმშობელს და წ[მდი]ასა ჯუმათს თქვენის ბედნიერებისათვის. დღეის შემდეგ მე ვილოცავ თქვენთვის წინაშე მოსკოვის ივერის ღ[მრ]თისმშობლისა, რომელიცა არის კავშირი უმაღლესი შეერთებისა ორთა ღირსთა მართლმადიდებელთა ერთა.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენ ყ[ოველ]თა თანა. ამინ.

თქმული ფოთის საკათედრო სობოროში ყ[ოველ]ად სამღვდელო გრიგორისაგან 1898-ს წელს 18-ს მაისის რიცხვში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. **გვანცელაძე, 2003** - თეიმურაზ გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო. - "ქართველური მემკვიდრეობა", ტ.VII, ქუთაისი, 2003.
2. **გვანცელაძე, 2006** - თეიმურაზ გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში., გამომც.: "უნივერსალი" თბილისი, 2006
3. **გვანცელაძე, ტაბიძე შეროზია, ჭანტურია, 2001** - თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე, რევაზ შეროზია, რევაზ ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. - "ქართველური მემკვიდრეობა", ტ.V, ქუთაისი, 2001.
4. **როგავა, 1999** - გივი როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (1801-1917), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 1999.
5. **სილაგაძე, გურული, 1999** - აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II, თედო საზოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904), თბილისი, 1999.
6. **ტაბიძე, 2005** - მანანა ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, გამომც. "ქართული ენა". თბილისი, 2005.

7. **ხუნდაძე, 1940** - ტ.ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები). თბილისი, 1940.

Teimuraz Gvantseladze - Full Professor, Ivane Javakhishvili State University

Merab Nachqebia - Associate Professor, Ivane Javakhishvili State University

Manana Tabidze - Chief Research Worker of Iberian-Caucasian International Scientific-Educational Centre

Bishop Grigol Dadiani of Guria and Samegrelo (The Struggle for the Mother Tongue in the Second Half of the 19th Century)

Summary

The paper deals with a collection of documents preserved in Acad. Arn. Chikobava's archive, "Journal of the Guria and Samegrelo Eparchy of 1895", which demonstrates clearly the self-sacrificing struggle of the clergy from Guria and Samegrelo headed by Bishop Grigol Dadiani and intellectuals of Samegrelo against the russification policy of the Russian empire, for the retaining of the integrity of the Georgian nation, and for the protection of rights of the Georgian language.

The view that the Georgians speak a single language, and Megrelian, Laz and Svan are dialects of this language similar as Kartlian, Kakhetian, Imeretian, Gurian, Khevsur, Pshavian, etc. was current from ancient times until the 1940s. This view was shared by well-known public figures and scientists: Sul Khan-Saba Orbeliani, Vakhushti Bagrationi, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili, Dimitri Bakradze, Sergei Meskhi, Rapiel Eristavi, Mose Janashvili, Silovan Khundadze, Valerian Gunia, Sosiko Merkviladze, Petre Charaia, Tedo Zhordania, Noe Zhordania, Tedo Sakhokia, Dutu Megreli, Geronti Kikodze, Luarsab Lolua, Konstantine Gamsakhurdia, clergymen: St. Kirion (Sadzaglishvili), St. Ambrosi (Khelaia), St. Aleksii (Shushania), Catholicos-Patriarch Leonide (Okropiridze), Catholicos-Patriarch Kalistrate (Tsintsadze), St. Bishop Aleksandre (Okropiridze) of Guria and Samegrelo, Bishop Grigol (Dadiani) of Guria and Samegrelo, and many others.

From the first half of the 19th c. the Russian imperial government opposed this universally accepted view with the opinion that allegedly Megrelian, Laz and Svan are independent languages, and not dialects of the Common Georgian (Kartvelian) language. This new opinion was unfounded scientifically, and it had purely ideological and political purposes, in particular, the final disintegration of the Georgian nation and gradual russification and degradation. In the 1860s, when Russia had occupied the great part of Caucasia, tsarist officials were no longer content with proclaiming that the Me-

grelians, the Laz and the Svans were not Georgians and that their dialects were independent languages. They made an attack openly, and tried to turn Megrelian and Svan into literary languages. The celebration of the divine service in the Megrelian dialect was intended as the main stage in this direction.

The present authors offer a survey of the discussion concerning problems of the linguistic and cultural integrity of the Georgians at the end of the 19th c. and demonstrate the great service of Grigol Dadiani in the objective evaluation of these problems. Owing to the tireless efforts of G. Dadiani and other Georgian figures, the evil intents of persons interested in the division of Georgia into separate regions were exposed and attempts of any kind aimed at the division of the Georgian language was averted by balanced and laconic arguments.

Теймураз Гванцеладзе - Полный профессор Тбилисского Государственного университета им. Иванэ Джавахишвили,

Мераб Начкебия - ассоциированный профессор Сухумского филиала Тбилисского Государственного университета им. Иванэ Джавахишвили.,

Манана Табидзе - Главный научный сотрудник Иберийско-Кавказского международного научно-учебного центра

Гурийско-мегрельский епископ Григорий Дадияни. (Борьба за «Дедаэна» во второй половине XIX века).

Резюме

В статье рассмотрен один из сборников из архива документов акад. А.С. Чикобава, журнал 1895 года гурийско-мегрельской епархии, в котором видно, как самоотверженно боролось духовенство гурийско-мегрельской епархии во главе с гурийско-мегрельским епископом Григорием Дадияни вместе с интеллигенцией Самегрело против политики обрусения Российской империи и за сохранение единства грузинского народа.

Мнение о том, что грузины говорят на одном единственном языке, а мегрельский, лазский и сванский являются такими же диалектами этого языка, как картлийский, хевсурский, пшавский и другие, было распространено до 40-х годов XX века. Это мнение разделяли известные общественные деятели и учёные: Сулхан-Саба Орбелиани, Вахушти Багратиони, Илья Чавчavadze, Акакий Церетели,

Яков Гогешвили, Дмитрий Бакрадзе, Сергей Месхи, Рафиэль Эристави, Мосе Джанашвили, Силован Хундадзе, Валериан Гуния, Сосико Мерквиладзе, Пётр Чараиа, Тедо Жордания, Ноэ Жордания, Тедо Сахокиа, Дуту Мегрели, Геронтий Кикодзе, Луарсаб Лолуа, Константинэ Гамсахурдиа... Из духовных лиц: Св.Кирион (Садзаглишвили), Св.Амвросий (Хелаиа), Св.Алексий (Шушания), католикос-патриарх Леонид (Окропиридзе), католикос-патриарх Калистрат (Цинцадзе), гурийско-мегрельский епископ Александр (Окропиридзе), гурийско-мегрельский епископ Григорий (Дадиани) и многие другие.

Вопреки этому распространённому мнению с первой половины XIX века правительство Российской империи стало распространять противоположное мнение о том, будто мегрельский, лазский и сванский являются не говорами общегрузинского (картвельского) языка, а самостоятельными языками. Это новое мнение не имело никакой научной основы и преследовало чисто идейно-политические цели, в частности, окончательное разрушение единства грузинского народа и постепенное обрусение грузин. В 60-х годах XIX века, когда почти закончилось порабощение большей части Кавказа, чиновники царизма уже не довольствовались лишь заявлением о том, что мегрелы, лазы и сваны не являются грузинами, а их говоры – самостоятельными языками. Они перешли в наступление и постарались превратить мегрельский и сванский в письменные языки, а важным шагом в этом направлении считали проведение церковных служб в Мегрелии на мегрельском диалекте.

Авторы статьи анализируют дискуссию конца XIX века о вопросах грузинского языкового и культурного единства и подчёркивают огромный вклад Григория Дадиани и его единомышленников в дело объективной оценки этих проблем; благодаря Григорию Дадиани и другим грузинским деятелям были выявлены замыслы тех, кто старался раздробить Грузию на отдельные части, и их вескими аргументами искоренилась всякая попытка разделения грузинского языка.

ვახტანგ გურული - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. ჩვეულებრივ ეროვნული ცნობიერების გაჩენა წინ უსწრებს სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს წარმოშობა თავისთავად ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას, რადგან სახელმწიფოებრივი ცნობიერება სწორედ ეროვნულ ცნობიერებას ემყარება. ეს ორი ფენომენი ქმნის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს - **ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას**.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, მის შესუსტებასა თუ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **ქონების გადანაწილება** და მისი თანამდევი პროცესები ერსა და სახელმწიფოში.

დღევანდელი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება სულ მცირე ოცდაათსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წელს გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, ხოლო 1814 წელს - აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი). ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებების ფეხქვეშ გათელვამ და სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლება, ისევე როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და უძველესი ეკლესიის რუსი ეგზარქოსისათვის დაქვემდებარებამ, ცხადია, დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

ქართველი ერის მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ დროის რა მონაკვეთში მოხდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი

ცნობიერების გამოცოცხლება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ბრძოლის დაწყება **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი განსაკუთრებული მოვლენის შესახებ. ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება რომ დიდ სირთულეს შეუქმნიდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას დაპყრობილ საქართველოში, ეს იმთავითვე გახდა ცნობილი. 1802 წლის აპრილში, თბილისში, სიონის ტაძარში, წაკითხულ იქნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცა. **კახეთის თავადებისა და აზნაურების ნაწილმა არ დაიფიცა, რუსის ჯარის ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა.** ამას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით მეტად საინტერესო მოვლენები მოჰყვა: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში. 1832 წლის შეთქმულებამ კი აშკარად დაადასტურა, რომ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერება უკვე შეუქცევადი პროცესი იყო, თუმცა ყოველივე ეს ეხებოდა ქართულ არისტოკრატიას და არა მთელ ქართველ ერს.

XIX-XX საუკუნეებში (1801-1917 წწ.) ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერების პროცესი ზოგადად კარგად არის ცნობილი. დღეს ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე - **ქონების გადანაწილების პროცესზე საქართველოში და მის გავლენაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე (XIX-XXI სს.).**

* * *

რევოლუციის გამარჯვებულ ტრადიციულად პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა აღიქმება. სინამდვილეში კი რევოლუციის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქონების გადანაწილების პროცესი სახელმწიფოში ანუ დათმობენ თუ არა ქონებას (ან მის უდიდეს ნაწილს მაინც) ის კლასები, რომლებიც რევოლუციის მიერ დამხობილი ხელისუფლების სოციალურ და ეკონომიკურ საყრდენს წარმოადგენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუცია მიზანს ვერ მიაღწევს და მას მალე შეიძლება მოჰყვეს სრულიად ლოგიკური მოვლენა - კონტრრევოლუცია. სწორედ ამიტომ **პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მიზანი კი არაა,**

არამედ საშუალებაა მიზნის მისაღწევად - ქონების გადანაწილების განსახორციელებლად.

რევოლუციის გზით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისის რევოლუციამ (XVII საუკუნის შუახანებში), ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციამ (XVIII საუკუნის დასასრული), ქონების გადანაწილების ისეთი პრინციპები წამოაყენა და გაატარა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ სახელმწიფოებრიობას - **ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.** ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ცხადია, ქონების თანასწორად გადანაწილება უტოპია იყო. სამაგიეროდ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ როგორც დიდი, ისე საშუალო და მცირე ეკონომიკური შეძლების მოქალაქეებს მისცა **პოლიტიკური თანასწორობა** (საარჩევნო და სხვა უფლებანი), **ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია** (პიროვნების ხელშეუხებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა და სხვ.), **საბაზრო ეკონომიკა** (თავისუფალი კონკურენციის პირობებში ქონების დაგროვების უფლება და სხვ.). ყოველივე ეს ადამიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოირიცხა სერიოზული კონტრრევოლუცია, ან საერთო-ეროვნული სოციალური ამბოხის შესაძლებლობა. ეს კი სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გარანტიას იძლეოდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ინგლისელისა და ფრანგის ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრიობის მძაფრი შეგრძნება.

პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილება ვერ შეძლო რუსეთის იმ პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დაეუფლა. ამის უშუალო შედეგი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რაც 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებითა და დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბებით დასრულდა. შემდეგი მეტად სავალალო იყო. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ნაცვლად რუსეთში ჩამოყალიბდა სოციალური ჯგუფებისა და კლასების (პარტიულ-კლანური) ცნობიერება. საბჭოთა (ბოლშევიკურმა) იდეოლოგიამ ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა, რადგან სოციალური ჯგუფებისა და კლასების ცნობიერების გაძლიერება დიქტატორული რეჟიმის სიმტკიცის აუცილებელი პირობა იყო. ბოლშევიკებმა რეალურად არ დაუშვეს არაფერი, რაც ხელს უწყობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას

(პოლიტიკური თანასწორობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკა).

ქონების გადანაწილება და მის შესაბამისად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება რევოლუციის გარეშე შეიძლება. ამის მცდელობის მაგალითი მოგვცეს მეფის რუსეთმა და პრუსიამ. ბატონყმობის გაუქმება (მემამულეთა მიწის ნაწილის გლეხთა ხელში გადასვლა), სასამართლო რეფორმა (წოდებრივი სასამართლოს გაუქმება და ყველა მოქალაქისათვის ერთიანი სასამართლოს დაწესება), სასოფლო მმართველობის რეფორმა (გლეხობის მონაწილეობა სოფლის მმართველობაში), საქალაქო მმართველობის რეფორმა (მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქის მმართველობაში) იმის მომასწავებელი იყო, რომ ძველი ეკონომიკური და სოციალური სისტემა ნგრევას იწყებდა. ქონების გადანაწილებას აუცილებლად მოჰყვებოდა პოლიტიკური სისტემის შეცვლა. წარმატებით დაწყებული პროცესი, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხდა, რამაც საბოლოოდ 1905-1907 წლების რევოლუცია გამოიწვია. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ქონების გადანაწილების პროცესი ცალმხრივად (მხოლოდ სოფლად) განვითარდა, საყოველთაოდ ვერ იქცა, ვერ ჩამოყალიბდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ამან კი რუსეთი მეორე რევოლუციის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

რევოლუციის გარეშე ქონების გადანაწილების პროცესი წარმატებით განვითარდა პრუსიაში, რამაც, სხვა შედეგებთან ერთად, ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაჩენაც გამოიწვია.

* * *

ქონების გადანაწილების პროცესი თავისებურად მიმდინარეობდა საქართველოში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში არსებულ სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის ქონების გადანაწილება ასეთ სურათს იძლეოდა. მრეწველობის არ არსებობისა და ძალზე სუსტად განვითარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის პირობებში იმ პერიოდისათვის საქართველოში წარმოების მთავარ საშუალებას მიწა წარმოადგენდა. მიწის მთელი ფონდი გადანაწილებული იყო **სამეფო ოჯახს, არისტოკრატებს (თავადებს, აზნაურებს)** და **ეკლესიას** შორის. წარმოების საშუალების გარეშე (მიწის საკუთრებაში ფლობის გარეშე) იყო დარჩენილი ერის უდიდესი ნაწილი - **გლეხობა**. გლეხობაში ანუ ერის აბსოლუტურ უმრავლესობაში ეროვნულ-

სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღორძინება-გაძლიერების აუცილებელ პირობას გლეხის მიწის მესაკუთრედ ქცევა წარმოადგენდა. მოვლენები კი სულ სხვაგვარად განვითარდა. სამეფო ოჯახის წევრთა მიწები რუსეთის სახელმწიფო უწყების განკარგულებაში გადავიდა, ხოლო საქართველოს ეკლესიისა - რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში. არისტოკრატთა (თავადებმა, აზნაურებმა) მიწა შეინარჩუნა. რუსეთის გლეხობის მსგავსად ქართველი გლეხობა მიწის მესაკუთრედ ვერ იქცა. ბატონყმობა ჯერჯერობით ძალაში რჩებოდა.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, კაპიტალის დაგროვების პროცესის დაწყებას და **ქართული ეროვნული ბურჟუაზიის** ჩამოყალიბებას. ბურჟუაზიას თავიდანვე უყალიბდება ეროვნული ცნობიერება, რადგან მისი არსებობის აუცილებელი პირობაა ქვეყნის ბაზრის დაცვა კონკურენტებისაგან. ამ რთულ საქმეს ეროვნული ბურჟუაზია, ცხადია, თავს მარტო ვერ ართმევს და იგი უცხო ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისთვის მიმართავს ხალხს. თავისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ბურჟუაზიას ხალხში შეაქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის, ცხადია, საქართველოში პროცესის ასეთი გზით განვითარება სასურველი არ იყო. **ქართული ეროვნული ბურჟუაზია პოლიტიკურ ძალად არ უნდა ქცეულიყო.** სწორედ ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარმა და კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა არაქართული ბურჟუაზიის (ძირითადად სომხურის) ხელში აღმოჩენილიყო. სომხურმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში ხელოსნობა და ვაჭრობა, წვრილი სამრეწველო საწარმოები და ბოლოს - ფაბრიკა-ქარხნები.

მდგომარეობის ხსნა კიდევ შეიძლებოდა თუ მიწა ქართული არისტოკრატისა და გლეხობის ხელში დარჩებოდა. მოვლენათა განვითარებამ ამ შემთხვევაშიც სავალალო ხასიათი შეიძინა. საქართველოს დაპყრობისთანავე (XIX საუკუნის დამდეგი) რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართული არისტოკრატია, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი სოციალური ძალა, განდევნა სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროდან. მნიშვნელოვან თუ შედარებით უმნიშვნელო სახელმწიფო თანამდებობაზე მხოლოდ უცხოტომელები (რუსები, სომხები და ა.შ.) ინიშნებოდნენ. ქართულმა არისტოკრატთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო (ჯამაგირი) დაკარგა. შემოსავლის ერთადერთ წყაროდ რჩებოდა მიწა. საქართველოში მაიორატის სისტემის არარსებობის გამო

არისტოკრატიული საგვარეულოების მფლობელობაში არსებული მიწის ფონდი დაუსრულებლად ნაწილდებოდა ოჯახის წევრებს (შვილებს) შორის. ამიტომ თითოეული ოჯახის მფლობელობაში არსებული მიწის რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა, კლებულობდა მამულიდან მიღებული შემოსავალიც. XIX საუკუნის დამდეგისათვის, რომ არაფერი ვთქვათ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე, თვით ცნობილი თავადური საგვარეულოების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი მცირე მიწას ფლობდა, ე.ი. მცირე იყო მამულიდან მიღებული შემოსავალიც. 1832 წლისათვის ქართლისა და კახეთის ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს მიწა იმდენად მცირე შემოსავალს აძლევდა, რომ მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თუ კმაროდა. ამ შემოსავლით შეუძლებელი იყო, მაგალითად, შვილებისათვის რუსეთში ან საზღვარგარეთ განათლების მიცემა, ოჯახისათვის პროფესიონალი ექიმის დაქირავება, თანამედროვე ევროპული ტანსაცმლისა და ავეჯის შეძენა, მთელი წლის მანძილზე ქალაქში ცხოვრება და ა.შ. ფულის ნაკლებობის გამო ქართულმა არისტოკრატამ მასობრივად დაიწყო ვალის აღება სომხური ბურჟუაზიისაგან, რაც მალე ძვირად დაუჯდა. თუ არისტოკრატის ნაწილმა მიწა დაკარგა პირდაპირი გაყიდვის გზით, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ვალების გადაუხდელობის გამო გახდა იძულებული მიწა გაეყიდა. ორივე შემთხვევაში მიწის მყიდველი ისევ არაქართული (ძირითადად სომხური) ბურჟუაზია იყო.

საქართველოში რუსეთის გაბატონების სამოცი წლისთავზე (XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის) ქონების გადანაწილების პროცესის თავისებურებათა გამო პრაქტიკულად ვერ ჩამოყალიბდა **ქართული ეროვნული ბურჟუაზია**, ანუ არ არსებობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი და მისი ხალხში შემტანი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ძლიერი იყო ქართულ არისტოკრატიაში, მაგრამ დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ქართული არისტოკრატია მოკლებული იყო ეკონომიკურ სახსარს, რაც აუცილებელი იყო ხალხში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების შეტანისათვის, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის საიმპერატორო კარის, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციისა და უცხოტომელი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასაძლევად. ასეთ მძიმე, თითქმის უიმედო, ვითარებაში დიდი ტრადიციების მქონე ქართულმა არისტოკრატამ დაიწყო ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისათვის.

ამ მოძრაობას სათავეში ედგა მოღვაწეთა დასი **ილია ჭავჭავაძის** წინამძღოლობით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო მიზნის მისაღწევად: დიდი წინამძღოლი, მოღვაწეთა ბრწყინვალე დასი, შესანიშნავი პროგრამა, პროგრამის განხორციელების კარგად გააზრებული გზები. არ ჰქონდა მხოლოდ ერთი რამ: **პროგრამის რეალიზებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი**. ქვეყანაში არ იყო არც ეროვნული ბურჟუაზია (დიდი კაპიტალის მფლობელი ბურჟუაზია) და არც საშუალო და წვრილ კერძო მესაკუთრეთა ფენა (გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები). მართალია, ბატონყმობა ამ დროისათვის უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ საგლეხო რეფორმის განსაკუთრებული ხასიათის გამო **ქართველი გლეხობა კერძო მესაკუთრეთა შეძლებულ ფენად ვერ ჩამოყალიბდა**. ხელისუფლების მხარდაჭერისა და უკვე დაგროვილი კაპიტალის წყალობით სომხურმა ბურჟუაზიამ არც წარმოების (მრეწველობის) და არც ვაჭრობის სფერო არ დაუთმო ქართველობას. მართალია საგლეხო რეფორმის ძალით გლეხმა მიწა მიიღო (კერძო მესაკუთრე გახდა), მაგრამ კანონით გლეხს მიღებული (მემამულისაგან გამოსყიდული) მიწის გაყიდვა ეკრძალებოდა. სერიოზული კაპიტალის გარეშე კი გლეხს ქალაქში წასვლა და საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობა (ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმა) არ შეეძლო.

სოფლად მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ შეაფერხა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება, მდიდარი გლეხობის ფენის (ფერმერების) წარმოქმნისა და სოფლად დაგროვილი კაპიტალის ქალაქში გადატანის პროცესი. სომხური ბურჟუაზია კონკურენციისაგან დაცული აღმოჩნდა. სოფლად დარჩენილი ქართველი გლეხი კი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მცირე მიწაზე მეურნეობის მოწყობა და შეძლებულ მესაკუთრედ გადაქცევა ძნელი იყო.

საგლეხო რეფორმის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ქართული არისტოკრატის მიწების სომხური ბურჟუაზიის ხელში გადასვლა. ასეთ ვითარებაში ქართული ეროვნული ბურჟუაზია ნელა იმართებოდა წელში და საბოლოოდ 1917-1918 წლებისათვის სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა. მას მუდმივად თრგუნავდა სომხური და რუსული კაპიტალი.

ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ორმოცდაათწლიანი ბრძოლის შედეგად, მართალია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება კი გაძლიერდა, მაგრამ მის გვერდით სულ უფრო იკიდებდა ფეხს **კლასობრივი და პარტიული**

ცნობიერება. კლასობრივი და პარტიული ცნობიერების გაძლიერების მაუწყებელი იყო 1905-1907 წლების რევოლუცია - XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების) მოსპობის სერიოზული მცდელობა.

1917-1918 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ ვერ მოსპო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. თუმცა ცხადი გახდა, რომ მუშების და გლეხების გარდა კლასობრივმა და პარტიულმა ცნობიერებამ ფეხი მოიკიდა ქართულ არისტოკრატიაში. თითქმის აუხსნელია, თუ რატომ აღმოჩნდა ქართული არისტოკრატის (თავადების, აზნაურების) ნაწილი სოციალისტური ორიენტაციის პარტიებში, რატომ განდევნა მათი ცნობიერებიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კლასობრივმა და პარტიულმა. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. **ქონების გადანაწილების პროცესმა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო და განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან, ქართული არისტოკრატია ფენებად დაშალა. არისტოკრატის მცირე ნაწილმა, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება შეინარჩუნა. არისტოკრატის უდიდესი ნაწილი, რომელიც ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, ორად აღმოჩნდა გაყოფილი. ერთმა ნაწილმა სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატულ სისტემებში მოიკალათა. მათ უმრავლესობას ადარ გააჩნდა ეროვნული ცნობიერება. მეორე ნაწილი სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება, სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლა გაიხადა მიზნად და საერთოდ დაკარგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება.** ეს იყო დიდი ეროვნული ტრაგედია. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ნათელი გახდა, რომ ქართველი ერი ურთულესი პრობლემის წინაშე იდგა - XIX-XX საუკუნეთა (1801-1917 წწ.) განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ქონების გადანაწილების პროცესის თანამდევი უარყოფითი მოვლენები დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. სწორედ ქონების გადანაწილების შედეგი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების სავალალო თანაფარდობა.

პოლიტიკური ელიტა (არისტოკრატის, სამღვდლოების, გლეხობის, მუშების, ვაჭრების წარმომადგენლები) მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით როდი იყო გამსჭვალული. მასში წარმოდგენილი იყვნენ კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების მატარებელი მოღვაწეები. პოლიტიკური ელიტა აშკარად ორად იყო

გახლეჩილი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ ელიტაში, თუნდაც 20-25 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, დიდი ცვლილებები მოხდა - **კლასობრივი (პარტიული) ცნობიერება აშკარად ჩრდილავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.** პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტურ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური და ანარქისტული იდეებით იყო გატაცებული. შედარებით მცირე ნაწილი (ეროვნულ-დემოკრატები და უპარტიოები) ინარჩუნებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. ეს ცხადად იგრძნობოდა, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში, დამფუძნებელ კრებაში), ისე უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მთავრობაში).

გლეხობის ნაწილი კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების მატარებელი იყო. გლეხობაში დაბალი იყო პატრიოტული, მოქალაქეობრივი შემართება, შესაბამისად დაბალი იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ნაწილი კი სოციალისტ-რევოლუციონერებს უჭერდა მხარს. საერთოდ გლეხობის განწყობა სოციალისტური მოძღვრებიდან გამომდინარე რადიკალურ-ექსტრემისტული იყო. ეს სენი გლეხობამ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში შეიძინა. გლეხობის განწყობილებაზე ძალზე უარყოფითი გავლენა იქონია პირველი მსოფლიო ომიდან სოფელში დაბრუნებულმა ჯარისკაცების აგიტაციამ. ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები სოციალური თანასწორობის იდეით იყვნენ შეპყრობილნი. მათი დიდი ნაწილი ბოლშევიკი აგიტატორების როლს ასრულებდა და გლეხობას შეიარაღებული აჯანყების გზით მიწის ხელში ჩაგდებისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ამან კატასტროფულად დასცა არმიის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც ძირითადად გლეხობიდან კომპლექტდებოდა.

მუშების დიდი ნაწილი კლასობრივი (პარტიული) ცნობიერებით იყო მოწამლული და ეროვნულ ცნობიერებას წარსულის მავნე გადმონაშთად თვლიდა. მუშების უმრავლესობას გლეხების მსგავსად არ გააჩნდა პატრიოტული, მოქალაქეობრივი შეგნება. მუშები თავის მისიას კლასობრივი ცნობიერებით შეპყრობილი პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერაში ხედავდნენ და არა სახელმწიფოს (სამშობლოს) ერთგულებაში. ამისი მაგალითია ქართული სახალხო გვარდიის პოზიცია. სახალხო გვარდია, რომელიც ძირითადად თბილისის მუშებისგან შეიქმნა, თავის მისიას საკანონმდებლო და

აღმასრულებელი ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის და არა სამშობლოს დაცვაში ხელდავა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქონების გადაწესების თვალსაზრისით რადიკალური ღონისძიებანი ვერ გაატარა. გარდა იმისა, რომ ვითარების გამოსწორება ობიექტური მიზეზების გამო ძნელი იყო, **ხელისუფლების პოლიტიკურ მრწამსს ეწინააღმდეგებოდა ძლიერი ეროვნული ბურჟუაზიისა და გლეხობისაგან კერძო მესაკუთრეთა ძლიერი ფენის შექმნა.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული აგრარული რეფორმა წარმოუდგენლად უკეთესი იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთში გატარებული აგრარული რეფორმა, მაგრამ იგი მაინც ვერ უზრუნველყოფდა ფერმერთა ძლიერი ფენის შექმნას, რომელიც ხელისუფლების სოციალური დასაყრდენი იქნებოდა. საბოლოოდ პოლიტიკურმა ელიტამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაცემამდე მიიყვანა. აუცილებლობის ჟამს ხელისუფლება ძლიერი სოციალური დასაყრდენის გარეშე და სუსტი არმიის ამარა აღმოჩნდა.

1918 წ. 26 მაისი, თავისთავად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღმავლობის მაუწყებელი იყო. მიუხედავად ამისა, თუ ღრმად გავიაზრებთ ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ 1917 წლის მარტიდან (რუსეთის იმპერიის დამხობიდან) 1918 წლის მაისამდე (სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე) განვლილ გზას, აშკარად შევნიშნავთ ორ მეტად არასასურველ მომენტს: **პირველი.** ქართული პოლიტიკური ელიტა, მართალია, იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ თავს სულაც არ მიიჩნევდა XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მემკვიდრედ (ეს ეხება როგორც სოციალისტური ორიენტაციის პარტიებს, ისე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს); **მეორე.** რუსეთთან სახელმწიფოებრივი გამიჯვნის უმთავრესი (განმსაზღვრელი) მიზეზი იყო არა ეროვნული, არამედ პარტიული. **ქართული პოლიტიკური ელიტა ემიჯნებოდა არა ზოგადად რუსეთს, რუსეთის სახელმწიფოს, არამედ საბჭოთა, ბოლშევიკურ რუსეთს.** ვის აზრს გამოხატავდა ქართული პოლიტიკური ელიტა? მხოლოდ და მხოლოდ თავის პარტიულ აზრს. ვის ეყრდნობოდა პოლიტიკური ელიტა? ისევ და ისევ პარტიული იდეებით შეპყრობილ სხვადასხვა სოციალურ ძალებს (მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას). რა გააკეთა პოლიტიკურმა ელიტამ მთელი ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეების გარშემო გაერთიანებისათვის? პრაქტიკულად არაფერი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო (ეროვნული საბჭო, პარლამენტი,

დამფუძნებელი კრება) პარტიული პრინციპით იყო გათიშული. უფრო მეტიც, თითოეული პარტია ფრაქციებად დაიშალა და პარტიული გამიჯვნის ნაცვლად **პარტიულ-კლანური** გამიჯვნა მივიღეთ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში აშკარად დაჩრდილა პარტიულ-კლანურმა ცნობიერებამ. დამფუძნებელი კრების წევრი ვერ გახდა ბევრი ცნობილი ეროვნული მოღვაწე, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, იმჟამად უკვე საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი.** დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწიეს - დაამარცხეს არა მარტო ეროვნულ-დემოკრატები, არამედ სოციალისტური ორიენტაციის პარტიებიც. **ამრიგად, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დაეპატრონა უკვე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური ელიტა, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებაზე ვერ იზრუნებდა, რადგან თვითონ პარტიულ-კლანური ცნობიერების მატარებელი იყო.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას სერიოზულად შეუშალა ხელი ქვეყნის ხელისუფლების ათეისტურმა პოლიტიკამ. მართალია, საქართველო განთავისუფლდა რუსეთის ბატონობისაგან (1918 წ.), აღდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია (1917 წ.), მაგრამ **ეკლესიამ სახელმწიფოს ცხოვრებაში ტრადიციული ადგილი ვეღარ დაიბრუნა.** კათოლიკოს-პატრიარქი იქცა უმნიშვნელო ფიგურად, მის აზრს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ ითვალისწინებდა. დაკნინდა ეკლესიის როლი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტობის აღზრდის საქმეში, ქართულ ჯარში. საქართველოში სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა თითქმის იგივე ფორმითა და შინაარსით განხორციელდა, როგორც საბჭოთა რუსეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ათეისტური პოლიტიკის გამოვლენა იყო საღვთო რჯულის სწავლების აკრძალვა საერო სკოლებში. 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (დღევანდელ პირველ კორპუსში) მოქმედი დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია, რომელიც 800 აღამიანს იტევდა, ხელისუფლების მითითებით უნივერსიტეტს გადაეცა, როგორც უბრალო ფართი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქართულ ჯარში არ დაუშვა კაპრალის თანამდებობა. საეკლესიო იერარქიის მიერ ბრძოლაში მიმავალი ქართული ჯარის დალოცვა აიკრძალა.

ხელისუფლების წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში. უფრო მეტიც, ქვეყნის უმაღლესი პირი **ნოე ჟორდანია კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მისი ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგეც კი წავიდა** და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს მხოლოდ კაბინეტიდან გასულს დააწია თანხმობა.

1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, ხოლო 1922 წელს იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ქონების გადანაწილება შემდეგნაირად განხორციელდა: **მთელი ქონება გადავიდა სახელმწიფოს ხელში**. ფორმალურად მხოლოდ კოლექტიური მეურნეობები (კოოპერატიული საკუთრება) რჩებოდა სახელმწიფო საკუთრების გარეთ. რეალურად კოოპერატიული საკუთრების განმკარგველიც სახელმწიფო იყო. აიკრძალა მიწისა და სამრეწველო სიმძლავრეების კერძო საკუთრებაში ფლობა და ყიდვა-გაყიდვა. პრაქტიკულად ყველა კლასი და სოციალური ფენა ქონების (კერძო საკუთრების) გარეშე დარჩა. ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულ ცნობიერებასაც.

1921 წლიდან საქართველოში კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების დამწერგავი ხელისუფლება იყო. ეროვნული ცნობიერება წარსულის მიხედვით გადმონაშთად იქნა გამოცხადებული, ხოლო ის, რასაც სახელმწიფოებრივ ცნობიერებად წარმოადგენდნენ, სინამდვილეში კლასობრივი (პარტიული) ცნობიერება იყო. **ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დაყოფა საბჭოთა წყობილების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რევოლუციონერებად და კონტრრევოლუციონერებად, წითლებად და თეთრებად, ინტერნაციონალისტებად და ნაციონალისტებად, ათეისტებად და თეისტებად, პროლეტარებად და ბურჟუებად თავისთავად გამოირიცხავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას**. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს შემდეგი: საბჭოთა (ბოლშევიკურმა) იდეოლოგიამ და მასზე დამყარებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ რეალურად ფართო ასპარეზი გაუხსნა ველიკორუსულ შოვინიზმს. სამაგიეროდ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს სხვა ერების, მათ შორის ქართველების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. პატრიოტიზმის (საბჭოთა პატრიოტიზმის) და მოქალაქეობის (საბჭოთა მოქალაქეობის) შეგრძნება მოსახლეობაში ნამდვილად იყო. ეს შეგრძნება ყალიბდებოდა არა ბუნებრივად, ქონების გადანაწილების კვალობაზე, არამედ საბჭოთა ავტოტაციისა და პროპაგანდის დახვეწილი დემაგოგიის წყალობით. ავტოტაციისა და პროპაგანდის ღერძი იყო ძველი

წყობილების აღდგენის საფრთხეზე მინიშნება. მუშებს აშინებდნენ იმით, რომ ძველი წყობილების აღდგენის შემთხვევაში ქარხნებსა და ფაბრიკებს კვლავ ბურჟუები დაეუფლებოდნენ. გლენობაში თესდნენ მემამულური მიწათმფლობელობის აღდგენის შიშს. ამასთან ერთად მოხერხებულად იქმნებოდა ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობის ილუზია. როცა გლეხი ან მუშა უახლოეს წარსულს გაიხსენებდა (პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომისაგან მოტანილი უბედურება, შიმშილი და ა.შ.), ცხადია, საბჭოთა წყობილებისადმი სიმპათიით იმსჯელებოდა და ხელისუფლების მხარდამჭერად გვევლინებოდა. ეს არ ენება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც იმთავითვე კარგად ხედავდა საბჭოთა პროპაგანდის მთელ სიცრუეს. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) ჩათვლით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობამ ნელ-ნელა დააღწია თავი დიდი სიცრუის ტყვეობას.

საქართველოში პატრიოტიზმს, ნამდვილს და არა საბჭოთა პატრიოტიზმს, კვებავდა ტრადიციულად ძლიერი **ერის ისტორიული მესხიერება და ნოსტალგია დაკარგული სახელმწიფოებრიობისადმი**. ყოველივე ამან განსაკუთრებით იჩინა თავი XX საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა ცნებები - “საბჭოთა პატრიოტიზმი”, “საბჭოთა მოქალაქეობა”, “საბჭოთა სამშობლო”, “საბჭოთა კულტურა”, “საბჭოთა მორალი” - მხოლოდ ღიმილს ჰგვრიდა და პროტესტის გრძნობასაც კი აღარ იწვევდა არც ერთი თაობის წარმომადგენლებში.

1921-1991 წლებში ანუ საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა ინტელიგენციამ. ერის ისტორიული მესხიერების შემნარჩუნებელი და დაკარგული სახელმწიფოებრიობისადმი ნოსტალგიის გამღვივებელი სწორედ ქართველი ინტელიგენციის ეროვნულად მოაზროვნე (და არა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სულმიყიდული) ნაწილი იყო. XX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მოღვაწეთა გზას დაადგნენ. XX საუკუნის 70-იან-80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის წინამძღოლები (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვ.) უპირველეს ამოცანად სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენასა და განმტკიცებას მიიჩნევდნენ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ (1991 წ.), ცხადია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაძლიერება გამოიწვია. ამ პროცესში დიდ როლს

ასრულებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. ერის ცხოვრებაში ეკლესიის როლის ზრდა, ეკლესიისათვის ტრადიციული ადგილის დაბრუნება ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო. ეს მოვლენა, უკავშირდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** აღსაყდრებას და ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებას: **ერი შემობრუნდა ეკლესიისკენ, მოძღვარმა დაიბრუნა თავისი ტრადიციული ადგილი ქართველის ცხოვრებაში.** საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა შეგნებულად უარყო ათეიზმის ეპოქაში შემუშავებული სტერეოტიპები. მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ იმისგან, რომ ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია იდენტურ ცნებებად მოიაზრებოდეს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ეკლესიის მრევლის ზრდა შეუქცევადი პროცესი გახდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ საქართველო იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რა მდგომარეობაშიც იყო იგი 1918-1921 წლებში. XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დამდეგს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას ხელი შეუშალა მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი. კოსმოპოლიტური, ანტიეროვნული და ანტიეკლესიური ძალების გააქტიურება მთელს მსოფლიოში, კერძოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მეორე. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ოპოზიციის მიერ გარე ძალის (რუსეთის) პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა (1991 წლის დეკემბერი-1992 წლის იანვარი) და მომდევნო წლების სისხლიანი დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც დღემდე ე.წ. სამოქალაქო ომად ინათლება.

მესამე. ელუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992-2003 წწ.) სახელმწიფოებრიობის მოშლა, უკანონობა, ძალმომრეობა, შეიარაღებული ბანდების თარეში, კორუფცია, კლანების ბატონობა.

მეოთხე. ეკონომიკური სიდუხჭირე და მოსახლეობის დიდი ნაწილის გადატაცება.

მეხუთე. ლუკმაპურის საძიებლად ქართველთა უცხოეთში გადახვეწა, სამშობლოდან დიდი ხნით მოწყვეტა.

მეექვსე. წარუმატებლობა არმიის შექმნის საქმეში, სუსტი არმიის პრესტიჟის დაცემა.

მეშვიდე. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და რუსეთის მიერ ე.წ. “სეპარატისტული დე ფაქტო” მთავრობების დასმა

აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილში (ცხინვალის რეგიონში); მათგან საქართველოს ამ ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველთა გენოციდი.

მერვე. კანონით დადგენილი წესით ქონების გადანაწილების ნაცვლად სახელმწიფო ქონების ძარცვა და უკანონოდ მითვისება.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცების გარეშე ძლიერი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია. ისტორია ამის ბევრ მწარე მაგალითს გვაძლევს. დღეს საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაძლიერება შეუძლებელია თუ არ მოხდა:

პირველი. საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის სამართლებრივი შეფასება (ყველა შესაბამისი შედეგის გათვალისწინებით).

მეორე. წინა ათწლეულში ქონების გადანაწილების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ამ პროცესის საკანონმდებლო გზით ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგება.

მესამე. ქართული სახელმწიფოს უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცების მთავარ შემაფერხებლად რეგიონალიზმის მიჩნევა.

მეოთხე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის როლის ამაღლება, საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმების განუხრელი დაცვა.

მეხუთე. სოფლად და ქალაქად მესაკუთრეთა ძლიერი ფენის შექმნა და მისი ყოველგვარი წახალისება, ბიზნესის განვითარებისთვის ნორმალური, სტაბილური გარემოს შექმნა.

მეექვსე. ეროვნული ეკონომიკის დაცვა უცხო ქვეყნების მავნე ზემოქმედებისაგან.

მეშვიდე. შეძლებისდაგვარად, ეკონომიკის ზრდის კვალობაზე, უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა ნაწილის მაინც სამშობლოში დაბრუნება და მათი დასაქმება.

მერვე. მუდმივი ზრუნვა ძლიერი, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნისა და შენარჩუნებისათვის, არმიაში სამსახურის პრესტიჟულ სამსახურად გადაქცევა.

მეცხრე. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა, სეპარატისტული რეჟიმების ლიკვიდაცია.

მეათე. ქართველი ერის, ქართული ენის წარმოშობისა და განვითარების ცრუმეცნიერული შეხედულებების (ე.წ. ქართიზაციისა და სამიოთხი ქართველური ენის არსებობის აღიარება, ქართული ეკლესიისთვის “პროზელიტიზმის” დაბრალება და სხვ.) არგუმენტირებული, ღრმა და საფუძვლიანი კრიტიკა.

ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და ქართული კულტურის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოს პრიორიტეტად გამოცხადება.

მეთერთმეტე. გაცნობიერება იმისა, რომ კუთხური, პარტიული, კლანური აზროვნება ვნებს არა მარტო ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არამედ დემოკრატიზაციის პროცესს, საქართველოს დამკვიდრებას საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელება თავისთავად მოსპობს კუთხურ, პარტიულ და კლანურ ცნობიერებას, შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაძლიერებისათვის; ქართველური კულტურული ფასეულობებისა და ღირსების აღორძინებისათვის.

ლიტერატურა:

1. ავალიანი ს. მიწისმფლობელობა საქართველოში. ქუთაისი, 1920.
2. ამიერ-კავკასიის მთავრობის მიწის კანონები. თბილისი, 1918.
3. ასათიანი ა. მიწის საკითხი საქართველოში. თბილისი, 1919.
4. ბატონყმობის გაუქმება (1861-1911 წ.). თბილისი, 1911.
5. ბერძენიშვილი ნ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). თბილისი, 1940.
6. ბერძენიშვილი ნ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები), თბილისი, 1938.
7. გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. თბილისი, 1835.
8. გუგუშვილი პ. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ.1. თბილისი, 1949.
9. გურული ვ. ილიადან ილიამდე. წიგნი პირველი. წმიდა ილია მართალი. თბილისი, 2006.
10. კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. თბილისი, 1922.
11. კაკაბაძე ს. ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921. თბილისი, 1997.
12. ნათაძე გ. საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა. ნაწილი I-II. ქუთაისი, 1925.
13. საბუელი ა. [ჯორჯაძე ა.]. როგორ უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის საკმე. თბილისი, 1906.
14. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტ. I-IV. თბილისი, 1924-1925.
15. სტალინი ი. როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი. თხზულებანი. ტ. 1. თბილისი, 1947, გვ. 11-31.
16. სტალინი ი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თხზულებანი. ტ. 2. თბილისი, 1947, გვ. 312-395.

17. ჯაფარიძე ანანია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტომი 1-4, ახალციხე-თბილისი, 1998-2003.
18. ჯაფარიძე ანანია. საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი I-III. თბილისი, 2003.
19. Авалиани. С. Крестьянский вопрос в Закавказье. Том I- IV. Одесса-Тифлис, 1912-1920.
20. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Том I – XII. Тифлис, 1866-1904.
21. Джавахов. И. Политическое и социальное движение в Грузии в. XIX в. СПб. , 1906 (იხ. ასევე: ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ XII. თბილისი, 1998 გვ. 434-458).

Vakhtang Guruli - Associate Professor, Ivane Javakhishvili State University

National and State Consciousness: the Past and the Present Day Summary

The occupation of Georgia by the Russian empire and the abolition of the autocephaly of the Georgian Orthodox and Apostolic Church (beginning of the 19th c.) dealt a serious blow to the Georgian national and state consciousness. In spite of this, an irreversible process of the restoration and consolidation of the national and state consciousness began soon, which is well studied in Georgian historiography. The purpose of the present author is to study one significant question - the process of the division of property and its effect on the national and state consciousness in Georgia (the 19th-21st cc.). In 1801-1921 this process developed in such a way that Georgian national bourgeoisie was not formed. Of the existing classes and social strata the aristocracy and clergy had the national and state consciousness, whereas part of the Georgian nation - peasants and workers - shared the class (party) consciousness. In 1921-1991, i.e. the period of Soviet Georgia, the authorities strove for the introduction of the class (party) consciousness among the population. However, the national and state consciousness did not disappear. Its influence was great in every class and social stratum of the population (intellectuals, clergy, workers, peasants). Exactly this served as the basis for the upsurge of the national and state consciousness in the last decades of the existence of the Soviet Union (the 1970s-1980s) and after its break-up. A new stage of the restoration and strengthening of the national and state consciousness began after the break-up of the Soviet Union and the restoration of the statehood of Georgia (1991).

Вахтанг Гурули – ассоциированный профессор
Государственного университета им. Иванэ Джавахишвили

Национально-государственное сознание: прошлое и современность

Резюме

Порабощение Грузии Российской империей и упразднение автокефалии Грузинской Апостольской Православной Церкви (начало XIX века) оказалось большим ударом для грузинского национально-государственного сознания. Но, несмотря на это, вскоре начался необратимый процесс восстановления и усиления национально-государственного сознания. Этот процесс хорошо изучен в грузинской историографии. Нашей целью является исследование одного важного вопроса – процесс перераспределения имущества и его влияние на национально-государственное сознание в Грузии (XIX- XXI вв.). В 1801-1921 годах процесс перераспределения имущества развился так, что не сформировалась грузинская национальная буржуазия. Из реально существующих классов и социальных слоёв носителями национально-государственного мышления были аристократия и духовенство, а часть грузинского народа - большинство крестьян и рабочих были носителями классового (партийного) сознания.

В 1921-1991 годах в период существования Советской Грузии правительство старалось глубже внедрить в народ классовое (партийное) сознание. Но в этот период национально-государственное сознание всё-таки не исчезло. Его влияние было значительным во всех классах и социальных слоях (интеллигенция, духовенство, рабочие, крестьяне). Именно на этом основывалось возрождение национально-государственного сознания в последних десятилетиях существования Советского Союза (70-80 годы XX века) и после его распада. После распада Советского Союза и восстановления грузинской государственности (1991г.) начался новый этап восстановления и укрепления национально-государственного сознания.

როზეტა გუჭეჭიანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

“ერთობილნი სვანნი“ საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ

1. დეკანოზი იოანე მარგიანი

დეკანოზი იოანე (ივანე მარგიანი) მიეკუთვნება ქართველ სასულიერო პირთა იმ სახელოვან პლეადას, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ღვთისმსახურების აღდგენისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში. სვანეთის სამღვდლოება (მამა გიორგი მარგიანი, მამა ლაზარე დადვანი, დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, მამა გიორგი პირველი, დეკანოზი იოანე მარგიანი...) XIX ს-ის 60-70-იანი წლებიდან გაბრიელ ეპისკოპოსისა და ილია ჭავჭავაძის გვერდით აქტიურად იბრძვის ქართველი ერის ინტერესების დასაცავად.

ცხადია, სვანი სასულიერო პირები ძველთაგანვე ერისა და ქვეყნის სამსახურში იდგნენ. წერილობითი წყაროებით ცნობილია სვანეთში ან საქართველოს სხვა მხარეებსა თუ უცხოეთის ქართულ სამონასტრო კოლონიებში მოღვაწე სვანი სასულიერო პირებისა და მწიგნობრების სახელები (გ. ვასვიანი, 1973; ვ. სილოგავა, 1986), რომლებიც სხვა მოღვაწეებთან ერთად ქმნიდნენ ზოგადქართულ კულტურას (ტ. ფუტყარაძე, 2005). ხოლო დღეს უკვე აღიარებული დაკვირვება, რომ “ქრისტიანობა ქართველობის ტოლფასი კატეგორია იყო და ქრისტიანობაზე ზრუნვა ქართველობის შენარჩუნებისათვის ზრუნვას უდრიდა“ (ა. ჯაფარიძე, 1999, გვ. 319) - ლაიტმოტივად გასდევს შუა საუკუნეების სვანეთში შექმნილ დოკუმენტებს. ამ საბუთებით (“დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი“, “წიგნი და ნიშანი ხევის ერთპირობისა“, “დაწერილი სვანეთის ერთობილი ხევის ერთობისა და გაუყრელობისა“...) მკაფიოდ იკვეთება სვანის ზოგადქართული მენტალობის უმთავრესი მახასიათებლები: **ერთგულება დედა-სამშობლოსა და დედა-ეკლესიისადმი.** პრინციპული დამოკიდებულება ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფასეულობისადმი განსაკუთრებით აქტუალური ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ხდება: დეცენტრალიზაციის დაწყებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაყოფის პროცესს სვანეთის საზოგადოება საოცარი მამულიშვილური

მუხტით ანთებულ ლოცვას აგებებს: “წმ. მთავარანგელოზო მუხერისაო... აღიდენ მეფენი ბაგრატიონიანი... და ერთობილი საქართველო და ერთობილი სვანნი” - ვკითხულობთ XIV ს-ის ერთ-ერთ ხატზე. ხატის წარწერაში გაცხადებული ზნეობრივი კრედო სვანეთის ტრადიციული საზოგადოების მენტალობის მასაზრდოებელი წყაროა მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზეც, XIX საუკუნეში კი ამ იდეის ამლორძინებლად სწორედ ზემოთ დასახელებული სასულიერო პირები გვევლინებიან და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დეკანოზ იოანეს (ივანე მარგიანს) უკავია.

ივანე მარგიანი 1872 წელს დაიბადა სვანეთში ცნობილი მღვდლის გიორგი მარგიანის ოჯახში. მამა გიორგი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასმული იყო. ეს ოჯახი ქართული კულტურის კერასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა ზემო სვანეთში. ივანე მარგიანი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. მღვდლად კურთხევის შემდეგ მამა იოანე ქვემო სვანეთის ჩოლურის თემში განაწესეს, სადაც იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მოგვიანებით ივანე მარგიანი ცაგერში გადაიყვანეს (“ბლალოჩინის“ ხარისხში) რაჭა-ლეჩხუმის სამღვდლოების დეკანოზად. ამავე დროს, დეკანოზი იოანე ცაგერის სკოლაში ქართულ, რუსულ ენებსა და ფიზიკას ასწავლიდა. 90-იანი წლებიდან ივანე მარგიანი აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნული სულისკვეთების მქონე ქართულ პერიოდულ გამოცემებთან (“ივერია“, “მოამბე“, “ცნობის ფურცელი“, “მოგზაური“, “მწყემსი“...). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ივანე მარგიანის მეგობრობა და თანამშრომლობა გაზეთ “შინაური საქმეების“ გამომცემლებთან. იგი მღვდელ სვიმონ მჭედლიძის მეგობარი და თანამოაზრე გახლდათ. ივანე მარგიანი ზოგიერთ წერილს სრულად აწერდა სახელსა და გვარს, ზოგსაც ფსევდონიმით აქვეყნებდა (“მუჟალელი“, “სვანი მ-ნი“, “ბლალოჩინი მ-ნი“ და ა. შ.) იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას: მხარში ედგა ყოველ სასიკეთო წამოწყებას და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ანტიქართულ და ანტირელიგიურ გამოხდომებს.

ბოლშევიკთაგან საქართველოს ოკუპირების შემდგომ, ივანე მარგიანს, ცხადია, ღვთისმსახურება აუკრძალეს. საოცარია, მაგრამ ივანე მარგიანი კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების ხანაშიც ახერხებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთებას: ეწეოდა ქართული ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას, სათავეში ედგა ცაგერის განათლების განყოფილებას და ბარიტის წარმოებას. 1928 წელს კი ჩამოაყალიბა ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თავი

მოუყარა და დაკარგვას გადაარჩინა უამრავი ძველქართული (სვანური) სიმღერა, მათ შორის, საეკლესიო საგალობლებიც. 1931 წელს ივანე მარგიანი დააპატიმრეს, რეპრესიების მთელი სიმძიმე იწვნია მისმა ოჯახმაც. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვითა და ღვთისმსახურების აკრძალვით გამოწვეულმა სევდამ ივანე მარგიანის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია. იგი 61 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1933 წელს. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე (თ. ლეჟავა, 2006; ეთნოგრაფიული წერილები, 1973, გვ. 113-115). ივანე მარგიანის რამდენიმე ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი 1973 წელს გამოაქვეყნეს გ. ავალიანმა და გ. ზურაბიანმა (ეთნოგრაფიული წერილები... 1973). ამ სასიქადულო მოღვაწისადმი მიძღვნილი წერილები გამოსცა მისმა შვილიშვილმა ბატონმა თამაზ ლეჟავამ (თ. ლეჟავა, 2006). ხოლო ამ სტატიის მიზანია სამეცნიერო და ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს ქვეყნის ერთ-ერთი მოჭირნახულე და ამაღლარი მოღვაწე - ივანე მარგიანი.

ი. მარგიანის მამულიშვილური პოზიცია მკვეთრად მოჩანს მის ერთ-ერთ პირველსავე პუბლიკაციაში: 1891 წელს ზემო სვანეთში სკოლა გაიხსნა, მაგრამ ამ სასიხარულო მოვლენას უარყოფითი დატვირთვაც ახლდა და ეს ფაქტი მყისვე გაახმაურა ივანე მარგიანმა: “ქართულს არ ასწავლიან და ეს გარემოებალა დაგვრჩენია სამწუხაროდ“-ო (მუჟალელი, 1891) ამ აზრს ივანე მარგიანი სხვა წერილებშიც ავითარებს. “მოვისხენიებ ხალხის აზრს ქართულის ენის შესახებ: “ქართული ძლიერ საჭიროა ჩვენთვისო“, ამბობენ სვანები“ (ეთნოგრაფიული წერილები, 1973, 127).

ივანე მარგიანის პუბლიკაციებში სამი ძირითადი მიმართულება იკვეთება:

1. სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვება და შენარჩუნება.

2. მტკიცება იმ უცილობელი ჭეშმარიტებისა, რომ სვანეთისათვის სწორედ ქართულია მშობლიური, სამწიგნობრო და საეკლესიო ენა.

3. ბრძოლა სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში ღვთის სჯულის სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური სიტყვებით სწავლების წინააღმდეგ.

ივანე მარგიანი გვეგმაზომიერად და მეთოდურად ავითარებდა ამ შეხედულებებს, საზრდოობდა რა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებითა და ილია ჭავჭავაძის იდეებით. ილიას მკვლევლობის შემდეგ კი იგი უერთდება მღვდელ სვიმონ მჭედლიძის მიერ დაარსებულ გაზეთ “შინაური საქმეების“ გარშემო დარაზმულ მოღვაწეებს. ცნობილია, რომ XX საუკუნის პირველი ათწლეული მეტად მძიმე პერიოდი

საქართველოსათვის. ათეიზმით დაავადებული ქართველი საზოგადოების ნაწილი ქვეყანას შემდგომში თავსდატეხილი უბედურების მიზეზი ხდება. ასეთ მიმე ვითარებაში სწორედ “შინაური საქმეები” ყალიბდება დასავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრად. სვიმონ მჭედლიძე და მისი თანამშრომლები აგრძელებენ ილიას გზას და მიზნად ისახავენ “რწმენადაკარგული, დაბნეული და პარტიებად დაქსაქსული საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივ აღზრდას” (დ. მელიქიშვილი, 1998).

წერილში “სვანეთი” ი. მარგიანი დაბეჭივებით ამტკიცებს: “ჩვენი ფიქრით, სვანები ეკუთვნიან ქართველების ტომს. მართალია, ასეთის აზრის წარმოთქმას ზოგიერთი აჩქარებად ჩამოგვართმევენ, მაგრამ... აზრს ვერ შეგვაძვლევინებენ” (ი. მარგიანი, 1973, 131). ი. მარგიანის ამ სიტყვების მნიშვნელობის წარმოსაჩენად მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც იმჟამინდელი რუსიფიკატორი ისტორიოგრაფების დებულებების თვალსაჩინო ნიმუშია. მკვლევარ-მოგზაური ა. სტოიანოვი სვანებს არა მხოლოდ ცალკე ეთნოსად, არამედ არც მეტი, არც ნაკლები - მალოროსიელების და ზაპოროჟიელების შთამომავლებად მიიჩნევს (ა. სტოიანოვი, 1876). ა. სტოიანოვის “დაკვირვებას” პამფლეტით პასუხობს ი. მარგიანი და აცამტვერებს რა რუსი მოგზაურის შორსმიმავალ იდეებს, იქვე გვთავაზობს სვანური კილოების მცირე ლექსიკონს. მასში თავმოყრილია XIX ს-ის II ნახევრის სალიტერატურო ქართულის იდენტური შესატყვისობები სვანურში. ყველა მათგანის ფუძე ქართულია და განსხვავება მხოლოდ თავსართ-ბოლოსართებში შეინიშნება (ი. მარგიანი, 1973; 181-193). ასევე, ი. მარგიანი ეხმიანება ქართული პრესის ინფორმაციას - ახალი ქართული ლექსიკონის შექმნის შესახებ. იგი **ლექსიკოგრაფთა ყურადღებას მიაპყრობს სვანურ, მეგრულ კილოკავებსა და ლეჩხუმურ მეტყველებას**, სადაც, მისი დაკვირვებით, ჯერ კიდევ შემონახულია სალიტერატურო ქართულში უკვე დაკარგული მრავალი ძირძველი ქართული სიტყვა, მათ შორის, სახარებისეული ტერმინებიც. “თამამად ვიტყვი, რომ სვანური... უმრეტე სალაროა ძველებური ქართულის ენისა და საზოგადოდ ხალხური პოეზია და სასულიერო ენა სავსეა მარგალიტი სიტყვებით”. ბევრ სხვა სიტყვასთან ერთად ი. მარგიანს მოჰყავს შემდეგი მაგალითიც: “სვანურად” ბინძურს ეძახიან “წიდაარს” და ადარებს ამ სიტყვას სახარებისეულ ტერმინ “წილოვანს” (ი. მარგიანი, 1911ა).

უაღრესად მნიშვნელოვანია ი. მარგიანის კიდევ ერთი მოსაზრება. მან, როგორც სასულიერო პირმა, ბრწყინვალედ იცოდა ძველი ქართული სამწიგნობრო და საეკლესიო ენა, ცხადია, ერკვეოდა სვანურ კილოკავებში და ამიტომ სრულიად ადვილად პოულობდა მათი

ერთიანობის დამადასტურებელ მრავალ მაგალითს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა ი. მარგიანის შემდეგი დასკვნაც:



კილოკავებისა და ქართული ენის შედარება უნდა მოხდეს არა XIX ს-ის მიწურულის გამარტივებულ-გალარიბებული სალიტერატურო ქართულის მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის საფუძველზე. ამავე დროს, ი. მარგიანი ერთ-ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც ეჭვქვეშ დააყენა სვანური კილოკავების, როგორც ცალკე ენის, არსებობის საკითხი: “სვანური

“ენა“ (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც პირველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეოთხედი სვანურის სიტყვების, ნამდვილად ქართული სიტყვებია... სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვია. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია“ (ი. მარგიანი, 1973; 131). ი. მარგიანს სხვა საგულისხმო არგუმენტიც მოჰყავს სვანების ქართველობის დასამტკიცებლად: “რისთვის უნდა ემენებიათ სვანეთში ქართველებს ამდენი აუარებელი ეკლესიები, ან რისთვის უნდა ეგზავნათ ამდენი სიმდიდრე, თუ კი არა სთვლიდნენ სვანებს თავის მონათესავე ხალხად?“ (ი. მარგიანი, 1973, 132).

ი. მარგიანი ბედავს და შავრაზმელების მძინვარების პერიოდში ხმამაღლა საუბრობს პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, პოლიტიკურ დაკვეთებზე: “თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერელედ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან... დღეს ამ გვარი გარეწრობით ვერავის ვერ დაუბნელებს თვალს... საზოგადოება... ყოველთვის აფასებდა... ამგვარ ვაჟბატონთა “პოლიტიკანობა - გაიძვერობას“ (ი. მარგიანი, 1911-ბ). ი. მარგიანი, ბ. ნიჟარაძის მხარდამხარ, ილაშქრებდა სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში სლავურ გრაფიკას მისადაგებული სვანური სიტყვებით საღვთო სჯულის გადმოცემის წინააღმდეგ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. მარგიანის ერთი პამფლეტი “სვანური ენა და ახალი აშორდია“ (ი. მარგიანი, 1911ბ). მასში მკითხველი აღვილად ამოიცნობს დიდი ილიას პუბლიცისტური სტილის შემკვიდრეს. ეს არის მიმართვა სვანეთის ბოქაულად ნამყოფი ა. წერეთლისადმი, რომელსაც სვანეთის სამღვდლოება ეგზარხოსთან დაუსმენია - ნაცვლად სვანურისა, მღვდელმსახურებას ქართულად ასრულებენო. საოცარი პათოსი გამოსჭვივის ი. მარგიანის პასუხში: “ნუ სწუხდები, ბ. წერეთელო, ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა... ქართული ენა ჩვენთვის ღვიძლი ენაა, გასაგებიცა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიც“. ი. მარგიანსვე ეკუთვნის ასეთივე მძაფრი კრიტიკით გაჟღერებული წერილი - “სვანეთის ჭირისუფალს ბ. ლეონადოს“. ვინმე ლეონადოს, სოციალ-დემოკრატს, დაუსაბუთებელი ბრალდებები გამოუთქვამს სვანეთის სამღვდლოების მიმართ. “რა უფლება გაქვთ უკიჟინოთ უმოქმედობა მათ, ვინც თქვენზე მეტს მოქმედობს და თქვენზე მეტს არგია ხალხს? - წერს ი. მარგიანი“ (ი. მარგიანი, 1911დ).

ი. მარგიანის კალამს ეკუთვნის ასევე საყურადღებო წერილი „რა ენაზედ ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთს“ (ი. მარგიანი, 1904). „მათი ენა ნამდვილი ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილი. იქ ღვთის დიდება ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს. რომელ მათთვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა

ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევე ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიაჩნიათ?!“.

აღსანიშნავია, რომ ი. მარგიანმა ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი სვანეთში საეკლესიო მუზეუმის შექმნის საჭიროების შესახებ. “ვგონებ მართლაც არსად არ არის ამისთანა ქვეყანა, რომ სვანეთსავით მდიდარი იყოს ძველი ეკლესიებით, ხატებით და საეკლესიო წიგნებით... სასურველია, რომ სვანეთის ერთ-ერთს ეკლესიასთან დაარსდეს მუზეუმი - ძველი ნივთების შესანახი, რომლის დანიშნულება იქნება შეკრება - შენახვა საეკლესიო წიგნებისა და სხვა ძველი ნივთებისა, რომლებიც ეკლესიისათვის არ იქნებიან საჭირო“ (ი. მარგიანი, 1901).

ი. მარგიანი ბევრს წერდა სვანეთის სამღვდლოების შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობის შესახებ (ი. მარგიანი, 1901). ილაშქრებდა სვანეთის ეპარქიის სოხუმის ეპარქიასთან შეერთების წინააღმდეგ (ი. მარგიანი, 1903). ამავე დროს ი. მარგიანი, აქტიურ ქველმოქმედადაც მოხანს (შინაური საქმეები, 1910).

სრულიად ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა ი. მარგიანის ეთნოგრაფიული წერილები. სვანეთის ტრადიციული ყოფის ბრწყინვალე მცოდნე, ძირისძირობამდე სწვდება ყოველი სვანური საწესჩვეულებო რიტუალის (ხალხური საბურველით შემოსილის) ჭეშმარიტ ქრისტიანულ არსს. წარმოაჩენს სვანური ჩვეულებითი სამართლის იმ დანაშრევებს, რომლებიც ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი პოსტულატებითაა ნასაზრდოები. აღწერს მატერიალური ყოფის საგულისხმო ნიუანსებს. ხატოვნად გვისურათებს სვანეთის ყოფით კულტურას და ხშირად იუმორისტული პასაჟებითაც აღამაზებს სვანების მენტალობის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას. განსაკუთრებით გამოვყოფთ ერთ წერილს - “ვინ იყვნენ “პაპები“ ანუ “ბაპები?“, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს მთიანეთის კულტურის ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი (ეთნოგრაფიული წერილები, 1973; 165-170). ამ წერილში აღწერილია სვანეთის მოკლე ისტორია და სამღვდლოების როლი ქრისტიანობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. “სვანების პაპების სასიქადულოდ ჩათვლება, ის ამბავი, რომ მაჰმადიანობას არ გაამარჯვებინეს ქრისტიანობაზე“ (ეთნოგრაფიული წერილები, 1973).

ი. მარგიანი დაწვრილებით აცნობდა მკითხველს ქვემო სვანეთის პრობლემატიკას, მაგალითად, “ძლიერ საჭიროა სადადიანო სვანეთისათვის ნასწავლი მღვდლები (მეტადრე სვანთაგანი) და საეკლესიო სკოლები, რომლებსიგანაც უნდა მოველოდეთ... ხსნას“ (ი. მარგიანი, 1902).

ცალკე საუბრის თემაა ამ მრავალმხრივი მოღვაწის შემოქმედებითი ცხოვრების კიდევ ერთი პლასტი. ი. მარგიანი მწერალიც გახლდათ. ჯერჯერობით მის ორ მოთხრობას მივაკვლიეთ “საშინელი დანაშაული“ (ი. მარგიანი, 1911დ) და “მაგის რა ბრალია?!“ (ი. მარგიანი, 1911ე).

ამრიგად, ი. მარგიანს ღირსეული ადგილი უკავია XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შორის და უთუოდ, საჭიროა, მისი სახელი ფართო საზოგადოებისთვისაც გახდეს ცნობილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გ. გასვიანი, 1973 - გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
- ეთნოგრაფიული წერილები, 1973 - ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, კრებული, თბ., 1973.
- თ. ლეჟავა, 2006 - თ. ლეჟავა, ვინ იყო ივანე მარგიანი? „ჩვენი მწერლობა“, №12, 9 ივნისი. 2006.
- ი. მარგიანი, 1901 - მლ. ი. მარგიანი, “მწყემსი“ №16, 1901.
- ი. მარგიანი, 1902 - ი. მარგიანი, “ცნობის ფურცელი“, 8 ივნისი, №1831, 1902.
- ი. მარგიანი, 1903 - ი. მარგიანი, “ცნობის ფურცელი“, 11 ოქტომბერი, №1950, 1903.
- ი. მარგიანი, 1904 - ბ. მ-ნი, „რა ენაზედ აღიდებდნენ და აღიდებენ სვანები ღმერთსა“, „ივერია“, 4 თებერვალი, №28, 1904.
- ი. მარგიანი, 1911-ა - ი. მარგიანი, ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ, „შინაური საქმეები“, №9, 1911.
- ი. მარგიანი, 1911-ბ - ი. მარგიანი (სვანი), სვანური ენა და ახალი ამორდია, „შინაური საქმეები“, №25, 1911.
- ი. მარგიანი, 1911-გ - ი. მარგიანი (სვანი) სვანეთის ჭირისუფალს, ბ. ლეონაძეს, შინაური საქმეები, №12, 1911.
- ი. მარგიანი, 1911-დ - ი. მარგიანი, საშინელი დანაშაული, „შინაური საქმეები“, №39, 1911.
- ი. მარგიანი, 1911-ე - ი. მარგიანი, მაგის რა ბრალია?! „შინაური საქმეები“, 18-19, 1911.
- დ. მელიქიშვილი, 1998 - დ. მელიქიშვილი, დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაზეთი „შინაური საქმეები“ (1908-1916 წწ.) და იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა წმიდისა მთავარმოწამისა, ძლევაძისილისა, და საკვირველმოქმედისა გიორგისა - საქართველოს ეკლესიის ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998.
- მუჟალელი, 1891 - მუჟალელი, „ივერია“, 25 სექტემბერი, №204, 1891.

ვ. სილოგავა, 1986 - ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.

სტოიანოვი, 1876 - А. Я. Стоянов, Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. X, вып. 2, Тифл., 1876. стр. 269-279.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

შინაური საქმეები, 1910 - შინაური საქმეები, №24, 1910.

ა.ჯაფარიძე, 1999 - მთავარეპისკოპოსი ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი III, თბ; 1999.

Rozeta Gujejiani - Senior Research Worker, I.Javakhishvili Institute of History and Ethnology

"Ertobilni Svanni" (All Svans) against the Russification Policy in Georgia 1. Chief Priest Ioane Margiani Summary

The paper deals with the activities of chief priest Ioane Margiani in Svaneti at the end of the 19th c. and the beginning of the 20th c. His biography is offered and the contribution of the Svaneti clergy to the creation and formation of common Georgian culture is demonstrated. Main aspects of I.Margiani's activities are shown: he is on the guard of public life of Georgia, he supports every good undertaking and shows strong resistance to anti-Georgian and anti-religious tricks. The adherence of I.Margiani to religious and public ideas and views of Bishop Gabriel and Ilia Chavchavadze is stressed. Basic directions of I.Margiani's publications are identified: 1. Obtainment and maintenance of the right to teach the Georgian language in schools of Svaneti; 2. Argumentation of the indisputable truth that exactly Georgian is the mother tongue, literary and church language for the Svans; Struggle against teaching Scripture in churches and schools of Svaneti using Svan words adapted to Slavic graphics. I.Margiani also appears as a close friend of Priest Simon Mchedlidze and collaborator of the national and religious newspaper "Shinauri sakmeebi". Other aspects of I.Margiani's activities are also demonstrated. He is one of the first to raise the question of the establishment of a church museum in Svaneti, etc. It is desirable to popularize the name of this worthy person and familiarize the general public with him.

Розетта Гуджеджиани – старший научный сотрудник
Института истории и этнологии им. Ивано Джавахишвили

«Все сваны» против руссификаторской политики

1. Протоиерей Иоан Маргиани

Резюме

В работе говорится о деятельности Протоиерея Иоана Маргиани в конце XIX и начале XX века. Рассказывается о его биографии и подчёркивается вклад духовенства Сванетии в дело создания и формирования общегрузинской культуры.

Показаны важнейшие стороны деятельности И.Маргиани: он внимательно следит за общественной жизнью Грузии, поддерживает все положительные начинания и выступает против антигрузинских и антирелигиозных выпадов. Следует подчеркнуть верность И.Маргиани религиозным и общественным идеям и взглядам Епископа Гавриила и Ильи Чавчавадзе. Выделены основные идеи публикаций И.Маргиани: 1. Добиться права преподавания в сванских школах Сванетии грузинского языка; 2. Утверждение той безусловной истины, что именно грузинский является родным, литературным и церковным языком; 3. Борьба против изучения Божьего Закона переданными славянской графикой сванскими словами в церквях и школах Сванетии. И.Маргиани предстаёт также как верный друг Священника Симона Мчедлидзе и сотрудником национально-религиозной газеты «Шинаури сакмееби» («Внутренние дела»). Показаны и другие стороны деятельности И.Маргиани. Он один из первых поставил вопрос о создании церковного музея в Сванетии и т.д. Выражается желание популяризации имени этого достойного деятеля и ознакомления его с широкой общественностью.

გია პაპუაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კულტურის ცნების პროვიდენციული გააზრებისათვის

ტერმინი „კულტურა“ ლათინური სიტყვაა და თავდაპირველი მნიშვნელობით აღნიშნავდა დამუშავებას, მოვლას, განვითარებას. კლასიკურ ლათინურში იგი, როგორც წესი, მიწის დამუშავების, სამიწათმოქმედო შრომის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. „de agri cultura“- ასე უწოდა თავის ნაშრომს სოფლის მეურნეობის შესახებ ძვ.წ. III-II საუკუნეების რომაელმა მოღვაწემ მარკუს პორციუს კატონმა. თუმცა, უკვე ციცერონთან გვხვდება გამოთქმა: *cultura animi autem philosophia est*- სულის კულტურა არის ფილოსოფია. თუ რატომ გაჩნდა ასეთი აზრი ანტიკურ ეპოქაში, გასაგებია, რადგან, ეს ის დროა, როცა ფილოსოფია ჭეშმარიტების წვდომის ერთადერთ საშუალებად იყო მიჩნეული. სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლები და ნაირგვარი ფილოსოფიური თეორიები ცვლიდნენ ერთმანეთს, თუმცა ჭეშმარიტების ამ გზით წვდომა შეუძლებელი იყო. სოკრატე ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში თვლიდა, რომ იგი არ იყო მცოდნე, ის მხოლოდ სიბრძნის რაობის გამომრკვევი, მოყვარული, ე.ი. ფილოსოფოსი იყო. მისი აზრით, ბრძენი იყო ის, ვისაც ჭეშმარიტი ცოდნა ჰქონდა. ასეთ ცოდნას, ანუ ჭეშმარიტებას კი მხოლოდ ღმერთი ფლობს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: **სულის დამუშავება ფილოსოფიით კი არ ხდება, არამედ ჭეშმარიტი ცოდნით.** ჭეშმარიტი ცოდნა, ანუ სრულყოფილება კი მხოლოდ ღმერთთან მყოფობით მიიღწევა. ასეთი მდგომარეობა კი ადამიანის სამოთხეში არსებობის პერიოდში იყო. ეს იდილია დაირღვა პირველცოდვის ჩადენისთანავე, რამაც გლობალური მასშტაბი შეიძინა- ადამიანი და სამყარო განემსგავსა პირველსახეს. სამოთხეში ანუ ჭეშმარიტ სამშობლოში მყოფი ადამიანი სხვა სათნოებებთან ერთად შემკული იყო აღმატებული, საღვთო ცოდნით, სულიერი ჭვრეტის უნარით; მაგრამ გამოიღვენა რა იგი სამოთხიდან, ანუ დააკლდა რა მას ღვთის მადლი, ადამიანმა ცოდნის ჭეშმარიტი აღქმა-გაშინაარსება ვეღარ შეძლო. ადამიანთა ხსოვნაში თანდათან გაფერმკრთალდა სამოთხისეული პირველცხოვრება, მაგრამ სრულიად არ ამოძირკვეულა და რაღაც სახით, რაღაც დონეზე ნებისმიერ თაობაში ნარჩუნდება. ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის

ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ზომით უფლის ხსოვნა, სხვადასხვა გამოხატულებით დასაბამიერი სამშობლოს ძიება, რაც სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა თაობაში სხვადასხვა სახითა და ხარისხით ვლინდება. და ეს სხვადასხვა გამოხატულება ძიებითი პროცესისა, სხვადასხვა კულტურათა ცნებით შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული. გზა დაკარგული სამშობლოსაკენ ანუ გზა ცხოვნებისა, ძველი აღთქმის მართალთაგან თავის დროზე სულიერი თვალთ განჭვრეტელი, ჭეშმარიტად გაიხსნა მაშინ, როდესაც განკაცებულმა ღმერთმა გამომხსნელობითი მსხვერპლშეწირვა აღასრულა და გარდამოვლენილი სულიწმინდის მადლზე დაფუძნებული ეკლესია მაცხოვრისაგან დასაძირკვლდა, როგორც ცხოვნებაში კაცობრიობის ახლადმშობელი წიაღი. შესაბამისად ეკლესია და ქრისტიანული მოძღვრება - ესაა კაცობრიობისათვის გზა სამშობლოსაკენ, წყვდიადიდან აღთქმული ქვეყნისაკენ მეწინამძღვრე ნათლის სვეტი (7.25).

სამეცნიერო წრეებში კულტურის საფუძვლების კვლევა მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში დაიწყო. ამის მიზეზი არის აღნიშნული პერიოდის საზოგადოებაში გამოვლენილი კულტურის სულისშემძვრელი კრიზისი. კულტურის კრიზისი ადრეც მომხდარა ადგილი, მაგრამ მაშინ ეს განპირობებული იყო ძველიდან ახალ კულტურაზე გადასვლისა და ზრდის სიძნელებით. თანამედროვე კრიზისი კი საპირისპიროთი შეცვლის შესაძლებლობით, ანუ უკულტურობის ნიშნით ხასიათდება. რა არის კულტურა? - ეს კითხვა, როდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მაშინ დაისვა მხოლოდ, როცა გაჩნდა კულტურულ ღირებულებათა ნიველირებისა და მოსპობის გლობალური საფრთხე. ეს ვითარება ძალიან ჰგავს ანტიკური ხანის ბერძენი ორატორის დემოსთენეს ამბავს. მან მთელი ცხოვრება ზღვის პირზე გაატარა და არასოდეს უფიქრია, რა არის ზღვა; მაგრამ როცა ერთხელ ტალღებმა გაიტაცეს და ძლივს გადაარჩა დახრჩობას, მის წინაშე დაისვა კითხვა - რა არის ზღვა?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უდავოდ ჩნდება შემდეგი კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობეს აღნიშნული მდგომარეობა?

ახალი და უახლესი პერიოდის დასავლური კულტურა დაფუძნებულია შემდეგ წანამძღვრებზე - ანთროპოცენტრიზმი და რაციონალიზმი. სიტუაციაში გასარკვევად, საჭიროა ცნებათა ზუსტი განსაზღვრება. ანთროპოცენტრიზმი არის მეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანი ღვთის მიერ შექმნილი უმაღლესი არსებაა და წარმოადგენს სამყაროს ცენტრსა და საბოლოო მიზანს. ერთი მეხედვითაც დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული ცნების არსი ბიბლიიდან გამომდინარეობს, რამდენადაც შესაქმის მიხედვით ადამიანი

იმთავითვე იქნა გამოცხადებული სამყაროს გვირგვინად. მაშ რაშია საქმე? თითქოს არანაირი წინააღმდეგობა განხილული ცნების არსში, რაც კულტურის კრიზისს განაპირობებდა, არ არსებობს. საქმე კი შემდეგშია. XIX საუკუნიდან დაწყებულმა მეცნიერულმა რევოლუციამ დასავლეთ ევროპაში გამოიწვია ადამიანის გონების გაკერპება. მოხდა ცნების ჰიპერტროფიზაცია. ადამიანმა გადაწყვიტა შესაქმის ავტორის ადგილის დაკავება. ამაზე მეტყველებს ფ.ნიცშეს სიტყვები: “ღმერთი მოკვდა!” ეს იყო ადამიანის ცნობიერების კატასტროფა. რაც შეეხება რაციონალიზმს, იგი წარმოადგენს შემეცნების თეორიის იმ მიმართულებას, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს. შეიქმნა ილუზია ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობის შესახებ. ეს ყველაფერი დაგვირგვინდა ჩ. დარვინის ევოლუციონისტური თეორიით, რამაც კატასტროფული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების ზნეობაზე. აღნიშნული თეორიის თანახმად სამყაროში უწყვეტად მიმდინარეობს არსებობისათვის ბრძოლა და ამ დაუნდობელ ბრძოლაში იმარჯვებს უძლიერესი. ბრძოლა არსებობისათვის და ბუნებრივი შერჩევა ევოლუციის მამოძრავებელი ძალაა. ასეთ შემთხვევაში ზნეობა ზედმეტ და უსარგებლო ბარგად მოევიანა საზოგადოებას. ზნეობისაგან დაცლილი საზოგადოების განვითარება კი ლოგიკურად აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში, რადგან კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ-ინტელექტუალური აქტია. ხოლო ჭეშმარიტი ზნეობრივ-ინტელექტუალური საფუძვლის ფორმირება, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ სინერჯის შედეგად არის შესაძლებელი. ღვთის შიში, მეორედ მოსვლის მუდმივი მოლოდინი ადამიანში აღძრავს და ზრდის ზნეობრივ პასუხისმგებლობას. მორწმუნე ქრისტიანისათვის წუთისოფელში გატარებული ყოველი დღე უკანასკნელი დღის განცდით მიმდინარეობს. ის მუდმივად ემზადება მარადიულობაში გადასასვლელად. ამიტომ ასეთი პიროვნება ყოველთვის ფხიზლობს, ვინაიდან კარგად უწყის სახარებისეული სიბრძნე: **როცა არ ელით, სწორედ იმ საათს მოვა ძე კაცისა** (ლუკა, 12.40). ხოლო ურწმუნო ევოლუციონისტისათვის წუთისოფლით იწყება და მთავრდება ყველაფერი. ეს უკანასკნელი ველური ჟინით იკმაყოფილებენ მიწიერ მოთხოვნილებებს. თანამედროვე კონკურენტულ სამყაროში ასეთი ტიპის ადამიანებისათვის არათუ მტერი, არამედ მოყვასიც კი მტერია. ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ღმერთის არსებობის, ადამიანის სულის უკვდავების, მისი თავისუფალი ნების და საიქიო ცხოვრების რწმენა იმ ძირითადი მსოფლმხედველობრივი საყრდენების როლს ასრულებენ, რომლებზედაც უმაღლეს ღირებულებათა შემცველი ადამიანური ზნეობა აღიმართება.

კულტურას ტრადიციულად ყოფენ მატერიალურ და სულიერ სფეროებად. მატერიალური კულტურა ადამიანის სულიერი მდგომარეობის განივებულ სახეს წარმოადგენს. ე.ი. მატერიალური კულტურა, ანუ გარემომცველი სინამდვილე, ჩვენი სულიერების მაჩვენებელია. წმ. დავით მეფსალმუნე ამბობს: „უფალი სუფევს, შუენიერებაი შეიმოსა.“ (ფს.92). თუ ადამიანისა და კეთილმორწმუნე ერის სულში უფალი სუფევს, სამყარო მშვენიერებით იმოსება. აქ უპრიანია წმ.ილია მართლის სიტყვების გახსენება: „უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ლონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს აღიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“ (11.24).

ყოველი ხალხი ინახავს, ავითარებს და თაობიდან თაობას გადასცემს, უპირველეს ყოვლისა, იმ კულტურას, რომელიც ამა თუ იმ ეთნიკური ერთობის მიერაა შექმნილი. მეტად მნიშვნელოვანია კულტურაში ეროვნული საწყისისა და კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხი. კულტურისათვის დამახასიათებელია გავრცელება როგორც დროში, ასევე სივრცეში. იგი, ერთი მხრივ, თაობიდან თაობაზე გადადის, მეორე მხრივ, მისი ელემენტები გადაინაცვლებს გეოგრაფიულად, გადადის ერთი ხალხის, ერთი ქვეყნის კულტურიდან მეორეში. არ არსებობს სრულიად იზოლირებული, კარდანული კულტურა, რომელსაც არ განეცადოს სხვა კულტურათა ზეგავლენა. ყოველი ხალხის კულტურა არის როგორც შინაგანი, დამოუკიდებელი, მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების განვითარების (რაც ძირითადი ფაქტორია), ისე სხვა ხალხთა კულტურულ მონაპოვართა ათვისების პროდუქტი. კაცობრიობის კულტურის ანალიზისას ასევე ვრწმუნდებით, რომ სხვადასხვა ეთნოსის კულტურა შედგება როგორც ზოგადუნევერსალური, ასევე სპეციფიკური ღირებულებებისაგან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მას ერთი მშობელი ჰყავს. და მხოლოდ ჭეშმარიტი სამშობლოდან დევნილობის ხანგრძლივ პერიოდში შეიძინა თითოეულმა სპეციფიკური ღირებულებანი. ანალოგიურ მდგომარეობაშია ქართველი ერიც. ყოველი ერის, მათ შორის ქართველი ერის, კულტურის იმუნიტეტი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოახერხა მან მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მარადიულ ღირებულებათა დაცვა. მართალია, ამ მხრივ, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სუბიექტური თუ ობიექტური პირობების გათვალისწინებით, ქართული კულტურა სხვადასხვაგვარ

მდგომარეობაში აღმოჩენილა, მაგრამ რაც კი შეუქმნია, სარწმუნოებრივ ფუნდამენტზე დაუძვინდრებია. როცა უფალს ლოცვით ვადიდებდით და შეწევნას გამოვთხოვდით, მაშინ ერთიან დიდ ტაძარს ემსგავსებოდა საქართველო; ხოლო როცა ზურგს შევაქცევდით მამა-ზეციერს, დგებოდა ჩვენი დაცემის ჟამი. მაგრამ დაცემას კვლავ მოჰყვებოდა აღდგომა, რაც ისევ და ისევ ქართველ წმინდა მამათა, მეფე-დედოფალთა და ყოველთა სათნოდ მცხოვრებთა ლოცვისა და თავდადების შედეგი იყო.

ერის არსებობა და ფუნქციონირება ეროვნული კულტურის არსებობა და ფუნქციონირებაა. მისი პოზიციების შერყევა ერის გადაგვარებისა და გაქრობის დაწყების მანიშნებელია. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“ (11.25). დასახელებული სამი სიწმინდიდან განმსაზღვრელი სარწმუნოება რომ არის, ამის დასტური კვლავ წმ.ილია მართლის შემდეგი სიტყვებია: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერ კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, - გაქართველდაო... ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“ (11.13-14). ეს აზრი ბიბლიის მიხედვითაც დასტურდება. თავდაპირველი სამშობლო ადამიანისა სამოთხეა. პირველცოდვის შედეგად განიდევნა ჭეშმარიტი სამშობლოდან ადამიანი და დაიწყო განსახლება სხვადასხვა რეგიონში. კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, სადაც ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი წარიმართა, ასევე უფლის მიერაა შექმნილი, ჩვენ მისი სტუმრები ვართ. თუ აღვასრულებთ უფლის ნებას, ჩვენი სამშობლო აყვავდება; თუ არა და შეიძლება ისე გაქრეს ამ მამულში ჩვენი ხსენება, რომ ნაკვალევიც კი არ დარჩეს ქართველთა. ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი მამული აქამდე მხოლოდ უფლისა და მოყვასის სიყვარულმა მოიტანა. ხოლო, რაც შეეხება ენას, სხვადასხვა ენაზე საუბარს ხალხი იწყებს ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ. ქართული ენა კი, რომელიც „დამარხულ არს... მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ (6.47.), წმ. ილია მართლის მიერ დამკვიდრებული სამ-ერთობის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია, რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენახვისა და დღემდე მოტანის საქმეში. ენა ქართულიც ღვთის მადლია ჩვენზე გადმოსული და მასაც დიდი რუდუნება და გაფრთხილება სჭირდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1993.
2. ბიბლია
3. რ.გორდენიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993
4. კულტურა, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977
5. კულტუროლოგია, ნაწილი I, თბ., 2001
6. გ.ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქვანი, ქართული კულტურის ისტორია, თბ., 1997
7. ე.ჭელიძე, ქრისტიანობა და საზოგადოება, ჟურნალი "ფუძე", 2005, №6(8).
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970
9. ქართლის ცხოვრება, ტ., I, თბ., 1955
10. ქართული მწერლობა, ტ.I, თბ., 1987
11. ი. ჭავჭავაძე, აზრები, თბ., 1989
12. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ., თბ., ტ.I, 1979

Gia Papuashvili - Assistant Professor, Ivane Javakhishvili State University

On the Providential Interpretation of the Concept of Culture Summary

Culture is the spiritual state of man and the process of its materialization, i.e. a moral and intellectual act. The history of the culture of mankind is the process of permanent searching for the true homeland after the original sin. Georgian culture is the centuries-old, continuous history of material and spiritual creation of the Georgian nation, history of restoration of the broken link with the Creator of the universe.

Г.Папуашвили – ассистент-профессор Государственного университета Иванэ Джавахишвили

О провиденциальном осмыслении понятия «культура» Резюме

Культура – духовное состояние человека и процесс его материализации, или нравственно-интеллектуальный акт. История культуры человечества – это перманентный процесс искания истинной родины после первородного греха. Грузинская культура – это многовековая непрерывная история материального и духовного творчества грузинского народа, история восстановления прерванной связи с Творцом Вселенной.

მღვდელი ლევან მათეშვილი - სტუ თეოლოგიის კათედრის
მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

რწმენის, წარმართული განათლებისა და ელინისტური ფილოსოფიის მიმართებისათვის

I საუკუნის ბოლოს მოხდა პირველი ქრისტიანული თემების გამოყოფა სინაგოგებიდან. რადგანაც ქრისტიანობა იყო მისიონერული მოძრაობა, სამყაროს წარმართულ კულტურასთან ურთიერთობის საკითხიც მასში უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე იუდაიზმში. ქრისტიანებს უწევდათ წარმართებთან არა მარტო თანაცხოვრება, არამედ მათი ქრისტიანულ რწმენაში მოქცევა.

ისევე როგორც ებრაელებს, ქრისტიანებსაც არ შეეძლოთ თავიანთ რწმენაში შეეთვისებინათ წარმართული კერპების თაყვანისცემა. ქრისტიანებისთვის პასიური მონაწილეობაც კი მსხვერპლშეწირვაში, როგორც უმანკოც უნდა სჩვენებოდათ ის წარმართებს, სჯულისგან განდგომის ტოლფასი გახლდათ. ასევე მიუღებელი იყო ქრისტიანისთვის წარმართულ მისტერიებში განდობილობა.

ისეთი სახის დანაშაული, როგორცაა, მაგალითად: აბორტი, მონების მიმართ არაადამიანური მოპყრობა, გლადიატორული ბრძოლები და სხვა გასართობები, რომლებიც წარმართულ საზოგადოებაში მიღებულად ითვლებოდა, ქრისტიანები ეწინააღმდეგებოდნენ და ღიად ამხელდნენ. კლიმენტი ალექსანდრიელი და ორიგენე მსჯავრს სდებდნენ წარმართულ უღირს ქმედებებს იმ თანმიმდევრულობით, როგორც ამას აკეთებდნენ მათი დასავლელი თანამედროვენი: იპოლიტე რომაელი, ტერტულიანე კართაგენელი.

მნიშვნელოვან საკითხად იდგა მწიგნობრული სიბრძნე, რომელიც გაჯერებული იყო მორალური ფასეულობებითა და წარმართული სამყაროს მსოფლმხედველობით. ზოგიერთი ქრისტიანი მოძღვარი, მაგალითად, ტერტულიანე და ტატიანე, უარყოფდა როგორც კერპთაყვანისმცემლობას, ასევე იმ დაწყებით განათლებას, რომელიც შეიცავდა ძველ ბერძნულ პოეზიასა და ლიტერატურას.

ადამიანმა უნდა მიიღოს ქრისტიანული ჰუმანიტება ყოველგვარი განხილვისა თუ შედაგების გარეშე, ამასთანავე უნდა უარყოს განათლება და კულტურა, როგორც დემონური ძალების ნაყოფი. მას შემდეგ, რაც ადამიანი რწმენაში მოდის, ერთადერთი, რაც მან სინამდვილეში უნდა იწამოს, ეს არის ის, რომ აღარ არსებობს

არაფერი იმაზე მეტი, რისიც უნდა სწამდეს. თუმცა ტერტულიანე უშვებდა დაწყებით სასკოლო განათლებას, როგორც გარდაუვალ ბოროტებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ მანამდე ბავშვი ეცნობოდა ქრისტიანულ საფუძვლებს. რაც შეეხება იუსტინეს, მისთვის ასევე გაუგებარი იყო, თუ რისთვის სჭირდებოდა მომავალ ღვთისმეტყველს სასკოლო განათლება მიეღო მუსიკაში, ასტრომონიასა და გეომეტრიაში, თუმცა ფილოსოფიას ის პატივისცემით ეპყრობოდა.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ორიგენეს რიტორიკისა და წმიდა წერილის სწავლება ერთ ჭერქვეშ შეუძლებლად ეჩვენებოდა. თუმცა შემდგომ მან შეცვალა თავისი მოსაზრება და მოგვიანებით, უკვე ასაკში შესული ორიგენე, თავის მოწაფე გრიგოლს ურჩევს, შეისწავლოს გრამატიკა, რიტორიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია, რადგან ყველა ეს მეცნიერება ფილოსოფიის შესავალს წარმოადგენს. საგანთა სია, რომელიც ორიგენეს მოჰყავს, მთლიანად შეესაბამება ეგრეთწოდებულ რიტორიკის სკოლებში მიღებულ პროგრამას, რომელიც განათლების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა ელინისტურ ეპოქაში.

საჯარო სასწავლებელში მოხვედრილ მოსწავლეებს დასაწყისშივე შეეძლოთ მიეღოთ განათლება “ბერძენთა მეცნიერებებში“, საერთო განათლების კურსი მოიცავდა მუსიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას და დიალექტიკას. კლიმენტი ალექსანდრიელი შენიშნავს, რომ საგანთა შესწავლა არაფრით არ აფერხებს, არამედ პირიქით, ხელს უწყობს ღვთაებრივი საიდუმლოებების ჩაწვდომას. წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედი გადმოგვცემს იმის შესახებ, თუ როგორ გაიარა მან მოსამზადებელი კურსები ლოგიაში, ასტრონომიაში, “ღვთაებრივ მათემატიკაში“ და ეთიკაში ორიგენესთან, კესარიის სასწავლებელში. ასეთივე საგანთა სია მიღებული იყო პლატონიკეს სასწავლებელში, რომელიც იყო ორიგენეს უფროსი თანამედროვე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ რამდენად განსხვავდებიან პანთენის მიერ ალექსანდრიაში ჩადებული მოდელები რომისა და ჩრდილო აფრიკული მოდელებისაგან. საჯარო სკოლები რომში განკუთვნილი იყო კატეხიზაციისათვის. ასეთი სკოლის მასწავლებლები დაკავებულნი იყვნენ მხოლოდ მოზრდილთა ნათლობებისათვის მომზადებაში.

სრულიად სხვა ვითარება იყო ალექსანდრიაში. ფილოსოფიის შესწავლით განსაკუთრებით ახალისებდნენ ნიჭიერ მოსწავლეებს.

სკოლის მეორე მასწავლებელთან, კლიმენტთან, ჩვენ ვპოულობთ ფილოსოფიის პირველ და სისტემურ გამართლებას ქრისტიანთა განათლების აუცილებლობისა. კლიმენტი ეყრდნობა ფუნდამენტურ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ლოგოსი წარმოადგენს მთელი ერის

მოძღვარს. ფილოსოფია უდიდეს როლს ასრულებს ბერძენისათვის. უფრო მეტიც, ის წარმოადგენს ღვთის საჩუქარს, მათთვის, წმინდა წერილისაგან განსხვავებით, ფილოსოფიური ნაწარმოებები შეიცავენ მხოლოდ ნაწილს ჭეშმარიტებისას. ფილოსოფიური კაკლის მთლიანად მიღებას არ გვირჩევს კლიმენტი, რადგან მისი ნაჭუჭი დატევილი უნდა იქნეს... თუმცა ეს მთელი რიგი მსჯელობებისა გახლდათ იმდენად ბუნდოვანი, რომ არ იძლეოდა ნათელ კრიტერიუმებს, განსასხვავებლად ფილოსოფოსთა აზრებსა და რწმენის ჭეშმარიტებებს შორის.

ზოგიერთი ქრისტიანი სამართლიანად შიშობდა, რომ ასეთი განდიდება ფილოსოფიისა თანასწორს გახდის მას წმინდა წერილთან და მოციქულთა გადმოცემებთან. აფრთხილებდა კი პავლე მოციქული ქრისტიანებს, რათა არ მოხიბლულიყვნენ “ფილოსოფიითა და ფუჭი ცდუნებით, ადამიანური გადმოცემისა და სამყაროს სტიქიათა მიხედვით და არა ქრისტეს მიხედვით“ (კოლ. 2.8). ამის პასუხად კლიმენტი შენიშნავს, რომ ფილოსოფიიდან საჭიროებს მხოლოდ იმის აღებას, რაც არ ეწინააღმდეგება წმინდა წერილს და მოციქულთა მემკვიდრეობას, რომელიც დაფიქსირებულია სარწმუნოების სიმბოლოში, რაც შეეხება პავლე მოციქულის სიტყვებს, კლიმენტის აზრით ის მიეკუთვნება არა ყველა ფილოსოფიურ მიმდინარეობას, არამედ სოფისტებს და ეპიკურეელებს. სოფისტები არ უნდა შეისწავლოთ იმიტომ, რომ ისინი ზრუნავენ სიტყვათა სილამაზეზე და არა ჭეშმარიტებაზე; სწორედ იგივე დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ეპიკურეელების მიმართ, რადგან ისინი უარყოფენ ღვთიურ განგებას და ამით ფაქტობრივად ქადაგებენ ათეიზმის სწავლებას, რომელიც ამახინჯებს საგანთა ბუნებას და გონიერი სულისთვის ზიანის მომტანია (კლიმენტი, ორიგენე).

ფილოსოფია, ვერ შეცვლის რწმენას, მიიჩნევს კლიმენტი, რადგან რწმენა საერთო ჯამში არ ეფუძნება ფილოსოფიურ პრინციპებს. ნუ აგვერევა სულიერი სიზარმაცე და ფილოსოფიური ეჭვით მოცული სიზნანტე, მოგვიწოდებს კლიმენტი.

როდესაც საქმე ეხება ჩვენს ეგოისტურ მიდრეკილებებს თუ გრძნობიერ სიამოვნებებს, მაშინ უკვე განუსჯელად ვმოქმედებთ. მაგრამ რწმენა ღმრთისა არის ადამიანის პირველხარისხოვანი ინტერესი, რომელიც მის სულიერ ჯანმრთელობას ეხება. კლიმენტის თანახმად, ღვთის მიღებასა თუ უარყოფაში იგულისხმება უფრო მორალური არჩევანი, ვიდრე ინტელექტუალური ალბათობა. ღვთის მიღება თუ უარყოფა უფრო ნების პრობლემაა, ვიდრე გონებისა. ნება პარალელური აღმოჩნდება უწესო წარმართული ჩვევებისა და გონება აედევნება მას, იგონებს ყოველგვარ პატიებასა თუ ბრალდებებს.

გონების ეჭვი დაკავშირებულია არა ინტელექტუალურ სიძნელეებთან, არამედ იმასთან, რომ ნების უარყოფით დატოვოს ძველი ცხოვრების წესი.

კლიმენტის თვალსაზრისით, უწიგნურობა არ წარმოადგენს ადამიანისთვის დაბრკოლებას. იმისათვის, რომ მან ფილოსოფიური ცხოვრების წესით იცხოვროს, ეს ნიშნავს: “რწმენას ფლობენ არა ბრძენნი ამა ქვეყნისა, არამედ ღმერთში გაბრძნობილნი”; რწმენაში განსწავლა შესაძლებელია წიგნიერების გარეშე; მისი სახელმძღვანელო წარმოადგენს უბრალოს და ღვთაებრივს, სულიერ სიყვარულად წოდებულ წიგნს. რწმენა ხელს უწყობს სწავლებას, რადგანაც ის აძლიერებს მოსწავლეებში იმის ათვისების უნარს, რაზედაც საუბრობს მასწავლებელი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ქრისტიანები უდიდეს მნიშვნელობას რწმენას მიაწერენ, განათლებულ წარმართთა უმრავლესობა მათ გულუბრყვილო გლახაკებად მიიჩნევდნენ, რომელთაც სწამთ განურჩევლად ყველაფრის, ყოველგვარი განსჯის გარეშე. ფილოსოფოსი კელსუსი ქრისტიან მოძღვრებს ბრალს იმაში სდებს, რომ ისინი ბავშვებს აქეზებენ უარყონ წარმართ მშობელთა საუკუნო ტრადიციები.

როგორც კი ქრისტიანებს მათი რწმენის განმარტებას სთხოვენ, ისინი ამ ყველაფერს შემდეგი სახის ლოზუნგებით აღწევენ თავს: “ნუ მსჯელობ, მხოლოდ ირწმუნე“, ან “ცუდია, ბრძენი იყო ამ ცხოვრებაში, როდესაც იყო უგუნური - მშვენიერია“. კელსუსი შენიშნავს, რომ მსგავსი არგუმენტებითა და სარკაზმით შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინო მხოლოდ ქალებზე, მონებსა და ბავშვებზე. კელსუსის პასუხად ორიგენე განმარტავს, რომ ფილოსოფიურ დებატებში ჩაბმაზე ქრისტიანების მიერ უარის თქმა დაკავშირებულია არა იმასთან, რომ მათ არა აქვთ მასში მონაწილეობის უნარი, არამედ, უბრალოდ, ისინი არ თვლიან ასეთ დისკუსიებს მათთვის პირველხარისხოვან ამოცანად.

ადამიანთა უმრავლესობას არ გააჩნია საკმარისი დრო იმისათვის, რომ მოისმინონ ყველა მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტი ქრისტიანული სწავლების შესახებ.

და რა არის უფრო უპირატესი: მიატოვო ხალხი ცოდვის ჭაობში ჩაფლული, სანამ ისინი არ დაუმტკიცებენ თავის თავს ქრისტიანულ ჭეშმარიტებას სრულად და გარკვევით, თუ ჯერ ამოვიყვანოთ ისინი ჭაობიდან და შემდეგ უკვე შევუდგეთ სრულ განმარტებას? პირველ შემთხვევაში საკმაოდ დიდი საშიშროების წინაშე იქნება ადამიანის სული, რომელიც ფილოსოფიურ კამათლებთან შედარებით

უსაზღვროდ ძვირფასია. ღირს კი ცდა, შენიშნავს ორიგენე, სანამ ადამიანი სულიერად არ მოკვდება? მთელი ცხოვრება ხომ კამათში გავა და დრო აღარ რჩება ქრისტიანული ცხოვრებისათვის.

უნდა აღინიშნოს ის, რომ კლიმენტი და ორიგენე, ტერტულიანეს მსგავსად, შორს იყვნენ იმისაგან, რომ უარეყოფი ფილოსოფია ქრისტიანულ განათლებაში. ბრბოს აზრით, ფილოსოფიას მხოლოდ რწმენის შერყევა შეუძლია. კლიმენტი კი პასუხობს, რომ კაპიკია იმ რწმენის ფასი, რომელიც შეიძლება ასეთი სახით დაანგრიო. სიმართლეს არ უნდა ემინოდეს დებატებისა. ფილოსოფია ქრისტიანულ სკოლებში უნდა ემსახურებოდეს აპოლოგეტურ მიზნებს. კლიმენტი მას ვენახის ირგვლივ შემოვლებულ ღობეს ადარებს. პანტენიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფილოსოფია შეტანილ უნდა იქნეს საჯარო სკოლების საგანთა ცხრილში, რათა მოამზადოს მოსწავლეები ერესებთან დაპირისპირებაში.

ორიგენე დარწმუნებული იყო, რომ ფილოსოფიური განათლება ვერ აღუდგება რწმენას, არამედ, პირიქით, განწმენდს მას ცრურწმენისაგან და შეცდომებისაგან. ორიგენეს სკოლაში კათაკმეველებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ ფილოსოფიური მიმდინარეობების გამოკვლევაში. ორიგენე უარს არავის ეუბნებოდა, ვისაც კი სურდა მისი სკოლის ჭერქვეშ მიეღო ფილოსოფიური განათლება, მხოლოდ იმ იმედით, რომ ამით ადამიანი შეიძლებოდა მოქცეულიყო ქრისტიანად.

ალექსანდრიაში, მიუხედავად ეკლესიის შიგნით არსებული მნიშვნელოვანი ოპოზიციისა, პირველად ქრისტიანობის ისტორიაში მიღებული იყო სარისკო, არაერთმნიშვნელოვანი და ამასთან ერთად განსაკუთრებულად ნაყოფიერი შეერთება აკადემიისა და ეკლესიისა. პანტენის, კლიმენტისა და ორიგენეს ჩანაფიქრით ქრისტიანულ სკოლას უნდა შეეცვალა წარმართული უნივერსიტეტი.

კლიმენტი მოუწოდებს იმისკენ, რომ საჭირო არ არის განთქმული ათენის აკადემიის მასწავლებლებთან ან კიდევ სხვაგან, განათლებაზე გამოდევნება, რადგანაც თვით ღმერთი მოვიდა ადამიანებთან სხეულში, იმისათვის, რომ გაენათლებინა ისინი და მიეყვანა გადარჩენის გზამდე. ქრისტეში “დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი“ (კოლ: 2:3). ამიერიდან მოსწავლეები იმისათვის, რომ ფილოსოფიაში მიეღოთ დამატებითი ცოდნა, აღარ საჭიროებდნენ წარმართი მასწავლებლების დახმარებას. ასეთი განათლება უკვე შეიძლებოდა მიეღოთ თვით ეკლესიის წიაღში. ძველი წარმოსახვით, ქრისტეს სახე შერწმული იყო ჭეშმარიტი ფილოსოფიის სახესთან. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ასეთი შეერთების შედეგად საზღვრები

ღვთივგანცხადებულ ცოდნასა და ელინისტურ სიზმარს შორის ნაკლებად მკაფიო ხდებოდა, ვიდრე ეს იუსტინეს, იპოლიტესა და ტერტულიანეს დასავლეთის სკოლებში იყო. ტერტულიანესაგან განსხვავებით, კლიმენტი ქადაგებდა არა კულტურისაგან გაქცევას, არამედ ყველაფერი იმის შემოქმედებითად და კრიტიკულად ათვისებას, რასაც თავის თავში ატარებდა კულტურა. წარმართობაზე გამარჯვებისთვის, მისგან თავის დასაღწევად, არასაკმარისი იყო მხოლოდ რამდენიმე შეძახილი იმასთან დაკავშირებით, რომ წარმართული კულტურა ეშმაკის ბადეში იმყოფება, არამედ ქრისტიან მოძღვარს უფრო მეტი მოეთხოვებოდა, კერძოდ კი: განწმენდა და გაეკლესიურება თვით კულტურისა იმისათვის, რომ ქრისტიანში მოქცევა შესაძლებელი ყოფილიყო საზოგადოების ყველა ფენისათვის, აუცილებლად საჭირო იყო ქრისტიანული აპოლოგეტიკის განვითარება ყველა დონეზე: ბრძოლა ცრურწმენასა და ხალხის წეს-ჩვეულებასთან, სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, პოლემიკაში პოპულარულ ფილოსოფოსებთან ბაზრის მოედნებზე და აგრეთვე ვიწრო, მაგრამ გავლენიან ფილოსოფოსთა სკოლების წრეებში.

ქრისტიანულ სკოლაში ადამიანს სთავაზობდნენ ღვთივგანცხადებულ ცოდნას და არა მარტო ავტორიტეტულ ფილოსოფოსთა აზრს. ყველა მსურველთათვის შესაძლებელი იყო შეედარებინა ესა თუ ის ფილოსოფიური სწავლება მოცემულ განცხადებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Иринеи св. Сочинения, рус.пер.Изд. П.А. Преображенским М., 1871.
2. Каждан А. От Христа к Константину, М., 1965.
3. Карташов А.В. Вселенские Соборы, Париж, 1963.
4. Моммзен Т. История Рима, т. I-III, М., 1936-1941.
5. Тацит Корнелий, Сочинения в двух томах, т. I, Анналы, Малые произведения. Издание подготовили А.С. Бобович, Я.М. Боровский, М.Е. Сергеенко, Издательство «Наука», Ленинград, 1969.
6. Тертуллиан и его сочинения, СПб, 1842, творения в руск. пер. Н. Щеглова, Киев, 1910.
7. Тэнасе А. Культура и Религия, М., 1977.
8. Мученичество св. Иустина. Acta justini et sociorum. Ред. Ruinart Th. Acta Primorum martyrum sincera. Regensburg, 1859. Русск. пер. А. Дунаева.
9. Сочинения древних христианских апологетов. М.: Благовест - СПб: Алетейя, 1999. С. 362-372.
10. Августин. Исповедь. Confessiones, Ред. Verheijen L., CCSL 27 (1981). Русск. пер.: Аврелий Августин. Исповедь, Пер. М. Е. Сергеенко СПб: Азбука. 1999.
11. Незаконченный труд против Юлиана. Opus imperfectum contra Iulianum, PL 45. 1049-1608.

Priest Levan Mateshvili - Teacher, Chair of Theology, Technical University of Georgia

On Interrelation of Faith, Pagan Education and Hellenistic Philosophy Summary

Christianity of the first centuries as well as of the subsequent periods did not preach avoidance of culture, but assimilation in a creative and critical way of everything that culture united in itself. Calls that pagan culture was in the devil's trap were not enough to win a victory over paganism. A Christian clergyman was required to do more, namely: to purify culture proper and make it more ecclesiastical in order to enable every social stratum to be united in Christ, it was necessary to develop Christian apologetics on all levels: to struggle with prejudices and folk customs, state officials, to engage polemics with popular philosophers in market-places and also in narrow yet influential schools of philosophers.

Священник Леван Матешвили – преподаватель кафедры теологии ГТУ

Об отношениях веры, языческого образования и эллинистической философии

Резюме

Христианство первых веков, также как и последующее христианство проповедовало не отрыв от культуры, но творческое и критическое восприятие всего того, что входит в культуру. Для победы над язычеством, отрыва от него недостаточно лишь нескольких восклицаний о том, что языческая культура заключена в дьявольские сети. От христианского наставника требуется больше, а именно: очистка и попытка сделать церковной саму культуру для того, чтобы для каждого общественного слоя была бы возможность обращения к Христу, необходимо развитие христианской апологетики на всех уровнях: борьба с предрассудками и народными поверьями, государственными чиновниками, полемика с популярными философами как на базарных площадях, так и в узких, но влиятельных кругах философских школ.

ტარიელ ფუტკარაძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ასომთავრული ანბანისა და ქართული სამწიგნობრო ენის სათავე - ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა

საქართველოს ისტორიაში ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს იდეის განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს და ორსავე პერიოდის სიძლიერისა და ერთიანობის გამოხატულებად მიჩნეულია **ქართული ენის** განსაკუთრებული როლი; შდრ.: ქუჯ-ფარნავაზის ეპოქა: “არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართლისა“ და გრიგოლ ხანძთელის ეპოქა: “ქართლად ფრიადი (მრავალი) ქუეყანა (მხარე) აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“... პირველ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანებისთვის არსებითი როლი შეასრულა ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ, მეორე შემთხვევაში კი - სამხრეთ-დასავლეთ (ტაოში) და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) აღზრდილმა ბაგრატიონებმა...

გავრცელებული შეხედულების თანახმად, უძველესი პერიოდიდან (ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან) თითქოსდა არსებობდა სამი მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი და სვანი (იხ., მაგ., ო.ჯაფარიძე, 2006, გვ. 366, 353: “ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში - სვანი, კოლხეთის ბარში - ზანი, აღმოსავლეთ საქართველოში - ქართველი“). ამავე თეორიის მიხედვით, შემდეგ პერიოდში ქართველების/ქართვების ენის ბაზაზე შეიქმნა სალიტერატურო ენა, რომელიც, მოგვიანებით, მეგრულ-ლაზთა და სვანთა კულტურის ენადაც იქცა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს უკანასკნელი დებულება ორგვარი ინტერპრეტაციით გვხვდება:

1. იძულებითი ქართიზაცია: ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ - ქართველებმა - თავიანთი ენა და კულტურა ძალით მოახვია თავს დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს “კონცეფცია“ მომდინარეობს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქეროპე პეტროსის ძე პატკანიანისგან (პატკანიანისგან). აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობის აღსანიშნავად საბჭოთა პერიოდში დაამკვიდრეს ეთნონიმი **ქართი**

(“ქართვეს“ ზოგი ავტოქთონად თვლის, ზოგი - მოსულად); პარალელურად გაჩნდა საოცარი ფრაზაც: **ქართი - ტომიყლაპია:** “ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია:** იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ჭართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“ (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 237). ე.წ. ქართვებისგან სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაციის დაუსაბუთებელ მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში “ქართიზაციის“, “გაქართვების“, “ქართველიზაციის“, ან “გაქართულების“ სახელით იხსენიებენ (იხ., მაგ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225, 353, 406-409; გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 111, 115, 370, 534 და სხვ.).

2. ნებაყოფლობითი ქართიზაცია: ზანური და სვანური “ენების“ მფლობელებმა თავიანთ სალიტერატურო ენად ნებაყოფლობით მიიღეს მოძმე “ქართვების“ სალიტერატურო ენა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოვადგენთ ციტატას ა.ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან: “ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა - თავსმოხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ **ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან** (ხაზგასმა ყველგან ჩემია - ტ.ფ.). ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“ (ა.ონიანი, 1998, გვ. 3-4; მსგავსი მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ.გორდეზიანი, 1993, გვ. 70).

საბჭოთა პერიოდამდე ცნობილ ქართველ საზოგადო და სასულიერო მოღვაწეებს არასოდეს გაუზიარებიათ **მოსაზრება ქართველთა რამდენიმე ენის არსებობის** შესახებ და ე.წ. **ქართიზაციის თეორია** (ქართველოლოგიაში ენისა და კილოს საკითხის შესახებ იხ., თ.გვანცელაძე, 2006), მაგრამ XX საუკუნის საბჭოთა იმპერიის (ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს) სამეცნიერო წრეებში ეს იყო აღიარებული, წამყვანი **სამეცნიერო თეორია;** მეტიც,

ამ ვარაუდის (!) “სრულყოფის“ ცდად უნდა ჩაითვალოს **ქართებისა და ქართლელების** გაიგივება (გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 118, 125-127), ქართული ეკლესიისათვის პროზელიტიზმის დაბრალება (დ.მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33: “...ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის”) და ქრისტიანობის გამოცხადება ქართიზაციის პროცესის ხელისშეწყობად (გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 368: “ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით **ეთნიკურ** ბარიერებს სპობდა”).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ე.წ. ქართიზაციის თეორია** პირველად გააკრიტიკა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, **ისტორიკოსმა, პროფესორმა ანანია ჯაფარიძემ**, რომელმაც, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა:

“ნ.მარსიგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის “ქართიზაციისა“ ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას “ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის “ქართლის ცხოვრებას“, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ...“ (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998, გვ.261-263; ა.ჯაფარიძე, 2003).

იძულებითი ქართიზაციის თეორიის უსაფუძვლობას ცხადყოფს მრავალი სხვა ფაქტი და ბოლო პერიოდში ჩვენ მიერ წარმოებული კვლევებიც; კერძოდ: არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შეეძლო სხვისი დაპყრობა (ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 325)? ფაქტია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემების თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჭის, მარუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის,

ჰყონდიდლების, ლევან დადიანისა (“იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“) და სხვათა ძალისხმევა.

შენიშვნა: საყურადღებოა: კ.კეკელიძესთან კამათში ივ.ჯავახიშვილს სიტყვა **ქართველი** ბრწყალვით მოჰყავს (ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ. 236); შდრ.: კ.კეკელიძის რწმენით, **სვანებთან ნარევი მესხების** კუთვნილი ქართლი ძვ.წ. IV-III საუკუნეებში დაუკავებიათ ქართველს, რომელთაც **ახალი ქართლი** შეუქმნიათ; ჩანს, ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა **ქართის ტომის** არსებობის იდეას, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამის შესახებ მას საგანგებოდ არ უმსჯელია. ივ.ჯავახიშვილისგან განსხვავებით, ქართიზაციის თემა გაააქტიურა ნ.ბერძენიშვილმა; დავიმოწმებთ მის ტიპურ ციტატას (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225): ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხანისათვის **ქართლის ექსპანსია** ძირითადად დასრულებული იყო... ქსნისა და არაგვის ხეობებმა “სახელი ქართლი არ მიიღეს; არ მიიღო ეს სახელი არც **იმერეთმა**, მიუხედავად იმისა, რომ **ქართის კულტურა, ქართის ენა** მათთვის **მშობლიური ენა გახდა** (შეიძლება იბერნი იყვნენ და იმთავითვე მათი ენაც იგივე იყო, რაც ქართლისა, ოღონდ დიალექტი...)“ [ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.].

“იძულებითი ქართიზაციისა“ და ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის თეორია დღესაც ატაცებული აქვთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე ჯგუფებს (განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის მესვეურებს). რამდენადაც იძულებით ქართიზაციას ფაქტობრივი მონაცემები მხარს არ უჭერს, ხოლო I საუკუნიდან მომდინარე ქართული ეკლესიის ისტორია საფუძვლიანი კვლევით ნათლადაა წარმოდგენილი მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ფუნდამენტურ გამოკვლევებში (ა.ჯაფარიძე, 1996; ა.ჯაფარიძე, 1998; ა.ჯაფარიძე, 1999; ა.ჯაფარიძე, 2003; იხ, აგრეთვე, ბ.დიასამიძე, 1999), ამ საკითხებზე მსჯელობას ჩვენ აღარ გავაგრძელებთ.

უფრო ბუნდოვნად და წინააღმდეგობრივად გამოიყურება მოსაზრება ე.წ. “ნებაყოფლობითი ქართიზაციის“ შესახებ; **ამ თვალსაზრისის მიმდევართა აზრით**, ძველთაგანვე არსებულ ქართველურ ტომობრივ ენათაგან ერთ-ერთზე (“ქართების ენაზე“) შექმნილი სალიტერატურო ენა დროთა განმავლობაში ქართველი ერის ეროვნულ ენად იქცა (მსჯელობისათვის იხ., მაგ., განათლების სამინისტროს მიერ სტუდენტთათვის სახელმძღვანელოდ დამტკიცებული “ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“ **გ.ახვლედიანის რედაქციით**, თბ., 1972, გვ. 36). აქვე (გვ. 22) ვკითხულობთ: “ქართული და მეგრული იმდენად არის დაცილებული ერთმანეთისგან, რომ თუ ან **მეგრულმა** ქართული არ იცის ან **ქართველმა** მეგრული, მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ“... წიგნის ავტორთა

მიხედვით, ქართული ენის **ეროვნულ ენად** ქცევის მიუხედავად, მეგრული და ქართული ოპოზიციური ცნებებია, ხოლო **მეგრული** და **ქართველი** მათთვის სხვადასხვა ხალხად კვალიფიცირდება...

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პირველ უნივერსიტეტში შექმნილ ამ სახელმძღვანელოში ქართველობის წარმოდგენა ორ ხალხად არის **ლოგიკური შეცდომა**, რომელიც გამომდინარეობს ქართველური ენობრივი სამყაროს იმ არალოგიკური გააზრებისგან, რომელიც გაბატონებული იყო საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ქართველურ ენობრივ ერთეულთა მსგავსი კვალიფიკაცია აქტუალურია საბჭოთა იმპერიის დასუსტებისა და დაშლის შემდეგაც (იხ., მაგ.: ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 172-173; ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 18-20; თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელაია, 2003, გვ. 622; ვ.ბოედერი, 2005, გვ. 230-232... ვ.ბოედერის "არგუმენტების" კრიტიკისათვის იხ., თ.გვანცელაძე, 2006); შესაბამისად, საქართველოში თუ საზღვარგარეთ ბევრ მკვლევარს დღესაც არა აქვს ნათელი წარმოდგენა ქართველთა ეთნოკულტურული ისტორიის შესახებ; ბევრს ჯერაც ჰგონია, რომ შუა საუკუნეებიდან დღემდე ქართველთა (**ქართველების/ქართლების**) ენა და კულტურა თავს აქვთ მოხვეული სხვა ქართველური მოდემის "ხალხებს" (სვანებს, ლაზებს, მეგრელებს, მესხებს, აჭარლებს, ფხოველებს... (კონკრეტული მასალისათვის იხ., თ.გვანცელაძის, მ.ტაბიძის, რ.შეროზიას, ა.ჯაფარიძის, მ.ნაჭყებიას ნაშრომები, რომლებიც დამოწმებულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი).

მონათესავე ტომთაგან ერთ-ერთის გაძლიერება და მის მიერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანების ორგანიზება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში; თუმცა, უკვე **ეროვნებებად ჩამოყალიბებული** მონათესავე ხალხების ენებისაგან ერთ-ერთი ენის აღმატებულად - სახელმწიფო ენად - გამოცხადება და ამ ერის სახელწოდების, კულტურის, ენის განზოგადება მონათესავე ეროვნებათა სახელად, კულტურად, ენად, ძნელი წარმოსადგენია; როგორც წესი, ამგვარი "დაახლოების" პროცესები იწოდება: ერთი ერის მიერ სხვათა დაპყრობად, ასიმილაციად და ა.შ. შდრ.: გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 124-128: არაბობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი **ქართის ეროვნების** მიერ მოხდა დასავლეთ საქართველოს არაქართი მოსახლეობის "ენობრივ-ეთნიკური" დაახლოება-შერწყმა...

გ.მელიქიშვილის (და ზემოთ დასახელებული სხვა მკვლევრების) მსჯელობებში ერთმანეთისგან გამომდინარე **ორი უსაფუძვლო დაშვება გვაქვს**: არსებობდა ქართის ტომი/ეროვნება; არსებობდა ქართის ენა.

უკვე ხაზგასმით ითქვა: ქართის ტომის არსებობის ვარაუდის საფუძველს მსოფლიოში არსებული არც ერთი ისტორიული წყარო არ იძლევა; გარდა ამისა, დაუსაბუთებელია "ისტორიული ქართველთა", ქართველებისა და ქართლების გათანაბრება. ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია ისტორიული ქართლის მოსახლეობის **სახელდება მესხებად** (ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 87-90).

საკითხის ისტორიის შესწავლით გაირკვა, რომ XX საუკუნის ისტორიკოსთა გამოკვლევებში ქართველთა სამ შტოდ წარმოდგენას სათავე ლინგვისტებმა დაუდეს: "ქართველებს **ენათმეცნიერება** სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად (ქართის ენაზე) მოსაუბრენი შეადგენენ (ქართელინი, კახელინი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელინი იმერლები და გურულები); მეორეს იბერიელინი ეკუთვნიან, ანუ მეგრულ-ლაზ-ჭანები; ხოლო მესამეს - სვანები: (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ. 19, 21; აგრეთვე, გვ. 3-6). ხოლო, **მოსაზრებას ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ქართის (ზანის, სვანის) ტომის არსებობის შესახებ**, ბიძგი მისცა ზოგი ლინგვისტის (გ.კლიმოვის, თ.გამყრელიძის...) მიერ ამ პერიოდში სამი ქართველური ენის არსებობის **სათუო დაშვებამ**, რომელთაგან ერთ-ერთზე - ქართულ ენაზე - თითქოსდა შეიქმნა ანბანი; სწორედ ლინგვისტთა **ვარაუდზე** დაყრდნობით, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი უშვებს, რომ არსებობდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართის ტომი, რომელმაც სხვა ქართველური ტომების ასიმილაცია მოახდინა (ბოლო პერიოდის მსჯელობისათვის იხ., მაგ., ო.ჯაფარიძე, 2006, გვ. 339-340).

ამგვარად, ე.წ. **ნებაყოფლობითი (თუ იძულებითი) ქართიზაციის** რეალურობის სამტკიცებლად თუ უარსაყოფად საკვანძო მნიშვნელობისაა პასუხი კითხვებზე:

როდის არსებულ, როგორი სახის და რომელ ენობრივ ერთეულს ემყარება ქართველთა ანბანი და ქართული სამწიგნობრო ენა?

ქართული სამწიგნობრო (სალიტერატურო) ენის საყრდენი ენობრივი ერთეულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი მოსაზრება არსებობს:

ტ. ქართველთა სალიტერატურო ენა შეიქმნა ერთი კილოს /ეკაკავის (ქართლური, ქართლ-კახური...) საფუძველზე; შემდეგ ეს ენა იქცა ქართველთა საერთო ენად;

წ. ქართული სალიტერატურო ენა შეიქმნა საერთოქართველური ენის საფუძველზე, შესაბამისად, თავიდანვე ის ყველა ქართველური თემის შემოქმედების ნაყოფია

კერძოდ:

ტ.

ივ. ჯავახიშვილი: “ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობის ენა ქართულია... ქართველთა ძველი მწერლობის ენა კი შეიძლება ეკუთვნოდეს მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს“ (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ. 20); შდრ., იქვე, გვ. 4: “საერთო ენა და მწერლობა ყველა ქართველმა ტომმა შექმნა“; შდრ., აგრეთვე, ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ. 154-156: ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრულ-სვანების საერთო შემოქმედების ნაყოფია, **საერთო ენაა** ქართული, რომელიც არა მხოლოდ ქრისტიანული მწერლობის, არამედ უფრო ადრეული წარმართობიც ენაცაა.

არნ. ჩიქობავა: “სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას, როგორც აღნიშნავს ი. სტალინი, საფუძველად დაედო კურსკ-ორიოლის მეტყველება... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115).

გ. ახვლედიანი, გ.ნებიერიძე: “ქართულ სალიტერატურო ენას საფუძველად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს, სალიტერატურო ენას საფუძველად ედება ის დიალექტი, რომლის წარმომადგენლებიც დაწინაურებული არიან კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით; ასე მაგალითად, ლათინურს საფუძველად დაედო რომის დიალექტი, რადგან რომს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძველად დაედო პარიზის დიალექტი, ძველ ბერძნულს - ატიკური დიალექტი, ქართულს - ქართლ-კახური და ა.შ.“ (გ. ახვლედიანი, 1972, გვ.27).

ბ.ჯორბენაძე: “სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლის გარდა კახურსაც ემყარება“ (1989, გვ. 172-173).

რა არგუმენტები და წინააღმდეგობები აქვს წარმოდგენილ მოსაზრებებს?

ქართლის (ქართლ-კახურის) გამოცხადება სამწიგნობრო ენის ბაზად ემყარება დამწერლობის/მწიგნობრობის შექმნის დროს მცხეთის/თბილისის ანუ ქართლის პროვინციის დაწინაურების ფაქტს

და სალიტერატურო ენასთან ქართლური კილოს მეტ სიახლოვეს.

ამ მოსაზრების გაზიარებას ხელს უშლის **რამდენიმე**

წინააღმდეგობა:

✚ არც ერთი ფაქტით არ დასტურდება ქართის ტომის არსებობა; შესაბამისად, დასადგენია ქართული ანბანის/მწიგნობრობის შექმნის დროს არსებული ის ქართველური თემი (თემები), რომელიც (რომლებიც) შეიძლება ყოფილიყო ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი.

✚ ჩვენამდე მოღწეული არქაული წერილობითი ძეგლების ენა (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური სტრუქტურები) ქართლურთან არ ავლენს უფრო მეტ სიახლოვეს, ვიდრე მესხურთან, იმერულთან, ხევსურულთან თუ იმერხელთან; შესაბამისად, რამდენად ლოგიკურია **ქართლის** (მით უმეტეს, არ არსებული ე.წ. ქართის ენის) გამოცხადება სამწიგნობრო ენის საფუძველად?

ღ.

წყაროებში დადასტურებულ ქართველურ ტომთა ისტორიამ, საერთოქართველური ენის დათარიღების პერსპექტივამ და არქაულ სამწიგნობრო ენასთან საერთოქართველურის მსგავსებამ გვაფიქრებინა, რომ **კოლხას/კილხას სახელმწიფოს ოფიციალური ენა იყო საერთოქართველური, რომლის ბაზაზე ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში შეიქმნა სამწიგნობრო ქართული ენა** [ტ.ფუტყარაძე, 2002, გვ. 82-83; ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 278-297, 303. ამ გამოკვლევებშიც მოსაზრება ზოგადი სახითაა მოცემული და დამატებით არგუმენტაციას საჭიროებს].

წარმოდგენილ სტატიაში მსჯელობას წარვმართავთ ზემოთ დასმული პრობლემური საკითხების შესაბამისად.

პირველ რიგში: **ქართული სამწიგნობრო ენის დასაწყისად ასომთავრულის შექმნა უნდა დავიგულოთ; შესაბამისად, არსებითა კითხვა: ქართველი ერის ისტორიის რომელ შუალედში შეიძლება შექმნილიყო ასომთავრული ანბანი?**

სხვადასხვა ენების ანბანთა შეპირისპირების, უძველესი ხანმეტი, ჰაემეტი ტექსტებისა და ბოლნისის სიონის წარწერების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ **ასომთავრული ანბანი წარმართული პერიოდის ძეგლია** და შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავე აზრს ემხრობა პ. ინგოროყვაც. ცნობილი წყაროების ახლებური ანალიზისა და ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების შესწავლის საფუძველზე **რ.პატარიძემ**

ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415 წელი (რ. პატარიძე, 1989).**

სხვადასხვა პროფილის ბევრი სხვა მკვლევარიც (აკ.ბაქრაძე, გ.ნარსიძე, მ.ჩხარტიშვილი, ზ.ალექსიძე, ლ.ჭილაშვილი...) ქართულ ანბანს წარმართული ხანის ძეგლად მიიჩნევენ. შდრ., აგრეთვე, “მატიანე შემეცნებათას“ ცნობა: **“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაჲცა შინა ფარნავაზამდე...”**

ვფიქრობთ, ლოგიკური სამუშაო ჰიპოთეზაა: **ქართული დამწერლობის შექმნის დრო - ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი.** კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის არსებითია ეპოქა და არა ანბანის შექმნის კონკრეტული თარიღი, თუმცა, საორიენტაციოდ დროდ მაინც ვიღებთ სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდს - ქუჯისა და ფარნავაზის ზეობის ხანას (შდრ., თ.გამყრელიძე, 1989, გვ. 197-198: “არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (ან გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა“).

ასევე არსებითია კითხვა:

ქართული ანბანის/მწიგნობრობის შექმნის სავარაუდოდ დროს, **ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში, რომელი ქართველური თემი (თემები) იყო ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი და რომლის მეტყველება დაედო საფუძვლად ქართულ ანბანს?**

ძველი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად ჩანან: **კოლხები/კოლაელები, მოსხები/მესხები, ტაოხები, ტიბარენები, სასპეირები, ხალიბები, ხალდეები/ქალდეები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექეძრები, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები** (ტერმინები: კოლხები და მესხები სხვადასხვა დროს კონკრეტულ თემებსაც მიემართებოდა და ტომთა გაერთიანებებსაც)... უცხოური წყაროების მიხედვით, ამ პერიოდის ქართველურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებს შორის ყველაზე პოპულარულია **კოლხი**; აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად, **ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ** (აკ.ურუშაძე, 1964, გვ.6); აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დროს ქართველური ტომების ამ ტერიტორიის სახელად გვიდასტურდება: **აღმოსავლეთის იბერია** (შდრ.: პირინეს ნახევარკუნძული - დასავლეთის იბერია) და **კავკასიის იბერია**; კერძოდ, ტერმინები: **კავკასიის იბერია** და **აღმოსავლეთის იბერები** პირველად ჩნდება ძვ.წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (ვ.ვაშაკიძე, 1993, გვ.61). მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელე-

ბი და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ეგფრატ-ჭოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, ალბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან (ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.18). შდრ., აგრეთვე: სტრაბონთან სვანები იბერიულ ტომადაა მოხსენიებული, ხოლო ვატიკანში დაცული “საეკლესიო ანალების“ მიხედვით, **კოლხეთი ზემო იბერიაა: “იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები - 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“** (ი.ტაბაღლა, 1984, გვ.171)...

შესაბამისად, შესაძლებელია, რომ უცხოური წყაროების კოლხი

ქართველთა უცხოურ სახელად დავსახოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები (სინოპედან სოჭამდე; შავი ზღვიდან მცხეთამდე): ი.გაგოშიძისა და ჯ.აფაქიძის გამოკვლევებმა სავსებით დაადასტურა ბ.კუფტინის მოსაზრება, რომ **შიდა ქართლის** არქეოლოგიური მასალა კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია: **“ათასწლეულიდან მოყოლებული, ტახტიძირისა და ცხინვალის რეგიონის არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კოლხური კულტურის “ფილტრაციით“ ვერ აიხსნება; ქართლის იბერია უმუშალო მონაწილეა დიდი კოლხური კულტურისა“** (ი.გაგოშიძე, 1964, გვ.86; ი.გაგოშიძე, 1997; ი.გაგოშიძე, 2003; ჯ.აფაქიძე, 2002); შდრ., აგრეთვე: ალ. რამიშვილის დასკვნით, **II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა ფართოდაა გავრცელებული “მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე“, ხოლო “თლის სამაროვანზე გამოვლენილი მატერიალური კულტურა, ძირითადად, კოლხურ-ყობანურ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული“** (ალ. რამიშვილი, 1999, გვ.130).

ასევე, საყურადღებოა ქართული წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვითაც **ეგრისი** მუდამ ქართლის შემადგენლობაშია, ხოლო ქუჯისა და ფარნავაზის საზოგადოებებს შორის თვისობრივი ეთნოკულტურული სხვაობა არ ჩანს: ქუჯ-ფარნავაზის დროს საქართველოს/ქართლის სახელმწიფოს აღორძინება, **ხანგრძლივი ნებაყოფლობითი გაერთიანება ვერ მოხდებოდა, ქართველურ თემებს შორის არსებითი ენობრივი და კულტურული სხვაობა რომ ყოფილიყო; შდრ.:** “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არაბების შემოსვლამდე **ეგრისი მუდამ ქართლის შემადგენლობაშია, მეტიც, ტრადიციის მიხედვით, შიდა ეგრისი ქართლის/საქართველოს მეფის კუთვნილი მიწა-წყალია.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ასომთავრული ანბანი შეიქმნა კოლხური/ქართველური კულტურის შემქმნელი მოსახლეობის ოფიციალური ენის მიხედვით, რომელიც, ნაკლებმოსალოდნელია, რომ ერთი რომელიმე თემის/ტომის ენა ყოფილიყო, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის ვერ შეასრულებდა მონათესავე თემთა მაკონსოლიდირებელ როლს. ფაქტია ისიც, რომ **ასომთავრულის ფონემური საფუძველი და არქაული სამწიგნობრო ქართულის ფონემატური სტრუქტურა** უფრო ნაკლებად ემთხვევა მცხეთა-თბილისის რეგიონის გვიანდელი მეტყველების - ქართულის თუ მესხურისა და ეგრისის გვიანდელი მეტყველების - მეგრულის მონაცემებს, ვიდრე სვანურისას თუ ტაოურისას; ამავე დროს, სხვა ენობრივი მოვლენების მიხედვით, სვანური თუ ტაოური შესაძინევად სცილდება სამწიგნობრო ენას; შესაბამისად, ამ ფაქტის გამოც, უნდა დავუშვათ, რომ ანბანის შექმნისას საფუძვლად გამოყენებულია ქართველური მოდემის საერთო-სალაპარაკო კოინე, ან საერთოქართველური ენა.

ასომთავრულის შემქმნელი დიდი ენათმეცნიერია, რამდენადაც მან ზუსტად განსაზღვრა ენის ფონემური შემადგენლობა: ხმოვან ფონემებს, თანხმოვან ფონემებს და სონანტთა ალოფონებს (ი, ა; უ, ჟ) ზუსტად მიუსადაგა გრაფემები (ტ.ფუტკარაძე, 1998); არსებითია იმის გააზრებაც, რომ, რამდენადაც არქაული ფონემატური სტრუქტურა დღემდე ფაქტობრივად უცვლელად შემოგვენახა, ჩანს, **ასომთავრულის საყრდენი ენა კარგად ჩამოყალიბებული მყარი ენობრივი სისტემა იყო** და არა კოინე; შესაბამისად, ასომთავრულის საყრდენი ენობრივი მოდელის ძიებისას მნიშვნელოვანია საერთოქართველური ენის დათარიღება.

საერთოქართველური ენის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოქართველური ენის არსებობის დროდ ძვ. წ. II-I ათასწლეულებს ასახელებს (არნ.ჩიქობავა, კ.ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გ.მაჭავარიანი...), მეორე ნაწილი კი საერთოქართველური ენის ფუნქციონირებას შესაძლებლად მიიჩნევს ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (თ.გამყრელიძე, ვ.ვიანოვი, თ.მიქელაძე, მ.ქურდიანი...); კერძოდ:

საერთოქართველური ენის ისტორიული ქრონოლოგიის დადგენა პირველად სცადეს ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით. ამერიკელი ლინგვისტების - მორის სვოდემისა და რობერტ ლიზის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი **გლოტოქრონოლოგიური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით** მონათესავე ენათა დიფერენციაციის დრო განისაზღვრება ძირითადი ლექსიკური ფონდიდან აღებული 100 ან 200 სიტყვის ცვლილების

კოეფიციენტის მიხედვით. ეს მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვალებადობის სიჩქარის ერთგვარობას ყველა ენაში. ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით ქართველურ ენობრივ ერთეულთა დიფერენციაციის დათარიღება სცადეს გ.კლიმოვმა, თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა. ერთი და იმავე მეთოდით შესრულებული ორი გამოკვლევის შედეგები 1000-წლიანი სხვაობის მქონე აღმოჩნდა, კერძოდ, გ.კლიმოვის აზრით, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა დაიწყო II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა - I ათასწლეულის დასაწყისში (გ.კლიმოვი, 1952, გვ. 119). თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით კი, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. X საუკუნეში მოხდა, ხოლო ქართულ-ზანურის დიფერენცირება - ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 17). საერთოქართველური ენის დიფერენცირების განსხვავებული სქემაა წარმოდგენილი თ.გამყრელიძისა და ვ.ვიანოვის შრომაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები”; კერძოდ, ამ ნაშრომში საერთოქართველური ენის არსებობის დროდ მიჩნეულია ძვ. წ. IV ათასწლეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გლოტოქრონოლოგიური მეთოდის ნაკლზე. იგი მხედველობაში არ იღებს ენის ცვლილების განსხვავებულ ტემპს სხვადასხვა ეპოქაში და ლექსიკის ცვლის სიხშირის ხარისხის განსაზღვრისას ვერ ითვალისწინებს ინტენსიური გავლენის ან სამეტყველო კოდთა შერევის როლს; ეს მეთოდი ნაკლებსანდოა იმიტომაც, რომ საანალიზო ერთეულთა სიაში ერთი უზუსტო ფორმის მოხვედრაც კი მკვეთრად ცვლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (გლოტოქრონოლოგიის “მეფე მეთოდების” შესახებ იხ. კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989, გვ. 331; ბ.ჯორბენაძე, 1997, გვ.140-141; ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ. 327; თ.გვანცელაძე, 2004...).

კ.ბერგსლანდისა და ჰ.ფოგტის აზრით, “საერთოქართველური ენა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვითავსოთ” (კ.ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972, გვ.255).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **საერთოქართველურის არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულშია სავარაუდებელი**. ცნობილი მეცნიერი ასე მსჯელობს:

“იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, სამი ათასი წლის წინანდელს და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან;

საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა, გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს გასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 253).

ჩვენი აზრით, ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში საერთოინდოევროპულის თანადროულად არსებობდა იბერიულ-კავკასიური კონტინუუმი (ენობრივი განფენილობა), რომლისგანაც საკუთრივ ქართველური ენობრივი სამყაროს გამომიჭვნა დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში ინდოევროპული ნაკადის შემოსვლის შემდეგ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე; **მკვეთრი დაშორება** კი სავარაუდოა ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული მოდგმის ტომთა შემოსევების დროს. ქართველური მოდგმის მიერ კოლხურ-ყობანური (**ყობანი** - სოფელი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, თანამედროვე ოსეთში) კულტურის შექმნის დროს, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულამდე, ჩანს, წინარე ქართველურ ტომთა მეტყველებიდან ყალიბდება **საერთოქართველური ენობრივი ერთეული** - ძველ ქართველ ტომთა საერთო-სამეტყველო ენა.

ვფიქრობთ, არსებობს საკმარისი საფუძველი, დავუშვათ, რომ ერთმანეთს ემთხვევა ქართული ანბანის შექმნისა და საერთოქართველური ენის არსებობის დრო.

საერთოქართველურის დათარიღება ძვ.წ. II-I ათასწლეულებით და ვარაუდი, რომ სამწიგნობრო ქართული ეფუძნება საერთოქართველურს, უნდა გაამყაროს (ან უარყოს) არქაული სამწიგნობრო ქართული ენის, ქართველური ენა-კილოებისა და საერთოქართველური ენის ძირითად მახასიათებელთა სისტემურმა ანალიზმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენის მოდელირების რამდენიმე ცდა არსებობს; ყველა სერიოზული კვლევის შედეგად მიღებული საერთოქართველური მოდელი უფრო ჰგავს ძველ ქართულ სამწიგნობრო ენას, ვიდრე ერთ რომელიმე ქართველურ დიალექტს. სამაგალითოდ განვიხილავთ საერთოქართველურისა და სხვა ქართველური ქვესისტემების ურთიერთმიმართების რამდენიმე ფაქტს:

საერთოქართველური ლექსიკა. ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო

ლიტერატურაში რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ.მარის, ა.ცაგარელის, პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, გ.კლიმოვის, ჰ.ფენრიხის, ზ.სარჯველაძის, მ.ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში, ამიტომ მრავალ ნიმუშთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას წარმოვადგენთ:

საერთოქართვ. *ასული, სამწიგნ.ქართ. ასული, მესხ. ასული, ზან. ოსური, სვან. ასუშ;

საერთოქართვ. *თაფლი, სამწიგნ.ქართ. თაფლი, მესხ. თაფლი, ზან. თოფური, სვან. თუ/თუი;

საერთოქართვ. *ყურძენი, სამწიგნ.ქართ. ყურძენი, მესხ. ყურძენი, ზან. ყურზენი, სვან. ყუნძელ...

მ, უ და ჯ ბგერები. საერთოქართველური ფუძეენის ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები**. ფუძეენის ხმოვანთა სისტემაში თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით აღდგება **ა, ე, ო** ხმოვნები. **ი** და **უ** ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტა კლასს**. **ი/ა** და **უ/უ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება). თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ** ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ.ლომთათიძე, თ.გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები**. სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რაც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში: ხმოვნები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ჯ, ყ. ნაპრალოვნები: ზ, ს; ყ, შ; ღ, ხ; ჰ. სონორები: მ, ნ, რ, ლ. მკვლევართა ერთი ნაწილის (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, მ.ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ყ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა შუანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ', ც', წ', ზ', ს' თანხმოვნების არსებობა. ამ მოსაზრებას ფაქტობრივი მასალა ნაკლებად უჭერს მხარს.

ამრიგად: ქართული ანბანის საყრდენი მოდელის ძიების თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ასომთავრულში დასტურდება: **ჰ, მ**

და ჟ ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები, რომლებიც არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და არ არის დამახასიათებელი ქართლური და სამცხურ-ჯავახური კილოებისთვის (თუმცა დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა უმრავლესობისთვის; გარდა ამისა, ჯ, ძ და ჟ-ს აღმნიშვნელი ასოები XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა სამწიგნობრო ენაში). “არქაულ ქართლურსა“ და მესხურს თუ წარმოვიდგენთ ამ ბგერებითურთ, ბუნებრივია, “არქაული ქართლურის“/მესხურის და საერთოქართველურის იდენტური მონაცემები “არქაულ ქართლურს“/მესხურს საერთოქართველურთან გაგვითანაბრებს; ე.ი. ამ შემთხვევაშიც, ლოგიკურია ვთქვათ, რომ **ასომთავრულის ფონემური საფუძველი** უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური (სადაც არ გვიდასატურდება ჯ).

ხმოვანთკომპლექსები. ერთი მორფემის შიგნით ქართველური ქვესისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის ხმოვანთკომპლექსები; მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთკომპლექსები (განსაკუთრებით: აე, ეა, ოა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი, ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც, ქართლური (თუ სხვა რომელიმე კილო) უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრულის საყრდენი მეტყველება. ბუნებრივია, ეს ფაქტიც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ არქაული სამწიგნობრო/სტანდარტული ენისთვის ამოსავალ სტრუქტურად მივიჩნიოთ არა ქართლური ან მესხური, არამედ - საერთოქართველური ენა.

შენიშვნა: თუ დავუშვებთ ე.წ. “არქაული ქართლურის“ არსებობას და წარმოვიდგენთ, რომ მასში ხმოვანთკომპლექსები თავდაპირველი სახით არსებობდა, ასეთი “არქაული ქართლური“ საერთოქართველურს ან, სამწიგნობრო ენას დაემთხვევა. ხმოვანთკომპლექსების ისტორიიდან გამომდინარე თითქოს უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ქართლური მომდინარეობს სამწიგნობრო ენისგან** და არა სამწიგნობრო ენა - ქართლურისგან; ესეც ნაკლებარგუმენტირებადია, ვინაიდან ქართველურ სინამდვილეში არც ერთი კილო არ იღებს სათავეს სალიტერატურო ენისგან: ყველა კილოშია ისეთი არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფაქტები, რომლებიც სამწიგნობრო ენის ველში არ დასტურდება, მაგრამ სავარაუდოა საერთოქართველურში.

მოთხრობითი ბრუნვა. ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მოთხრობითი (ერგატივი) ერთადერთი ბრუნვაა, რომლის ნიშნის დღეისთვის ძირითადი ალომორფები (-მან/-მა/-მ) საერთოქართველურში არ აღდგება: არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის ფუძით (**აბრაამ**), უბრუნველი ნაცვალსახელებით (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ, ვინ, თვითონ**), ან **მან ნაწევრიანი** ყალიბით (კაც-მან); სვანურ კილოებში ე.წ. ადილური ტიპის ერგატივია გაბატონებული, ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს -ქ სეგმენტი (რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერხეულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო ნაწილაკის ნაშთია; ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 317-318). შესაბამისად, ლოგიკურია დავუშვათ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვის - ერგატივის -**მან** და -**ქ** ნაწილაკებიანი ამჟამინდელი ქართველური ვარიანტები ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის ფორმირების შემდეგ (შდრ.: საერთო იბერიულ-კავკასიური ტიპის ერგატივად თუ არ მივიჩნევთ, სვანურ კილოებში არსებული ე.წ. “ადილური ერგატივი“ ჩრდილოკავკასიურ სუბპერსტრატად შეიძლება ჩავთვალოთ; მისი დამკვიდრების საწყისი დრო შეიძლება დაუკავშირდეს “ქართლის ცხოვრების“ ცნობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიონის სამხრეთით ჩრდილო კავკასიელების გადმოსახლების შესახებ).

სხვაგვარად: საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის მსგავსად, მეგრულ-ჭანურისა და სვანური კილოების მოთხრობითში არ გვაქვს -მან მორფემა იმიტომ, რომ **ქართველური დიალექტების** -მა/-ქ ელემენტებიანი მოთხრობითი ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის შექმნის შემდეგ; ე.ი. მოთხრობითი ბრუნვის -მან, -მა და -ქ ალომორფები ჩნდება ახ ვ. IV-VII საუკუნეების შემდეგ; ეს კი მიუთითებს საერთოქართველურისა და არქაული ქართულის თანაარსებობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე და შიშინა დიალექტური წრის გვიანდლობას.

ხანმეტობა. სვანურ და ფხოვურ კილოებში პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხანმეტობის დროინდელი **ხ-** პრეფიქსი:

ახ.წ. V-VII საუკუნეების **ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად**, სვანურში **ხ-** პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებული ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი “იწვი“, ხ-ასყი “აკეთებ“, ხ-ატბიდე “ათბობ“... ხ-ალატ “უყვარს“, ხ-აჰუდი “აძლევს“, ხ-აგდი “სძინავს“...). იგივე ხ- პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+ჟ-** სეგმენტში (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ.როგავა, 1956; მ.სუხიშვილი, 1986; ნ.მაჭავარიანი,

1986), კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანია ჟ/ვ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოდებით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+ჟ**- სეგმენტის **ხ**-ს, ლოგიკური ჩანს, დავუშვათ:

ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში **ხჟ**- ერთიან მოფრემად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

ჰ/ხ/ს (< სა-/რა-) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კატეგორიის ნიშნობა** (არნ.ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის – მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო ენის მონაცემები: აღხუმართე, შეხუაბთ... ჰესცოდე, ჰკითხე.

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევსურულ მასალაშიც (მი-ხ-გვირან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ/ს (< სა-/რა-)**; დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: **ს/ჰ/ს > ჰ > 0 და ს/ჰ > ხ > (ღ)**: სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ**-ს (და არა **ჰ**-ს) შეუძლია მოგვცეს მყდერი **ღ**; შდრ., ხევსურული: მალგვის, ღვანდი, ღვონებაგ (შდრ., ა.შანიძე, 1920 და ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.96-98). გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული **ხ** (იხ. ქ.ლომთათიძე, 1938; მ.ცინცაძე, მ.ფაღავა, 1998 და სხვ.), ოლონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუძისეული თანხმოდებითაცაა განპირობებული; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

აშკარაა:

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ-**, ანუ ე.წ. ხანმეტობა **საერთოქართველური მოვლენა ჩანს**. საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარება, ზოგან კი **ხ**-ს დამკვიდრება (შდრ.: მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

გასარკვევი რჩება ამოსავალი ფონემის საკითხი:

ფონეტიკური პროცესების ხასიათის გათვალისწინებით, უფრო ლოგიკურია არნ.ჩიქობავასა და გ.როგავას თვალსაზრისი **ს**-ს უწინარესობის შესახებ. ნივთის კლას-ნიშანი **ს**, როგორც გ.როგავა ვარაუდობდა, ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევდა ჰ-სა და ხ-ს შორის გარდამავალ

ბგერას (საკითხის ისტორიისათვის იხ. გ.როგავა, 1956). ჩანს, სამწიგნობრო ენის სტანდარტიზაციის ძველ ეტაპებზე ზოგი ლიტერატურული სკოლა პირის ნიშნად **ჰ**-ს აზოგადებდა, ზოგი სკოლა კი - **ხ**-ს; საბოლოო ნორმად კი დამკვიდრდა ზმნური ფუძის დასაწყისის შესაბამისი ბუნებრივი ფონეტიკური ვარიანტები: ბაგისმიერებთან და უკანაენისმიერებთან - **ჰ**, წინაენისმიერებთან - **ს**, სხვა შემთხვევებში - **0**. ე.ი. **ზა-ნურ-სვანური კილოების ფორმირების პროცესში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად** საერთოქართველურ ენაში (ენობრივ კონინეში) **გააქტიურებული იყო ხ ვარიანტი**.

მთავარი დასკვნა: ხ- პრეფიქსის პოვნეირებით სვანური კილოები სრულად ასახავს არქაულ სამწიგნობრო ენას, ფხოვური კილოები კი ოდნავ სახეცვლილ ვარიანტებს; შესაბამისად, ერთი მხრივ, ხანმეტობა საერთოქართველურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ და მეორე მხრივ, შეუძლებელია, სვანური 1000-2000 წლიანი შუალედით დავაშოროთ არქაულ სამწიგნობრო ქართულს, რომელშიც **საერთოქართველური ხანმეტობა** ასახული.

ხანმეტობასთან დაკავშირებით საყურადღებოა თ.გვანცელაძის დაკვირვებაც: სამწიგნობრო ქართულის **ნარ-თანინი** მრავლობითი, **ხუცესი** და ზანური კილოების **უჩაში** საშუალებას უნდა იძლეოდეს, ზანურის გამოყოფის დროდ განვსაზღვროთ ახ.წ. V საუკუნე; კერძოდ, **ხუცესი** ასახავს ხანმეტობის პერიოდს, ხოლო **უჩაში** - ჰაემეტობისას (აზრი გამოთქმულია ზეპირი საუბრის დროს). იგივე ხ- პრეფიქსია სვანურ **ხოშა** “უფროსი“, “დიდი“ სიტყვაში (ხ-უცესი/უჩაში/ხოშა სიტყვებში ხანმეტობის **ხ**- პრეფიქსი გამოყო ა.შანიძემ; იხ. გ.როგავა, 1956, გვ. 293).

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაშია გასააზრებელი საერთოქართვ. **სა – ზან. ო** შესატყვისობის საკითხიც:

- **ცნობილია, რომ სამწიგნობრო ქართულის სა- პრეფიქსს ზა-ნურში შეესაბამება ო-**; ჯერ კიდევ ნ.მარისგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ ზანურში დაკარგულია თანხმოდებითი ნაწილი: საქათმე/ ოქოთუმე, სახლი/ოხორი, *სოცხალი/ცოცხალი/ოჩხარი... სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: საერთოქართვ. ***სა-/ჰა > ზან. ჰო/ო** (არ არის აუცილებელი, დავუშვათ, რომ ზანურში გვქონდა **ს**-ს შესატყვისი ისეთი **შ**, რომელიც ვერ ძლებს ო-ს წინ; შდრ., მ.ჩუხუა, 2003, გვ.338).

ვფიქრობთ, სამწიგნობრო ქართულის V-X საუკუნეების ხანმეტობა-ჰაემეტობა-სანნარეობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, ზანური ***ჰუჩაში > უჩაში** და ***ჰო > ო** პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც, სვანურ-ფხოვურმა კილოებმა პირის ნიშნად შემოინახა **-ხ/ღ**, ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ზანურ-სვა-**

ნური დიალექტური წრე ფორმირდება ჰაემეტობა/ხანმეტობის პერიოდში; ეს დრო კი ემთხვევა ზანურ-სვანური დიალექტური წრის გამოძივნის ჩვენ მიერ ზემოთ ნავარაუდევ პერიოდს – **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს** (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში **სვანების თემიც** და მათი სახელიც: **სოანას/შოანას** “სვანი“).

რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოებში? პასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალებების დინამიკას; შდრ.: ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და ნაკლებად იცვლება (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა, ხალხური მეტყველების (ცენტრალური კილოების!) გავლენით **საერო მწერლობის ენა** გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველებაც (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... ამგვარი ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ამიტომაც, ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც გვქონდეს (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ბევრი ინოვაციაც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალურ კილოთა მოსაზღვრე რეგიონებში **ამ კილოებისა და სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით**, განაპირა კილოები უფრო და უფრო თმობს თავის პოზიციებს; მაგ., ბოლო რამდენიმე საუკუნეში (ხალხში გვარების ფორმირების შემდეგ!) მეგრული მეტყველების ტრანსფორმირება მოხდა ზემო გურულ და ქვემოიმერულ კილოკავებად.

თემის ნიშნები. ქართველური კილოების დათარიღებისა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის განსაზღვრისათვის საინტერესოა ზმნურ თემის ნიშანთა ჩვენება: არქაული სამწიგნობრო ენისათვის ბუნებრივი იყო თემისნიშნისა და უთემისნიშნო ზმნებიც; ანალოგიური ვითარებაა სვანურ კილოებშიც, რაც გვავარაუდებინებს, რომ არქაული სამწიგნობრო ენა და სვანური საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. დროთა განმავლობაში ქართულ სამწიგნობრო ენაში გაძლიერდა თემის ნიშნის დართვის, ხოლო სხვა ქართველურ ქვესისტემებში უნიფიკაციის ტენდენციაც; კერძოდ, თუ ფხოვურ კილოებში, გურულში, ზემოიმერულსა და აჭარულში მკრთალად შემორჩა არქაული სამწიგნობრო ენის (ანუ, საერთოქართველურის)

მსგავსი ვითარება, ქართლურსა და კახურში თითქმის აღარ გვხვდება უთემისნიშნო ზმნები, ხოლო მესხურსა და მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა სრული უნიფიკაციაც მოხდა (მასალისათვის იხ., ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 360-374).

დასკვნა: სვანური და არქაული სალიტერატურო ენა თანადროულ ვითარებას ასახავს; სამწიგნობრო ენა ეყრდნობა იმ მოდელს, რომელიც დაცული აქვს სვანურს, და არა მეგრულ-ჭანურს, მესხურს, ან - ქართლურს.

კავშირებითი ყალიბი - მომავალი დროის გამოხატველი.

არქაულ ქართულ/ქართველურ სალიტერატურო ენაში II კავშირებითი ფორმებით გადმოიცემა თხრობითი კილოს მომავალი დრო (ამიტომაც ადრეულ გამოკვლევებში ამ მწკრივს **მყოფადს** უწოდებდნენ): კაცმა (შე)ჭამოს საჭმელი = კაცი (შე)ჭამს საჭმელს; მან დაამკუთას იგი = იგი დაამხობს მას... სხვა ქართველურ ქვესისტემათაგან ანალოგიური ვითარება შენარჩუნებულია მხოლოდ ლაზურში (ფრაგმენტულად გვაქვს ჰერულსა და მესხურშიც), მაშინ როცა მეგრული და სხვა ქართველური კილოები მიჰყვება თანამედროვე ქართულს. რ.შეროზიას აზრით, ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაობა სათავეს იღებს VII-VIII საუკუნეებიდან; შდრ.: როგორც ცნობილია, დაახლოებით არაბობის დროს სალიტერატური ენაში ხდება ცვლილებები მყოფადისა და ასპექტის წარმოების მხრივ (ზ.ჭუმბურიძე, 1986). სამწიგნობრო დედაენასთან მოწყვეტილ და ბიზანტიურ კულტურულ ველში მოქცეულ ლაზურ კილოს ეს ცვლილებები ნაკლებად შეეხო; სწორედ ამის გამოცაა, რომ “ზოგიერთ საკითხში ლაზურს მეტი აქვს შენარჩუნებული ძველი ვითარებისა, ვიდრე მეგრულს და თვით ქართველურ სალიტერატურო ენას“ (რ.შეროზია, 2002, გვ. 88).

წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთი არგუმენტია არქაული სამწიგნობრო ენის საყრდენი მეტყველების უწინარესობისა ზანურ (და სხვა ქართველურ) კილოებთან შედარებით.

საქართველოს სამწიგნობრო ცენტრები.

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა ოდითგანვე საქართველოს ყველა კუთხეში უწყვეტად იქმნებოდა დიდი ქართველი მოღვაწეების მიერ; საყურადღებოა ისიც, რომ პირველი ასომთავრული წარწერები პალესტინაში იოვანე ლაზის მონასტერშია შემონახული. ქართული მწიგნობრობის გეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ძველი მწიგნობრები საქართველოს ყველა კუთხეში თვისობრივად ერთნაირად მოღვაწეობდნენ; შდრ., მაგ:

სამხრეთ საქართველოში: იოანე მოსხი, არსენ საფარელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, იოანე მტბევარი, იოანე ოქროპირი...

დასავლეთ საქართველოში: იოანე ლაზი, იოვანე მინჩხი (მარტვილელი), სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, ტბელი აბუსერიძე, ჭყონდიდლების მრავალი თაობა... აქვე, საგანგებოდ დავასახელებთ ცნობილ მწიგნობრებს სვანეთიდან: გრიგოლ სვანი, იოანე ქანცხიანი (ქაცხიანი), გრიგოლ ქანცხიანი, ილარიონ სოფრომაძე, ტიმოთე პაპა, იოანე ფარჯანიანი, ვახტანგ ფარჯანიანი, იოანე ხარიტონიანი, გიორგი მოზდონიანი, მიქაელ ოდარიანი, უხოჯელიანი, შქერიანი, იოანე ჯავესიანი, დემეტრე იფარელი, ჯემდინიანი, იოანე დალიდიანი, ქერაბინ ხოჯელანი, დემეტრე ლოღელიანი, ივანე მულახელი და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში: ბაკური, პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, შიო მღვიმელი, გრიგოლ დიაკონი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი...

ამრიგად:


I.

ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე არა მხოლოდ სამი, არამედ მრავალი ქართველური ტომი/თემი არსებობდა (პრაენის ლექსიკის აღდგენის საფუძველზე კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის შესახებ იხ.: ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 79; გ. კლიმოვი, 1964, გვ. 37; გ. მელიქიშვილი, 1970, გვ. 339-340; გ. მელიქიშვილი, 1973, გვ. 121; თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 880-882; ბ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 47-50; მ. ქურდიანი, 2002...). შესაბამისად, ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, **ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ათეულობით ქართველური ტომის/თემის კილოს არსებობის შესახებ;** ეს ქართველური თემები ქუჯ-ფარნავაზის პერიოდში ქმნიან ერთიან კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს, სადაც განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა საერთოქართველურისგან მომდინარე ქართულ (ქართველურ) სახელმწიფო და სამწიგნობრო ენას.

II.

ასომთავრულის ფონემური საფუძველი და არქაული სამწიგნობრო ენა უფრო ჰგავს რეკონსტრუირებულ საერთოქართველურ ენას, ვიდრე რომელიმე ქართველურ დიალექტს; შესაბამისად, დღეისთვის ცნობილი ქართველური დიალექტებისა და სამწიგნობრო ქართულის მიმართების სქემა ასე გამოიყურება:

საერთოქართველური ენა > ქართული სამწიგნობრო ენა



III.

ქართველური ტომებისა და ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია არავითარ საფუძველს არ იძლევა **ე.წ. ქართიზაციის თეორიისთვის;** ქართიზაცია/ქართველიზაცია, როგორც უსაფუძვლო და მეცნიერულად დაუსაბუთებელი თვალსაზრისი, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნაკლებავტორიტეტულად უნდა ჩაითვალოს (სამეცნიერო ველში მის ავტორიტეტსა და მის მსჯელობაზე, ბუნებრივია, გაგრძელდება). ქართველთა სამწიგნობრო ენა, ზოგადად, ეროვნული კულტურა მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა საერთოქართველურისგან მომდინარე სამწიგნობრო ენით და ყველა ქართველური თემის მიერ.

პ.ს. ქართველური მწიგნობრობის მთელი ისტორიის მანძილზე ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის სრულქმნა ხდებოდა ქართველთა არქაული საღვთისმეტყველო ენისა და ქართველური კილოების ბაზაზე; დღესაც აქტუალური უნდა იყოს მსგავსი მიდგომა: სამწიგნობრო ენის განვითარება უნდა მოხდეს ძველი სამწიგნობრო ენისა და თანამედროვე ქართველური ენა-კილოების მონაცემთა საფუძველზე; ამ თვალსაზრისით, საუკუნო ანდერძად რჩება **კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგი სიტყვები:**

“მე შემოგუთნე ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც “დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკერძ ძველი ქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო... ქართულ ენას არ გააჩნია მონათესავე ენათა ოჯახი, როგორც თუნდაც ფრანგულს - რომანული ენები, გერმანულსა და ინგლისურს - გერმანთა ენებისა და რუსულს - სლავური ენებისა და ენაკავების ოჯახი. ამიტომაც სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს - ბარბარისმებს - დაეყრდნოს. აქ უმთავრესია “შინაგანი სესხი“, ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...” (კ.გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ. V, გვ. 955-956).

დამოწმებული ლიტერატურა

1. **ჯ.აფაქიძე, 2002** - ჯ.აფაქიძე, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია; სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002
2. **გ. ახვლედიანი, 1972** - ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ.ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972
3. **გ. ახვლედიანი, 1999** - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999
4. **ნ. ბერძენიშვილი, 1975** - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975
5. **ნ. ბერძენიშვილი, 1990** - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990
6. **კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972** - კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიმოხილველი, 6/9, თბ., 1972
7. **ი.გაგოშიძე, 1997** - ი.გაგოშიძე, არქეოლოგიური გათხრები ტახტისძირში (ქარელის რაიონი); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, კავკასიის არქეოლოგია; უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები; თბ., 1997

8. **ი.გაგოშიძე, 2003** - ი.გაგოშიძე, კოლხური კულტურა, კოლხეთი, იბერიკა; ქართველური მეცნიერება, VII, ქუთაისი, 2003
9. **ზ. გამსახურდია, 1989** - ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი; ლიტერატურული საქართველო, 3 ნომბერი, 22 დეკემბერი, 1989
10. **თ. გამყრელიძე, 1959** - თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959
11. **თ. გამყრელიძე, 1998** - თ. გამყრელიძე, “ოქროს საწმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998
12. **თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965
13. **თ. გამყრელიძე, 1989** - თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989
14. **თ. გამყრელიძე, 2000** - თ. გამყრელიძე, მესხეთ-ჯავახეთი - საერთო ქართველური წინარე სამშობლო; მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
15. **თ. გამყრელიძე, ვივანოვი, 1984** - Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
16. **თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001** - თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მეცნიერება, V, ქუთაისი, 2001
17. **თ. გვანცელაძე, 2004** - თ. გვანცელაძე, შენიშვნები “გლოტოქრონოლოგიის მეთოდის” საფუძვლზე ქართველურ “ენათა” დივერგენციის დროის დადგენის ცდების შესახებ; XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2004
18. **თ. გვანცელაძე, 2006** - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
19. **რ. გორდენიანი, 1993** - რ. გორდენიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993
20. **გ. დეეტერსი, 1930** - G. Deeters, Das khartvelische Verbtum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der Sudkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.
21. **ბ. დიასამიძე, 1999** - ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999
22. **ვ. ვაშაკიძე, 1993** - ვ. ვაშაკიძე, ტერმინები: იბერია და იბერები ანტიკურ წყაროებში; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
23. **პ. ინგოროყვა, 1957** - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1957

24. **გ. კლიმოვი, 1952** - Г. Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ, №2, М., 1952

25. **დ. კრისტალი, 1989** - D. Crystal, The Cambridge Encyclopedial of Language, New York, 1989.

26. **ქ. ლომთათიძე, 1938** - ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში; თსუ შრომები, VI, თბ., 1938

27. **დ. ლოსაბერიძე, 1992** - დ. ლოსაბერიძე, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 146, №2, 1992

28. **ბ. მარი, 1905** - ბ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905

29. **ბ. მარი, 1922** - Н. Марр, К изучению современного Грузинского языка, Петроград, 1922

30. **გ. მაჭავარიანი, 1965** - გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965

31. **გ. მაჭავარიანი, 2002** - გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002

32. **ბ. მაჭავარიანი, 1986** - ბ. მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1986

33. **გ. მელიქიშვილი, 1973** - გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973

34. **დ. მუსხელიშვილი, 2005** - დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის II საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, თბილისი, 2005 წლის 24-26 ნოემბერი, (მოხსენებათა თეზისები)

35. **გ. მჭედლიძე, 1996** - გ. მჭედლიძე, ბაგრატი მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996

36. **თ. მიქელაძე, 1974** - თ. მიქელაძე, ძიებანი კილხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974

37. **მ. ნაჭყებია, 2005** - მ. ნაჭყებია, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005

38. **რ. პატარიძე, 1980** - რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980

39. **რ. პატარიძე, 1989** - რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989

40. **ალ. რამიშვილი, 1999** - ალ. რამიშვილი, კოლხური კულტურის ინფილტრაცია შიდა ქართლში; ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასა-

ლები, ქუთაისი, 1999

41. **გ. რამიშვილი, 2000** - გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000

42. **გ. როგავა, 1952** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, თბ., 1952

43. **გ. როგავა, 1962** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962

44. **ა. ონიანი, 1998** - ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998

45. **მ. სუხიშვილი, 1986** - მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში; იკე, XXV, თბ., 1986

46. **ი. ტაბალუა, 1984** - ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1984

47. **მ. ტაბიძე, 2002** - მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში; ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002

48. **მ. ტაბიძე, 2005** - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005

49. **თ. უთურგაიძე, 1976** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976

50. **თ. უთურგაიძე, 2002** - თ. უთურგაიძე, ქართული ენა სისტემური ასპექტით; ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002

51. **აკ. ურუშაძე, 1964** - აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964

52. **ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000

53. **ჰ. ფოგტი, 1961** - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961

54. **ტ. ფუტყარაძე, 1986** - ტ. ფუტყარაძე, სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა (აჭარულის, გურულის, მესხურ-ჯავახურის, იმერხელის) მიხედვით; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986., №3, მე-7 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თეზისები, თბ., 1986

55. **ტ. ფუტყარაძე, 1998** - ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998

56. **ტ. ფუტყარაძე, 2000** - ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტყარაძე), თბ., 2000

57. **ტ. ფუტყარაძე, 2005** - ტ. ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქართია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005

58. **ტ. ფუტყარაძე, 2005** - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005

59. **ტ. ფუტყარაძე, 2006** - ქართული ენის ისტორია (პროფ. ტ. ფუტყარაძის

- საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006
60. **შ. ფუტყარაძე, 1993** - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993
 61. **ნ. ქუთელია, 1982** - ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე (წიგნი შეადგინა ნ.ქუთელიამ, ლექსიკონი დაურთი ს.ჯიქიამ), თბილისი, 1982
 62. **მ. ქურდიანი, 1996** - მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა; ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996
 63. **მ. ქურდიანი, 2003** - მ. ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003
 64. **ა. შანიძე, 1920** - ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920
 65. **ა. შანიძე, 1980** - ა. შანიძე, ქართველ-ფუძის ეტიმოლოგიისათვის; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980
 66. **რ. შეროზია, 2002** - რ. შეროზია, სინტაქსური კონსტრუქციების ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველოლოგიური კრებული, I, თბ., 2002
 67. **არნ. ჩიქობავა, 1944** - არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში; სმამ, ტ. V, № 4, თბ., 1942
 68. **არნ. ჩიქობავა, 1968** - არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968
 69. **არნ. ჩიქობავა, 1979** - არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
 70. **მ. ცინცაძე, მ. ფალავა, 1998** - მ. ცინცაძე, მ. ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი, 1998
 71. **ი. ჭავჭავაძე, 1987** - ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987
 72. **ზ. ჭუმბურიძე, 1986** - ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986
 73. **ი. ჯავახიშვილი, 1908** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908
 74. **ი. ჯავახიშვილი, 1950** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
 75. **ი. ჯავახიშვილი, 1960** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960

76. **ი. ჯავახიშვილი, 1979** - ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979
77. **ი. ჯავახიშვილი, 1992** - ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992
78. **ა. ჯაფარიძე, 1994** - ა. ჯაფარიძე, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994
79. **ა. ჯაფარიძე, 1996-2003** - ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-IV, თბ., 1996-2003
80. **ა. ჯაფარიძე, 2002** - ა. ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002
81. **ა. ჯაფარიძე, 2003** - ა. ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003
82. **ო. ჯაფარიძე, 2006** - ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006
83. **ბ. ჯორბენაძე, 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989
84. **ბ. ჯორბენაძე, 1995** - ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995
85. **ბ. ჯორბენაძე, 1997** - ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997

T. Putkaradze - Full Professor, Akaki Tsereteli State University


The Source of the Asomtavruli Alphabet and the Georgian Literary Language - the Common Kartvelian Language Existing in the 2nd-1st Millennia BC

Summary

From time immemorial the territory of historical Georgia was inhabited not by three but numerous Kartvelian tribes/communities (on autochthony of the Georgians in Caucasia on the basis of the reconstruction of vocabulary of the parent language, see: I.Chavchavadze, 1987, p.79; G.Klimov, 1964, p.37; G.Melikishvili, 1970, pp. 339-340; G.Melikishvili, 1973, p.121; Th.Gamkrelidze, V.Ivanov, 1984, pp.880-882; B.Jorbenadze, 1997, pp. 47-50; M.Kurdiani, 2002...). Accordingly, based on factual data we may discuss the existence of dozens of dialects of Kartvelian tribes/communities over the 1st millennium BC. In the period of Kuji and Parnavaz these Kartvelian communities formed a single cultural and state field in which the Georgian (Kartvelian) state and literary language, derived from Common Kartvelian, had a special status.

II.

The phonemic basis of Asomtavruli and the archaic literary language have more in common with the reconstructed Common Kartvelian language than with any Kartvelian dialect. Hence, the diagram of interrelation of the Kartvelian dialects known today and Literary Georgian assumes the following shape:



Svan Balsze- moan, Balskve- moan, Lashkh, Lentekh- ian, Cholurian	Zan Megrelian, Laz (Ati- nian, Vit- sean- Arkabean, Khopan)	Meskhian Acharian, Imerkhe- vian, Taoan, Li- vanan, Ma- chakhel- ian, Samtskhean Javakh	Central Kartlian, Kakhetian, Imeretian, Gurian	Takve- rian Lech- khumian, Lower Rachan, Upper Rachan	Pkhovian Tush, Khevsur, Pshavian, Khevian, Mtiul- Gudamaqa- rian	Her Kakian, Aliaba- tian
--	--	---	---	--	---	--

III.

The history of the Kartvelian tribes and the Kartvelian linguistic world does not give grounds for the so-called Kartization theory. Kartization/Kartvelization, as a groundless and scientifically unfounded view, should be regarded to be of little authority in the Georgian educational sphere (discussion of its good and the bad will naturally continue in scientific circles). The literary language of the Georgians, and national culture in general were created over many centuries by all the Kartvelian tribes on the basis of the literary language, derived from Common Kartvelian.

Тариэл Путкарадзе – Полный профессор Государственного университета им. Акакия Церетели

Письменность «асомтаврული» и истоки грузинского книжного языка – существующий во II-I тысячелетиях до н.э. общекартвельский язык

Резюме

На территории исторической Грузии с древних времён существовало не только три, но множество картвельских племён (на основе восстановления лексики праязыка об автоктонности грузин см.: И.Чавчавадзе, 1987, стр.79; Г.Климов, 1964, стр.37; Г.Меликишвили, 1970, стр.339-340; Г.Меликишвили, 1973, стр 121; Т.ГамкRELИДзе, В.Иванов, 1984, стр.880-882; Б.Джорбенадзе, 1997, стр. 47-50; М.Курдиани, 2002...) Соответственно, по фактическим данным, в течение I тысячелетия до н.э. можно говорить о существовании говоров десятков картвельских племён; в период Куджи-Парнаваза они создают единый культурно-государственный ареал, где исходящий из общекартвельского грузинский (картвельский) государственный и книжный язык имел особый статус.

II.

Фонемная основа асомтаврული и книжный архаичный язык более похож на реконструированный общекартвельский язык, чем на какой-нибудь картвельский диалект, соответственно схема взаимоотношений известных картвельских диалектов и книжного грузинского выглядит так:

Ò. ÐÀÒÀÒÉᄂÀ, ØÀÒÈÖÈÈ ÀÓÏÏÈÀÀÒÖÈÈ, ÈÁ., 1980.
 ÓÖÈáÁÍ-ÓÀÀÀ ÌÒÀÈÈÈÀÍÉ, ØÀÒÈÖÈÈ ÈÀØÓÉÈÏÍÉ, ÈÁ., 1928.
 ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.
 ØÀÒÈÈÉÓ ÝáÏÀÒÀÀ, I, ÓÉÌ. ÚÀÒáÛÈÛÁÈÈÉÓ ÀÀÏÏÝÀÏÀ, ÈÁ.,
 1955.
 É. áÀÀáÉÛÁÈÈÈ, ØÀÒÈÖÈÈ ÐÀÈÀÏÀÒÀ×ÈÀ, ÈÁ., 1946.

M.Chukhua - Chief Research Worker, Arn. Chikobava Institute of Linguistics, Georgian Academy of Sciences

On the History of Some Georgian Literary Terms

Summary

The existence of the written tradition among the Georgians is assumed by the time of the common Kartvelian linguistic unity, which is also supported by the presence of cultural prototypes such as *cign- "book, letter" (cf. Common Nakh. *jagn-o←*cagn-o "book, Did. cegen "id"), *kert- "paper, piece of writing, letter" (cf. Common Nakh. *kart-(ik) "parchment; a piece of leather"), Common Kartv. *jağ-a "copperas, paint" (cf. Common Nakh. *zaqe "ink", Khundz. šaq'i "id").

Мераб Чухуа – Главный научный сотрудник Института языкознания им. Арн. Чикобава

Об истории некоторых грузинских письменных терминов

Резюме

Начало письменной традиции у грузин относят к периоду общекартвельского языкового единства, о чём свидетельствует наличие в языке – основе таких культурных прототипов, как *cign – (книга, послание). (Ср. общенах. * jagno < *cagno «книга» *jegen "id"), *kert – бумага, письмо, послание (Ср. общенах. * kart (-ik) "id" – «пергамент, кусок кожи»). Общекартвель. * ZaR-a – «краска» (Ср. общенах. *zaq'e– «чернила»; аварск. šaq'-i "id").

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი - სტუთ თეოლოგიის კათედრის მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ქალის დანიშნულება გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში

მე-19 საუკუნის მიწურულს საქართველოში ყურადღება მიექცა ქალის ადგილსა და მდგომარეობას საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძემ ერთმა პირველთაგანმა იმსჯელა ამ საკითხზე და რამდენიმე წერილიც მიუძღვნა ქალთა მდგომარეობას: "ქალი მასწავლებელი" ("ივერია", 1886, №4), "ქალთა სასწავლებელი" ("ივერია", 1889, №49), "დედათა საქმე და ქალთა განათლება" ("ივერია", 1889, №57), "სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი, წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში" ("ივერია", 1893, №283), "ნინო ბაგრატიონი (ნეკროლოგი)" ("ივერია", 1886, №338). ილიას შეხედულება ქალთა საკითხზე კარგად არის გადმოცემული ნეკროლოგში "ნინო ბაგრატიონი". მასში ავტორი ნატრობს, როდის იხილავს ქართველ ქალს "ერთის მხრითა დედას მოსიყვარულეს და მეორეს მხრით - დედაკაცს მშრომელსა და მხნესა" (ილია ჭავჭავაძე, 1987, გვ. 407).

აღნიშნული წერილი შთაგონებულია გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებით. მისი დიდი ნაწილი წარმოადგენს სასიქადულო მღვდელმთავრის ქადაგებათა ციტირებას. ასე რომ, ილიას ქალთა საკითხზე მსჯელობისას ჰყავს წინამორბედი - გაბრიელ ეპისკოპოსი, რომლის მოსაზრებებსაც ავითარებს და იმოწმებს იგი ქალის განათლებისა და საზოგადოებრივი როლისადმი მიძღვნილ წერილებში.

როგორია თვით იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის შეხედულება ამ საკითხზე?

გაბრიელ ეპისკოპოსი მე-19 საუკუნის საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის შესანიშნავი წარმომადგენელია. მისი ქადაგებები გამორჩეულია დიდი სულიერებითა და მჭევრმეტყველებით. ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ მსმენელსა და მკითხველზე. მეუფე გაბრიელის ჰომილიები რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში, ითარგმნა და დაიბეჭდა რუსულად და ინგლისურად.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი ეხებიან არა მხოლოდ რელიგიურ ცხოვრებას, არამედ ქრისტიანის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროს: ადამიანების ურთიერთობას, ამქვეყნიური სიკეთის საცხოვრებლად გამოყენებას, სოციალური სტატუსისა და ცხოვრების წესის ადგილს ცხოვრების საქმეში, დამოკიდებულებას სიმდიდრისა და სიღარიბის მიმართ. ამ საკითხთა გარდა,

მღვდელმთავარი ქალის დანიშნულების, საზოგადოებაში დედაკაცის ადგილისა და მნიშვნელობის, ქალთა განათლების შესახებაც ქადაგებს.

ეხება რა ქალის როლს საზოგადოებაში, გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ ქალს შეუძლია ზნეობრივად აამაღლოს საზოგადოება, გონიერი, კეთილი ქცევით იყოს მაგალითი სხვებისათვის, სიწმიდითა და სიმშვიდით ხელი შეუწყოს "განვრცელებასა სასუფევლისა ღვთისასა ქვეყანასა ზედა" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, I, 137). მართალია, მქადაგებლის თანამედროვეთა შორის გავრცელებული იყო აზრი, რომ ქალისათვის ცოტაა კარგი დედობა, მეუღლეობა და დობა, მაგრამ გაბრიელის თქმით, დედაკაცი ბედნიერებას უნდა პოულობდეს თავისი პატიოსანი მოვალეობის აღსრულებაში. ეს კი არის: მოვალეობა დედისა, მეუღლისა, შვილთა აღმზრდელისა, ოჯახის მმართველისა, "საზოგადოებასა შინა კეთილ ზნეობის განმავრცელებელისა" (იქვე).

მართალია, ქალი კაცზე სუსტია, მაგრამ მისი ბუნება ღმერთმა უხვად შეამკო გულითადი გრძობით, სინაზით, მაღალი ზნეობით, ძეთა და ძმათა გულში კეთილი მიდრეკილებების დანერგვის უნარით. თუმცა ქალს განგებისაგან მიმადლებული აქვს მრავალი თვისება, კეთილი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე, მაგრამ იგი სხვისგან ელოდება ბიძგს მოქმედებისთვის, ამაო კმაყოფილებას მიუძინებია მასში აქტიურად მოღვაწეობის სურვილი. დამყოლი ხასიათი დედაკაცისა ხშირად მიიზიდავს მას უსარგებლო საქმისადმი. გაბრიელ ეპისკოპოსის ეპოქის ქალებისათვის ერთგვარ სამოქმედო პროგრამად შეიძლება მივიჩნიოთ მღვდელმთავრის მოწოდება: "იწყე შენცა ფიქრობა და განზრახვა ყოველთა საგანთა ზედა; ნუ ხარ დაძინებული, ნუ ხარ რეგვენი ვიდრე სიბერემდე! შენც გმართებს, შეიძინო სიმაგრე ხასიათისა, სიმტკიცე ჰაზრისა, ურყეველობა ზნეობისა, რათა სხვათაცა მიიზიდავდე კეთილისა ყოფაქცევისადმი და არა სხვანი მიგიზიდავდნენ შენ ცოდვისადმი" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, I, 138).

როგორც დავინახეთ, გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ქალს საზოგადოების უკეთესობისაკენ შეცვლის საქმეში. უფრო მეტიც, ქალის ხელშია ადამიანთა კეთილდღეობა: "ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოვლისა ადამიანისა თითქმის დამტკიცებულ არს ქალსა ზედა" (იქვე, 122), განსაკუთრებით, დედაზე. დედა აყალიბებს ადამიანში მაღალ და წმინდა გრძობებს, დედისგან იღებს იგი "ჰაზრთა, მიდრეკილებათა, ღვთის რწმენას". ამიტომ საზოგადოების მტკიცე საძირკველს კარგი დედა წარმოადგენს: "უკეთუ დედა არის აღვსებული გონიერებითა, ჭკუითა, სასოებითა და სიყვარულითა, შვილიცა მისი გამოვა კეთილი, ღვთის-მოყვარე" (იქვე).

გაბრიელ ეპისკოპოსისთვის ნათელია, რომ ქალისთვის საკმარისი აღარაა შინაური განათლება. საზოგადოების განვითარებისა და ჯანსაღი, გონიერი, სამშობლოსათვის სასარგებლო მომავალი თაობის აღზრდისათვის დროის შესაფერისად განათლებული და ზნეობრივად სანიმუშო დედაა საჭირო: "განათლება და კეთილი ზნეობა არა წარემართების, უკეთუ ქალნი არ არიან განათლებულნი და წინამძღოლნი ყოვლისა კეთილსა შინა ზნეობითსა" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, I, 117).

მქადაგებლის თქმით, ქართველი ქალი ყოველთვის იყო მიდრეკილი ცოდნის შეძენისკენ, დროის შესაბამისად ფიქრობდა და მდიდრდებოდა ცხოვრებისეული გამოცდილებით, "იგი ყოველთვის ფიქრობდა, ყოველთვის განავრცელებდა ჰაზრსა და ცნობასა" (იქვე, 133). მაგრამ მთავარი ღირსება იყო და არის შვილთა კეთილად აღზრდა. ღვთისმშობლის თვისებებზე ქადაგებისას გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებით მის თავგანწირულ დედობაზე მიაქცევს ქალთა ყურადღებას: "ესრეთვე უნდა იქცეოდნენ ყოველნი კეთილნი დედანი! მათ თავის თავი უნდა დაივიწყონ და ახსოვდეთ გაზრდა და ბედნიერება თვისთა ძეთა" (იქვე, 132).

ახალმა დროებამ, ოჯახური სწავლებიდან საზოგადოებრივ სასწავლებელში ქალის გადანაცვლებამ თავისი ანაბეჭდი დაატყო დედაკაცის პიროვნებას. "იცვლება და სხვანაირად იწყობა გაზრდა, სწავლა და ცხოვრება ქალთა" (იქვე, 120), - დაფიქრებული შენიშნავს მღვდელმთავარი. სიფრთხილის მიზეზია არა ის, აჯობებს თუ არა ახალი განათლება უკვე არსებულს, ოჯახში მიღებულს, არამედ ის, თუ როგორ განავითარებს ახალი განათლება ქრისტიანულ ზნეობას. "ნეტავი ღმერთმან ინებოს და ქალთა ჩვენთა არაოდეს დაჰკარგონ ზოგიერთი ფრიად საქებნი და საყვარელნი თვისებანი, რომელნი შეამკობენ ძველებურად მცხოვრებთა ქალთა, არამედ შეაერთონ ივინი ახლისა განათლებისა და სწავლისათანა; მაშინ მხოლოდ იქმნებიან ივინი ძვირფას ქრისტიანობისა და საზოგადოებისათვის" (იქვე), - ლოცულობს მღვდელმთავარი.

ამავე განწყობითაა აღბეჭდილი გაბრიელ ქიქოძის ქადაგება ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში. მეუფე მსმენელებს უსახავს ძველი დროის ქალთა ღირსებებს, შეახსენებს, რომ, წოდებათა განურჩევლად, უმეტესი ნაწილი ქართველი ქალებისა "იყვნენ ჭეშმარიტნი დედანი სახლობათა, მეტად უყვარდათ თავიანთი შვილები და ქმარნი, ხშირად გასაჭირ საზოგადო საქმეებში იყვნენ მხნენი და კეთილი თანაშემწენი თავიანთ ქმართა, არა ერთხელ ხელში იარაღით შეჭხდომიან

ქმართათანა მტერთა და დაუფარავთ სამშობლო" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, II, 347).

ახალმა დროებამ, ევროპულმა განათლებამ და ცხოვრების წესმა საზოგადოებას მისცა ნაკლებად გამრჯე დედაკაცი. "ყველამ იცის, რომ ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდის და ახლანდელ განათლებამდის, ქართველნი ქალნი თავის ხელის ნაწარმოებით იცვამდნენ თავის ტანს და აგრეთვე აცვამდნენ მთელ თავიანთ სახლობასაც. ეს მეტად საქებარი რამ იყო" (იქვე), - დასძენს მღვდელმთავარი. მიუხედავად ასეთი ჯაფისა, ქალები ზრდიდნენ ტანმრთელ შვილებს, აჩვევდნენ მათ გაჭირვების ატანას და "სარწმუნოების დაცვისთვის თავის გამომეტებას". გაბრიელ ეპისკოპოსი რიტორიკულ შეკითხვას სვამს: "ეს იყო აგერ ახლა! რაღა იქმნება ამის შემდეგ, რითი გამოიჩინენ თავს აქაური ქალები, აღზრდილნი ევროპულად? ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის" (იქვე, 348).

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში, რომლებიც ეკლესიის მამათა სწავლებას ემყარებიან, ქალი და მამაკაცი თანაბარი ღირსების ქმნილებებია: "დედაკაცს აქვს ისრეთი ღირსება და ფასი, როგორც მამაკაცს" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, I, 267).

რადგან, საღმრთო წერილის სწავლების თანახმად, ქალი არის სუსტი ჭურჭელი, უფრო მეტი ყურადღება, სიყვარული და შებრალება სჭირდება მას. მქადაგებლის აზრით, განათლებული საზოგადოება მამაკაცზე მეტ პატივს ქალს მიაგებს, ხოლო გაუნათლებელ საზოგადოებაში ქალი ხშირად არის "შეურაცხყოფილი, დამდაბლებული და დავრდომილი, რაიცა არის ფრიად საწყენი და წინააღმდეგი ჩვენის სჯულისა" (იქვე).

მართალია, გაბრიელ ეპისკოპოსი ქალისა და მამაკაცის თანაბარ ღირსებებზე ქადაგებს, მაგრამ კატეგორიულად კიცხავს ქალების მიერ მამაკაცური მოურიდებელი ყოფა-ქცევის გადაღებას. "მაშინ დაეცემა ზნეობა საზოგადოებისა" (იქვე, 322), - ამბობს მქადაგებელი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში ყოველთვის აღნიშნულია ქალის ფიზიკური სისუსტე. ამით იგი ჩამოუვარდება მამაკაცს. ეს ნაკლებევაანება ავალდებულებს დედაკაცს გონიერებითა და ჭკუით ტოლი არ დაუდოს კაცს. ფიზიკური სისუსტე სულიერი სიმტკიცით, ხასიათის სიმაგრით უნდა იქნეს კომპენსირებული. "წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქალი ჭკუითაც შორს დარჩა მამა-კაცისაგან, ხასიათიც სუსტი და უღონო აქვს, მაშინ იგი პირდაპირ შეიქმნება მამაკაცის სათამაშო" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1913, I, 269).

მქადაგებლის თქმით, ქალი უნდა იყოს დამოუკიდებელი (თვით მდგომარი), თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით იქცეოდეს. "ქრისტიანობა არ მოითმენს, რომ ქალს ჰქონდეს მონებრივი დამოკიდებულება მამაკაცთან, თუ გინდ მეუღლესთან, თუ გინდ მამასთან" (იქვე, 129), - აცხადებს მღვდელმთავარი.

გაბრიელ ეპისკოპოსი ხედავს, რომ ცხოვრებამ მოითხოვა ქალის აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადგა დრო, დედაკაცმა თავის უმთავრეს მოვალეობას: შვილების აღზრდას, ქმრის მოვლას, ოჯახის წარმოებას, შეუთავსოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაც. "ნუ თუ თვინიერ ქსოვისა და კერვისა სხვა უფრო პატიოსანი საქმე არ უნდა ჰქონდეს დედაკაცსა და თვინიერ დაუძინებელისა შრომისმოყვარებისა სხვა თვისება არ უნდა შეიძინოს მან?" (იქვე, 125) - კითხულობს იგი და იქვე გაცემს პასუხს: ქალს მრავალი პატიოსანი საქმე შეუძლია აღასრულოს, მაგრამ მთავარია, არ დაკარგოს სამი განსაკუთრებული თვისება: მხნეობა, ანუ შრომისმოყვარეობა, პატიოსანი ზნეობა და ყოფაქცევა და სასარგებლო მაგალითის მიცემა "შვილთა და გარემოს მყოფთა მისთა".

გაბრიელ ეპისკოპოსი გადაუჭარბებლად აფასებს ქალის როლს საზოგადოების გაკეთილშობილების საქმეში, რაც შვილთა კეთილად აღზრდით მიიღწევა. მღვდელმთავარი ქალს სხვა ღვაწლზეც მიუთითებს. იგი მოძღვრავს მათ, თავიანთი სიყვარული და გავლენა გამოიყენონ, რათა სიკეთისაკენ მოაქციონ ცუდი ჩვეულებით შეპყრობილი ქმრები. "ესრეთ კეთილად აღასრულე დიდი იგი მნიშვნელობა, რომელ მოგცა შენ ქრისტიმან" (იქვე, 118), - მოუწოდებს მქადაგებელი ცოლებს.

გაბრიელ ეპისკოპოსი ქადაგებებში დიდ ადგილს უთმობს ქალთა საკითხს. მისი აზრით, ქალი საზოგადოების განვითარების წარმმართველია, მეტადრე განათლებული ქალი. ქალთა განათლება უნდა ეფუძნებოდეს ქრისტიანულ ზნეობას, რათა ასე აღზრდილმა დედაკაცმა კეთილი გავლენა მოახდინოს შვილებზე, ჩამოაყალიბოს ისინი საზოგადოებისთვის სასარგებლო ადამიანებად. მღვდელმთავრის აზრით, ქალმა, საშინაო საქმეების გარდა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაც უნდა შეასრულოს, მაგრამ მისთვის გარჯის უპირატესი საგანი უნდა იყოს: ოჯახის წარმართვა, შვილთა კეთილად აღზრდა და მაღალზნეობრივი ცხოვრებით ქრისტიანული მორალის ქადაგება გარშემო მყოფთათვის.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I, 1913
2. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. II, 1913
3. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, საბჭოთა საქართველო, თბ., 1987

Chief Priest Mikael Chabashvili - Teacher, Chair of Theology of the Technical University of Georgia, Candidate of Philology

The Role of Woman in Sermons of Bishop Gabriel

Summary

At the end of the 19th c. attention in Georgia was focused on the place and status of woman in the society. Iliа Chavchavadze was one of the first to discuss this issue, to which he devoted several articles. These articles are inspired by the sermons of Bishop Gabriel. Thus, when discussing the women's role Iliа draws on the views of his forerunner, Bishop Gabriel, develops and cites his views in the articles on women's education and public role.

Bishop Gabriel is an outstanding representative of the progressively thinking part of the 19th-century Georgia. Noteworthy, sermons of Bishop Gabriel deal with problems of the woman's role, place and significance in the society as well as women's education.

According to Bishop Gabriel, the public development depends on a woman, especially an educated woman. Women's education should be based on Christian moral. As a result, a woman educated in this way will have a beneficial effect on her children and bring them up as useful persons for the public. The bishop believed that, along with housekeeping, a woman should be engaged in some useful work for the public. However, her main occupation should be guiding the family, good bringing up of children and by her righteous life preaching of Christian moral to those around her.

Протоиерей Михаил Чабашвили – преподаватель кафедры теологии ГТУ, кандидат филологических наук

Назначение женщины в проповедях епископа Гавриила

Резюме

В конце XIX века в Грузии говорилось о месте и положении женщины в обществе. Один из первых этого вопроса касается Илья Чавчавадзе, который посвятил несколько писем положению женщин. Данные письма проникнуты проповедями епископа Гавриила. Таким образом, размышляя о положении женщины в обществе, Илья Чавчавадзе имел предшественника – Епископа Гавриила, взгляды которого распространяются и цитируются им в письмах касательно образования женщин и их общественной роли.

Епископ Гавриил является прекрасным представителем прогрессивно мыслящей части Грузии XIX века. В его проповедях рассматриваются вопросы о роли, месте и значении женщин, об их образовании.

По мнению Епископа Гавриила, женщина играет немаловажную роль в общественном развитии, тем более женщина образованная. Образование женщины должно основываться на христианской нравственности, так как воспитанная женщина будет иметь благотворное влияние на детей и сможет воспитать их полезными для общества людьми. По мнению архиерея, женщина, помимо домашних дел, должна заниматься общественно-полезным трудом, но основным предметом её деятельности должна быть семья, воспитание детей. Своей нравственностью, женщина должна быть примером христианской морали для окружающих.

დანართი

პროფესორი ზაზა აბაშიძე

სამაგიდო წიგნი ეკლესიის ისტორიაში

“საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულყოფილი ისტორია ჯერ კიდევ არ დაწერილა. არა გვაქვს ქართული ეკლესიის განმაზოგადებელი ისტორია. თანამედროვე მკითხველს არა აქვს საშუალება წაიკითხოს მალალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ფუნდამენტური საისტორიო ნაშრომი ეკლესიის ისტორიაში ჯერ კიდევ მომავლის საქმეა“ - ასეთ გამონათქვამებს შეხვდებოდით ქართულ პრესაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ. რამდენად სამართლიანია ეს სიტყვები?

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი პიონერის პლატონ იოსელიანის “საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“, მოსე ჯანაშვილის “საქართველოს საეკლესიო ისტორია“, მ. საბინინის, თ. ყორღანის, ი. ნატროშვილის, ს. გორგაძის, ნ. მარის, მ. კელენჯერიძის, კათოლიკოს-პატრიარქების - კირიონის და კალისტრატეს და სხვათა გამოკვლევები მნიშვნელოვანი ეტაპია ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში. ფასდაუდებელია ჩვენი საეკლესიო ისტორიისათვის მ. თამარაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის ნააზრევი. ასევე მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თანამედროვე მკვლევრების: ბ. ლომინაძის, ზ. ალექსიძის, ვ. გვილაძის, გიორგი მამულიას ნაშრომები საეკლესიო ისტორიის რიგ საკითხებზე. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევისა და შესწავლის საქმეს საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე ჩვენში მართლაც არ შექმნილა განმაზოგადებელი, ფუნდამენტური მონოგრაფია საქართველოს მრავალსაუკუნოვან საეკლესიო ისტორიაზე, არ დაწერილა ნაშრომი, რომელშიც მოცემული იქნებოდა უწყვეტი, გაბმული თხრობა საქართველოში ქრისტიანობის შესახებ, დაწყებული მოციქულთა დროიდან დღემდე.

ეს ხარვეზი უნდა გამოსწორებულიყო. უნდა შემნიღიყო თანამედროვე ისტორიოგრაფიის დონის შესაფერისი დიდი გამოკვლევა, რომელშიც განხილული იქნებოდა ჩვენი საეკლესიო ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მხარე. ამ ხარვეზის გამოსწორების უმძიმეს, ერთი მეცნიერისთვის თითქმის შეუძლებელ საქმეს ხელი მოჰკიდა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარმა, მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსმა, მაღალყოვლადსამღვდელო მეუფე ანანია. დღეს ქართველ მკითხველს ხელთ აქვს მთავარეპისკოპოს ანანიას უზარმაზარი ნაშრომის “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ ოთხტომეულის 2 ტომი (I ტომი - 447 გვ.; II ტომი

- 399გვ.), რომლებშიც განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორია I საუკუნიდან XII საუკუნემდე.

ორტომეულის მინაარსის ზერელე გაცნობაც კი დაარწმუნებს მკითხველს, თუ რამდენად ფართოა განხილული საკითხების წრე, რამდენად რთულ და პრობლემატურ საკითხებს ეხება ავტორი. მაგალითისთვის საკმარისია თუნადც I თავი “ქართული ეკლესია I-III საუკუნეებში”. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ამ პერიოდის ქრისტიანობაზე საქართველოში, ისტორიოგრაფიაში არ მოგვეპოვებოდა რაიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ამ პრობლემას არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა. მეუფე ანანიას ნაშრომში მოციქულთა დროინდელი საქართველოს დეტალური და საინტერესო სურათია მოცემული. **დაწვრილებით არის განხილული მოციქულთა მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა წყარო და საეკლესიო გადმოცემა**, გამოთქმულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება ქართველთა საერთო წარმოშობის, ერთიანი ქართული კულტურის, ფსიქიკური წყობის ერთობის შესახებ და სხვ.

როგორც აღინიშნა, მეუფე ანანია განიხილავს საქართველოს ეკლესიის ცხოვრების ფაქტიურად ყველა მხარეს და ბევრ საინტერესო და ყურადსაღებ ვარაუდს გამოთქვამს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავტორის თვალსაზრისი საეკლესიო ენაზე აღბანეთში, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებაზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასა და დიპტიხზე, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვრებზე.

ხაზგასასმელია ის მდიდარი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა, რომელსაც ეყრდნობა ავტორი. მეუფე ანანიას გამოყენებული აქვს თითქმის ყველა ის დოკუმენტი, რომელიც წარსულში ჩვენს საეკლესიო ცხოვრებას ასახავს, შესწავლილი და გაანალიზებული აქვს უამრავი ავტორის ნააზრევი. ზოგიერთ პრობლემასთან დაკავშირებით ავტორი ეთანხმება ჩვენს ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, მაგრამ ბევრ პოლემიკურ საკითხში საკმაოდ დამაჯერებლად ახალ თვალსაზრისს ავითარებს.

...რასაკვირველია, ძნელია სრულად წარმოაჩინო საეკლესიო ისტორიის სფეროში შექმნილი უზარმაზარი ნაშრომი თავისი ღირსებებითა თუ ხარვეზებით, მაგრამ ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება: როგორც იქნა, **ქართველმა მკითხველმა მიიღო უაღრესად საინტერესო და, რაც მთავარია, საჭირო და აუცილებელი ნაშრომი ჩვენი ეკლესიის ისტორიაზე**. ასეთი მოცულობის ნაშრომი, რასაკვირველია, უნაკლო არ არის და ვერც იქნება, მაგრამ იგი ნამდვილად გახდება **სამაგიდო წიგნი ყველასათვის**, ვინც დაინტერესებულია საქართველოს და ჩვენი ეკლესიის ისტორიით.

პროფესორი გიული ალასანია

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის “საქართველოს ეკლესიის ისტორია შუა საუკუნეებში (XII-XVIII სს)”

საქართველოს ეკლესიის ისტორია ისევე, როგორც საქართველოს ისტორია, გადარჩენისთვის მუდმივი ბრძოლაა. ჩამონათვალში “ენა, მამული, სარწმუნოება”, რომელიც ქართველ ხალხს გადარჩენის ძირითად პირობად მიუჩნევია, თანმიმდევრობის ცვლისას ხშირად პირველ ადგილზე სარწმუნოება წამოდგებოდა ხოლმე, ვინაიდან ერის კონსოლიდაციის საქმეში ეკლესია ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე საერო ხელისუფლება. მართლმადიდებლობა და ეკლესია საუკუნეების მანძილზე იყო ის ძირითადი ღერძი, ის ხერხემალი, რომელზედაც იყო დაშენებული ეროვნული ცნობიერება.

ქართული ეროვნული ცნობიერების სიცოცხლისუნარიანობა, რომლის მიზეზის კვლევასაც ეძღვნება მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია”, სწორედ საქართველოს ეკლესიის სიცოცხლისუნარიანობით იყო გამოწვეული. ასეთია ნაშრომის ძირითადი თეზისი, რომელსაც ავტორი მრავალი არგუმენტით და ძალზე დამაჯერებლად ასაბუთებს.

“უკანასკნელ წლებში ეკლესიის ისტორიისადმი ინტერესის მიუხედავად განსახილველი ნაშრომი **საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი სრული გამოკვლევაა**. პირველია ნაშრომი იმ თვალსაზრისითაც, რომ დიდი ხნის შემდეგ ეკლესიაზე მეცნიერულ გამოკვლევას ქმნის სასულიერო პირი მართლმადიდებლური ხედვით, განსხვავებული განცდით. ეს არის ეკლესიის წარსული და დღევანდელი, დანახული შიგნიდან ორგანული ცოდნით, როგორც ავტორი აღნიშნავს, მართლმადიდებლური თვალთახედვით დაწერილი ისტორია“ (გვ. 13). **ამგვარად, ეს ქართული ისტორიოგრაფიაში იმ სისხლის გადასხმას ჰგავს, რომელიც დროდადრო აუცილებელია ჯანსაღი ორგანიზმის შესანარჩუნებლად**.

ნაშრომის ძირითადი მიზანი არის :

1. დაუბრუნოს საქართველოს მოქალაქეს ქრისტეს რწმენა და განამტკიცოს მრევლი ამ რწმენაში;
2. გაუღვივოს მკითხველს სიამაყის გრძნობა ქვეყნის და ერის ღირსეული წარსულის გამო;

3. აღადგინოს საქართველოს წარსულის ობიექტური და სრული სურათი და ამ ფონზე წარმოაჩინოს ეკლესიის ისტორია და მისი მნიშვნელობა ქვეყნისა და ერის წარსულსა და აწმყოში.

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ მიზანი სავსებით მიღწეულია. საქართველოს ეკლესიის წარსულის შესწავლა ავტორს იმთავითვე ფართოდ დაუხსნავს. წიგნში ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ისე ორგანულად არის შერწყმული ეკლესიის ისტორიასთან და ისე მსჭვალავს მთელ ნაშრომს, რომ ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, რომელია ავტორისათვის უფრო მნიშვნელოვანი. საქართველოს და მეტ-ნაკლებად მასთან ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების **ისტორიის მონუმენტურ ტილოზე წარმოდგენილი სურათი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კონტექსტშია დანახული.** ამდენად, **ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო საქართველოს წარსულის, არამედ მასთან ურთიერთობაში მყოფი ქვეყნების, ზოგადად რელიგიის და კერძოდ, მართლმადიდებლობის ისტორიის თვალსაზრისით.** მდიდარი პრობლემატიკით წარმოდგენილი საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, რომელიც წიგნის მეორე პლანს ქმნის, არანაკლებ საინტერესო და არანაკლებ მნიშვნელოვანია.

დღეს, როდესაც ეკლესიას კვლავ დაუბრუნდა ის მნიშვნელოვანი ფუნქცია (რომელიც მას ისტორიულად მუდამ ჰქონდა ქართველი ხალხის წარსულში), წარმოდგენილი ნაშრომის დონე კიდევ უფრო გაზრდის ეკლესიისა და სამღვდლოების ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას; ყოველივე **ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერის სულიერ ამაღლებასა და გადარჩენაში.**

გამოკვლევაში ავტორს ძალზე ბევრ საკითხზე უხდება მსჯელობა, მათ შორის საკამათოსა და დადგენილზეც; იგი რთულია კომპოზიციურად, შინაარსობრივად და, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ენით არის დაწერილი, ძნელი აღსაქმელია. წიგნის მნიშვნელობა რთული ამოცანის წინაშე აყენებდა როგორც ავტორს, ასევე მის მკითხველსაც, რომლისგანაც სათანადო მომზადებას მოითხოვს. წიგნი რთული წასაკითხია ემოციურად, ვინაიდან ჩვენს წინაშეა საქართველოს და ქართველი ერის მთელი წარსული და აწმყო, წარმატებები და უკუსვლები, დამოუკიდებლობის, სიძლიერის და გარეშე ძალის მიერ დამორჩილების წლები და **ყოველივე ამის ფონზე ერის ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესი.** გაცოცხლებულია და წარმოდგენილია კონკრეტულ პიროვნებათა პორტრეტები მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ეკლესიის და საერო ხელისუფლების რთული ურთიერთობა სხვადასხვა ხანაში, გარე

სამყაროსთან შეხვედრები, ომების და მშვიდობის ისტორია, მათი მნიშვნელობა და ყველაფერი ეს ერთი ამოსუნთქვით, ერთი განცდით არის დაწერილი. თუმცა ასეთი ნაშრომი, ცხადია, ერთბაშად არ იწერება, ასეთი ნაშრომი მთელი ცხოვრების ნაფიქრია.

მკვლევარი კარგად იცნობს შესაბამის წერილობით წყაროებს, რასაც ამდიდრებს თვითმხილველთა მონაცემებით; ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ გვევლინება თვითმხილველის როლი. ეს ფაქტი ზრდის გამოკვლევის ხარისხსა და მნიშვნელობას. ამასთანავე მთელი ნაშრომი დაწერილია სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნით და წინამორბედ მკვლევართა დიდი პატივისცემით. აქვე აღვნიშნავთ, რომ წინამორბედებთან კამათი არ შეადგენს ნაშრომის მიზანს, აჯაფარძის მიზანი უფრო საკუთარი მოსაზრების დასაბუთებაა; ამ პოლემიკის დროს ჩანს, რომ ავტორი არამარტო თანაბრად ერკვევა ისტორიულ და წყაროთმცოდნეობით პრობლემატიკაში, არამედ თვითონ არის პროფესიონალი ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე.

შეუძლებელია გამოკვლევაში განხილულ საკითხთა უბრალო ჩამოთვლაც კი. გამოკვლევების კონკრეტული საკითხები შერწყმულია თეორიულ პრობლემებთან. ავტორი მსჯელობს, თუ რა არის ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, როგორც დისციპლინა, ასახელებს მის წყაროებს, განსაზღვრავს თავის ამოცანებს, საგანგებოდ ჩერდება ჯერ მსოფლიო ისტორიის, ხოლო შემდეგ ქართული ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციაზე.

ძალზე საინტერესოა დაკვირვებები ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე, სხვადასხვა შინაარსის იურიდიულ დოკუმენტებზე, “ქართლის ცხოვრების” სტრუქტურაზე, რაც რთულ მუდმივ პრობლემად რჩება. ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ ძეგლს, აფასებს მათ, როგორც წყაროს ეკლესიის ისტორიისათვის. ასევე, შევნიშნავთ, რომ ერთგვარად ხელოვნურ შტაბეჭდილებას ტოვებს ისტორიკოსების დაყოფა სამოქალაქო და საეკლესიო ავტორებად. ყოველ შემთხვევაში, ადრეულ საუკუნეებში, ვინაიდან ერთნიც და მეორენიც სასულიერო პირები არიან.

მკვლევარი თამარის, ე.წ. მეორე ისტორიკოსად ბასილ ეზოს-მოძღვარს მიიჩნევს, რაც ერთგვარად მოძველებული შეხედულებაა. მართალია, ძეგლის ავტორი ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ატრიბუცია ამჟამად არ არის გაზიარებული.

დიდი ადგილი ეთმობა ნაშრომში ქართველი ერის ეთნოგენეზისის საკითხებს. ავტორი მსჯელობს ქართველების სხვადასხვა დასახელებებზე, განიხილავს **ერის ჩამოყალიბების თეორიას.** აქ ყურადღებას იპყრობს ქართველების დაკავშირება ბიბლიურ თუბალთან. აღნიშნულ საკითხზე უზარმაზარი

ლიტერატურაა შექმნილი. ავტორს თვითონაც აქვს სპეციალური გამოკვლევა ქართველების ეთნოგენეზისზე, შესაბამისი არგუმენტები განსახილველ წიგნშიც არის მოტანილი, ვფიქრობ, პრობლემა მაინც მოითხოვს შემდეგ დაკვირვებას.

მკვლევარი ფართოდ აშუქებს მოციქულთა მოღვაწეობას ქართლში, რის შედეგადაც მსჯელობს და აკეთებს დასკვნას, რომ ვინაიდან **მოციქულების მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური იყო, ამიტომაც ქართული ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალურია.** ეს აზრი ნაშრომში სხვაგანაც მეორდება და ავტორი მას არაერთხელ სხვადასხვა არგუმენტით ასაბუთებს. თეორიულად ეს იქნებ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალობაში თვით მოციქულების ყოფნის ფაქტი საქართველოში არაერთხელ დამდგარა ეჭვქვეშ. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ უხდებოდათ ქართველებს ზოგ შემთხვევაში თავისი კანონიერი ურთიერთობის მტკიცება და როგორ ძნელად იკაფავდა გზას სიმართლე აღრეც და ახლაც. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითად მართლმადიდებლურ დიპტიხში საქართველოს ეკლესიის აღგილის საკითხიც კმარა. ან როგორ ავხსნათ, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 381 წელს კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში ეპისკოპოსთა ხელმოწერებიდანაც ჩანს ამასიის პონტოს ეპარქიის წარმომადგენლის, იბერიის ეპისკოპოსის პანტოფილეს მონაწილეობა, ან მე-12 ს. ბიზანტიელი ავტორის **ნილოს დოქსანოპატრიუსის** ცნობა, რომლის მიხედვით 1143 წ. “ჰელესპონტოს ამასია, რომლის საეპისკოპოსო იყო თვით იბერიაც“.

ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვადასხვა წყაროებით ასაბუთებს ავტორი **დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას**, აჩვენებს საეპისკოპოსოების რაოდენობრივ ზრდას და შესაბამისად ქრისტიანობის წარმატებებს საქართველოში, რაც ერის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. წიგნში ცალ-ცალკეა განხილული **ერის ისეთი ნიშნები, როგორიც არის საერთო ენა, საერთო ტერიტორია, ფსიქიკური წყობა, საერთო ეთნიკური წარმოშობა, განუწყვეტელი ისტორიული და ეკონომიკური კავშირი და სხვ. ყველა ამ ნიშანს მკვლევარი ძალზე ადრე ხედავს ქართველი ხალხის ისტორიაში ჯერ კიდევ ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში.** მიუხედავად იმისა, რომ აქ, ამ მონაკვეთში საინტერესო მსჯელობაა დასავლეთ და აღმოსავლეთ ტერიტორიების ერთიანობაზე, ტერმინ “იბერიის“ მნიშვნელობაზე და სხვა საკითხებზე, ძნელია გაიზიარო ავტორის აზრი ქართველი ერის ასეთი სიძველის შესახებ. თუმცა კიდევ ერთხელ ხდება ცხადი, რომ ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და რთული პროცესია და

ჩამოთვლილი ნიშნების დადასტურება სხვადასხვა დროს გარკვეულ საფუძველს და ტენდენციას ქმნის მის დასაჩქარებლად.

როგორც უკვე აღვნიშნე, წიგნი ტევადია შინაარსით, ძალზე დიდია თავისი მნიშვნელობით და ერთ რეცენზიაში შეუძლებელია მისი ამომწურავი შეფასება. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ისტორიის და საქართველოს ეკლესიის მკვლევრები მას არაერთხელ დაუბრუნდებიან და, არამარტო იკამათებენ აქ წარმოდგენილ საკითხებზე, არამედ, ხშირ შემთხვევაში, გაიზიარებენ და გაითვალისწინებენ პროფესორ ანანია ჯაფარიძის კვლევის შედეგებს.

პროფესორი ბონდო არველაძე

მიტროპოლიტის, პროფ. ანანია ჯაფარიძის “საქართველოს საეკლესიო კრებები“ (ტ. I, ტ. II, ტ. III, თბ, 2003) და ქართული ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

მიტროპოლიტის, პროფ. ანანია ჯაფარიძის მონოგრაფია - “საქართველოს საეკლესიო კრებები“ გამოსცა გამომცემლობა “მერანმა“ (2003 წ.) სამ წიგნად. პირველ წიგნში შესწავლილია XII-XX საუკუნეებში საქართველოში მოწვეული 15 საეკლესიო საკანონმდებლო კრება. ავტორს ამ კრებების იურიდიული მნიშვნელობა განხილული აქვს მსოფლიო საყოველთაო ეკლესიათა კრებების მიერ მიღებული საკანონმდებლო დადგენილებებთან მიმართებაში. ქართული საეკლესიო სამართალი, ერთი მხრივ, მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობას ეფუძნება და მის საეკლესიო კანონმდებლობის სათავეს მსოფლიო კრებები შეადგენენ, მეორე მხრივ კი, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს საეკლესიო ადგილობრივი კრებები. ამდენად, მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე მართებულად იქცევა, როცა მიმოიხილავს ზოგადად სამართლის ისტორიას და მკითხველს აწვდის ამ დარგში არსებული პრობლემების შესახებ მეცნიერულ ინფორმაციას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მასში წარმოდგენილი საქართველოს საეკლესიო სამართლის კვლევის ისტორია. ერთი კი აქვე გვსურს აღვნიშნოთ - ეს ნაშრომი საქართველოს საეკლესიო კრებების ერთიანი მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა, რითაც მისი მეცნიერული მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ნაშრომის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია იმ ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობა, რომელთაც ამავე დღეს ქართული საეკლესიო სამართლის შესწავლის საქმეს. ამ დარგში პირველი იყო ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი). მის შრომებში ძველი ქართული სამართლის ისტორიის არაერთი საყურადღებო საკითხია შესწავლილი. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ “ათაბაგი ბეჟა და აღბულა და მისი სამართალი“, “ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“. ნ. ურბნელმა სპეციალურად შეისწავლა რუს-ურბნისის კრების დადგენილება და სამართლიანად მიიჩნია ქართული სამართლის ერთ-ერთ საუკეთესო წერილობით ძეგლად და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ამ დარგში, რაც აღნიშნულ მონოგრაფიაში გამოწველივით არის წარმოდგენილი. ამ თემაზე დაწერილ ივ.ჯავახიშვილის ნაშრომთან გამოირჩევა “ქართული სამართლის

ისტორია“, ორ წიგნად, (1928 წ.) მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მიმოიხილავს ივ. ჯავახიშვილის ამ მონოგრაფიას და წარმოაჩენს დიდი მეცნიერის დამსახურებას საქართველოს საეკლესიო კრებების დადგენილებების მეცნიერული კვლევის საქმეში. აგრეთვე ყურადღებით ეკიდება კ. კეკელიძის მოღვაწეობას ამ სფეროში და იძლევა მისი შრომების მეცნიერულ ანალიზს. კ. კეკელიძე საგანგებოდ შეეხო საეკლესიო კანონიკას თავის წიგნში “ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (1980, ტ. 1, გვ. 559). კ. კეკელიძის აზრით, X საუკუნის ბოლომდე ქართული საეკლესიო-იურიდიული მწერლობა მისი ნამდვილი მნიშვნელობით არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტს, პროფ. ანანია ჯაფარიძეს მოაქვს საეკლესიო კანონიკის ცნობილი მკვლევარის ვლ. ბენეშევიჩის საპირისპირო აზრი, რომლის მიხედვით X ს-ში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა დიდი, ანუ 14 ტიტულოვანი სჯულის კანონი ფოტი პატრიარქისა. ამ აზრს იზიარებს ივ. ჯავახიშვილი. კ. კეკელიძის მოსაზრებით კი დიდი სჯულის კანონი ქართულად ითარგმნა რუს-ურბნისის კრების შემდეგ (1103 წ.) არსენ იყალთოელის მიერ, რომელიც შემდეგ შეუვსიათ სხვადასხვა სტატიებით. მონოგრაფიაში ნაჩვენებია აგრეთვე კ. კეკელიძის მიერ მოძიებული საეკლესიო კანონმდებლობის წყაროები და მასალები. მიტროპოლიტს, პროფ. ანანია ჯაფარიძეს განხილული აქვს კ. კეკელიძის ცნობილი ნაშრომი “კანონიკური“ წყობილება ძველ საქართველოში“ (იხ. “ეტიუდები“..., ტ. IV, 1957, გვ. 338-357). კ. კეკელიძემ ამ ნაშრომში გამოთქვა საყურადღებო მოსაზრება კანონიკური წყობის შესახებ საქართველოში და აგრეთვე თავისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა იბერიის ეკლესიის შესახებ. ამ შეხედულებების მიხედვით იბერიის ეკლესია თავდაპირველად მტკიცე კავშირში იმყოფებოდა სომეხთა ეკლესიასთან და იერარქიულად ქართული ეკლესია დამოკიდებული იყო სომხურზე. აქ კი ამ საკითხის სიზუსტისა და სისრულისათვის სასურველია მონოგრაფიის ავტორს გაეკეთებინა მცირეოდენი კომენტარი. ეს საჭიროა იმიტომ, რომ საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ამჟამად არის ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი. პირველი - აღრიხედელ პერიოდში ქართული ეკლესია იერარქიულად დამოკიდებული იყო სომხურზე (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ილ. აბულაძე და სხვ.); მეორე, განსხვავებული მოსაზრების მიხედვით ქართული ეკლესია ოდითგან იყო დიოფიზიტური, რადგან ქალკედონის საეკლესიო კრების (451 წ.) დადგენილებები ქართულმა ეკლესიამ უყოყმანოდ გაიზიარა, გაჰყვა დიოფიზიტურ გზას და არც არასდროს გადაუხვევია მისგან (პ. ინგოროყვა და სხვ.).

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე სახეებით მართალია, როცა მღვდელ პოლიევექტოს კარბელაშვილის მიერ საეკლესიო კრებების და საერთოდ ეკლესიის ისტორიის დარგში გაწეული ამაგის დაუფასებლობას ჩივის. არადა, მღვდელი პ. კარბელაშვილი საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მკვლევარია, მათ შორის, ვინც სპეციალურად მოღვაწეობდა მეცნიერების ამ დარგში. მისი წიგნი “იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი” (1900 წ.) არის ფუნდამენტური გამოკვლევა. ამ ნაშრომის მნიშვნელობის შესაფასებლად ისიც კმარა, რომ იგი კ.კეკელიძის სამაგიდო წიგნი იყო. პ. კარბელაშვილს დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილი და მის ზოგიერთ დასკვნას ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებდა. ამ ნაკლის ერთგვარ გამოსწორებას ცდილობს მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე და საერთოდ ვრცლად განიხილავს მღვდელ პ. კარბელაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას. საქართველოს საეკლესიო კრებებთან დაკავშირებით პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ დვინის საეკლესიო კრებას სომხეთში (590 წ.) ქართლის კათალიკოსმა კირიონ I მცხეთელმა გაუგზავნა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებები და “ამის თანახმად იმწყემსება საქართველოს ეკლესია“-ო. პ. კარბელაშვილის აზრით, სომხებმა მოგვიანებით მაინც აღიარეს ქალკედონის კრება. აქ მიტროპოლიტი, ანანია ჯაფარიძე სრულიად მართებულ დასკვნას აკეთებს - პ. კარბელაშვილი ალბათ გულისხმობს VII საუკუნეს, როცა სომხურმა ეკლესიამ ერთხანს მიიღო დიოფიზიტობა. კიდევ არა ერთი მოსაზრება აქვს განხილული, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს, რომლებშიც მკაფიოდ ჩანს პ. კარბელაშვილის მეცნიერული ერუდიცია და ალღოიანობა.

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ფართოდ წარმოადგენს ნ. მარის ღვაწლს ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში. მას მოაქვს ნ. მარის არაერთი მოსაზრება და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უკრიტიკოდ კი არ იღებს, არამედ მათ შეფასებაში იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას და ცდილობს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ მეცნიერული საკითხის გადაწყვეტის დროს. მაგალითად, ნ. მარის მიხედვით, ქართულ ეკლესიას IX საუკუნემდე არ ჰქონდა მირონის კურთხევის უფლება. როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ეს უფლება მან მოიპოვა 842-859 წლებში, როცა მან შეწყვიტა იერუსალიმიდან მირონის შემოტანა. ამ საკითხში ნ. მარს არ ეთანხმება მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და წერს “ქართლის საკათალიკოსოში მირონი IV-V საუკუნეებიდანვე იკურთხებოდა. მოგვიანებით დაარსებულ ლაზიკის სამიტროპოლიტოს ბაზაზე

აღმოცენებულ აფხაზეთის საკათალიკოსოში, კონსტანტინოპოლში ხატმებრძოლური ერესის გავრცელების გამო, მირონის შემოტანა დაიწყეს იერუსალიმიდან (კონსტანტინოპოლის ნაცვლად), IX ს-დან კი ეფრემ დიდი მაწყვერელის მეცადიერობით საეკლესიო ნორმების გათვალისწინებით, იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობით, დაწესდა, რომ აფხაზეთის (და არა “აღმოსავლეთის”) კათალიკოსებს მირონი იერუსალიმის ნაცვლად ადგილზევე, ქართლში უნდა მიეღოთ, რადგანაც “აფხაზეთიც ქართლია”, საეკლესიო ერთიანობის გამო აფხაზეთისათვის საჭირო მირონის კურთხევა “ქართლს განეწესა IX ს-დან” (გვ. 56). ვფიქრობ, დამაჯერებელი და არგუმენტირებული მოსაზრებაა და მისაღებად მიგვაჩნია.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძეს ვრცლად აქვს განხილული ვარდაპეტობის ინსტიტუტი სომხეთში, რომლის ფორმად არის მიჩნეული ქართული მოძღვრობის ინსტიტუტი ქართლში. უნდა აღინიშნოს, რომ ვარდაპეტის და მოძღვრის შესაბამისობის საკითხი პირველად გამოიკვლია ნ. მარმა. მას მიაჩნდა, სომხური საეკლესიო წყაროების მიხედვით ვარდაპეტი ნიშნავდა არა ბერს, ანდა უბრალო არქიმანდრიტს, არამედ მოძღვარს (მასწავლებელს). ეს შეხედულება გაიზიარა ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტმა, პროფ. გ. ნადარეიშვილმა: “ძველ სომხურ ეკლესიებში ვარდაპეტის, როგორც მოძღვარ-მასწავლებლის როლი და ავტორიტეტი მეტად მნიშვნელოვანი იყო რთული სასულიერო საკითხების გადაწყვეტაში, როგორც ჩანს, მას უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ეპისკოპოსს ან თუნდაც კათალიკოსს... ვარდაპეტებს არამხოლოდ მასწავლებლის - მოძღვრის უფლება ჰქონდათ, არამედ მოსამართლისაც. მათ ხელში იყო მსაჯულობაც” (მ.ნადარეიშვილი, ნ. მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, 1989, გვ. 23). ამ დებულებას იზიარებს მიტროპოლიტი, ანანია ჯაფარიძე. იგი წერს: ქართველ “მოძღვარს” რუს-ურბნისის კრების მოწვევის დროს, ეტყობა, ისეთივე უფლებები გააჩნდა, რაც სომხურ ვარდაპეტს. მოძღვარი ეკლესიის მასწავლებელი იყო და, ჩანს მოსამართლედ. ამას მოწმობს ის, რომ ქართველი მეფის დარბაზის კარზე მყოფი “მოძღვართ-მოძღვარი” უმაღლესი მსაჯულის და მოსამართლის უფლებით ყოფილა აღჭურვილი. მოძღვარს ეკისრებოდა მსაჯულის ფუნქციები, ჩანს “მერჩულე” რჯულის მცოდნედ, მოსამართლედ (მსაჯულად) იწოდებოდა, ეკლესიის ხელში იყო თავმოყრილი მთელი ძალაუფლება. რიგ შემთხვევაში საერო და სასულიერო ძალაუფლება ერთ ხელში იყო. ამის მაგალითად მიაჩნია ნ. მარს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი. ისე ჩანს, მოძღვართა ინსტიტუტს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში, როგორც ვარდაპეტ - სომხეთში. ეს იყო

სახელმწიფოებრივ გაერთიანებამდე, მაგრამ გაერთიანების შემდეგ თავის გვერდით ვერ იგუა ძლიერი და დამოუკიდებელი ეკლესია და მოძღვრობის ინსტიტუტს უფლებანი შეუკვეცა. ამას მოწმობს რუის-ურბნისის კრების მე-12 კანონი - "მოძღვარ წოდებულთა მათ მონაზონთა". ამ კანონის მიხედვით "პირველად ამას განესაზღვრებთ, რათა უძღვდელოსა არა ხელმწიფებოდეს განმკითხველობად სულთა, არათუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღვდელი ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკვრისა და გახსნისა ხელმწიფობასა უხამს ქონებად და ეგრეთღა განკითხვისა სულთაისა ხელ-ყოფად" (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 551). აი, ამ კანონს განმარტავს რა მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე წერს - ამ კანონის მიხედვით გამოდის, რომ მეცნიერულ განათლებას, რის გამოც ბევრი იღებდა "მოძღვარის" წოდებას, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამიტომ მოძღვრის წოდება შეიძლებოდა მინიჭებოდა მცირემცოდნე ბერს, მაგრამ ნაკურთხ, ანუ ხელდასხმულ სასულიერო პირს. ამის ახსნა კრების მე-12 კანონით არის გამართლებული "შეკვრისა და განხსნის ხელმწიფება" მართლაც აქვს მოციქულთაგან მემკვიდრეობით ხელდასხმულ ეპისკოპოსს, მღვდელსა და დიაკონს. რაც შეეხება სომხურ ვარდაპეტს, როგორც ნ. მარი შენიშნავს, მისი უმთავრესი უპირატესობა არის მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის უფლება მსაჯულობისა, მასწავლებლობისა და ა.შ. ნ. მარს მიაჩნდა, რომ ძველ სომხეთში ვარდაპეტები თავიანთი უფლებამოსილებით ღირსეულ სიმაღლეზე იდგნენ. ძველი სომხური საეკლესიო წყობილების თანახმად, მათ საპატრიო ადგილი ეკავათ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. მათ შორის სამართალშემოქმედების სფეროში. ნ. მარი თვლიდა, რომ ფეოდალური სომხეთი ქართული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ისტორიული ტაო-კლარჯეთი მას სომხეთის ყოფილ ნაწილად მიაჩნდა, ამიტომ ამ ინსტიტუტს ქართულ ეკლესიაზე გავლენა უნდა მოეხდინა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და აღნიშნავს: "სინამდვილეში, მართალია, VI ს-ის შემდეგ ქართველთა ქვეყანა ტაო და ნაწილობრივ მისი მიმდებარე ქართული მხარეები სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, არაბთა შემოსევების შემდეგ ბიზანტიელთა გავლენით ამ ქართულმა კუთხეებმა თავი დააღწიეს სომხურ საეკლესიო ბატონობას და VIII-IX საუკუნეებში დაუბრუნდნენ ქართულ დედა ეკლესიას" (გვ. 58). ვფიქრობ, მართებული და საფუძვლიანი აზრია და მისი გაზიარება მოუწევს ზოგიერთ მკვლევარს.

მერჩულე - მოძღვარ-მასწავლებლის ინსტიტუტს დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია არაბთა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტების ხანაში.

რაც შეეხება ვარდაპეტის გავლენას და ავტორიტეტს, იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მასწავლებლიდან მოსწავლეს. ამაზე მართებულად შენიშნავს პროფ. გ. ნადარეიშვილი მის საყურადღებო გამოკვლევაში "ნ. მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები" (1989, გვ. 25). ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა საქართველოში. მაგალითად, 1985 წელს სინას მთაზე გადაწერილი იაკობის ჟამის წირვის ანდერძებში იოანე ზოსიმე იხსენებს თავის მოძღვრებს, ვითარცა უცილობელ ავტორიტეტებს, რომელთაგან მიიღო ცოდნა, "ვითა მე ვიცოდი მოძღვართაგანო" - აღნიშნავს იგი. ასე რომ, მოძღვართა ხელშია წმინდა წერილის ზრუნვა, რაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ. მხითარ გომის სამართლის წიგნის მიხედვით, ვარდაპეტობის კანდიდატს ევალებოდა - "ძველი და ახალი აღქმის წიგნებისა და კანონიკური დადგენილებების საფუძვლიანი ცოდნა. თანაც გამოცდის დროს გამოსაცდელს დაწვრილებით უნდა მოეთხორო გამომცდელისათვის "სად და ვისთან შეისწავლა მან საღვთო წერილის თითოეული წიგნი" (გ.ნადარეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 25). იოანე ზოსიმეც ასევე ახსენებს თავის მეცნიერულ მოძღვარს, კერძოდ, ზემოაღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით, - აღნიშნავს მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე.

შემდეგ განხილულია მოძღვრობის და ვარდაპეტობის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა საქართველოს და სომხეთის ისტორიაში. დროთა განმავლობაში მოძღვრობის ინსტიტუტის მნიშვნელობა თანდათან შემცირდა, თუმცა XII ს-ში მას საკმაო ძალა ჰქონია. მონოგრაფიაში არის დასტურად მოტანილი დავით აღმაშენებლის ანდერძი, როცა მან თავისი ქონება შიომღვიმის მონასტერს დაუტოვა საკუთარი მოძღვრის ხელით: ჩემმა შვილმა დემეტრემ "ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა... რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი გამიმწაუშინ, მოძღვარმან ჩემმან უკუ ცემითა მათითა აღხოცნეს ჩემთვისო".

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ვარდაპეტის და მოძღვრის შესაბამისობას კიდევ სხვა განზომილებებშიც განიხილავს. ამ ორი ინსტიტუტის ინტენტიფიკაციის სასარგებლოდ, მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებანი. პატივცემულ მკვლევარს მსურს მივუთითო ერთ ავტორიტეტულ მეცნიერზე, რომლის მოსაზრებამ ასახვა ვერ ჰპოვა მის ნაშრომში. ეს გახლავს აკად. კ. კეკელიძე, რომელმაც არ გაიზიარა ნ. მარის ხსენებული მოსაზრება. მან თავის აზრი ვარდაპეტის და მოძღვრის ურთიერთმიმართების შესახებ გამოთქვა 1928 წელს, პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძეს შესავალში მიმოხილული აქვს აგრეთვე ალ. ვაჩიშვილის, ივ. სურგულაძის, გ. ნასყიდაშვილის, ზ. რატიანის, ე. გაბიაშვილის, ბ. ლომინაძის, ის. დოლიძის და სხვათა შრომები.

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია დღემდე მოღწეული საეკლესიო სამართლის წყაროები. იმ წყაროთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა “სწავლება 12 მოციქულისა” (“დიდაქე”), რომელიც I-II საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება, შემდეგ მოდის მსოფლიო საეკლესიო კრებები და მათი კანონები. მოკლედ არის განხილული შვიდივე მსოფლიო საეკლესიო კრება. გაანალიზებული აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის საეკლესიო კრებები და კანონები. მთელი II თავი ეძღვნება საეკლესიო სამართლის წყაროების პირველ ქართულ თარგმანებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში მსოფლიო საკანონმდებლო ძეგლების ქართული თარგმანები გადმოღებული უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას მისაღებად თვლის მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე.

ნაშრომის საყურადღებო ნაწილია ის თავი, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით არის გაანალიზებული საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები. ამ წყაროების კვლევა საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი, ეროვნული ეკლესიის სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენს საკუთარი კრებების დადგენილებანი. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეკლესია ავტოკეფალურია, ხოლო თუ მას არა აქვს ავტოკეფალია, მაშინ მისი სამართლის წყაროა ზემდგომი, კირიარქალური ეკლესიის დადგენილებანი. საკითხის უფრო ნათელსაყოფად ავტორს მოაქვს რუსული ეკლესიის მაგალითი. რუსული ეკლესია XV ს-მდე ანგარიშვალდებული იყო აღესრულებინა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კრებათა, პატრიარქთა და სინოდის დადგენილებები, რადგან იქამდე იგი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი მიტროპოლია. რუსეთის ეკლესიის ანალოგიურად, ავტოკეფალიის მიღებამდე საქართველოს ეკლესიის სამართლის ძირითადი წყარო იყო კირიარქალური ეკლესია. ეს ეკლესიები გახლდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესია - IV ს-ის დასაწყისიდან, შემდეგ კი ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ მოექცა V ს-ში. ისტორიკოსების ამ დასკვნას არ ეთანხმება მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე. მისი აზრით, რადგან კონსტანტინოპოლი იმპერიის დედაქალაქად აკურთხეს 330 წელს, ხოლო ამ დროს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ემორჩილებოდა თრაკიაში მყოფ თავის მიტროპოლიტს, გამოდის

კონსტანტინოპოლს IV ს-ის 30-იან წლებში თავისი ნორმალური სიდიდის ეპარქიაც კი არ გააჩნდა. მას მთელი საუკუნე დასჭირდა, რათა თავის იურისდიქციაში მოექცია 451 წლის ქალკედონის მსოფლიო კრების დასტურით იქამდე ავტოკეფალური დიოცეზები თრაკიისა, ასიისა და პონტოსი. რახან ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: როდის დაარსდა ოფიციალური ქართული ეკლესია. ამ კითხვაზე საკუთარი პასუხი აქვს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს. მეცნიერთა მოსაზრებათა საფუძველზე ქართული ეკლესია დაარსდა ან 317, ან 326, ან 337 წლებში. ავტორი ასე მსჯელობს: ქართული ეკლესია თუ დაარსდა 326 წელს, მაშინ კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში მისი მოხვედრა გამორიცხულია. თუ დაარსდა 337 წელს, ახლად დაარსებული (330) კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს არ შეეძლო თავის იურისდიქციაში მოექცია ქართული ეკლესია. რადგან ჯერ თვითონ არ იყო მომძლავრებული. დაუშვათ, მოენდომებინა, მაინც ვერ შეძლებდა, რადგანაც მაშინ კონსტანტინოპოლსა და საქართველოს შორის პონტოს დიოცეზის ავტოკეფალური ეკლესია იყო. ასე რომ, “საეკლესიო სამართლის” მიხედვით, IV ს-ის 30-იან წლებში ასეთი დაქვემდებარება შეუძლებელი იყო. მსგავსადვე საეჭვოა, ანტიოქიის იურისდიქციას ჩვენი ეკლესიის მიმართ” (გვ. 128). მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ამ მოსაზრების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად მოაქვს გიორგი მთაწმინდელის დებულება, რომლის თანახმად ქართული ეკლესია დაარსებული იქნა არა IV ს-ში, არამედ I-II საუკუნეებში თვით მოციქულთა მიერ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსად სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ყველა ეკლესიისა, ქართული ეკლესიაც დაარსებისთანავე ავტოკეფალური იყო, თანახმად იმდროინდელი საეკლესიო სამართლისა. ამიტომ ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიები ქართული ეკლესიის მიმართ უკანონო იყო. ანტიოქიის ეკლესია არასდროს ყოფილა ქართული ეკლესიის ე. წ. “დედა ეკლესია”. გიორგი მთაწმინდელის მოსაზრებას მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ნასტაკისში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალითაც ამაგრებს. ამ არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს, რომ II-III საუკუნეებში ქართლში ქრისტიანულ სარწმუნოებას არამც თუ დაბალ, არამედ საზოგადოების მაღალ ფენებშიც კი შეუღწევია.

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ერთგვარი დასკვნის სახით გვთავაზობს, როცა აღნიშნავს, ბალსამონის მიერ ნახსენები “ანტიოქიის კრების დადგენილებამდე”, რომელმაც თითქოს XI ს-ში ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა, ქართული ეკლესია დიდი ხნის ავტოკეფალური იყო, რადგან საქართველოს ეპისკოპოსები არ ემორჩილებოდნენ უცხოეთის არც ერთ პატრიარქს. ყოველი ადგილობრივი საეკლესიო წესი საქართველოშივე “განეგება”.

საქართველოს ეკლესიაში “თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა“ (გვ. 140). ამ მოსაზრების გასამკვიდრებლად იმოწმებს გიორგი მთაწმინდელს. მას საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიები თანაბარი უფლებების მქონე, თავისთავად ეკლესიებად მიაჩნდა. გიორგი მთაწმინდელი არ ცნობდა ანტიოქიის საყდრისადმი ქართული ეკლესიის დაქვემდებარებას არც ერთ დროში, არც წინა საუკუნეებში და არც მის დროს. I-II საუკუნეებში საქართველოს ეკლესია მოციქულთა მიერ იყო დაარსებული, ე. ი. ავტოკეფალური, რაც შეეხება მირონის კურთხევას, ძველად ამ უფლების უპირატესობით ეპისკოპოსები სარგებლობდნენ. ეპისკოპოსთა ეს უფლება უფრო განამტკიცა კართაგენის კრებებმა IV ს-ში. VI-VII ს.ს. სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები მირონს თვითონვე აკურთხებდნენ. ამასთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძეს მეცნიერულად აქვს დასაბუთებული ის ფაქტი, რომ სამართლებრივად სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების თანატოლი და თანაფარდი ქართული ეკლესიაც თვითონ ხარშავდა მირონს ძველთაგანვე. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ IV საუკუნიდანვე უფლის კვართზე ამოსული სვეტიცხოვლის ძირიდან მირონი გადმოედინებოდა, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მას ურევდნენ ხარშვისას წმინდა მირონს.

გამოწვევილივით არის გაანალიზებული საეკლესიო სამართლის წყაროები დვინის კრებიდან რუის-ურბნისის კრებამდე (VI-XI სს.), რუის-ურბნისის კრების შემდგომი პერიოდი (XII-XIII სს.), მიმოხილულია ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების ხანის საეკლესიო სამართლის ძეგლები - “საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის გაუქმების დროს“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მეფის რუსეთმა გააუქმა 1811 წლის 30 ივნისს. ნ. დურნოვოსა და ქართველ უმაღლეს სასულიერო პირთა აზრით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო საეკლესიო უკანონობის აქტი, რადგან საქართველოს ეკლესიის დადგენილებების და მსოფლიო ეკლესიის თანხმობის გარეშე გააუქმა ძველი ივერიის საკათალიკოსო, მისი უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი ძალდატანებით გადაასახლა უცხო მხარეში, საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა მამულები, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კრებები მთელი საუკუნის მანძილზე, დაავალა საქართველოს ეკლესიას, მისი კრების დაუდგენლად ედღესასწაულა რუსეთის ეკლესიის წმინდანთა დღეები. აგზავნიდა საქართველოს ეკლესიის მმართველად ეგზარქოსებს - მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. როგავა. აქედან გამომდინარე, ქართული ეკლესიის შერწყმა რუსულთან კანონიკურად არ მომხდარა, რადგანაც ეს უნდა მომხდარიყო კანონიკურ საფუძველზე

- “ე. ი. საქართველოს და რუსეთის ეკლესიათა ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთის პატრიარქთა დასტურით. **სინამდვილეში კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იქნა რუსეთის იმპერატორის ნებასურვილით**“ (გვ. 205) - დაასკვნის მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე. შემდეგში მოაქვს ფაქტები, თუ როგორ გააუქმეს ეპარქიები საქართველოში, ქართველ სასულიერო პირთა პროტესტი და მათი ჩახშობა ცარიზმის მიერ და სხვ.

მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის წარმოდგენილი საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის აღდგენის (1917წ.) შემდეგ.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი მოიცავს საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო კრებების მეცნიერულ ანალიზს. ეს ანალიზი კი არის ღრმა და ყოველმხრივი. შეიძლება ითქვას, საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო კრებების ამგვარი მთლიანი, სრული და აკადემიური კვლევა დღემდე არ ყოფილა ჩატარებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივ.ჯავახიშვილის ადრეულ ნაშრომებს. ერთი სიტყვით, დაწყებული რუის-ურბნისის საეკლესიო საკანონმდებლო კრებიდან (1103 წ.), ვიდრე საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის პირველი კრების (1917 წ.) მიერ გამოცემულ “დებულებამდე“, ყველა საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები, დებულებები და ფაქტები გამოწვევილივით არის განხილული. XII-XVIII საუკუნეებში კი სულ შედგა 10 საკანონმდებლო კრება.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძის ვრცელი ნაშრომის პირველი წიგნი მთავრდება შესაბამისი დასკვნით, რომელშიც გადმოცემულია კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დებულებები. ამ დებულებების ძირითადი არსი შემდეგით გამოიხატება: საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გამო გამოწვეული დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად საკმარისი არ აღმოჩნდა საერო (მეფის და ერისთავთა) ძალაუფლება. ამიტომ საჭირო გახდა ეკლესიის ავტორიტეტი და მისი ენერგიული ჩარევა. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა სამართლის ძეგლებში. სახელმწიფოში ეკლესიის როლის ამალღების გამო საერო სამართლისა და სამოქალაქო ცხოვრების მთელი რიგი საკითხები კანონიკური სამართლის ნორმებად წესრიგდებოდა და საეკლესიო სასამართლოების კომპეტენციას შეადგენდა. ვფიქრობთ, დასკვნაში მოკლედ, მაგრამ ზედმიწევნით სისრულითაა ასახული ავტორის მიერ წარმოებული კვლევის შედეგი.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აქ არ გაჩერებულა, გაუგრძელებია კვლევა და ამავე წელს გამოუცია მეორე წიგნი. იგი მოიცავს შემდეგ ნაწილებს: “საქართველოს ეკლესიის მიმდინარე კრებები“ (IV-XVIII სს.),

“მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით“. საქართველოს ეკლესიის არსებობის 1600 წლის მანძილზე ათასობით საეკლესიო კრება უნდა ყოფილიყო მოწვეული, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე კრება იყო გამოვლენილი და შესწავლილი. ამის მიზეზი მარტო ის კი არაა, რომ საეკლესიო სამართლის მეცნიერული შესწავლა გვიან დაიწყო (XIX ს-ის ბოლო და XX ს-ის დასაწყისი), ანდა ათეისტურმა რეჟიმმა ჩქარა შეაფერხა იგი, არამედ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად მოწვეულ კრებათა საკმაოდ დიდი რიცხვისა, მათ შესახებ პირდაპირი ცნობები მცირე რაოდენობით შემორჩა. ძირითადად “სჯულდების წიგნებში“, ტიპიკონებში, საეკლესიო და სამონასტრო კრებულთა განჩინებებში, “დაწერილებში“, სიგელ-გუჯრებსა და სხვა საეკლესიო სამართლის აქტებში. ისინი ივ. ჯავახიშვილის აზრით, მართალია, მოქმედი საეკლესიო სამართლის პირუთენელ საბუთებს წარმოადგენენ, მაგრამ მათში კვლევის შესაბამისი მასალის მოძიება დიდ შრომა-გარჯასთან არის დაკავშირებული. და აი, მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე არ შეუშინდა დაულალავ შრომას და წლების მანძილზე კეთილსინდისიერი მეცნიერული მუშაობით გამოავლინა XIV-XX სს-ში შემდგარი 100-მდე საეკლესიო კრება, მათ შორის 15 საკანონმდებლო. IV-XVIII სს-ში მოწვეული 21 და XIX-XX სს-ში შემდგარი 50-მდე მიმდინარე საეკლესიო კრება, მათ გარდა 9 მსოფლიო და საერთაშორისო მნიშვნელობის კრება, რომელთა მუშაობაში ქართველი ეპისკოპოსები მონაწილეობდნენ. ეს კი არც თუ მცირე მეცნიერული წარმატებაა ერთი მკვლევარისათვის. რაც შეეხება მეორე წიგნს, როგორც აღვნიშნეთ, მასში განხილულია IV-XVIII სს-ში შემდგარი 21 საეკლესიო კრება, მათგან ზოგიერთი, მართალია, მოწვეული იქნა საქართველოს საზღვრებს გარეთ, მაგრამ მიეძღვნა საქართველოს საეკლესიო საკითხებს. ავტორი სწორად მოიქცა, როცა ამ კრებათა მნიშვნელოვან ნაწილს თან დაურთო მათ მიერ მიღებული საეკლესიო სამართლის ძეგლები. მიტროპოლიტმა, პროფ. ანანია ჯაფარიძემ განხილულ საეკლესიო კრებებს მოწვევის ადგილის მიხედვით მიაკუთვნა სახელი. მან ასეთი დასკვნა შემოგვთავაზა: “შესწავლილი საეკლესიო კრებების ანალიზი ადასტურებს ძველი ქართული ისტორიოგრაფიის დაბეჭდილებულ მტკიცებას იურისდიქციის საზღვრების შესახებ (კერძოდ, რომ IV ს-დან ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო, არამედ დასავლეთ საქართველო) თავდაპირველად მდინარე ეგრისის წყალმდე, შემდეგ კი მდინარე კლისურამდე), საეკლესიო ენის და სხვათა შესახებ“ (გვ. 6). შეიძლება ითქვას ამ დასკვნის ფაქტობრივ და

საფუძვლიან მტკიცებას წარმოადგენს მთელი ამ ვრცელი ნაშრომის შემეტესი ნაწილი.

საქართველოს ეკლესიის ისტორია დღემდე პერიოდებად არ იყო დაყოფილი. მიტროპოლიტმა, პროფ. ანანია ჯაფარიძემ პირველმა დაყო საქართველოს ეკლესიის ისტორია პერიოდებად. ამ დაყოფას საფუძვლად დაუდო საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის სახელმწიფოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების ეტაპობრივი განვითარება, მოდელად კი აიღო მსოფლიო ეკლესიის ისტორიის პერიოდული სისტემა. ქართული ეკლესიის ისტორიაში გამოყო ორი პერიოდი: ძველი მოიცავს პირველი საუკუნიდან XII ს-ის დასაწყისამდე (რუის-ურბნისის კრებამდე, 1103-1105წწ.), მეორე, ანუ შუა პერიოდი მოიცავს ხანას XII ს-დან XIX ს-ის დასაწყისამდე, ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წ.), ახალი პერიოდი მოიცავს ხანას XIX ს-ის 10-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე. რასაკვირველია, ეს პერიოდიზაცია, განსაკუთრებით პირველი პერიოდი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ერთი კი ფაქტია, ავტორმა წარმოადგინა ქართული ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის მისეული მეცნიერული ხედვა. მოგვცა ყოველი პერიოდის შესახებ არსებული ქართული და არაქართული საისტორიო წყაროების მიმოხილვა. მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე საერთოდ თავის მეცნიერულ მემკვიდრეობაში და ამ ნაშრომში კატეგორიულად იცავს იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველომ ქრისტიანობა ერთდროულად მიიღო. იგი ეყრდნობა რუის-ურბნისის კრების დადგენილებას აღნიშნულ საკითხზე, აგრეთვე, საერთოდ, ქართველ წმინდა მამათა, ისტორიოგრაფთა და მემატრიანეთა მიერ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალსაზრისს.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძეს შემდეგ განხილული აქვს საქართველოს ეკლესიის 19 მიმდინარე კრება. ყველა ამ კრების ანალიზს ვერ წარმოვადგენთ, მაგრამ ზოგიერთს კი გარკვეულწილად შევეხებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული და სომხური ეკლესიები VII ს-ის დასაწყისში საბოლოოდ დაშორდნენ, მათ შორის კამათი რელიგიურ საკითხებზე მაინც გაგრძელდა და რიგ შემთხვევაში მძაფრ ხასიათსაც იღებდა. ეს გაუთავებელი დისკუსია ქართველი და სომეხი სამღვდელოებისა ქართველ მეფეებს არასასურველ მოვლენად მიაჩნდათ და ცდილობდნენ მათ ერთგვარ მორიგებას. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა იყო დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს. დავით აღმაშენებლის დროს 1123 წელს გამართულა ქართველ და სომეხ სასულიერო მოღვაწეთა პაექრობა-კამათი. კრება დიდხანს გაგრძელებულა, დილაადრია დაწყებულა და დამთავრებულა გვიან საღამოს. მაგრამ ვერ შეთანხმებულან ვერცერთ რელიგიურ საკითხზე.

ბოლოს მეფე დავითი იძულებული გამხდარა მიემართა სიტყვით სომეხი სასულიერო პირებისათვის. ეს სიტყვა იმდენად ღრმაშინაარსიანი ყოფილა, რომ სომეხ სასულიერო პირთ მისი მოსმენის შემდეგ მეფისთვის შეუბღიათ: “ჩვენ, მეფეო, მოწაფე გვეგონე ამათ მოძღვართა თქვენთა, გარნა ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღვარ-მოძღვართა, რომლის მსჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღვარ საგონებელნი თქვენნი“. ამ მიმართვას მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე სწორ ინტერპრეტაციას უკეთებს, როცა წერს ამ სიტყვებით სომეხმა ღვთისმეტყველებმა დაამცირეს ქართველი რჯულის მოძღვრები, რომელთაც არა “მოძღვრები“, არამედ “მოძღვართსაგონებელნი“, ე.ი. ვითომ მოძღვრები უწოდეს. ეს შეფასება სუბიექტური იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ კრებაში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი სასულიერო მოძღვრები, ავიღოთ თუნდაც არსენ იყალთოელი, რომელსაც ამ დროს თარგმნილი ჰქონდა დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებანი (“დოგმატიკონი“). პოლემიკურ თხზულებათაგან რ მიმართული იყო იაკობიტთა, მონოფიზიტთა, ხოლო სამი - სომეხური ეკლესიის “სომეხთა“ წინააღმდეგ.

საეკლესიო კრება, პაექრობა-კამათი თამარ მეფის დროსაც გამართულა ქართველ და სომეხ სასულიერო მოღვაწეთა შორის, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ ეს რელიგიური დავა რომ გადაწვეტილიყო, მიმართეს შემდეგ ხერხს: ორივე მხარეს სამი დღით ძალები დაუმშვევიათ, შემდეგ კი მათ წინ დაუდვიათ წმინდა ძღვენი, ქართველთა შენაწირ სუფრას მშვიერი ძაღლი არ გაჰკარებია, ხოლო სომეხთა შენაწირი ძაღლს შეუჭამია. ქართველებს, რასაკვირველია, გახარებიათ. ამის შემდეგ გადაუწყვეტია ამირსპასალარ ივანე მხარგრძელს მართლმადიდებლად მონათვლა და იგი საქართველოს კათალიკოს იოანეს მოუხნათლავს. ამ არაორდინალურ კამათში თამარ მეფე არ ჩარეულა.

ერთ-ერთი საყურადღებო თავია “სვანეთის საეკლესიო კრებები“ (XIII-XVIII სს). მასში განხილულია საეკლესიო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორცაა “მატიანე სუანეთისა კრებისაი“. მას ზოგიერთი მკვლევარი პირობით ყოფს სვანეთის საეკლესიო კრებათა “პირველ მატიანედ“ და “მეორე მატიანედ“. ფაქტობრივად, მასში დასახელებული არიან ის პირები, რომელთაც რაღაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ეკლესიის წინაშე. ასე რომ, როგორც მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე შენიშნავს, აქ საეკლესიო კრება პირდაპირი გაგებით არ იგულისხმება. “პირველი მატიანეს“ მთავარი ტექსტი XIII-XV საუკუნეებს მოიცავს და ეხება სვანეთის მღვდელ-მსახურთა შემადგენლობას და სვანეთის ეკლესიათა ზოგად აღწერას, ხოლო სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე“ -

სვანეთის ცხოვრების დაქვეითების მიმე, XVII-XVIII საუკუნეთა ხანას. ეს კვალიფიკაცია ეკუთვნის პროფ. გ. გასვიანს (დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1979, გვ. 62, 74).

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე მიაჩნია, რომ ქრისტიანობა საქართველოში გავრცელდა პირველ საუკუნეებში, მოციქულთა დროიდან. IV საუკუნიდან კი ის შეიცვალა ქრისტიანული ეკლესიის იმ ეპოქისათვის მისაღები ფორმით და საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი ავითარებს ასეთ აზრს: “პირველ საუკუნეთა ქრისტიანობას სპეციალისტები “იუდაურ ქრისტიანობას“ უწოდებენ, ხოლო შემდგომს “ელინურ ქრისტიანობას“ (გვ. 193). შემდეგ ავტორი დაასკვნის, როგორც ჩანს, IV საუკუნიდან ჩვენში გავრცელებულმა ელინურმა მძლავრმა ქრისტიანობამ ვერ იგუა ძველი, ე. წ. იუდაური ქრისტიანობა და ამ ძველმა ქრისტიანულმა მიმდინარეობამ მთებს შეაფარა თავი. ამის შემდგომ მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს მთებში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ღრმა ქრისტიანი იყო და ქრისტიანობისათვის მზად იყო თავის დასადებად. მაგრამ იქვე შენიშნავს, თუმცა ზოგიერთი ისეთი წეს-ჩვეულებაც ჰქონდათ, რომელთაც ახსნას ვერ უძებნიან და წარმართობის ელემენტებად მიიჩნევენო. ასეთია, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ე. წ. “სისხლით განწმენდა“. ეს რიტუალი კი ასეთია: ზვარაკის სისხლს ასხურებენ სხვადასხვა შენობებსა და ნივთებს, მათ განსაწმენდად. მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ამ ჩვეულებას თვლის არა წარმართობიდან, ან იუდეველობიდან მომდინარე რიტუალად, არამედ ფიქრობს, რომ იგი დაფუძნებული უნდა იყოს “იოანეს გამოცხადების“ შემდეგ მუხლზე - “მე ვუთხარი მას: “უფალო ჩემო, შენ იცი“ და მან მითხრა: “ესენი არიან დიდი გასაჭირიდან მოსულნი, გაირეცხეს თავიანთი სამოსი და გაასპეტაკეს ისინი კრავის სისხლით“ (გამოცხადება 7:4).

ფიქრობთ, “გამოცხადების“ აღნიშნული მუხლი არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ზვარაკის სისხლით განწმენდა მოდის ქრისტიანობიდან. შესაძლოა, ეს ჩვეულება მოდის უფრო წარმართობიდან ან იუდეველობიდან.

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე აღნიშნავს: საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოს მთის მოსახლეობა სარწმუნოებრივად უფრო წარმართები არიან, ვიდრე ქრისტიანები. იგი ამ აზრს არ იწყნარებს და საპირისპიროს ამტკიცებს. საბუთად მოაქვს “სვანეთის საეკლესიო კრებათა მატიანე“. ამ საყურადღებო დოკუმენტთა კრებულის მიხედვით თითქოს მთაში ქრისტიანული სარწმუნოება ოდითგან მყარად ჩანს დამკვიდრებული, მაგრამ განსჯისათვის გვინდა შევნიშნოთ: გასული საუკუნის 20-იან

წლებში, როცა ათეიზმის საშინელი ტალღა აგორდა და ეკლესია-მონასტრების განადგურების კამპანია გაჩაღდა, ეს ვანდალური პროცესი მთაშიც ჩატარდა. ბოლშევიკებმა დაიწყეს მთაში ქრისტიანული საყდრების გაუქმება. მათ საყდრები ჩვეულებრივსაძებრ ან დაანგრიეს, ან საწყობებად აქციეს. ამ უკეთურ საქმეში მთის ხალხს მათთვის ხელი მაინცდამაინც არ შეუშლია, მაგრამ როცა მათ წარმართულ სალოცავებს მიადგნენ, თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს და ახლოს არ მიაკარეს ეშმაკის მოციქულნი. ამით გადაჭრით არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ანგარიშგასაწევი ფაქტი კია მთაში წარმართობის და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების დღემდე საკამათოდ ქცეულ საქმეში.

1755-1756 წლებში შედგა საეკლესიო კრებები თბილისში. ამ კრებებზე განიხილეს კათალიკოს ანტონ I-ის “გაკათოლიკების“ საკითხი. კრებამ ანტონ I დაადანაშაულა “გაკათოლიკებაში” და განკვეთა. ამ საკითხს ეხება ვრცელი პარაგრაფი. მასში ნაჩვენებია ამ გადაწყვეტილების აბსურდულობა. უფრო ზუსტად, ანტონ I-ს ცილი დასწამეს. სინამდვილეში ამით თეიმურაზ II-მ თავიდან მოიშორა ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე ანტონ I კათალიკოსი. იგი რუსეთში გადასახლეს. ანტონ I-ის უდანაშაულობას ამტკიცებდნენ ვახუშტი ბატონიშვილი, მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძეს ანტონ I-ის გამართლება და ამ საქმეში ერეკლე II-ის როლი საკმაოდ ვრცლად აქვს გადმოცემული. ეს მოხდა თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე ავიდა ერეკლე მეორე. 1764 წელს შედგა საეკლესიო კრება. კრებამ გააუქმა 1755-1756 წლის კრებათა გადაწყვეტილება და ანტონ I კათალიკოსი ტახტზე დააბრუნეს. ამ კრებამ გამოიძია, ვინ შეიყვანა შეცდომაში წინა კრებები და დამნაშავე მღვდელი ზაქარია გაბაშვილი და მისი შვილი იოსები სასტიკად დასაჯა.

მიტროპოლიტ, პროფ. ანანია ჯაფარიძის შრომის მესამე ბოლო ნაწილია საქართველოს საეკლესიო მიმდინარე კრებები XIX-XX საუკუნეებში. მასში განხილულია XIX-XX საუკუნეებში შემდგარი 50-ზე მეტი საეკლესიო კრება, რომელთა ერთად თავმოყრა და ერთ მონოგრაფიად გამოცემა პირველად მოხდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაშრომის ამ წიგნში წარმოდგენილია მეცნიერული ანალიზი XIX-XX საუკუნეებში შემდგარი მიმდინარე საეკლესიო კრებებისა. ავტორს ეს კრებები დაყოფილი აქვს სამ მთავარ ჯგუფად: 1. კრებები, რომელიც შედგა ავტოკეფალიის გაუქმებიდან მის

აღდგენამდე. 2. 1917 წელს შემდგარი ავტოკეფალიის აღმდგენი კრებები. 3. კრებები 1918-1995 წლებისა.

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე განიხილავს რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საკითხს, სრულიად მართებულად აღნიშნავს: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა არა 1811 წელს, არამედ 1821 წელს, როცა რუსეთის ხელისუფლებამ მთელი სისასტიკით ჩაახშო დასავლეთ საქართველოში საერთო-სახალხო აჯანყება, რომელიც შეეცადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვას. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ გააუქმა საეკლესიო თავისთავადობა საქართველოს ამ კუთხეში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ქართული ეკლესია შედგებოდა ორი ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი - ქართლისა და აფხაზეთის (იმერეთის) საეკლესიო ერთეულისაგან, რომელთა მეთაურები პატრიარქის წოდებამდე ამალდნენ. ეს არ არის უჩვეულო მოვლენა. ასეთი ტიპის საეკლესიო მოწყობა აქვთ სხვა ქრისტიანულ ერებს - ბერძნულ ეკლესიას გააჩნდა და ახლაც აქვს რამდენიმე საპატრიარქო და ავტოკეფალური საეკლესიო ერთეული. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობა აქვთ სომხებს. ქართული ეკლესიის ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XVIII ს-მდე. სარეცენზიო წიგნში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ შეეცადნენ ქართული ეკლესიის მესვეურები საქართველოს ეკლესია გამოეყვანათ ასეთი არასახარბიელო მდგომარეობიდან და გაეერთიანებინათ. ამ დიდი ეროვნული საქმის ორგანიზატორები იყვნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ტახტზე მჯდომი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი და მიტროპოლიტი ექვთიმე გენათელი. ეს მამინ იყო მცდელობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების საფუძვლის მომზადებისა, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. რახან ეს არ გამოვიდა, ამიტომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იერარქებმა უმჯობესად მიიჩნიეს სრულიად საქართველოს ეკლესიის გაერთიანება: ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოზმა უარი თქვა საკათალიკოზო ტახტზე, რომელიც მას უბოძა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ, ერთი სიტყვით, იგი თავისი ნებით დაექვემდებარა ქართლის საეკლესიო ხელისუფლებას - კათალიკოს ანტონ I-ს. ასე რომ, 1811 წლისათვის საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მთლიანად მოიცავდა. ნაშრომში მამულიშვილის გულისტკივილით არის აღწერილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის მთავრობის მიერ, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება და ქართველთა მიზანმიმართული გარუსება. სკოლებში სწავლება რუსულად დააკანონეს, ეკლესიებში წირვა-ლოცვა რუსულად დააწესეს. კიდევ მეტი, რუსეთის იმპერია ყველა მართლმადიდებელს,

და მათ შორის ქართველებს, რუსად ანდა პოტენციურ რუსად განიხილავდა. ამ დროს რუსეთი სომხებს, ებრაელებს და სხვა ხალხებს ეროვნულს უტოვებდა და ხელს არ ახლებდა. ეს ტრაგიკული მოვლენა რომ უფრო მკაფიოდ წარმოიდგინოს მკითხველმა, მეუფე ანანიას მოაქვს ამონარიდი არქეოლოგრაფიული კომისიის აქტების მე-6 ტომში დაბეჭდილ ქართველთა საჩივრიდან: “თუ რუსეთის იმპერიაში არ შეახეს ხელი ებრაელთა სარწმუნოებას, აგრეთვე სომხებისა და კათოლიკეთა ეკლესიებს, ჩვენ რატომ უნდა წარმოვადგენდეთ გამონაკლისს. თუ იმ დროს, როცა მაჰმადიანთა ხელში ვიყავით, არავინ ეხებოდა ჩვენს მტკიცე რწმენას და არც მრავალ მწუხარებას გვაყენებდნენ, მაშ რაღა დავაშავეთ ამჟამად, როცა გვტაცებენ შეჩვეულ მღვდელმთავრებს, ტაძრებს და მღვდლებს“ (გვ. 12).

ქართველთა თხოვნა-ვედრებამ არ გაჭრა და რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში ეგზარქოს თეოფილაქტეს მეთაურობით აგრძელებდა ეგრეთწოდებულ საეკლესიო “რეფორმას”, რომლის ძალითაც “მღვდლების” რიცხვი უნდა შემცირებულიყო ერთი-ორად და ერთი-სამად, ეპისკოპოსების შესამჩნევად დასაწახი ცხოვრება ამალითა და სტუმრობით მოისპობოდა, რაც ფრთებს შეაკვეცდა მათ გავლენას თავადაზნაურობასა და ხალხზე; როდესაც საეკლესიო გლეხების აღწერას შეუდგნენ გადასახადების ფულზე გადატანის და მათი მომატების მიზნით, ხალხი შეშინდა. ამიტომ აჯანყდა მთელი იმერეთი, საზოგადოების ყველა ფენა: 1819 წლის ივნის-ივლისში თითქმის ყოველი სოფლის ეკლესიებთან იკრიბებოდნენ. ხალხი ხატზე იფიცებდა, რომ არ უღალატებდნენ ერთმანეთს, საქრისტიანო საქმეს და ა. შ. აჯანყებულთა მიზანი იყო ე. წ. “საეკლესიო რეფორმის” გაუქმება. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში რუსების ქვეყნიდან განდევნას ისახავდა მიზნად. მიაჩნდათ, რომ აჯანყების სათავეში იყვნენ ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები - დოსითეოზი და ექვთიმე. ამიტომ ისინი ტომარაში ჩასვეს და რუსეთის გზას გაუყენეს. მაგრამ მიტროპოლიტი დოსითეოზი გზაში მოკლეს რუსის სალდათებმა. იგი დაასაფლავეს ანანურში, ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატის წინ. მიტროპოლიტი ექვთიმე კი გადაასახლეს შორეულ რუსეთში, სვირის მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1822 წლის 21 მარტს. ორივე მიტროპოლიტი წმინდანად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ. ეს აჯანყება კი რუსის გენერალმა ველიამინოვმა მთელი სისასტიკით სისხლში ჩაახშო. რა სამწუხაროა თბილისის ერთ-ერთი ქუჩა სოლოლაკში ამ რუსის სატრაპის სახელს ატარებდა და ახლაც მას ინერციით ხალხი ველიამინოვის ქუჩა ეძახის. კიდევ მეტი, ვიღაც მედუქნემ დღეს ამ ქუჩაზე მდებარე ცნობილ სახინკლეს ველიამინოვის სახელი უწოდა და ქართველთა სისხლისმღვრელი ჯალათის გვარი “ამშვენებს” მის აბრას. თუმცა, მოვიდეთ პირველ სიტყვას და მივხედოთ მიტროპოლიტ, პროფ.

ანანია ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილ ქართული ეკლესიის ისტორიის სვედიან ქრონიკებს. ამგვარი რეპრესიების, განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულების, დამარცხების შემდეგ ქართველი ხალხი დაითრგუნა. ქართული ეკლესიის მრავალმილიონიანი ქონება ყაჩაღურად დაიტაცეს რუსის ეგზარქოსებმა. ეს იმდენად უსირცხვილო და ზღვარგადასული მისაკუთრება იყო ქართული საეკლესიო ქონებისა, რომ თვით რუსის პატიოსანი სასულიერო პირებიც კი აღმფოთდნენ. ამ მხრივ გამოირჩევა ნ. დურნოვო, რომელმაც ხმა აღიმალა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების და ქართული ეკლესიების კუთვნილი ქონების ძარცვის წინააღმდეგ.

ნაშრომში მოცემულია მიზეზები იმისა, თუ როგორ ხდებოდა რუსის მთავრობის ხელშეწყობით და მცდელობით ქართველთა გაათათრება, გაოსება, გასომხება და ა. შ. ქართველთა გასომხების შესახებ კი ავტორი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მართებულად დაასკვნის; “რუსების დროს ქართველი გრიგორიანელები საბოლოოდ გასომხდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ რუსეთის იმპერია აშკარად მფარველობდა სომხურ ეკლესიას, იცავდა მის თავისთავადობას, არ შეხებია მის ავტოკეფალურობას, ხოლო ქართული ეკლესია თითქმის გააქრო საიმპერიო ეკლესიის წიაღში“ (გვ. 37).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესია რუსეთის იმპერიის ძლიერი წინების ქვეშ იყო მოქცეული და მისი საბოლოო მოსპობა სურდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე ფიქრი მაინც არ მომკვდარა და დროდადრო იღვიძებდა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნამ განსაკუთრებით იფეთქა XIX საუკუნის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში. ავტოკეფალიის იდეის ამ პერიოდში გააქტიურების შესახებ ნაშრომში მოტანილია მეცნიერთა ორი განსხვავებული აზრი. კირიონ II ფიქრობდა, რომ ეს იდეა დაბადა ნ. დურნოვოს გაბედულმა წერილებმა, პატრიარქი კალისტრატე კი ამტკიცებდა, რომ ამას საფუძველი დაუდო მისმა გამოკვლევამ “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“. მეუფე ანანიას მართებულად მიაჩნია: საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების შედეგად საქართველოში ბუნებრივად გაჩნდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის აქტიურ აღორძინებას იქნებ ნიადაგი შეუმზადა და ბიძგი მისცა ნ. დურნოვოს და პატრიარქ კალისტრატეს შრომებმა. ასეც შეიძლება ვიფიქროთ. ასეა თუ ისე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს უჭერდნენ და გულმოდგინედ იცავდნენ: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ნიკოლოზ ზაოზერსკი, მ.კოვალნიცკი, ი. პალმოვი და სხვ. მათი ოპონენტები იყვნენ საქართველოს ეკლესიის მტრები: ი.

ვოსტორგოვი, ი. ბუტკევიჩი, პროფესორები: გლუბოკოვსკი, ბერდნიაკოვი, ალმაზოვი, ოსტროუმოვი, ეპისკოპოსი სტეფანე, მიტროპოლიტები ვლადიმირი და მაკარი, ტვერის ეპისკოპოსი სერაფიმი, ეპისკოპოსი ინოკენტი (ქ. პავლიაშვილი, “საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ.” გვ. 129).

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე ვრცლად განიხილავს 1905-1916 წლების საეკლესიო კრებებს, რომლებზეც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი არაერთგზის იქნა განხილული. ამ დროს ავტოკეფალიის საკითხის გააქტიურებას ხელი შეუწყო 900-იანი წლების პოლიტიკურმა ძვრებმა - 1905 წლის რევოლუციამ გამოაწვია საზოგადოებრივი აზროვნების და პრესის ერთგვარი განთავისუფლება ცენზურის ბრწყალებისაგან, ამან კი საშუალება მისცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრეებს, ენერგიულად მოეთხოვათ ქართული ეკლესიის თავისთავადობის აღდგენა. მაგრამ არც რუსეთის უწმინდეს სინოდს ეძინა და სასტიკად გაუსწორდა ქართველ “ავტოკეფალისტებს”: ეპისკოპოსი კირიონი საქართველოდან გაიწვია და რუსეთის ერთ-ერთ ყრუ მონასტერში გამოამწყვდია; ეპისკოპოსი ლეონიდე თავის კათედრას ჩამოაშორეს და სხვაგან გადაიყვანეს. ნაშრომში დეტალურად არის განხილული 1905-1916 წლებში მოწვეული 19 საეკლესიო კრება. აგრეთვე გამოწველივით არის გაანალიზებული 1917 წლის ავტოკეფალიის აღმდგენელი 19 კრება. ყველაფერი დამთავრდა 1917 წლის 12 მარტის “თვითგამორკვევის აქტის” მიღებით. ამ დღეს სვეტიცხოვლის ტაძარში შეიკრიბნენ საქართველოს სამღვდელთა და ერისკაცთა წარმომადგენლები. მათ ერთხმად დაადგინეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობის აღდგენა. რა თქმა უნდა, რუსეთის ეკლესია წინააღმდეგი იყო ამ სამართლიანი აქტისა და ამტკიცებდა, თითქოს ასეთი ქმედება არაკანონიკური იყო და ქართული მხარე უნდა დალოდებოდა რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევას. 1917 წლის 17 სექტემბერს კრებამ აირჩია კათალიკოს-პატრიარქი. დასახელებული იყო ორი: ეპისკოპოსი - კირიონი (საძაგლიშვილი) და მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე). არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 448 დელეგატმა. 12 ხმით მეტი მიიღო კირიონმა და კრებამ ის გამოაცხადა არჩეულ კათალიკოსად და უგალობა მას “აქსიოს”. იგი დიდხანს არ მჯდარა საქართველოს კათალიკოსის ტახტზე - 1918 წლის 21 აგვისტოს ღამით მოკლეს მარტყოფის მონასტერში. მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე საფუძვლიანად განიხილავს ამ ვერაუღლ მკვლევობას და სხვა მეცნიერთა მსგავსად (ს. კაკაბაძე, ვ. გურული) ისიც ფიქრობს, რომ კირიონ II მოკლეს სოციალ-დემოკრატებმა. რასაკვირველია, ამის დამტკიცებას ცდილობს სათანადო საბუთებით და არგუმენტებით.

სოციალ-დემოკრატების სიმპათიებს ვერავინ დამწამებს, მაგრამ ვფიქრობ, ამ სატანის მოციქულების ბრალეულობა ამ საქმეში ნაკლებად სავარაუდებელია, რადგან მათ ხომ კარგად იცოდნენ, თუ კირიონ II-ს მოკლავდნენ, მის ადგილას სხვას აირჩევდა საეკლესიო კრება. ამით არაფერი შეიცვლებოდა. საქართველოს ეკლესია მაინც ავტოკეფალური გზით წავიდოდა. ჩვენი აზრით, კირიონ II-ის ფიზიკური განადგურების შემკვეთი უფრო იმ დროის საქართველოს უმაღლეს სასულიერო წრეში უნდა ვეძებოთ...

ნაშრომის მნიშვნელოვანი თავია “საეკლესიო კრებები 1918-1995 წლებში”. ამ პერიოდში სულ ჩატარებულა 23 კრება. ამ კრებათა მიზანი იყო დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა ხალხში. ამისთვის ეკლესიის სახელით გამოვიდა “დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მორწმუნე მოქალაქეთა ფიცის ფურცელი”. ამ დოკუმენტმა გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის 117 წლის მონობაში მყოფი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების აღდგენასა და გამოცოცხლების საქმეში.

1920 წლის 27 ივნისის საქართველოს საეკლესიო კრებას განუხილავს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის, სასულიერო დისციპლინათა სწავლებათა სამინისტროსადმი გადაცემის, ეკლესიის ბიუჯეტის, სამღვდელთა საყოფაცხოვრებო და მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების საკითხები. აგრეთვე კრებას კათალიკოს-პატრიარქად დაუმტკიცებია **მიტროპოლიტი ლეონიდე** (ოქროპირიძე).

1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათის ღვთისმშობლის ტაძარში შედგა საქართველოს მესამე საეკლესიო კრება. კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია. ავტორი მემატანის პირუთვნელობით აღწერს ბოლშევიკების მიერ ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვა-გლეჯის და განადგურება-გაპარტახების ტრაგიკულ ისტორიას, აგრეთვე, საქართველოს დანაწევრებას ავტონომიურ ერთეულებად და ყოველგვარი ეროვნულობის მოსპობას. ამ ბარბაროსობით შეძრწუნებულმა **კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ** 1922 წლის თებერვალ-მარტში საკათალიკოსო საბჭოს თანხმობით მემორანდუმი გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციას ათეულობით ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის, იყვნენ წითელი რუსეთის დელეგატებიც. მემორანდუმში აღწერილი იყო ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსია და ამ ანექსიის მძიმე შედეგები. საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ კათალიკოს-პატრიარქს ამბროსი ხელაიას არ აპატია მემორანდუმის გაგზავნა, მისი ანტიეროვნული პოლიტიკის საქვეყნოდ მხილება და დააპატიმრა. პატიმარს საბჭოთა სასამართლოზე ღირსეულად ეჭირა თავი. მან სასამართლოს ასე მიმართა: **“გული ჩემი საქართველოს ეკუთვნის, სული - ღმერთს, გვამს რაც გინდაც, ის უყავითო”**.

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია საქართველოს წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას სასულიერო მოღვაწეობას და მარტვილობას შთამბეჭდავად გადმოსცემს მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე და ეს ნაწილი, შეიძლება ითქვას, ამ ნაშრომის ერთი ყველაზე საყურადღებო თავია, არა მარტო მეცნიერულად, არამედ სამაგალითოა ქართული პატრიოტულ-ეროვნული საქმისათვის თავგანწირულობის თვალსაზრისითაც.

მთელი ათეული წლები დასჭირდა რუსეთის ეკლესიას, რათა ლიტერგიკულ-კანონიკური ურთიერთობა აღედგინა საქართველოს ეკლესიასთან და ეცნო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიურობა, მისი საპატრიარქოს ღირსება და VI ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში. ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოდგენილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლი და ადგილი ქართული ეკლესიის ისტორიაში. ილია II-ის ძალისხმევით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საპატრიარქო სცნო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, ილია II-ის მიზანმიმართული მოღვაწეობით 2002 წლის 17 სექტემბერს დაამტკიცა წმინდა სინოდმა, ხოლო 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა და ამის შემდეგ ძალაში შევიდა კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის. თითქმის შეუძლებელია დაასახელო საქართველოს ისტორიაში ისეთი პერიოდი, როცა იმდენი ეკლესია იყოს აშენებული, რამდენიც ილია II-ის ზეობის ხანაშია აგებული. ამ მხრივ იგი შეიძლება გრიგოლ ხანძთელს შევადაროთ. ეს მისი ბრძნული საეკლესიო პოლიტიკის შედეგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რად ღირს თბილისში, ელიას გორაზე წმინდა სამების ტაძრის აგება, რომელიც ყველაზე მაღალია და მოცულობით დიდია კავკასიაში არსებულ ტაძრებს შორის.

დასასრულ შეიძლება ითქვას, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ყველა საუკუნის ქართველებს გაუძლო. მას არ დაუკარგავს ეროვნული გზა. აქ გვსურს დავიმოწმოთ მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძე: “შემთხვევითი არ ყოფილა ის მოვლენა, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრების სხვა ნაწილებთან შედარებით ეკლესიამ ყველაზე მეტი ბრძოლა განიცადა ეროვნული თავისუფლების დასაცავად და 1917 წლის 12 მარტს პირველმა მან აღმართა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა”.

მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძის “საქართველოს საეკლესიო კრებები” და ქართული ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც უეჭველად დაიკავებს თავის ადგილს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ლევან II დადიანი - “ხელმწიფე ივერიისა”

ოდიშის მთავარი, ლევან II დადიანი (1611-1657), ღვთის მოყვარე, ეკლესიათა მამულებელი, ამასთანავე მართლმადიდებლობის ამალორძინებელი იყო. თავის სამთავროში განაახლა ყველა დანგრეული ეკლესია და მონასტერი, უსახურავონი გადახურა, ხელახლა მოაჩუქურთმა, რაც უმთავრესია, ყველა ეკლესიაში აღადგინა წირვა-ლოცვა, ისინი შეამკო ბარძიმ-ვეშხუმებით, მრავალი ჭედური ხატით. ასევე აღადგინა და ვალებისგან გამოიხსნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ლევან II დადიანი იყო ქართული კულტურის უდიდესი მეცენატი XVII საუკუნეში. მისი ბრძანებითა და ხარჯით არის გადაწერილი “ვეფხისტყაოსნის” ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც დაასურათებინა კიდევ მამუკა თავაქარაშვილს.

XVII საუკუნე ქართული კულტურისათვის უაღრესად არახელსაყრელი პერიოდი იყო. ქვეყანა ნაწილებად დაიშალა, მტერმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო. ასეთ ვითარებაში ლევან დადიანმა მიიღო ზეგარდმო ძალი და დაიწყო ზრუნვა საქართველოს გასაერთიანებლად. მან იცოდა, რომ ყველა უბედურების მიზეზი იყო ქვეყნის დაშლა, დანაწევრება, რომ მხოლოდ გაერთიანებული საქართველო შეძლებდა მტრის განდევნასა და ერის გაძლიერებას.

ლევან II დადიანის მიმოწერიდან ჩანს, რომ მისი თვალსაზრისით, ბაგრატიონთა სამეფო დინასტია XVII საუკუნეში დამპყრობელმა სპარსელებმა ჩამოაშორეს ქვეყნის მმართველობას. მანამდე კი თვითონ ბაგრატიონებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს ქვეყანა, რამაც ჩამოაყალიბა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა, ხოლო შაჰ-აბაზის მიერ წმიდა მოწამე ლუარსაბ II-ს მოკვლის შემდგომ, ფაქტიურად შეწყდა ქართლის კანონიერი სამეფო დინასტიის მმართველობა. ასევე სპარსეთმა შეძლო კახეთის დაპყრობაც და იქედან კანონიერი სამეფო დინასტიის გაძევება. ლევან II დადიანის დროს იმერეთის სამეფო ტახტიც შერყეული იყო. აქაც სამეფო დინასტიის ლეგიტიმურობა საეჭვო ხდებოდა, სამეფო ტახტზე ხან გვერდითი შტოს წარმომადგენელი (ჭუჭუნიანიშვილი) ადიოდა, ხან კიდევ გაურჩეულთა სამთავროს სახლის წევრები.

რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს, ვითარცა სპარსეთის ხელდებულ ქვეყანას, არ შეეძლო ყოფილიყო საქართველოს პოლიტიკური გამაერთიანებელი, ხოლო იმერეთის სამეფო დასუსტებული იყო, ლევან II დადიანი საქართველოს სუვერენული

სახელმწიფოს გაერთიანებას ჩაუდგა სათავეში. მიზეზი ამისა გახლდათ ისიც, რომ ოდიში ანუ სამეგრელოს სამთავრო დადიანის მმართველობის დროს გაძლიერდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ქართული კულტურის ცენტრებმაც სამეგრელოში გადაინაცვლა. აღმოსავლეთ საქართველოს რბევა-აოხრების დროს ქართული მწიგნობრობის, საეკლესიო ცხოვრების, კულტურის, ფერწერისა თუ ჰედღური ხელოვნების (ხატების) მრავალი ახალი კერა სამეგრელოში დაარსდა.

ლევან II-მ შეძლო თავისი გავლენის სფეროში მოქეცია სრულიად დასავლეთ საქართველო. მისი მმართველობის დამდეგს აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ასევე სვანეთიც, ხოლო გურიისა და იმერეთის გავლენის ქვეშ მოქცევა ლევან II დადიანს არ გასჭირვებია. მაშასადამე, სუვერენული საქართველოს ერთადერთი ფაქტიური მებატონე იყო ლევან II დადიანი და ის ასევე მოიხსენებდა კიდევ თავის თავს: “ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ, ყოვლისა საქართველოთა პატრონი”. ცაიშური გულანის ამ მინაწერიდან ჩანს, რომ იმჟამად ოდიში ანუ სამეგრელო არა მხოლოდ საქართველოა ანუ ქართველთა ქვეყანა, არამედ ოდიშის მმართველი სრულიად საქართველოს გამაერთიანებელი და მისი პატრონია.

ლევან II-ის ტიტულიდან (“ყოვლისა საქართველოთა პატრონი”) ჩანს, რომ XVII საუკუნეში ეროვნული ცნობიერების უკიდურესი დაკნინების ეპოქაში სამეგრელოს მოსახლეობის ეროვნული იდენტობა შეურყეველია და ქვეყნის დაშლა-დანაწევრების მიუხედავად მტკიცეა. აქაური საზოგადოება ფიქრობს არა იმაზე, რომ გამოიყენოს შექმნილი ვითარება და ქვეყნის დაშლის დროს ააღორძინოს კუთხური ცნობიერება, არამედ იღვწის, რათა ქვეყნის სხვა ნაწილების უძღურების დროს მტერმა არ მოშალოს ერთიანი ივერიის სუვერენიტეტი და სასწრაფოდ გააერთიანოს დაშლილი ქვეყანა. ასეთ დროს სამეგრელოს საზოგადოებაში ჩაისახა იმედი იმისა, რომ საქართველოს გაერთიანების საქმეში დაეხმარებინათ რუსეთის ძლიერი სახელმწიფო. ამიტომაც გაგზავნეს ელჩად რუსეთში მღვდელი გაბრიელ გეგენავა. მან 1639 წლისათვის შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინა რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს.

ლევან II დადიანი სიველში რუსეთის ხელმწიფისადმი თავის სამთავროს უწოდებს არა ოდიშს, ანდა სამეგრელოს, არამედ ივერიის მხარეს. ლევანი აღნიშნავს, რომ: “იყო ივერიის მიწაზე ხუთი ხელმწიფე, მათგან სპარსეთის შაჰმა ორი სახელმწიფო დაამხო, ხოლო დარჩენილი სამი სახელმწიფო ღვთის შეწევნით იმართება მის მიერ“, ე.ი. მეფე ლეონტის მიერ (ასე უწოდებდნენ მას რუსეთში) (И было де в Иверской земле 5 государей и из них де Перской шах побил 2

государей, а досталных де 3-х государей государств Божию помощю владеет он, Леонтий царь (материалы по церковной и этнополитической истории Абхазии, Посолство Федора Елчина в мегрелию (1639-1640), Тб., 2005, გვ. 114).

რომელი სახელმწიფოები იყო ლეონ II დადიანის ხელში 1640 წლისათვის? ოდიშის გარდა იმერეთის სამეფო და გურიის სამთავრო. რაც შეეხება აფხაზეთსა და სვანეთს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ოდიშის სამთავროს შემადგენელ ნაწილებად მიიჩნეოდა. ამიტომაც იმერეთი, გურია და ოდიშია ის სამი სახელმწიფო, რომელთა მმართველად ლევან II დადიანს მიაჩნდა თავისი თავი.

დევნილი თეიმურაზ I რუსეთის ხელმწიფის კარს აცნობებდა კიდევ, რომ ლევან II დადიანი თავის თავს მიიჩნევდა ივერიის მიწების ერთადერთ მეფედ. ეს იყო რეალური ფაქტი იმჟამად. რუსეთის სამეფო კარიც ადასტურებდა, რომ იმ დროისათვის “ივერიის მიწების” ნამდვილი ხელმწიფე (“მეფე”) მხოლოდ ლევან II დადიანი ანუ “ლეონტი” მეფე იყო. კერძოდ, რუსეთის მეფე მიხეილი ლევან II დადიანისათვის მიცემულ სიველში აღნიშნავდა: “ივერიის მიწაზე იყო ხუთი ხელმწიფე. მათგან ორი გაანადგურა სპარსეთის შაჰმა, ხოლო დარჩენილ სამ სახელმწიფოს ღვთის შეწევნით მართავ შენ” (იქვე. გვ. 165). ამავე სიველში სამეგრელოს ეწოდება ლევან II დადიანის ივერიის მიწა. მიზეზი იმისა, რომ სამეგრელოს ეწოდება ივერიის მიწა, ისაა, რომ ივერია, იბერია ეწოდებოდა მთელ ისტორიულ საქართველოს, მის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს. ლეონ II-ს ასე მიმართავენ: “Тебя, Леонтия Царя, и твою иверскую землю”, “твое Государство иверской стороне”. სამეგრელო ივერიაა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მმართველი ივერიის მეფეა იმჟამინდელი რუსეთისათვის.

აღსანიშნავია, რომ სუვერენული მმართველობა ლევან II დადიანმა თავისი ხმლითა და თურქებთან დიპლომატიური და პოლიტიკური ომით მოიპოვა. იმჟამად თურქეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა გართულებული იყო და ლევანი თურქეთს მხოლოდ მცირე ხარკს უხდიდა სავაჭრო ურთიერთობების სანაცვლოდ.

მღვდელი გაბრიელ გეგენავა, ივერიის მიწების ხელმწიფის ელჩი რუსეთში, აცხადებდა, რომ იმჟამად სუვერენული ივერიის საეკლესიო ცენტრია ბიჭვინთა, სადაც ივერიის პატრიარქი ზისო. მართლაც, მცხეთა და ქართლ-კახეთი მაჰმადიან-სპარსელთა მპყრობელობის გამო მოკლებული იყო სუვერენულ საეკლესიო მმართველობას და ბიჭვინთა იყო სუვერენული საქართველოს საეკლესიო ცენტრი. აქედან ჩანს ისიც, რომ იმდროისათვის აფხაზეთი ჯერ კიდევ შედიოდა სამეგრელოს სამთავროში, ანუ აფხაზეთი იმჟამად ჯერ კიდევ ივერიად იწოდებოდა.

დადიანის ელჩი სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით აცხადებდა, ამ ვრცელ ტერიტორიაზე (ე.ი. აფხაზეთში, ოდიშში, სვანეთში, გურიასა და იმერეთში) სარწმუნოება (რჯული), საეკლესიო წიგნები, მამასადამე, წირვა-ლოცვის ენა იყო მხოლოდ ქართული. თუმცა კი შინაობაში საკუთარი სამეტყველო ერთმანეთთან ურთიერთობის ენაც გვაქვსო. – “А вера де у них христианская из грузинскою де верою и вера одна и книги те же, что и грузинские, только де язык свой, как меж собою говорят”.

ყოვლისა საქართველოთა პატრონი, “ხელმწიფეთა ხელმწიფე“ ლევან დადიანი ალბათ შეძლებდა კიდევ საქართველოს გაერთიანებას, რომ არა აღიღე-ჩერქეზების და აფსუების შემოსევები, რომელთაც XVII—XVIII საუკუნეებში სასტიკად გაანადგურეს სამეგრელოს სამთავრო ანუ ქვემო ივერიის პოლიტიკური ცენტრი.

ისე გამძაფრდა ჩრდილო კავკასიიდან აღიღე-ჩერქეზთა და აფსუთა შემოსევები, რომ ლევანი თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში იძულებული გახდა, თავდაცვის მიზნით აეგო საფორტიფიკაციო ნაგებობები, მაგალითად, ამჟამად ცნობილი აფხაზეთის დიდი კედელი. ამის მოწმე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ამბობს, ლევან დადიანმა ძალზე დიდი დანახარებით ააგო 60 ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი. ამასვე ამბობს მეორე მისიონერი კასტელიც, რომელიც აღნიშნავს, ეს კელასურის კედელი გამიზნულია აფხაზთა შესაკავებლად. ლევან II-მდე აღიღე-ჩერქეზებმა და აფსუებმა შეძლეს ამ კედლის ჩრდილოეთით ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობა და, რადგანაც მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდებოდა, თავადაც აფხაზები ეწოდათ მხარის სახელის შესაბამისად. ისტორიული აფხაზეთის ანუ თანამედროვე გუდაუთა-გაგრის რაიონების დაპყრობის შემდეგ აღიღე-ჩერქეზებმა და აბაზა-აფსუებმა შეუტყეს ისტორიულ საქართველოს ანუ თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რეგიონს.

აფხაზეთის ანუ კელასურის კედლის სიგრძე ასი კილომეტრია. ლევან დადიანის ბრძანებით იგი მეტად სწრაფად აუგიათ. ზოგჯერ კომკებს უსაძირკვლოდ, პირდაპირ მიწაზე დგამდნენ.

კედელი იცავდა იმჟამად ოდიშის სამთავროში შემავალ აღნიშნული სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების უხმოსავლიან სამიწათმოქმედო მხარეებს და იქ არსებულ ქართულ საეპისკოპოსოებსა და ქრისტიანულ მოსახლეობას. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ დღევანდელი ახალი ათონის ანუ “ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შევლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმა აბხაზთა გამოუსვლელი-ბისათვის“. მას ამ მშენებლობის დროს ეხმარებოდნენ ბედიის, მოქვისა და დრანდის ეპისკოპოსები მრევლითა და თანხით, მაგრამ მომხდური

აფსუების შეკავება ვერ შეძლეს. საბოლოოდ აფხაზებად წოდებულმა ამ აფსუებმა დაიპყრეს სამეგრელოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო - ზემოთ ხსენებული რაიონები, მოსპეს ზემოთ ხსენებული საეპისკოპოსოები, მათი მრევლი ანუ სამეგრელოს მოსახლეობა დაზოცეს ანდა დაატყვევეს. გადარჩენილი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მომსახურე ყმებად, ფაქტიურად მონებად გადააქციეს. დღესაც კი აფხაზურად დაბალ ფენას “აგირუა“ ანუ მეგრული და “აგურუ“ (გურული) ეწოდება. სამეგრელოს იმ დროისათვის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა განანევრებულა. მისიონერები წერენ, რომ ორმოცი ათასი კაციდან ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ანუ ოცი ათასი კაცი ამოწყდა. ეს იმ დროისათვის ძალზე დიდი რაოდენობა იყო. წირვა-ლოცვა საბოლოოდ გაუქმდა ბიჭვინთის, დრანდის, მოქვის და ბედიის საეპისკოპოსოებში. აყვავებული ქვეყანა გაჩანაგდა. ლევან დადიანმა დაინახა, რომ აფსუა-ჩერქეზების შემოსევების შედეგად ივერიის ანუ საქართველოს გამაერთიანებელი ბოლო ძალა იშრიტებოდა. მართლაც, თითქმის საუკუნით გადაიდო საქართველოს გაერთიანების საქმე და განახლდა ერეკლე II-ის დროს, ლევანის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლევან II დადიანის დროს XVII ს-ის უცხოელი საეკლესიო მოღვაწეების შეხედულებით დასავლეთ საქართველოს ანუ ქვემო ივერიის პატრიარქი უპირატესი იყო ზემო ივერიის ანუ აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქთან შედარებით. ისინი ქვემო იბერიის (ივერიის) ანუ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსს პირდაპირ უწოდებდნენ “უფროს კათალიკოსს“, ხოლო დასავლეთ საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს - მთელი იბერიის მეფეთა მეფეს“.

რა იყო ამის მიზეზი? ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისით მცხეთელი კათალიკოსი უპირატესი იყო აფხაზეთის კათალიკოსზე. ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა“. ეს მართლაც ძირითადად ასე გახლდათ, მაგრამ XVII ს-სა და XVIII ს-ის დამდეგს, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველო მაჰმადიანთა ხელში აღმოჩნდა, საერთაშორისო საეკლესიო წრეებში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ სწორედ სუვერენული ქვემო იბერიის ანუ დასავლეთ საქართველოს მეთაური არის უპირატესი, და შესაბამისად სრულიად ივერიის საეკლესიო ხელისუფალი. მართლაც XVII ს-ის იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს: “იბერიაში ორი ავტოკეფალური არქი-ეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე. იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს

მიიჩნევენ უფროს კათალიკოსათ, რადგან მეფე, ე.ი. იმერეთის თავი მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტომი II, 1998, გვ. 90). XVII ს-ის მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ქრისანთი (ზრისანფი) იმავეს წერს: “საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურჯისტის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ, მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე, ხოლო მეორე ე.ი. ზემო იბერიისა იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად“ (იქვე. გვ. 94). აქედან კარგად ჩანს, რომ XVII ს-ის საერთაშორისო წრეები, რუსეთის ხელმწიფის კარი და ბერძნული საპატრიარქოები აღიარებენ, რომ დასავლეთ საქართველო ანუ ქვემო იბერია იმჟამად იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცენტრი. მართლაც, ბიჭვინთის კათალიკოსს სრულიად საქართველოს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლად მიაჩნდა თავი. მაგალითად: ბიჭვინთელი კათალიკოსი გრიგოლი საქმიან საბუთებსა და სიგელ-გუჯრებს ადასტურებდა ბეჭდით, რომელსაც ჰქონდა შემდეგი წარწერა: “გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოსი“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 675).

ასე რომ, არ არის სწორი ამჟამინდელი თვალსაზრისი, თითქოსდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის ეკლესიას გამოეყო, პირიქით, თავისი თავი აფხაზეთის კათალიკოსს სრულიად საქართველოს მწყემსად და ქრისტეს მიერ დადგენილად, “ყოვლისა საქართველოსა“ მმართველად მიაჩნდა. მის ამ უზენაესობას, როგორც ვთქვით, იმჟამინდელი საერთაშორისო წრეებიც ადასტურებდნენ. ამ ფონზე და ამ მნიშვნელობით არის სახელდებული ლევან II დადიანი ყოველი ივერიის ხელმწიფედ. უამრავი დოკუმენტიდან და სიგელ-გუჯარიდან ნათლად ჩანს, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს ქართველები შეადგენდნენ, ანუ იმჟამინდელ მეგრელებს, გურულებს, სვანებს, იმერლებს და სხვ. განვითარებული ჰქონდათ არა ვიწრო კუთხური, ტომობრივი თვითშემეცნება, არამედ ერთიანი ეროვნული.

შესაბამისი დოკუმენტის დამოწმებამდე უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული კუთხეების მოსახლეობას ვიწრო კუთხური თვითშემეცნება განუვითარდა XIX და XX საუკუნეებში რუსული და კომუნისტურ-

ათეისტური მმართველობის დროს. ამის დასამოწმებლად მოვიყვანთ ამონაწერს აფხაზეთის კათალიკოსის 1733 წლის სიგელიდან, სადაც ნათქვამია: “პირველწოდებულსა ანდრიას მიეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად, ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობლისათა, რამეთუ ჩვენ, ქართველნი, მისნი წილხვდომილნი ვართ“ (იქვე. გვ. 727). ბიჭვინთის ღვთისმშობლის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი წმიდა ანდრიას მიერ მოქცეული მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ქართველებია. ეს არის უეჭველი მოსაზრება იმ დროისათვის. მიტომაც იყო ამ ხალხის სახელმწიფო, კულტურისა და საეკლესიო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული (უძველესი ხანიდანვე). სწორედ ამ ქართველობის გამო განდევნეს აფსუა-ჩერქეზებმა თავისი კათედრებიდან ჯერ ბიჭვინთის კათალიკოსი, შემდეგ კი დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპისკოპოსები. მათი მრევლი კი, ისტორიული სამეგრელოს მოსახლენი, ტყვეებად გაიხადეს.

ლევან II დადიანის გარდაცვალება უდიდესი დანაკარგი იყო საქართველოსთვის, რადგანაც სულ რამდენიმე წელიწადში ოდიშის ანუ “ივერიის“ საზღვარი ძლიერ შემცირდა ჩრდილოკავკასიელ აფსუათა შემოსევების გამო. მას ასე ახასიათებს წმ. გიორგის გელათური გულანის მინაწერში ერთი სასულიერო პირი: “მიიცვალა სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ გამარჯვებული დადიანი ბატონი ლევან, საუკუნომცა არს ხსენება მისი“.

ლევანის გარდაცვალებისთანავე აფხაზეთის კათალიკოსმა დატოვა ბიჭვინთა და საკათალიკოსო ტახტი გელათში გადმოიტანა აფსუა-ჩერქეზების მძლავრობის გამო.

ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული თვალსაზრისით მდ. ენგურის იქით აფხაზეთი თითქოსდა დასახლებული იყო ეთნიკური ჯგუფით - “აფხაზებით“, ხოლო ისტორიულად საზღვარი მეგრელთა ჯგუფსა და ეთნიკურ აფხაზებს შორის თითქოსდა იყო ენგური. ასეთი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა რუსების ბატონობის დროს XIX-XX სს-ში. სინამდვილეში, ლევან II დადიანის მემკვიდრეთა ცნობებით, ოდიშის სამთავროს დასავლეთი საზღვარი გადიოდა კელასურ-კოდორთან. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობით ოდიშის საზღვარი კიდევ უფრო ჩრდილოეთით პუნქტ დიოსკურიასთან გადიოდა. მთელი ეს მხარე ანუ ისტორიული სამეგრელო, იგივე ოდიში დასახლებული იყო არა აფხაზებით, არამედ მეგრელებით. ეს ტერიტორია საბუთებში იხსენიება, როგორც “დადიანის მიწა“ ანუ “ივერია“, ხოლო ამ მიწა-წყლის მფლობელი “ივერიის მეფედ“, “საქართველოს ხელმწიფედ“ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მიწა-წყლის (ე.ი. თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის რაიონების) მოსახლენი ლევან II დადიანის დროს იყვნენ არა აფხაზები, არამედ მეგრელები, აფხაზები კი სახლობდნენ თანამედროვე გუდაუთისა და გაგრის

რაიონებში. ცხადია, აფხაზებიც ადრე ეთნიკური ქართველები იყვნენ, მაგრამ თავდაპირველად სწორედ მათ შეეცვალათ ეთნიკურ-ეროვნული ცნობიერება, შეერივნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებულ აფსუა-ჩერქეზებს, მეომარ ტომებს, შემდეგ კი უწინამძღვრეს მათ, მათზე დაყდნობით გადმოლახეს ლევან II დადიანის მიერ აფსუათა შესაკავებლად აგებული 100 კმ სიგრძის კედელი და შეესივნენ ისტორიულ სამეგრელოს ანუ თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და გალის რაიონებს. XVII ს-ის 80-იანი წლებიდან თვითმხილველი იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეოსის ცნობით ამ აფხაზებად სახელდებულმა აფსუებმა “მოაოხრეს ტერიტორია დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე” (ე.ი. სოხუმიდან ცხენისწყლამდე), შემდეგ კი დაიწყო დაპყრობილი სამეგრელოს ტერიტორიაზე აფსუა-ჩრდილოკავკასიელთა მასობრივი ჩამოსახლება. გაჩნდა ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებები “აბჟუა“, “სამურზაყანო“. ისტორიული იბერია “ჩერქეზეთად“ გადაიქცა. ამიტომაც XIX ს-ის მოგზაურები სპენსერი და გამბა ამ ტერიტორიას (სოხუმიდან ენგურამდე) “ჩერქეზეთს“ (ჩერქეზეთის ნაწილს) უწოდებენ. ასე რომ “ლევან II დადიანი ჰემმარითად იყო “ხელმწიფე ივერიისა“ ანუ ივერიის მიწების ბოლო მფლობელი ისტორიულ სამეგრელოში დიოსკურია-კოდორამდე.

თაობებისათვის დაუვიწყებელი იქნება ლევან II დადიანის ზრუნვა ქართული კულტურისა და ქრისტიანობის ასაყვავებლად, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ანუ “ქართველობის“ დასაცავად მთის ელემენტებისგან (ანუ აფსუებისგან) და გაოსმალება-გათათრებისაგან.

ლევან II დადიანის ოჯახში აღიზარდა საქართველოს დედოფალი მარიამი, რომელმაც ქართული სულისკვეთება შთანერგა სპარსელთა მიერ ვინაობდაკარგული ქართლის მეფე-ხანების როსტომისა და მაჰნავაზის კარზე.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონებო.

უფლის ნებითა და მოწყალებით ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდის შეუპოვარმა დამცველმა ქართველმა ერმა შეძლო მართლმადიდებლობის უმწიკვლოდ მოტანა უძველესი ხანიდან დღემდე.

ჯერ კიდევ ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და ეპისკოპოსი პროკოფი კესარიელი წერდა VI საუკუნეში: “იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა II, 1965, გვ.48), პროკოფი კი იცნობდა აზიის, აფრიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანასა და ხალხს.

ამასვე ამტკიცებდნენ ძველი ქართული წყაროებიც, რომ ქართველი ხალხი - “მიერთგან აღსასრულამდე ჰკიეს შეუძვრელად მართალსა სარწმუნოებასა ზედა“ (მიტრ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. II, 2003, გვ.102).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებული ის ცნობები ქართველთა მტკიცე მართლმადიდებლობის შესახებ, რომლებიც დაცულია წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში. წმიდა მაქსიმე 662 წელს გააძევეს ბიზანტიიდან და თავის ორ მოწაფესთან ანასტასი აპოკრისიართან და ანასტასი მონაზონთან ერთად ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთ საქართველოში გადმოასახლეს - მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ აღწერა კიდევ თვალით ხილული ცხოვრება თავისი მოძღვრისა. VIII ს. დასაწყისში, ჰერაკლე კეისრის შემდგომ, ჯერ სპარსთა ბატონობის, შემდეგ კი სპარსეთში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის გამო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობა მოშლილი იყო და დასავლეთ საქართველოშიც რამდენიმე ცალკეული “ქვეყანა“ არსებობდა ბიზანტიელთა ხელქვეით. ესენი იყვნენ: ლაზიკა, აფხაზეთი, აფშილეთი, სვანეთი, თაკვერი და სხვა. აი, როგორ ახასიათებს წმიდა მართლმადიდებლობის დამცველი და მისი სიწმინდის შეურყევლობისათვის დევნილი წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მოწაფე ანასტასი ქართველთა იმჟამინდელ ქვეყნებს: კერძოდ ის ლაზეთს უწოდებს “ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყანას“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 41), აფხაზეთს კი - “ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანას“ (იქვე, გვ.45), ხოლო ამ ქვეყანათა მეთაურებს კი - “ღვთისმოყვარე მთავრებს“

(იქვე, გვ. 45), “იბერიის ღირსსაქებ პატრიკიოსსა და პრეტორს“ (იქვე, გვ. 48).

საქმე ისაა, რომ ეს ცხოვრება წმიდა მაქსიმე აღმსარებლისა, მისი მოწაფის წმ. ანასტასის მიერ დაწერილია VIII ს. 60-იან წლებში, მაშინ, როცა მთელ ბიზანტიაში ბობოქრობდა გამარჯვებული მონოთელიტობა, შესაბამისად იღვევებოდა მართლმადიდებლობა, ბიზანტიაში აღარ დარჩა წმიდა მართლმადიდებლობის დამცველი მთავარი და ეპისკოპოსიც კი, ასეთ დროს, ასეთ ეპოქასა და გარემოში, როგორც აღვნიშნეთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი და მისი მთავრები ყოფილან “ქრისტესმოყვარენი“ ანუ მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველნი. ეს ასე რომ არ ყოფილიყო ანასტასი აპოკრისიარი, ცხადია, მათ “ქრისტესმოყვარეთ“ არ უწოდებდა, ის იყო კაცი, რომელმაც არ იკადრა სიცრუე და სიმართლის, წმიდა სარწმუნოების დაცვისათვის, მოკვეთეს თავის მოძღვართან და მეგობართან ერთად ენები და მკლავები და მას თავისი მოძღვრის წმიდა მაქსიმეს ცხოვრება დაუწერია მოჭრილი მკლავით. ამ მკლავზე მას აღარ ჰქონია ხელის მტევანი და თითები, მკლავზე მიუმარებია ორი წვრილი ჯოხი და ამით დაუწერია თავისი მოძღვრის ცხოვრება - წერს VIII ს.-ის მოღვაწე თეოდოსი განგრელი თავის მოგონებებში. ეს იყო სიმართლის მწერლის მარჯვენა.

საეკლესიო იურისდიქციის მხრივ დასავლეთ საქართველო, ძველი ქართული მატიაწეების, ასევე რუის-ურბნისის “ძეგლისწერის“ ცნობით, IV საუკუნიდანვე იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში. ანდრია მოციქულმა იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველნი ქართველნი“ - წერდნენ რუის-ურბნისის წმიდა კრების მამები. ეს იყო საფუძველი დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციის განვრცობისა, ამასთანავე, მოციქულთა კანონების 34-ე მუხლის თანახმად, IV ს.-ში ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები თან უნდა დამთხვეოდა სახელმწიფო - ადმინისტრაციულს. ძველი მატიაწეების დაბეჭდილებული ცნობით, იმუამინდელი საქართველოს ანუ ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა შავი ზღვის პირსა და მდინარე ეგრისწყალზე. მდინარე ეგრისწყალი (შემდეგდროინდელი ლალიძგა) ერთმანეთისაგან ყოფდა ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას. მდ.ეგრისწყლის იქით აფხაზეთი ანუ აბაზგია - ბიზანტიის ხელდებული ქვეყანა მდებარეობდა. ასე ყოფილა მეფე აზონისა და მეფე ფარნავაზის დროს და მათ შემდეგ მეფე მირიანის ეპოქაშიც. წყაროების ცნობით მეფე მირიანის გამგებლობაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად იყო ეგრისიც. შესაბამისად მის დროს IV ს. დასაწყისში ორგანიზებულმა საქართველოს ეკლესიამ თავის იურისდიქციაში მოაქცია

აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველო, მდინარე ეგრისწყალამდე. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს დაუბრუნდა კლარჯეთი და აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორია მდინარე ეგრისწყლიდან მდ. კლისურამდე (კელასურამდე), მაშასადამე, V ს.-დან საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გადიოდა მდინარე კელასურზე. ამ მდინარემდე ქართლის კათალიკოსი ახორციელებდა თავის საეკლესიო ძალაუფლებას. ამითაა გამოწვეული სომხური წყაროების ცნობა, რომ VI ს. ბოლოსა და VIII ს.-ის დასაწყისში კირიონ კათალიკოსი იყო “არქიეპისკოპოსი ეგრისისა“. სომხური წყაროების გარდა, რომელნიც მიუთითებენ, რომ VII ს.-ის ბოლოს დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში, ვახუშტი ბატონიშვილიც ბრძანებდა, რომ დასავლეთ საქართველოში ტერიტორია ე.წ. “ვაკე“ ანუ მიწა-წყალი ქუთაისსა და ცხენისწყალს შორის “საეკლესიო ერთობის“ დროს ანუ VIII ს.-მდე აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობამდე იმყოფებოდა “მცხეთის არქიეპისკოპოსის“ იურისდიქციაში, ვახუშტისვე ცნობით, რაჭის დიდი ნაწილი ნიქოზის ეპისკოპოსის სამწყსო იყო. ვითარება შეიცვალა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ. VIII ს.-ის 20-იან - 30-იან წლებში ჰერაკლე კეისარმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა შავი ზღვისპირეთის ვრცელი ტერიტორიები და შეიყვანა ისინი ბიზანტიის შემადგენლობაში. შესაბამისად, იბერიის ანუ ქართლის ნაცვლად აქ ბიზანტიელთა ხელქვეშ ჩამოყალიბდა ლაზიკის, აბაზგიისა და სხვა სამთავროები. მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ჩანს, მაინც მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა. პროკოფი კესარიელი მიუთითებდა კიდევ, რომ VI ს.-ში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები “კათალიკოსის“ იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. კათალიკოსი კი იმუამად მცხეთაში იჯდა. ქართული წყაროების დაბეჭდილებული მტკიცებით დასავლეთი საქართველო მუდამ ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. ასეთი მოსაზრება არსებობდა უძველესი ხანიდან XXI ს.-ის 30-იან წლებამდე. 30-იან წლებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული საეპისკოპოსოთა ნუსხების გაცნობის შემდეგ ჩვენში მიიღეს ახალი შეხედულება, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლოსადმი დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო ფოთში (ფაზისში) და ოთხი საეპისკოპოსო კათედრა (ზიგანასი, საისინისა, პეტრასი და როდოპოლისისა). იმთავითვე ამავე ნუსხების შესწავლის შემდგომ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა, მსოფლიო მნიშვნელობის ბიზანტოლოგმა ნიკოლოზ გიორგის ძე აღონცმა (1871-1942) გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ბიზანტიური საეპისკოპოსოები ზიგანა - ზიგინებისა, როდოპოლისისა და საისინისა, სინამდვილეში

განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ხალხის უძველეს ქვეყანაში “ლაზიკაში” ანუ ტრაპიზონის ოლქში. ის წერდა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნუსხებში მოხსენებული ზიგანას საეპისკოპოსო ცენტრი მდებარეობდა ტრაპიზონთან ახლოს, რომ იქვე იყო სხვა ტოპონიმებიც მსგავსი სახელის მქონენი (მაგ. “ზიგანას მთა” და სხვა). მის ახლოს იმყოფებოდნენ როდოპოლისისა და საისინის კათედრებიც. მაშასადამე როდოპოლისის ის არ აკავშირებდა ვარციხესთან, და, მისი აზრით, ვარციხესთან არავითარი ბერძნული საეპისკოპოსო არ ყოფილა, ასევე მისი აზრით, საისინი არ იყო ცაიშის კათედრა, ხოლო ზიგანა არ იყო ზიგანევი ანუ გუდაყვა. ადონციის თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოში არ არსებობდნენ ბერძნული საეპისკოპოსოები, ამასვე დაბეჭითებით მიუთითებს ქართული წყაროებიც. არცერთი ქართული წყარო არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნულ საეპისკოპოსოებს ვარციხეს, გუდაყვასა და ცაიშს. ჩვენი თვალსაზრისით, იმავეს გვიჩვენებს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაც. აქ მის დროს ბერძნული საეპისკოპოსოები რომ ყოფილიყვნენ ცხადია ამ საეპისკოპოსოთა მრევლი იქნებოდა ისეთივე მონოთელიტი, როგორც იყო მრევლი საერთოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოებისა, აღნიშნულ ეპოქაში, მაშასადამე, ამ კუთხის ხალხიც და მისი მთავრებიც არ იქნებოდნენ მართმადიდებლები და კონსტანტინოპოლურ საეპისკოპოსოთა მსგავსად მონოთელიტობის ანუ მწვალებლობისადმი იქნებოდნენ მიდრეკილნი. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მოწაფის წმ.ანასტასის სიტყვით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ხალხი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას უმძიმეს ეპოქაში, მსოფლიო ეკლესიაში მონოთელიტების ბატონობის დროს. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ამ მხრივ, საფუძველი გვაქვს, კიდევ ერთხელ ვენდოთ საეკლესიო ეროვნულ წყაროებს, რომ დასავლეთი საქართველო IV-VIII ს., მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში და იცავდა მართლმადიდებლობის სიმტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მსგავსად.

დასავლეთ საქართველო მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში რომ იმყოფებოდა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში, VII საუკუნეში, ამის შესახებ მიგვითითებს მარტვილის შესანიშნავი ტაძარი. VII საუკუნის I ნახევარში აგებული მარტვილის ანუ ჭყონდიდის ტაძარი, წმიდა ანდრია მოციქულის მიერ აღმართული ჯვრის ადგილას ნაგები, სასულიერო კერა, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამლოცველო იყო, აგებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ანალოგიით. ხუროთმოძღვარი ეგრისის ცენტრში, საეკლესიო კანონების თანახმად, ვერავითარ შემთხვევაში ვერ

შეძლებდა მცხეთის ჯვრის ტიპის დიდებული ტაძრის აგებას, მას რომ არ ჰქონოდა საეკლესიო იერარქის შესაბამისი კურთხევა და ნებართვა.

მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურის გამეორება დასავლეთ საქართველოს ცენტრში კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველი ქართული წყაროების დაბეჭითებულ თვალსაზრისს, რომ ეს მხარეები იმყოფებოდნენ მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქისა. აღნიშნულ ვითარებათა გამო IV, V, VI, და VII საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვის ენა იყო ის ძველი ქართული ლიტურგიკული (სალიტერატურო) ენა, რომლის შექმნა-შემუშავებაცა და დახვეწაცა, ჩვენი გამოკვლევით, ღვაწლი დადეს პეტრე იბერის აღმზრდელმა იოანე ლაზმა და დასავლეთ საქართველოს სხვა მოღვაწეებმა. ამიტომაც აღმოჩნდა პალესტინის უძველესი ქართული წარწერები V საუკუნის იერუსალიმის უდაბნოს ე.წ. “ლაზთა მონასტერში”. საეკლესიო არქიტექტურა საზოგადოდ ასახავდა ლიტურგიკულ ვითარებას და იგებოდა წირვა-ლოცვის საჭიროებისათვის. მაშასადამე, არქიტექტურა შეესაბამებოდა ლიტურგიკულ ტიპიკონს. მცხეთის ჯვარი გულისხმობდა, რომ იმ არეალში, სადაც მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები იყვნენ განლაგებული, ერთი მსგავსი ტიპიკონით ტარდებოდა წირვა-ლოცვა. მცხეთის ჯვარში კი ჩვენ ვიცი, რომ წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულ ენაზე და მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში შეძავალ ეკლესიებში ერთი სახის ლიტურგიკული წესი აღესრულებოდა. ამ არეალში მოქცეული ყოფილა მარტვილისა და ეგრისის მრევლიც. რუის-ურბნისის კრების “ძეგლისწერის” დადგენილებაში ასახული ცნობით, წმიდა ნინოს დროიდანვე, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველო მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა და აქ იმთავითვე წირვა-ლოცვის ენა იყო ძველი ქართული ენა და არა ბერძნული.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ შემდეგი:

1. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები იყვნენ მტკიცე მართლმადიდებლები;
2. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა წმიდა ნინოს დროიდანვე იმყოფებოდა მცხეთის და არა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მიუხედავად VI ს.-დან შექმნილი პოლიტიკური ძვრებისა.

წმიდა მართლმადიდებლობა საფუძველია ჩვენი თვითმყოფადობისა და ეროვნული მთლიანობისა. უფალმა ინებოს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ლოცვით მისი განმტკიცება, ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე: “მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაუონ, ერი დაანაწევრონ...”

გაზეთი “საპატრიარქოს უწყებანი“ (26 იანვარი - 1 თებერვალი, 2006): უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II 2005 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით, საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა “ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო“, რომელიც ორგანიზებას გაუწევს საეკლესიო ენისა და ქართველური ენა-კილოების ისტორიული ურთიერთმიმართების შესწავლას. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის რედაქციამ მას რამდენიმე კითხვით მიმართა.

- საქართველოს საპატრიარქოსთან ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკლესიისა და ქართული მეცნიერების დაახლოებისა და თანამშრომლობის გააქტიურების საკითხს. რა პროცესები უძღოდა წინ ხსენებული საბჭოს შექმნას და რა მიზნებს ისახავს იგი?

- მოგესალმებით. გლოცავთ და გაკურთხებთ უფლის სახელით. უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ინება და საქართველოს საპატრიარქოში დაარსდა ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო, რაც მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენაა და ვფიქრობ, რომ თავის სიტყვასაც იტყვის. მისი უწმიდესობა და მღვდელმთავრები შეაშფოთა ბოლო ხანს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც ქართული მედია ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ საჭიროა ითარგმნოს (უკვე ითარგმნება კიდევ) წმიდა წერილი ადგილობრივ ქართულ დიალექტებზე, კერძოდ, - სვანურად, მეგრულად და ასე, მთელს რეგიონალურ კილოებზე. რატომ არის ასე შემაშფოთებელი ეს ფაქტი?

ისტორიულად ცნობილია, რომ მსგავსი მიზანმიმართული პროცესი საქართველოში ერთი საუკუნის წინათაც დაიწყო. მაშინ ამ საქმეში ჩართული იყო რუსეთის იმპერიის ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელეები. ისინი ცდილობდნენ საქართველოს კუთხეებში დაენერგათ ახალი კულტურა, კერძოდ, ერთიანი ქართული

კულტურისაგან როგორმე ჩამოეშორებინათ ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილები. ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა 100 წლის წინ, რადგან იმჟამად მთელი საზოგადოება დაირაზმა ამ მოძრაობის წინააღმდეგ. **საპროტესტო პროცესს სათავეში დიმიტრი ყიფიანი ჩაუდგა**, მას ეს პირდაპირ დაავალეს. დიმიტრი ყიფიანი ამ დროისთვის თავდაზნაურობის მარშალი იყო, ანუ თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღვარი, კერძოდ კი, დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. მას, როგორც ოფიციალურ პირს, სამეგრელოს და სხვა კუთხეების მოსახლეობამ, და თავდაზნაურობამ სთხოვა, რომ რუსი მოხელეების მცდელობა, სამეგრელო და სვანეთი ჩამოეშორებინათ ერთიანი ქართველი ერისაგან, ერთიანი ქართული კულტურისაგან, როგორმე შეეჩერებინა, პროტესტი გამოენატა ისეთი ფორმით, რომ ეს ხმა თავად იმპერატორის კარზე მისულიყო. **ამ პროცესში შემდეგ ილია მართალი და იაკობ გოგებაშვილიც ჩაერთვნენ.** დაწყებული პროცესის გაგრძელება იყო ის, რომ სასულიერო სემინარიის სტუდენტმა - ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდუცკი, რომელიც ცდილობდა ქართული ერის დანაწევრება-დაშლას, ქართველი ენის გაძევებას სემინარიიდან, რაც იმჟამად ძალზე სათაკილო და სერიოზული მოვლენა გახლდათ. შემდგომ, როცა რექტორის პანაშვიდები და დაკრძალვა გაიმართა სიონში, რუსმა ეგზარქოსმა, რომელიც იქ სიტყვით გამოვიდა, დაწყევლა ლალიაშვილის “წარმომშობი ხალხი“.

ეს “წარმომშობი ხალხი“, როგორც მაშინ მიიჩნევდნენ, რა თქმა უნდა, **ქართველი ერი** იყო, ამიტომაც მთელმა საზოგადოებამ და მთელმა ინტელიგენციამ ეს შეაფასა და მიიღო, როგორც ქართველი ერის წყევლა. ამიტომაც მისწერა მაშინ დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს - შენ დაწყევლე შენი სამწყსო და ასეთი მწყემსი მოვალეა, დატოვოს იგი. ამის გამო დიმიტრი ყიფიანი დასაჯეს, რუსეთში გადაასახლეს და იქ მოკლეს. იგი ამ საქმეს შეეწირა. რუსების მცდელობის საწინააღმდეგოდ, როგორმე შემოეღოთ მეგრულენოვანი წირვა-ლოცვა, ანბანი, სამეგრელოში ტარდებოდა აღმფოთებული მოსახლეობის გამოსვლები. სამღვდელეობამ გამართა საეკლესიო კრებები (ამაზე არსებობს საგანგებო გამოკვლევები, კრების მასალები მოღწეულია ჩვენამდე), იმჟამინდელი პრესა სავსეა ამ მოვლენებთან დაკავშირებული ცნობებით. კრებებზე ნათქვამი იყო, რომ წმიდა მოციქულების დროიდან, ამ ხალხს აქვს საეკლესიო და საურთიერთო ენა - ქართული ენა. ამიტომ, წირვა-ლოცვა, სწავლა-განათლება სამეგრელოში, სასულიერო და საერო სასწავლებლებში უნდა იყოს ქართულ ენაზე. **ამასვე ამბობდა დიმიტრი ყიფიანიც.** შემდეგ მოხდა

რევოლუცია, ასე ვთქვათ, საქმე ჩაწყნარდა, იდეის განხორციელება რუსეთის იმპერიამ თითქოს ვერ შეძლო, მაგრამ შემდეგ, როცა კომუნისტურმა რუსეთმა ხელახლა დაიპყრო საქართველო, შექმნეს ავტონომიები, საქართველო დაშალეს და დაანაწილეს და როცა ეს საქმე დაამთავრეს, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ხელახლა დაიწყეს ინტრიგები სამეგრელოში, კერძოდ, გამოსცემდნენ მეგრულ გაზეთებს და ა. შ. მაგრამ შემდგომ, ისევე ხალხისა და ერის წინააღმდეგობის გამო, მოვლენები ამ გზით აღარ განვითარდა, იგი ბოლშევიკებმავე შეაჩერეს. ამჯერად, ხელახლა, გარკვეული ინტერვალის შემდეგ უნდათ, რომ კვლავ დაიწყონ ეს პროცესი:

ყოველ შემთხვევაში, გვეუბნებიან, რომ სახარება უნდა ითარგმნოს მეგრულად, სვანურად, ამას ეთანხმება თავად ოფიციალური პირიც კი, სახალხო დამცველი. თითქმის პარალელურად, დაპყრობილ აფხაზეთში გამოვიდა და ახლაც გამოდის გაზეთი "გალი", სადაც ცნობილი ინგლისელი მეცნიერი **ჯორჯ ჰიუტი**, რომელიც ათეული წლებია, ებრძვის ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, ქართველ ერს, გაზეთში აკეთებს პირდაპირ მოწოდებას, დროა, სახარება ითარგმნოს სვანურად და მეგრულად, შეიქმნას ადგილობრივი კულტურა და სხვა მსგავსი. აქ საინტერესო ის არის, რომ რასაც ამბობს ჰიუტი, **იმავეს ამბობს გარკვეული წრეები თბილისში**. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ერთმანეთის სიტყვებს იმეორებენ, ანუ ერთსა და იგივე საქმეს აკეთებენ. ვთქვათ, ვერ გაგუგეოთ თბილისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც წმიდა წერილის მეგრულად და სვანურად თარგმნის მომხრეა, მაგრამ ხომ ვიცით, რა სურს ჰიუტს, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ დიდი როლი, მიუძღვის აფხაზეთის ომის დროს საქართველომ საინფორმაციო ომი რომ წააგო და რომელიც ათეული წლებია, არაქართული მოწოდებებით გამოდის. მეორე მიზეზი საბჭოს შექმნისა არის ქართული ენისა და კულტურის ლინგვისტური კუთხით შესწავლა, რომელიც, თავისთავად, სვანებისა და მეგრელების ენა და კულტურაა. როცა საქართველოში შემოვიდნენ მოციქულები, 2000 წლის წინ, მაშინ ის ენა, რომელზეც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ, ჩამოყალიბებული არ იყო. ჩვენი წინაპრები საუბრობდნენ ფუძე ქართველურ ენაზე, ძველ ქართულზე, რომელიც საეკლესიო მწერლობამ დააფიქსირა. ჩვენი საერთო წინაპრები, როგორც ქართლებს, მეგრელებს, სვანებისა, კახელებისა, იმერლებისა, ინგილოებისა, საუბრობდნენ ერთ ენაზე, რომელიც შემოინახა ეკლესიამ, მიიღო იგი, როგორც საღვთისმსახურო, საეკლესიო ენა ანუ ეკლესიამ შეინახა ძველი ქართული ენა, რომელზედაც დღეს საქართველოს ყველა კუთხეში წირვა-ლოცვა ტარდება, ის არ არის არც

იმერეთის, არც კახეთის ენა, არამედ ენა, რომელიც ჰქონდა ჩვენს წინაპრებს. როცა ჩვენ გვქონდა ენობრივი მთლიანობა, სწორედ მაშინ ითარგმნა წმიდა წერილი ქართულ ენაზე, როგორც ეს სლავურ ქვეყნებში მოხდა. ახლა, როცა ზოგიერთებს სურთ, წაართვან მეგრელებს და სვანებს ეს ენა, ამით სინამდვილეში სულიერად აღარბიბენ ამ კუთხეებს, თავიანთ ეროვნულ კულტურას აცლიან.

ვფიქრობ, რომ ჩვენი საბჭოს არსებობის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს სწორედ ის, რომ ძველი ქართული საეკლესიო ენის, მისი ისტორიის შესახებ ჩვენს ერსა და ჩვენს მოსახლეობას როგორმე სწორი ინფორმაცია მიეწოდოს, რათა თავიდან ავირიდოთ ქართველი ერის დაშლა-დანაწილება. ეს ძალიან სურთ ჩვენს ავადმოსურნეებს, მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაყონ, ერი დაანაწევრონ. ჩვენი მიზანია, სწორედ ამ პროცესს შევეშალოთ ხელი.

- საინტერესოა, როგორ აპირებთ საეკლესიო ენისა და ქართველური ენა-კილოების ურთიერთიმართების შესწავლას იმ ფონზე, როცა ქართველური ენობრივი ერთეულების საბოლოო დიფერენციაციის საკითხზე ქართულ, და არა მარტო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არაერთი განსხვავებული მოსაზრება არსებობს?

- მართლაც, ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი აზრია გამოთქმული. ერთ-ერთი ცნობილი ენათმეცნიერი - გივი მაჭავარიანი ამბობს, რომ ფუძე ქართველური ენიდან ჯერ სვანურის გამოყოფა მოხდა, ამის შედეგად ჩამოყალიბდა ორი კილო - სვანური და ქართულ-ზანური. როდის დაშორდნენ ერთმანეთს ზანური და ქართული?

ხსენებული მეცნიერი ბრძანებს, რომ ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ანუ პირველ საუკუნეში, როცა ქართულ-ზანური ენობრივი ერთობა კვლავ არსებობდა. ეკლესიურად ეს ის დროა, როცა საქართველოში შემოდიან მოციქულები და ისინი ხალხისთვის გასაგებ ენაზე ქადაგებენ ქრისტეს სარწმუნოებას, ანუ ენაზე, რომელზეც საუბრობდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ასევე დასავლეთის. მოციქულების ეს ენა დააფიქსირა ეკლესიამაც. ჩვენამდე მოღწეული ქართული სასულიერო მწერლობის პირველი ნიმუშები შეიქმნა მოციქულთა ეპოქიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, წმინდა ნინოს დროს და ეს მწერლობა არ აღმოცენებულა ქართულ-კახურ დიალექტზე, როგორც ამას ამტკიცებდნენ საბჭოთა მეცნიერები, იგი ჩამოყალიბდა ქართველთა ენობრივი მთლიანობის დროს, იგი არის საერთო ფუძე ენაზე დამკვიდრებული ენა, ენა როგორც სვანის, ასევე მეგრელის და ყოველი ქართველის. ამას ეკლესია

ალიქვამს როგორც ფაქტს, ამას ამტკიცებს საეკლესიო წყაროები, ამასვე ამბობენ ჩვენი ძველი საეკლესიო მოღვაწეებიც და ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს, იგივე გავიმეორო. მოგახსენებთ რამდენიმე მაგალითს:

XII საუკუნის დიდი მოღვაწე, დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი ბრძანებს, ჩვენ შვილნი ვართ “არიან ქართლით გამოსულთანი და მათი ენა ვუწყით“, ანუ ამბობს, რომ ენა, რომელიც ჩვენ ვიცით, არის საქართველოს საერთო ენა და არ წარმოადგენს მისი რომელიმე კუთხის საკუთრებას. უფრო ადრე, ეპისკოპოსი ლეონტი მროველი განმარტავს, რომ ენა, რომელიც ეკლესიაში გამოიყენება, ფარნავაზის დროს საერთო სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენდა, ანუ “სხვა ენა, თვინიერ ქართულისა, არ იზრახებოდა“ მთელ ამ მიწა - წყალზე, პონტოს ზღვისპირეთიდან, მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ალბანეთამდე და სომხეთამდე, რომელსაც დღეს საქართველო ეწოდება. აქედან გამომდინარე, ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეებში, მეფეების - ფარნავაზისა და აზონის დროს მხოლოდ ფუძე ქართული ენა გამოიყენებოდა. ანუ ის ძველი ქართული ენა მეგრელებისა და სვანების წინაპრების დედა ენაც იყო, სხვაგვარად, როცა ამას უარყოფენ, სვანები, მეგრელები ველურ ტომად გამოჰყავთ, რომელთაც დამწერლობა და კულტურა არ ჰქონიათ, რაც ასე არ არის, როცა სვანეთში კლდეებიც კი სავსეა X-XI საუკუნის დამწერლობით. ეს მხარე საუკუნეების მანძილზე ისეთ იზოლაციაში იყო, რომ იქ არავის შეეძლო ექსპანსია მოეხდინა, ყოველივე, რაც იქმნებოდა, ადგილობრივ კულტურას წარმოადგენდა.

- ძალიან ბევრი მეცნიერი იკვლევს ამ საკითხებს. არიან თუ არა ისინი საპატრიარქოს მიერ შექმნილი კომისიის წევრები?

- ჩვენი კომისია დაკომპლექტებულია ძალზედ სერიოზული და ცნობილი მეცნიერებით, მათ შორისაა: პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, რომელმაც გამოსცა შესანიშნავი წიგნი სახელწოდებით - “ქართველები“, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული, ასევე პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, პროფესორი ნომადი ბართაია, პოეტი, ენათმეცნიერი ნათელა ქუთელია, რომელმაც ასევე ახლახან გამოსცა წიგნი ლახეთზე და მრავალი სხვა.

- აპირებთ თუ არა რაიმე გამოცემის დაარსებას?

- ჩვენი საზოგადოებისათვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ამგვარი გამოსვლები, რომ ჯერჯერობით ვცდილობთ, ჩამოვაყალიბოთ, თუ რა შეიძლება ვუპასუხოთ ქართველი საზოგადოების მტრებს. რა თქმა უნდა, ვფიქრობთ წიგნების, ბროშურების გამოცემას,

კონფერენციების გამართვას, იქნებ ტელეარხებმაც დაგვიტომონ დრო, რათა როგორმე ჩვენი ხმა მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას. აქ მახსენდება IX საუკუნის უდიდესი მოღვაწის, ილარიონ ქართველის ცხოვრება. საბერძნეთში, ულუმბოს მთაზე, მან ერთ-ერთ ბერძნულ ეკლესიაში ქართული წირვა დააყენა. ბერძენმა მამასახლისმა ბრძანა, ქართველები მონასტრიდან გაეძევებინათ, იმ დამეს მამასახლისს ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა:

“მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხონებად არიან“, ცხონება ღვთის ნათელში ცხოვრებას ნიშნავს. აქვე გავიხსენებ იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას, როდესაც ექვთიმე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ განიკურნა და რომელმაც მას ქართული ენით მიმართა: “რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? ...არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ, და ქართულად ხსნილად უბნობდი!“

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ღვთისმშობელი ქართულად მეტყველებდა და ამ ამბის შემდეგ ექვთიმეს პირიდან, რომელსაც ქართულად მეტყველება უჭირდა, როგორც წყალი, ისე გადმოდის ქართული სიტყვა და შეეწევა წიგნთაგან ნაკლულ საქართველოს. სინას მთა არის მსოფლიოში ყველაზე წმიდა ადგილი, სადაც ბიბლიურ მოსეს უფალმა ათი მცნება გადასცა, ადგილი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, სადაც საუკუნეთა მანძილზე არსებობს მონასტრები, აქ, ქართულ მონასტერში ქართველ ბერებს ხელში ეჭირათ “მოქცევაი ქართლისაი“, სადაც ნათქვამია, რომ ქართული ენა არის ქართველთა დედაენა, რომლის საზღვრებში შედის როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო. მათ ასევე ხელთ ჰქონდათ ლოცვა-სადიდებელი - “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც ძალიან ადრეული ეპოქისაა. ასურელი მამები, რომლებიც სირიიდან იყვნენ, ბუნებრივია, ქართულად ვერ მეტყველებდნენ, მაგრამ როგორც კი საქართველოში შემოვიდნენ, ერთ წამში სულიწმიდის მადლით ქართულად ამეტყველდნენ, ისევე როგორც მოციქულები, ამ ენას პატრონობს უფალი ღმერთი და ამ ენის დაკარგვა ღვთის მადლის დაკარგვასაც ნიშნავს. ექვთიმე ათონელის მთელი შემოქმედება ღვთის მადლის ნაყოფია, ისევე როგორც ასურელი მამებისა, მთელი საეკლესიო კულტურა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნამუშავეკია.

ესაუბრა ნინო გაგომაშვილი

**პროფესორ ანანია ჯაფარიძის ძირითად ნაშრომთა
ანოტირებული ბიბლიოგრაფია**

1. **ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, I, თბილისი, 2003 წ. გვ. 430; რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე.** ნაშრომში განხილულია საქართველოს საკანონმდებლო საეკლესიო კრებები (არასრული) კრებათა ანალიზს თან ერთვის კანონიკური სამართლის ძეგლები; საკითხის ისტორიოგრაფია (გვ. 5-88); **ნაწილი I.** საეკლესიო სამართლის წყაროები (გვ. 88-212): თავი I: მსოფლიო საეკლესიო კრებები და მათი კანონები (91); ადგილობრივი კრებების კანონები (96); წმიდა მამათა კანონები (96); კანონიკური კრებულები (98); ნომოკანონები (100); კანონთა განმარტებანი, არისტინე, ზონარა, ბალსამონი (101); თავი II: საეკლესიო სამართლის წყაროების პირველი ქართული თარგმანები (103); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VI-VII საუკუნეებში (106); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VIII-IX საუკუნეებში (108); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები X-XI საუკუნეებში (110); წმ. ფოტის ნომოკანონის ანუ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანები (116); საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XVIII საუკუნის I ნახევარში (119); საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XX ს. II ნახევარში (124); თავი III: საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები I-V სს-ში (126); საეკლესიო სამართლის წყაროები დვინის კრებიდან რუის-ურბნისის კრებამდე (VI-XI) (174); საეკლესიო სამართლის წყაროები რუის-ურბნისის კრების შემდეგ (XII-XVIII) (190); საეკლესიო სამართლის წყაროები ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების პერიოდებში (197); საეკლესიო სამართლის წყაროები XVIII ს. II ნახევარში (203); საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის გაუქმებისას (204); საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (210); **ნაწილი II:** თავი I: საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო კრებები: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების “ძეგლისწერა” (2140; რუის-ურბნისის კრების კანონები [ტექსტი] (222); საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალის დროს (1335) (241); “ძეგლის დადებად” [ამოკრებილი მუხლები] (243); ჭულევის საკანონმდებლო კრების “კანონიკური სამართალი” (1381-1386) (245); ცაიშ-ბედიის შეკრების “მცნებად სასჯულო” (1470-1474) (256); ბიჭვინთის საეკლესიო კრების (1543-1549) სამართალი (276); დავით-გარეჯის საეკლესიო კრების “განჩინება” (1702) (285); საკანონმდებლო

შეკრებანი ვახტანგ VI-ის კარზე (290); თბილისის III საეკლესიო კრების “კანონნი” (1748) (310); მერეთის საეკლესიო კრების “ხელითწერილი” (1759) (322); 1762, 1768, 1793 წწ. კრებათა დადგენილებანი საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ, მცნებანი ეპისკოპოსთა და მღვდელთა მიმართ [ტექსტები] (327); საქართველოს I საეკლესიო კრების (9-17.09.1917) მიერ გამოცემული “დებულება” (339); საქართველოს II საეკლესიო კრების (27.06.1920) მიერ გამოცემული “დებულება” (353); საქართველოს IV საეკლესიო კრების (21-27.06.1927) მიერ გამოცემული “დებულება” (368); საქართველოს VIII საეკლესიო კრების სახელით (1937) გამოცემული “დებულება” (381); საქართველოს ეკლესიის XIII გაფართოებული კრების მიერ გამოცემული “დებულება” (18-19.09.1995) (390); დასკვნა (410). წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

2. **ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, II, თბილისი, 2003 წ. გვ. 304; რედაქტორი: ლია შარვაშიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე.** ნაშრომში განხილულია წერილობით ძეგლებში გამოვლენილი IV-XVIII საუკუნეებში შემდგარი 21 მიმდინარე საეკლესიო კრება და აგრეთვე მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით. პირველად ხდება ერთად შეკრება და გაანალიზება ეკლესიის ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანესი კრებებისა, რომლებზეც სულიწმიდის მადლით აღჭურვილი წმიდა მამები საქვეყნო და საეკლესიო სამართალს გადმოცემდნენ. ნაშრომის ზოგიერთ პარაგრაფს თან ერთვის შესაბამისი კრებების მიერ გამოცემული სამართლის აქტები; კერძოდ: **საქართველოს ეკლესიის მიმდინარე კრებები:** შესავალი (5); საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია (7); საეკლესიო სამართლის წერილობითი წყაროები (32); ეპისკოპოსთა შეკრებანი წმიდა მეფეთა მირიანისა და ვახტანგ გორგასლის დროს (IV-V სს) (34); დვინის საეკლესიო კრება (506) (40); მცხეთის კრებები (VII ს.) (52); ანტიოქიის I საეკლესიო კრება (VIII ს. 50-იანი წლები) (54); ანჩის საეკლესიო კრება (IX ს. 40-იანი წლები) (75); ჯავახეთის საეკლესიო კრება (IX ს. 60-იანი წლები) (86); ღრტილას საეკლესიო კრება (1046) (98); ანტიოქიის II საეკლესიო კრება (1056-1057) (106); ქუთაისის საეკლესიო კრება (1058) (130); თბილისის I საეკლესიო კრება (1178 წ.) (138); თბილისის II საეკლესიო კრება (1185 წ.) (145); საეკლესიო შეკრებანი დავით აღმაშენებლისა და თამარის კარზე (159); ანისის შეკრება (1218) (164); შიომღვიმის საეკლესიო კრება (XIII ს. 40-იანი წლები) (169); მცხეთის საეკლესიო

კრება (1263) (173); შეკრება საფარაში (1453) (86); სამთავროს საეკლესიო შეკრება (1459) (190); სვანეთის საეკლესიო კრებები (XIII-XVIII) (192); საეკლესიო შეკრებანი ვახტანგ VI-ის, თეიმურაზისა და ერეკლეს კარზე (196); მცხეთა-თბილისის (1755-1756) კრება (203); თბილისის IV საეკლესიო კრება (1764) (231); დასკვნა (239). **მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით:** შესავალი (256); საქართველოს ორი ეპისკოპოსი I მსოფლიო კრებაზე (257); ქართული ეკლესიის წარმომადგენელი II მსოფლიო კრებაზე (260); ქართველი ეპისკოპოსი III მსოფლიო კრების მუშაობაში (262); საქართველოს ეპისკოპოსები IV მსოფლიო კრებაზე (263); ცნობა V კრების მუშაობაში საქართველოს ეპისკოპოსის მონაწილეობის შესახებ (265); VI მსოფლიო კრების მიერ საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღიარება (273); 691 წლის “ტრულის” მსოფლიო საეკლესიო კრების ხელისმომწერი ეპისკოპოსები დასავლეთ საქართველოდან (277); საქართველოს ეპისკოპოსი VII მსოფლიო კრებაზე (281); ფერარა-ფლორენციის კრება (290); დასკვნა (295). ნაშრომს ახლავს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენაზე.

3. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები (XIX-XX საუკუნეები), III, თბილისი, 2003 წ. 350 გვ. რედაქტორი: ლია შარვაშიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე. ნაშრომში განხილულია მე-19 და მე-20 საუკუნეებში შემდგარი 50-ზე მეტი საეკლესიო კრება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით XX ს. დასაწყისში, საერთო-სახალხო ყრილობას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის (ავტონომიის), დამოუკიდებლობისა და საეკლესიო ავტოკეფალიის აღდგენისაკენ მიმართულს. კრებათა ანალიზს თან ერთვის მათ მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები; კერძოდ: შესავალი (5); საეკლესიო შეკრებები, ე.წ. “ცერკოვნი ბუნტი” ავტოკეფალიის გაუქმების დროს (1819-1820) (7); ავტოკეფალური მოძრაობის ჩასახვა (26); საეკლესიო კრებები 1905-1916 წწ. (19 კრება) (45); ავტოკეფალიის აღმდგენი კრებები (9 კრება) (113); წმ. კირიონის მკვლელობის ერთი ვერსია (137); საეკლესიო კრებები 1918-1995 წლებში (23 კრება) (141); დასკვნა (193). **საქართველოს ეკლესიის მმართველი იერარქია:** კათალიკოსი (201); პატრიარქი (225); ქორეპისკოპოსი (231); მწიგნობართუხუცესი (238); მოძღვართმოდღვარი (249); დასკვნა (270). წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

4. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე-რაბათი, 1983-1988. ნაშრომი მოიცავს

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველ საუკუნიდან მეექვსე საუკუნის ჩათვლით. განხილულია ქართული ქრისტიანული თემის პრობლემა მოციქულთა ხანაში; თანამედროვე საეკლესიო ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით გატარებულია თვალსაზრისი, რომ მოციქულებმა იმთავითვე იქადაგეს ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოში. ნაშრომში ვრცელი მონაკვეთი უკავია მტკიცებას, რომ ქართველი ხალხი თავის ისტორიაში გამოჩენამდე ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო. ადრინდელი ქართული ეთნოსი მოციქულთა ეპოქის წინ გაუდიფერენცირებული იყო; ამიტომაც, საერთო ქართული უნდა ყოფილიყო წინაქრისტიანული ქართული სარწმუნოების ღვთისმსახურების ენა; ამიტომაც ეს ენა იქცა საეკლესიო ენად მოციქულების ეპოქიდან. ჯერ ამ ენით ზეპირად ითარგმნა წმინდა წერილი, ხოლო IV-V სს. უკვე წერილობით; ამიტომაც ქართული იყო საეკლესიო ენა იმთავითვე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. VI საუკუნეში სპარსეთის აგრესიის შედეგად დაპყრობილი სამხრეთ საქართველოსა და ასევე ჰერეთში ქართული მოსახლეობა აღმოჩნდა სომხური ეკლესიის უღელქვეშ; რაც ნაშრომში ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით არის განხილული.

5. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი პირველი, თბილისი, 1996 წ. 447 გვ. რედაქტორი ლია შარვაშიძე. ნაშრომში გადმოცემულია ქართული ეკლესიის ისტორია მოციქულთა ხანიდან მე-6 საუკუნის ჩათვლით, **კერძოდ: თავი I:** ქართული ეკლესია I-III საუკუნეებში (15); სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა (16); საქართველო მოციქულთა დროს (20); წმინდა ანდრია და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში (34); წმინდა ანდრია მამოსვლა საქართველოში (44); მოციქულთა მიერ დაარსებული პირველი ავტოკეფალური ეკლესიები (51); ქართული ეკლესიის სამწყსო (56); საერთო ენა (58); საერთო ტერიტორია (63); ფსიქიური წყობის ერთობა (67); საერთო კულტი ერთმორწმუნეობა (67); ქართული ტომების საერთო კულტურა (70); ეკონომიკური კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის (70); ქართველების საერთო წარმოშობა, სისხლით ნათესაობა (71); ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები (74); “ქართლის” საზღვრები და ქართველთა ვინაობა ლეონტი მროველის მიხედვით (74); ჯუანშერის თანახმად, ეგრისი “ქართლში შემავალი ქვეყანაა” (81); ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთის საზღვრები ვახუშტის მიხედვით (85); ზოგიერთი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსის თანახმად, კოლხეთი იბერიაში შემავალი ქვეყანაა (86); ქართლი და ქართველი ერი სომეხი ისტორიკოსების მიხედვით (103); “ქართლის ცხოვრების” სიმართლე (109); საერთოქართული კოინე ენა

(114); **თავი II:** ქართული ეკლესია IV საუკუნეში (119); საქართველო IV საუკუნეში (120); გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმინდა ნინომდე (127); წმინდა ნინოს ცხოვრება (144); ქართლის მოქცევის წყაროები (173); ქართული ეკლესიის მეთაურები (180); ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (185); **თავი III:** ქართული ეკლესია V საუკუნეში (204); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა V საუკუნეში (205); ვახტანგ გორგასლის ცხოვრება (221); “ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა” (პროირანული საეკლესიო დაჯგუფებანი ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე) (242); საეკლესიო - სარწმუნოებრივი ვითარება საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებისას (256); საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება (290); თეორიები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (315); **თავი IV:** ქართული ეკლესია VI საუკუნეში (325); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VI საუკუნეში (326); ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები (VI) საუკუნეში (330); საეკლესიო წინასწარმეტყველებანი ქართული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ (334); საეკლესიო ენა ალბანეთში, ჰერეთში, გუგარეთსა და დასავლეთ საქართველოში VI-VII საუკუნეებში (345); არსენი საფარელის თხზულება “განყოფისთვის” ქართველთა და სომეხთა“ (369); მონოფიზიტობის ხანგრძლივობის შესახებ საქართველოში (378); ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ (385); ეპისტოლეთა წიგნის მოკლე შინაარსი (395); “ერთობა” ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის უხტანესის მიხედვით (423); სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის მიზეზი და მისი შედეგი (428); ქართველი მონოფიზიტები და სომხური ეკლესიის წევრი ქართველი ქალკედონიკები (438).

6. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი მეორე, თბილისი, 1998 წ. 447 გვ. რედაქტორი ლია შარვაშიძე, ნაშრომში გადმოცემულია ქართული ეკლესიის ისტორია VII-XI საუკუნეებში, **თავი I:** ქართული ეკლესია VII საუკუნეში (5); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა (6); იურისდიქციის საზღვრების ცვლილება VII საუკუნეში (16); “განყოფა” ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის (28); არსენ საფარელი ერთობისდროინდელი სომეხი კათალიკოსების შესახებ (33); ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადება VII საუკუნეში (40); მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილი VII საუკუნის ამბები (50); **თავი II:** ქართული ეკლესია VIII-X საუკუნეებში (66); ქართლის ისტორიული გეოგრაფია VIII საუკუნისათვის (67); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VIII-X საუკუნეებში (76); აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება (89); მირონის კურთხევის შესახებ (97); აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის კერები (108); ქართული

ეკლესიის თავდადებული ღვაწლი პირველი მაჰმადიანური შემოტევის წინააღმდეგ (წმ. აბო თბილელი, წმ. დავით და კონსტანტინე, წმ. არჩილ მეფე, წმ. მიქაელ-გობრონი, წმ. კონსტანტინე ქართველი) (115); წმიდა გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არე (124); ავტოკეფალიის არსი - ეპისკოპოსთა კურთხევა თავისივე ეპისკოპოსების მიერ (140); აბო თბილელის ქართველობისა“ და ქართველთა სისხლით მონათესაობის ეთნიკური მომენტის“ შესახებ (144); წმიდა ნინო და მოციქული ელიშა (153); ტერმინ ნათესავით ქართველის შესახებ (160); იბერია - ეთნიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი (162); **თავი III:** ქართული ეკლესია XI საუკუნეში (166); საქართველოს საპატრიარქოს დაარსების პოლიტიკური საფუძველი (167); ქართული ეკლესიის დევნა 1021-1054 წლებში ბიზანტია - საქართველოს ომის დროს (177); ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება 1054-1057 წლებში (195); საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურა და იურისდიქციის საზღვრები (213); საქართველოს საპატრიარქოს დაარსების კანონიკური უფლების შესახებ (227); დიპტიხის შესახებ (232); საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში (237); ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე (245); ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიხი (ჯდომისა და დგომის წესი“) (250); **თავი IV:** გაქართველების მოძველებული თეორია (259); თეორია ქართული ეკლესიის მიერ საქართველოს კურთხევა გაქართველების“ შესახებ (260); სომხური ეკლესიის ისტორია, მონოთელიტობა და ხატმებრძოლობა მასთან კავშირში ა. კარტაშვილის მიხედვით (270); სომხური ეკლესიის პრეტენზიები ქართული ეკლესიის დაუფლებისათვის (280); დიდი მთარგმნელები (299); ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია (312); ქართველთა არმენიზაციის შესახებ (350).

7. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი მესამე, თბილისი, 1999 წ. 415 გვ. რედაქტორი ლია შარვაშიძე, ნაშრომში გადმოცემულია ქართული ეკლესიის ისტორია XII-XVIII სს. **თავი I:** ქართული ეკლესია XII საუკუნეში (5); დავით აღმაშენებელი (6); მეფეთ მეფე დავითის ცხოვრება (7); მეფე დავითი მორჩილი ბერისა (26); რუს-ურბნისის კრება (34); ეკლესია - ქართული ქვეყნების გამაერთიანებელი (53); ყივჩაღთა ჩასახლება (59); თამარ მეფე (68); თამარ მეფის ცხოვრების ქრონიკა (69); ჭყონდიდელი და ათაბაგი (82); თამარი წმიდა კეთილმსახური მეფე (96); **თავი II:** ქართული ეკლესია XIII საუკუნეში (108); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIII საუკუნეში (109); სული თავდადებისა (109); მემატანის მიერ აღწერილი ამბები დედა ღვთისმშობლის მიერ

ქართველთა მფარველობის შესახებ (125); **თავი III:** ქართული ეკლესია XIV საუკუნეში (136); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIV საუკუნეში (137); მეფე გიორგი ბრწყინვალე (137); ჩვიდმეტწლიანი სამამულო ომი (143); **თავი IV:** ქართული ეკლესია XV საუკუნეში (154); ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XV საუკუნეებში (155); მეფეთ მეფე მონაზონი ალექსანდრე დიდი (156); ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის (165); ეროვნება და სარწმუნოება (182); სასწაულთმოქმედი ხატი აწყურისა (188); **თავი V:** ქართული ეკლესია XVI საუკუნეში (194); საქართველო XVI საუკუნეში (195); იყო საქართველო უვნო მტერთაგან (204); თემობრიობის აღორძინება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად (211); ეკლესია თემობრიობის აღორძინების დროს (215); **თავი VI:** ქართული ეკლესია XVII საუკუნეში (219); წმიდა დიდმოწამე ქეთევანი - მნათობი საქართველოსი (220); წმიდა მეფე ლუარსაბ II (240); თეიმურაზის ბრძოლა ქართველობისათვის (246); ტყვეთა სყიდვა (270); **თავი VII:** ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში (282); ბრძოლა გამოხსნისა და აღდგომისათვის (283); ევროპული (კათოლიკური) ორიენტაცია და მისი კრახი (296); ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაცია და მისი კრახი (307); ვახტანგ VI-ისა და მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილობა (313); ეკლესიის შინაური ყოფა ანტონ I-მდე (321); მირონცხებულ მეფეთა ტახტის აღდგენა ქართველობის“ გამარჯვება (353); საქართველო ქართველობის“ გამარჯვების შემდეგ (358); დიდი კათალიკოსის ეპოქა (365); დიდი ღალატი (389); სული ერთობისა (404);

8. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი მეოთხე, თბილისი, 2003 წ. 357 გვ. რედაქტორი ლია შარვაშიძე, ნაშრომში გადმოცემულია ქართული ეკლესიის ისტორია XIX-XX სს., კერძოდ: თავი I: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (XI); სახალხო აჯანყება ავტოკეფალიის დასაცავად (XVIII); ეპარქიათა გაუქმებით გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები (XXI); ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება (XXV); წმიდა ილია მართლისა და ქართველი მღვდელმთავრების ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად (XXVII); ეკლესია ათეისტების ბატონობის დროს (XLI); ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება (LV); ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის ურთიერთობა (LXIV); **II. საქართველოს საეკლესიო კრებები IV-XVIII საუკუნეებში** (5); შესავალი, გამოკვლევის საგანი, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, საკითხის ისტორიოგრაფია (5); **ნაწილი I.** საეკლესიო სამართლის წყაროები (88);

თავი I (89); მსოფლიო საეკლესიო კრებები და მათი კანონები (91); ადგილობრივი კრებების კანონები (96); წმიდა მამათა კანონები (96); კანონიკური კრებულები (98); ნომოკანონები (100)); კანონთა განმარტებანი, არისტინე, ზონარა, ბალსამონი (101); თავი II (103); საეკლესიო სამართლის წყაროების პირველი ქართული თარგმანები (103); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VI-VII საუკუნეებში (106); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები VII-IX საუკუნეებში (108); საკანონმდებლო ძეგლების თარგმანები X-XI საუკუნეებში (110); წმ. ფოტის ნომოკანონის ანუ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანები (116); საეკლესიო სამართლის ძეგლების თარგმანები XVIII საუკუნის I ნახევარში (119); საეკლესიო ძეგლების თარგმანები XX ს. II ნახევარში (124); **თავი III (126);** საქართველოს საეკლესიო სამართლის წყაროები I-V სს-ში (126); საეკლესიო სამართლის წყაროები დვინის კრებიდან რუის-ურბნისის კრებამდე (VI-XI) (174); საეკლესიო სამართლის წყაროები დვინის კრებიდან რუის-ურბნისის კრების შემდეგ (XII-XVIII) (190); საეკლესიო სამართლის წყაროები ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების პერიოდში (197); საეკლესიო სამართლის წყაროები XVIII ს. II ნახევარში (203); საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის გაუქმებისას (204); საეკლესიო სამართლის წყაროები ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (210); **ნაწილი II: თავი I.** საქართველოს საკანონმდებლო კრებები (213); რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა (214); რუის-ურბნისის კრების კანონები [ტექსტი] (222); საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალეს დროს (1335) (241); “ძეგლის დადება“ [ამოკრებილი მუხლები] (243); ჭულევის საკანონმდებლო კრების კანონიკური სამართალი“ (1381-1386) [ტექსტი, ამოკრებილი მუხლები] (245); ცაიშ-ბედიის შეკრების “მცნებაჲ სასჯულო“ (1470-1474) [სრული ტექსტი] (256); ბიჭვინთის საეკლესიო კრების (1543-1549) სამართალი [სამართალი კათალიკოსთა სრული ტექსტი] (276); დავით-გარეჯის საეკლესიო კრების განჩინება (1702), [ტექსტი] (285); საკანონმდებლო შეკრებანი ვახტანგ VI-ის კარზე, [სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, ამოკრებილი მუხლები] (290); თბილისის III საეკლესიო კრების კანონნი (1748), [სრული ტექსტი] (310); იმერეთის საეკლესიო კრების ხელითწერილი (1759), [ტექსტის აღდგენილი ნაწილი] (322); 1762, 1768, 1793 წწ. კრებათა დადგენილებანი საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ, მცნებანი ეპისკოპოსთა და მღვდელთა მიმართ, [ტექსტი] (327); დასკვნა (339);

9. ანანია ჯაფარიძე. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბილისი 1994, 138 გვ. ნაშრომი ეყრდნობა ბიბლიას. იგი წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის

ისტორიის შესავალ ნაწილს. განხილულია ქართული ანბანის წარმოშობისა და დამწერლობის, ასევე ქრისტიანობის გავრცელების ისტორია საქართველოში და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VI-IV სს.) წიაღში ჩაეყარა საფუძველი პირველ ერთიან ქართულ სახელმწიფოს აზონ - ფარნავაზის დროს, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოსაც. ამ დროს ფუძე ქართული ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. ერთიანმა სახელმწიფომ ქართველი ტომები ერთ ქართველ ერად შეკრა ფარნავაზის ეპოქაშივე.

10. **ანანია ჯაფარიძე. ქართული ეკლესია XVII-XVIII სს-ში (წიგნში საქართველოს ეკლესიის კალენდარი), თბილისი, 1994. გვ. 139.** პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში აღწერილია საქართველოს ეკლესიის ისტორია XVII-XVIII სს.

11. **ანანია ჯაფარიძე. შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამალღება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თბილისი, 1995. 118 გვ.** ნაშრომი ეყრდნობა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს, მოციქულთა ეპისტოლეებს, წმინდა მამათა განმარტებებს, თანამედროვე მართლმადიდებელი თეოლოგების ნაშრომებს. იგი წარმოადგენს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის - იესო ქრისტეს ცხოვრების ისტორიას.

12. **ანანია ჯაფარიძე. წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, წმინდა მეფე ლუარსაბ II, მეფე თეიმურაზის ბრძოლა ქართველობისათვის, ტყვეთა სყიდვა, თბილისი, 1996. 76 გვ.**

13. **ანანია ჯაფარიძე. დედა ეკლესია, ქადაგებანი, წერილები, თბ., 1996, 319 გვ. რედაქტორი ნ. სუხიტაშვილი.** ნაშრომში თავმოყრილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის წევრის მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგებანი, წერილები და გამოკვლევები გვამცნობენ მართლმადიდებლურ ეკლესიას მოწყვეტილ ქართველთა ბედს, მათ გაუცხოვებას მშობელი ერისადმი. განხილულია თანამედროვე საეკლესიო ცხოვრება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტკივილი, ახალი თაობის აღზრდის საკითხები.

14. **ანანია ჯაფარიძე. ქართლის ცხოვრების არმენოფილური რედაქცია, თბილისი 1997. 65 გვ. რედაქტორი თ. ჯაფარიძე.** ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის ცხოვრების შესავალში არსებული ნიჰილისტურ - დამამცირებელი შეფასებანი (ქართული ენის, ეთნოსისა და სხვათა მიმართ) წარმოადგენს არა XI ს.

ქალკედონიკი ავტორის შემოქმედებას, არამედ განეკუთვნება იმ ეპოქას (VI-IX სს.), როდესაც ჯერ სპარსთა, შემდეგ კი არაბთა მეოხებით ჩვენი ქვეყნის მეზობლად მდებარე მძლავრი სომხური მონოფიზიტური ცენტრი ცდილობდა ქართველთა ეროვნული სარწმუნოებისა და ცნობიერების დასუსტებას საქართველოში მართლმადიდებლური (პრობიზანტიური) ორიენტაციის აღმოფხვრის მიზნით.

15. **ანანია ჯაფარიძე. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, თბილისი, 1997.** ნაშრომში განხილულია სხვადასხვა თეორიები ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ, რომელთაგანაც, ავტორის თვალსაზრისით, მართებულია საქართველოს ეკლესიაში ოდიოზანვე აღიარებული და სხვადასხვა მატრიანეებსა თუ წყაროებში გადმოცემული თეორია.

16. **ანანია ჯაფარიძე. საინგილო, ქართველთა გაღეკება, მანგლის-წალკის ეპარქია, 1998, 40 გვ.** კრებულში აღწერილია მტერთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) მცხოვრებ ქართველთა ბედი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო დატოვეს ეროვნული ეკლესია, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი ეთნიკურად გადაგვარდა; ხოლო ძირითადი ნაწილი შეერწყა საინგილოში ჩამოსახლებულ სხვადასხვა ხალხს, მათ შორის ლეკებსაც. ნაშრომში უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია საინგილოს ისტორიული გეოგრაფია, ეთნიკური სახე, ისტორიული ბედი, სოციალური ყოფა, გვარები და სხვა.

17. **ანანია ჯაფარიძე. მესხეთი, ქართველთა გამაჰმადიანება. საქართველოს საპატრიარქო, მანგლის - წალკის ეპარქია, 1998, 43 გვ.** ნაშრომში გადმოცემულია ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართველთა, კერძოდ, მესხთა გამაჰმადიანება. ქართული ენის დავიწყება და ცვლილებები მათ გვარებში.

18. **ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (შემოკლებული ვარიანტი, წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1998, გვ.105-422).** ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია, პირველი პერიოდი მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიას მოციქულებიდან რუის-ურბნისის კრებამდე. მეორე პერიოდი - საქართველოს ეკლესიის ისტორიას რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე. მესამე პერიოდი მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიას ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე.

19. **ანანია ჯაფარიძე. ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, 48 გვ.**

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა და ირანელთა მიერ XVII-XIX სს - ში დაპყრობილ ქართლ - კახეთსა და მესხეთში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელთა ზვედრი, რომელნიც თანდათანობით სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცნენ დამპყრობელთა პოლიტიკური ნების შესაბამისად. გამონოფიზიტების შემდეგ სომხური ეკლესიის მრევლში გასულ ქართველებს თანდათანობით შეეცვალათ ეთნოფსიქოლოგია; დაკარგეს ეროვნული ცნობიერება, და დაადგნენ გასომხების გზას. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა თბილისსა და ქვემო ქართლში, აგრეთვე ქართლ - კახეთის ქალაქებსა და გზისპირა სოფლებში, სადაც მაჰმადიანების ბატონობა უფრო მტკიცე იყო.

20. **ანანია ჯაფარიძე. ლაზეთი-თრიალეთი, ქართველთა გაბერძნება, საქართველოს საპატრიარქო მანგლის-წალკის ეპარქია - თბილისი 1999. (წიგნი შეიცავს 36 გვერდს).**

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში (ლაზეთსა და მესხეთში) მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელთა ბედი, რომელნიც ოსმალური კანონების შესაბამისად კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს მრევლად გადაიქცნენ. ნაშრომი შეიცავს პარაგრაფებს მესხეთისა და ლაზეთის მართლმადიდებლების (ე.წ. "ურუმების") საცხოვრისის, ოსმალეთში ბერძნული ეკლესიის უფლებების გაზრდისა და ქართველი მართლმადიდებლების გაბერძნების, ბერძენ - ურუმების საქართველოში გადმოსახლების, გაბერძნებულთა გვარებისა და სხვათა შესახებ.

21. **ანანია ჯაფარიძე. ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად. საქართველოს საპატრიარქოს მანგლის - წალკის ეპარქია, 2001. 18 გვ.**

ნაშრომში გადმოცემულია ქართველ მეფეთა ოჯახში საიდუმლოდ დაცული ცნობები ქვეყნად მხსნელის მოვლინების შესახებ. **კერძოდ:** უფალი ღმერთი საუკუნეთა მანძილზე ამზადებდა ერებს მაცხოვრის მისაღებად. ამ ხალხთა შორის ბიბლიის უდიდეს წინასწარმეტყველთა მიერ ქართველთა წინაპრებიცაა მოხსენიებული. ნაშრომი ეყრდნობა "ძველ აღთქმას", "ქართლის ცხოვრებასა" და სხვა წყაროებს.

22. **ანანია ჯაფარიძე. აფხაზეთი (ქართველთა გააფხაზება), საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2001, 89**

გვ. ნაშრომში უხვ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია აფხაზეთის ქართველთა ბედი XVI ს-დან XXI ს-მდე.

კერძოდ: XVI ს-დან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მის პერიფერიულ კუთხეებში, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო, ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. ამ პროცესს ნ. ბერძენიშვილი მთის ჩამოწოლას უწოდებს. ასე მოექცა აღმოსავლეთ კახეთი (ჭარ-ბელაქანი) - ლეკური ტომების ხელში, შიდა ქართლის მთიანეთი - ოსების, ხოლო აფხაზეთი - ადიღე-ჩერქეზული ტომის აბაზების, ანუ აფსუების ხელში. XVI-XVIII სს. ჩერქეზი ხალხი ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მრავლრიცხოვანი იყო და შედგებოდა უამრავი მეომარი ტომისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც აღინიშნა, აფხაზეთში ჩასახლდა და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო ისტორიული ოდიში (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები). მკვიდრი ქართული მოსახლეობა გადაიქცა საზოგადოების ყველაზე დაბალ, დამორჩილებულ ფენად, შეისწავლა მებატონეების ენა და ადათ-ჩვევები, მაღალმა ფენამ აფხაზეთისა - ძველმა ქართველმა თავად-აზნაურებმა, შეძლეს თავიანთი მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება ქვეყნის ახალი ეთნიკური სახის ჩამოყალიბების სანაცვლოდ. აფხაზეთში ჩამოსახლებულ აბაზა-აფსუებს ქართველებმა ქვეყნის სახელის მიხედვით "აფხაზები" უწოდეს, მოგვიანებით ეს სახელი გადაიღეს რუსებმა, თუმცა კი როგორც თურქი, ისე უცხოელი მოგზაურები მათ ჩერქეზებს (//აბაზებს) უწოდებდნენ.

23. **ანანია ჯაფარიძე. ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი). საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2002, 22 გვ.**

ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების პროცესი. **კერძოდ:** IV საუკუნეში ქართველთა გაქრისტიანებისთანავე საქართველოში დაიწყო "წმინდა წერილის" ქართული თარგმანების მომზადება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოკრებილი მეცნიერები. ამ ღვაწლმა უკვე V ს. დასაწყისში გამოიღო თავისი შედეგი - შედგენილ იქნა წმინდა სახარების პირველი ქართული თარგმანი.

24. **ანანია ჯაფარიძე. რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას თბილისი, 2002, 20 გვ.**

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გაფრთხილებას - რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრების მოსურნეთა მცდელობას: საქართველოს რეგიონიზაციას. **კერძოდ:** საუკუნეთა მანძილზე დიდი

ქართველი მამულიშვილები იღვწოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის. მტერმა იცოდა, რომ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს ვერ დაამარცხებდა, ამიტომ მუდამ ცდილობდა მის კუთხეებად (რეგიონებად) დაყოფას, რათა “ქართველების აღმა ხნული, კახელებს დაბლა ეფარცხათ”. წმინდა წერილიც გვასწავლის და ჩვენი წმინდა მამებიც ამბობენ: “უფალი ღმერთი აერთიანებს, ეშმაკი კი ჰყოფს”. ამჟამად მიმდინარეობს ძიება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპისა, ამიტომაც არ შეიძლება შეცდომის დაშვება, რათა ახალმა გადაწყვეტილებებმა და კანონებმა უნებლიედ ხელი არ შეუწყონ საქართველოს დაშლა - დანაწევრებას. საქართველოს რეგიონიზაცია არა თუ გადაჭრის აფხაზეთის, ანდა ცხინვალის პრობლემებს, არამედ ერთის ნაცვლად წარმოქმნის რამდენიმე აფხაზეთს და სხვა ახალ სეპარატისტულ რეგიონალურ რეჟიმს.

25. ანანია ჯაფარიძე. პოლემიკა კათოლიკური ორიენტაციის სწავლულებთან. თბილისი, 2002, 48 გვ. ნაშრომი წარმოადგენს კრებულს მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული პოლემიკური ჟანრის პუბლიკაციებისა, დამატების სახით ერთვის უდეს, ხიზაზავრას, იელიტას, ვალესა და სხვა ეკლესიათა სამრევლოების თხოვნა დედა ქართული ეკლესიის წიაღში დაბრუნების შესახებ.

26. ანანია ჯაფარიძე. რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს, თბილისი, 2002 64 გვ. ნაშრომი მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1. მოძღვრება; 2. რჩევები; 3. მართლმადიდებლური დიასპორას საკითხი ქართული წყაროების მიხედვით; 4. წმინდა და დიდი კრების მოსამზადებელი მართლმადიდებელთაშორისი კომისიის გადაწყვეტილება. 5. მცირე ცნობა საზღვაგარეთის ეკლესიის შესახებ. წიგნი მოტანილია მრავალი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ უვლიან სხვა ერების ეკლესიები თავის ეროვნულ დიასპორას უცხოეთში, მათი მაგალითის შესაბამისად, საზღვაგარეთ უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სამრევლოები, რათა უკანასკნელ წლებში უცხოეთში სამუშაოდ, საცხოვრებლად და სასწავლებლად წასული ქართველები არ ასიმილირდნენ უცხო ერებში და საქართველოს მფარველ ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობელს მისი ერთგული შვილები არ დაეკარგოს.

27. ანანია ჯაფარიძე. პეტრე იბერი — მართლმადიდებელი ეპისკოპოსი თბილისი, 2002, 22 გვ. წიგნი მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: “ქართველთა სამონასტრო ცხოვრების სათავეებთან IV-V სს.”; “პირველი ქართველი მთარგმნელები,” “იოანე ლაზი ქართული სამწერლო ენის სათავეებთან”, “პეტრე იბერის ბიოგრაფიები”,

“მონოფიზიტობის გაძლიერება XVII-XVIII საუკუნეებში და პეტრე იბერის ხსენების გაუქმება”.

28. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები, პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია. თბილისი, 2003 42 გვ. წიგნი წარმოადგენს პირველ ნაშრომს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ. მასში აგრეთვე განხილულია ეკლესიის ისტორიის წყაროები და საეკლესიო ისტორიოგრაფია. ავტორი მსოფლიო და საქართველოს საეკლესიო კრებათა მონაცემებზე დაყრდნობით აშუქებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ თვით ეკლესიაშივე არსებულ თეორიებს და აჯერებს მათ თანამედროვე ისტორიოგრაფიის მონაცემებთან.

29. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, თბილისი, 2004, მეორე გამოცემა, 92 გვ. ნაშრომში მოთხრობილია თუ როგორ იბრძოდა საქართველოს ეკლესია ერის სულიერი გადარჩენისთვის. საუკუნეების მანძილზე. აქვე, პირველად არის გამოყენებული წმინდა ბიბლია, ვითარცა საქართველოს ეკლესიის საისტორიო წყარო. კრებული მოიცავს ჩვენი წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას I საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით.

30. ანანია ჯაფარიძე. ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ, თბილისი, 2003, 28 გვ. ნაშრომში განხილულია XX ს. დასაწყისში რუსულ იმპერიულ სამეცნიერო სკოლებში ჩამოყალიბებული “ქართიზაციის” თეორია, რომელსაც ამჟამად წარმატებით იყენებენ სეპარატისტები, საქართველოს კუთხეთა მისაკუთრების მიზნით. “ქართიზაციის” თეორია თავის დროზე შეიქმნა ძველ ქართულ მატრიანებსა და წყაროებში გამოთქმული თვალსაზრისის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც ქართველი ხალხი ერთიანი იყო ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე და ამიტომაც შეძლო მან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, მეფე ფარნავაზის დროს ერთი ენითა და კულტურით. ნაშრომში გამოყენებულია წმინდა ბიბლიაში დაცული დიდი წინასწარმეტყველის იერემიასა და ეზეკიელის ცნობები, ვითარცა საქართველოს საისტორიო წყარო კოლხეთის სამეფოსთან (“ჩრდილოეთის ხალხებთან”) დაკავშირებით, რომლითაც ქართველი ხალხის უძველესი ერთიანობა დასტურდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნდა აღდგეს ძველქართული თეორია ქართველი ერის ჩამოყალიბების დროის შესახებ და უკუგდებულ უნდა იქნას “ქართიზაცია - გაქართველების” თეორია, რომელიც ამჟამად

აფერხებს ქართველი ერის კონსოლიდაციას და საქართველოს დაშლა - დანაწევრებას უწყობს ხელს.

31. **ანანია ჯაფარიძე. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, თბილისი, 2003, 44 გვ.** მონოგრაფიის მიხედვით, ქართველი ეპისკოპოსები მონაწილეობდნენ წმინდა კრებათა სამართლის შემუშავებაში და მსოფლიო საეკლესიო კანონებს აცნობდნენ თავის მრევლს, რაც წარმოადგენდა მართლმადიდებელი სარწმუნოების სიწმინდის საფუძველს საქართველოში.

32. **ანანია ჯაფარიძე. საქართველოს დედაეკლესია, საკითხავი ყმაწვილთათვის, თბილისი, 2006, 320 გვ. რედაქტორი ნათელა ჯოლოხავა.** ნაშრომში მოკლედაა გადმოცემული საქართველოს ეკლესიის და მისი სამწყსოს ისტორია უძველესი ხანიდან და მოციქულების ეპოქიდან XXI ს. დასაწყისამდე.

33. **ანანია ჯაფარიძე (თანაავტორი). ულოცველთა შამი, თბილისი, 2005, 43 გვ. რედაქტორები: პროფესორი მერაბ ვაჩხაძე, პროფესორი ვახტანგ გურუღი. (კოსმოპოლიტიზმი: ძველი და ახალი).** ნაშრომში ნაჩვენებია ეროვნულისა და კოსმოპოლიტიზმის დაპირისპირების ისტორია საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.

34. **ანანია ჯაფარიძე. წმ. ვახტანგ გორგასალის ცხოვრება, თბილისი, 2004, 32 გვ.** ნაშრომში თანამედროვე ქართულ ენაზე აღწერილია წმინდა მეფის ვახტანგ გორგასალის ცხოვრება (სრული ტექსტი), რომელიც ათასწლეულის მანძილზე საქართველოს ახალგაზრდობას ზრდიდა გმირული სულისკვეთებით, მამულისა და მოყვასისადმი თავდადების გრძობით.

35. **ანანია ჯაფარიძე. წმ. ნინოს ცხოვრება, თბილისი, 2004, 42 გვ.** ნაშრომში თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებულია IV საუკუნეში სალომე უჯარმელის მიერ “ქართლის ცხოვრებაში” ჩაწერილი წმინდა ნინოს ცხოვრების სრული ტექსტი (რომელიც თითქმის უცვლელად გამოქვეყნდა წიგნში: “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია”).

ილია ჭავჭავაძე:

ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა...

Ilia Chavchavadze:

Many think that science and faith are incompatible, but the bridge connecting these two domains is wisdom. Faith considered with the scientific depth and work of a faithful honest scientist is the service of the nation...